

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხათუნა ჯოხაძე

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის
წინააღმდეგობრივი ხასიათი საქართველოში

სპეციალობა ეკონომიკური თეორია

ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერხელმძღვანელი
ამირან ჯიბუტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თემა: „სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების წინააღმდეგობრივი
ხასიათი საქართველოში“

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ----- 3-9 გვ.

- თავი I. ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და სახელმწიფოს საკუთრების
განსახელმწიფოებრივების არსი ----- 10-48 გვ.
- 1.1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა ----- 10-16 გვ.
- 1.2. საკუთრების განსახელმწიფოებრივების არსი, ძირითადი ფორმები და
მიმართულებები ----- 16-30 გვ.
- 1.3. საკუთრების განსახელმწიფოებრივების უცხოური გამოცდილება --- 30-39 გვ.
- 1.4. პრივატიზაციის საკანონმდებლო-ნორმატიული და ორგანიზაციულ-
მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და სრულყოფა ----- 40-48 გვ.
- თავი II. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის განხორციელების თავისებურებები და
ეტაპები საქართველოში ----- 49-72 გვ.
- 2.1. პრივატიზაციის თავისებურებები ----- 49-53 გვ.
- 2.2. პრივატიზაციის განხორციელების ეტაპები ----- 53-72 გვ.
- თავი III. პრივატიზება ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში ----- 73-122 გვ.
- 3.1. პრივატიზება მრეწველობაში (ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა,
მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა) ----- 73-84 გვ.
- 3.2. პრივატიზება სათბობენერგეტიკულ კომპლექსში ----- 85-90 გვ.
- 3.3. პრივატიზება ტრანსპორტის სფეროში ----- 91-92 გვ.
- 3.4. პრივატიზება კავშირგაბმულობასა და ფოსტის სფეროში ----- 93-95 გვ.
- 3.5. პრივატიზება ვაჭრობაში ----- 95-97 გვ.
- 3.6. ბანკების პრივატიზება ----- 97-99 გვ.
- 3.7. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზება ----- 99-120 გვ.
- 3.8. ტყის პრივატიზება ----- 120-122 გვ.

თავი IV. სახელმწიფო ქონების პრივატიზების წინააღმდეგობრივი ასპექტები	123–155 გვ
4.1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიული გზის არჩევაში დაშვებული შეცდომა	----- 123–129 გვ.
4.2. სამართლებრივი, მეთოდური და ორგანიზაციული ხასიათის შეცდომები	----- 129–141 გვ.
4.3. პრივატიზაციის მასშტაბებში დაშვებული შეცდომები, სტრატეგიული ობიექტების დაუსაბუთებელი პრივატიზება	----- 141–155 გვ.
 თავი V. საკუთრების განსახელმწიფოებრივების ეკონომიკური და სოციალური შედეგები	----- 156–186 გვ.
5.1. საკუთრების განსახელმწიფოებრივების ეკონომიკური შედეგები	--- 156–171 გვ.
5.2. საკუთრების განსახელმწიფოებრივების სოციალური შედეგები	--- 72–186 გვ.
 დასკვნები და წინადადებები	----- 187–200 გვ.
გამოყენებული ლიტერატურა	----- 223–242 გვ.

შესავალი

თემის აქტუალობა.

საქართველო მეორე ათეული წელია რაც ახორციელებს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემებიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლას. ამჟამად მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა ყველაზე ეფექტიან სისტემად წარმოგვიდგება. მან პრაქტიკულად ცხადყო თავისი მაღალი ეფექტიანობა ისეთი ამოცანების გადაწყვეტაში, როგორცაა: წარმოებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური კავშირის უზრუნველყოფა; დამოუკიდებელი მწარმოებლების სამეურნეო საქმიანობის შედეგების საზოგადოებრივი შეფასება; ფასების თავისუფალი ფუნქციონირება; ეკონომიკის სანაცია; კონკურენტობის საყოველთაოობა და სხვა. რომელთა საფუძველზე იგი წარმატებით წყვეტს სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, ფასების სტაბილურობის, თანასწორობისა და ეფექტიანობის პრობლემებს. მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის კურსს ალტერნატივა არა აქვს. მის გარეშე ვერცერთი ქვეყანა ვერ შეეცა მსოფლიოს მაღალგანვითარებული სახელმწიფოების რიცხვში. დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის იგი ყველაზე ეფექტიანია.

საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა ექვემდებარება მთელ რიგ ეკონომიკურ კანონზომიერებებს. მათ შორის უმთავრესია საკუთრების რადიკალური რეფორმა, რომლის მიზანიც არის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების დამკვიდრება და მრავალწესობიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება, რაც წარმოუდგენელია სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივების და პრივატიზების განხორციელების გარეშე.

საკუთრების განსახელმწიფოებრივება მეტწილად გულისხმობს სახელმწიფო საწარმოების გამოყვანას უშუალოდ სახელმწიფოებრივი მართვის სტრუქტურებიდან, მათ გარდაქმნას საკუთრების სხვა, არასახელმწიფო ფორმებზე დამყარებულ საწარმოებად და ეკონომიკაში ხელოვნური სახელმწიფო მონოპოლიის აღმოფხვრას. ამასთან განსახელმწიფოებრივება არ გამორიცხავს შესაძლებლობას რომ სახელმწიფო საწარმოებმა ახალ თვისებრიობაში განაგრძონ ფუნქციონირება.

ამდენად, გარდამავალი პერიოდის ყველაზე აქტუალურ კარდინალურ პრობლემას წარმოადგენს საკუთრების რადიკალური რეფორმა, მისი განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების განხორციელება.

განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების პროცესში გადამწყვეტი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. საჭიროა პრივატიზების პროცესის დამთავრება, ხოლო ამჟამად პრივატიზების დამამთავრებელ ეტაპზე ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორება. შემოთქმულიდან გამომდინარე სახელმწიფო ქონების დემონოპოლიზაციისა და საკუთრების განსახელმწიფოებრივების (პრივატიზების) პრობლემა ერთობ აქტუალურია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. საკვლევი პრობლემების შესწავლის მდგომარეობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის საკითხებს საქართველოში მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ უშუალოდ საკუთრების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე არ არსებობს ცალკე დამოუკიდებელი მონოგრაფიული გამოკვლევა და არც დისერტაციაა დაცული. აშკარად შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა ჯერ არ ქცეულა სპეციალური შესწავლის საგნად, რამაც განაპირობა ჩვენს მიერ საკვლევი თემად მისი აღება.

საქართველოში პრივატიზების სხვადასხვა ასპექტები ძირითადად განხილული და გამოქვეყნებულია მხოლოდ საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სახით. პრობლემის ცალკეული საკითხები განხილული აქვთ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს: რ. ასათიანს, ზ. ბოკუჩავას, ა. გაბისონიას, ე. გაბუნას, რ. გოგობიას, ვ. გურაბანიძეს, თ. ხესაშვილს, ვ. ზურაბიშვილს, ს. იაკობიძეს, გ. კალანდაძეს, ი. კაპანაძეს, გ. ლაბარცყავას, ი. მესხიას, ე. მექვაბიშვილს, გ. პაპავას, ა. სილაგაძეს, უ. სამადაშვილს, ე. სალამაძეს, დ. სოლოლაშვილს, გ. სულაბერიძეს, ნ. ქარჩავას, თ. ქეშელაშვილს, ჯ. შათირიშვილს, დ. შაქარაშვილს, რ. შენგელიას, გ. შუბლაძეს, ა. ჩაჩიბაიას, ლ. ჩიქავას, დ. ჩომახიძეს, ა. წერეთელს, დ. ჭარბაძეს, ნ. ჭითანავას, მ. ხანთაძეს, ს. ხარაზიშვილს, შ. ხელაშვილს, კ. ხმალაძეს, ა. ჯიბუტს, მ. ჯიბუტს, ვ. ჯუღელს და სხვა.

მაშასადამე, წინამდებარე დისერტაცია პრაქტიკულად პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელიც უშუალოდ საკუთრების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების პრობლემას ეხება.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

გამოკვლევის მთავარი მიზანია მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობის თეორიული დასაბუთება.

პრივატიზების ეკონომიკური და სოციალური შედეგების გაანალიზება, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების პროცესში დაშვებული შეცდომების (წინააღმდეგობების) გამოვლენა და მათი შედეგების აღმოფხვრისათვის სათანადო ღონისძიებებისა და წინადადებების შემუშავება.

განსაზღვრული მიზნის მისაღწევად საკვალიფიკაციო ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. ეკონომიკის დემონოპოლიზაციისა და სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივების არსის განხილვა;
2. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობის დასაბუთება;
3. საკუთრების განსახელმწიფოებრივების უცხოური გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;
4. პრივატიზების საკანონმდებლო-ნორმატიული და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ბაზის შექმნისა და სრულყოფის პროცესის დახასიათება;
5. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის განხორციელების თავისებურებების გამოვლენა და ეტაპების განსაზღვრა-დახასიათება;
6. ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების შედეგების გაანალიზება;
7. სახელმწიფო ქონების პრივატიზების წინააღმდეგობრივი ხასიათის ჩვენება;
8. პრივატიზების პროცესში დაშვებული სამართლებრივი, მეთოდური და ორგანიზაციული ხასიათის შეცდომების გამოვლენა;
9. საკუთრების განსახელმწიფოებრივების ეკონომიური და სოციალური შედეგების გაანალიზება და შეფასება.

კვლევის საგანი და ობიექტი.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალი პერიოდი. ქვეყანაში სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების საკითხებზე შექმნილი საკანონმდებლო ბაზა; „კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“; ეკონომიკის განვითარების სამინისტროსა და ქონების მართვის სააგენტოში არსებული მონაცემები; საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მასალები; საკუთრების

განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების პროცესის დაწყებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული პრეზიდენტისა და მთავრობის ბრძანებულებები; საკანონმდებლო აქტები და გადაწყვეტილებები. კვლევის ობიექტია აგრეთვე პრივატიზების პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკის დეპარტამენტისა და ქონების მართვის სააგენტოს სტატისტიკური და ანგარიშებითი მონაცემები. ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტები და სხვა წინააღმდეგობრივი ხასიათი. ამ მხრივ განვითარებულ ქვეყნებში არსებული თეორიულ-პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი და განზოგადება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველები.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური თეორია, ეკონომიკის, სამართლის თეორია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გამოცდილება, ქართველი და უცხოელი ეკონომისტების ფუნდამენტური გამოკვლევები. გამოყენებულია ლოგიკური ანალიზის, შედარების, სისტემურ-დიალექტიკური და პროგრამულ-მიზნობრივი, სტატისტიკური, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები; მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისა და საკუთრების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების საკითხებისადმი მიძღვნილი ქართველი და საზღვარგარეთელი მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომები, განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების მართვისა და ორგანიზაციის საერთაშორისო გამოცდილება.

კვლევის ძირითადი შედეგები და ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

წარმოდგენილი ნაშრომი მოცემული სათაურითა და შინაარსით თავისთავად სიახლეთა ერთობლიობაზე მიუნიშნებს. უფრო კონკრეტულად ნაშრომის სიახლეა:

- საქართველოში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობის დასაბუთება;
- სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის განხორციელების თავისებურებების შესწავლა და პრივატიზაციის ეტაპების დახასიათება;
- ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში პრივატიზების შედეგების დეტალური განხილვა და დაშვებული შეცდომების კრიტიკული ანალიზი;
- საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში გამოვლენილი წინააღმდეგობრივი ხასიათის სიღრმისეული გამოკვლევა;
- საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიული გზის არჩევაში დაშვებული შეცდომების გამოვლენა;

- სამართლებრივი, მეთოდური და ორგანიზაციული ხასიათის შეცდომების გაანალიზება;
- პრივატიზაციის მასშტაბებში დაშვებული შეცდომებისა და სტრატეგიული ობიექტების დაუსაბუთებელი პრივატიზების ფაქტების გამოვლენა;
- საკუთრების განსახელმწიფოებრივების ეკონომიკური და სოციალური შედეგების ღრმა ანალიზი და შეფასება;
- საქართველოში საკუთრების რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი, გამოვლენილ ნაკლოვანებათა სისტემატიზაცია და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის შედეგების გამოყენება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ქონების მართვის სააგენტოს პრაქტიკულ საქმიანობაში. აგრეთვე პარლამენტსა და მთავრობაში საკუთრების განსახელმწიფოებრივების და პრივატიზების შესახებ მისაღები კანონპროექტების შემუშავების დროს. საღისერტაციო ნაშრომის თეორიული დებულებებით და დასკვნებით ასევე შეიძლება ისარგებლონ ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სპეციალური საღეპციო კურსების სწავლების პროცესში, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთი წინადადება გარკვეულ დახმარებას გაუწევს აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერ ინსტანციებში დასაქმებულ მუშაკებს.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია.

საღისერტაციო ნაშრომის ცალკეული თავები პერიოდულად იხილებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრაზე, ხოლო დასრულებული სახით საბოლოო აპრობაცია მან გაიარა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პრინციპების კათედრის სხდომაზე (27 ნოემბერი 2008წ.), სადაც ის მოწონებული და რეკომენდირებული იქნა საჯარო დაცვისათვის. ნაშრომის ზოგიერთი დებულება (რეკომენდაცია) ჩვენს მიერ გაგზავნილი იქნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქონების მართვის სააგენტოში.

კვლევის ძირითადი შედეგები, დასკვნები და წინადადებები გამოქვეყნებულია ჟურნალებსა და სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებში.

საღისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი ასახულია ავტორის რვა სამეცნიერო სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

1. ჯოხაძე ხათუნა - „საკუთრების განსახელმწიფოებრივების უცხოური გამოცდილება“, ჟურნ. „ეკონომიკა“ №1 2006წ. გვ. 170-176.
2. ჯოხაძე ხათუნა - „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მომქმედ საწარმოთა მართვის სრულყოფის საკითხები“, ჟურნ. „ეკონომიკა“ №4 2006წ. გვ. 167-172.
3. ჯოხაძე ხათუნა - „სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების არსი“. ჟურნ. „ეკონომიკა“ №6 2006წ. გვ. 5-9.
4. ჯოხაძე ხათუნა - „საკუთრების განსახელმწიფოებრივების არსი, ფორმები და მეთოდები“, ჟურნ. „ეკონომიკა“ №11-12 2006წ. გვ. 20-24. (თანაავტორობით).
5. ჯოხაძე ხათუნა - „საქართველოში საკუთრების განსახელმწიფოებრივების სოციალური შედეგები“. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“ №2 2007წ. გვ. 19-38.. (თანაავტორობით).
6. ჯოხაძე ხათუნა - „ საქართველოში საკუთრების განსახელმწიფოებრივების ეკონომიკური შედეგები“. ჟურნ. „ეკონომიკა“ №9 2008წ. გვ. 10-20 (თანაავტორობით).
7. Jokhdze Khatuna - “Contradictory Nature of State Property Denationalization in Georgia”. 2008.
8. Jokhdze Khatuna - “Economic Outcomes of the State Property Denationalization”. 2008.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 200 გვერდს. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

შესავალი

თავი I. ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და სახელმწიფოს საკუთრების განსახელმწიფოებრივების არსი

- 1.1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა
- 1.2. საკუთრების განსახელმწიფოებრივების არსი, ძირითადი ფორმები და მიმართულებები
- 1.3. საკუთრების განსახელმწიფოებრივების უცხოური გამოცდილება

1.4. პრივატიზაციის საკანონმდებლო–ნორმატიული და ორგანიზაციულ–

მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და სრულყოფა

თავი II. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის განხორციელების თავისებურებები და ეტაპები საქართველოში

2.1. პრივატიზაციის თავისებურებები

2.2. პრივატიზაციის განხორციელების ეტაპები

თავი III. პრივატიზება ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში

3.1. პრივატიზება მრეწველობაში (ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა)

3.2. პრივატიზება სათბობენერგეტიკულ კომპლექსში

3.3. პრივატიზება ტრანსპორტის სფეროში

3.4. პრივატიზება კავშირგაბმულობასა და ფოსტის სფეროში

3.5. პრივატიზება ვაჭრობაში

3.6. ბანკების პრივატიზება

3.7. სასოფლო–სამეურნეო სავარგულების პრივატიზება

3.8. ტყის პრივატიზება

თავი IV. სახელმწიფო ქონების პრივატიზების წინააღმდეგობრივი ასპექტები

4.1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიული გზის არჩევაში დაშვებული შეცდომა

4.2. სამართლებრივი, მეთოდური და ორგანიზაციული ხასიათის შეცდომები

4.3. პრივატიზაციის მასშტაბებში დაშვებული შეცდომები, სტრატეგიული ობიექტების დაუსაბუთებელი პრივატიზება

თავი V. საკუთრების განსახელმწიფოებრივების ეკონომიკური და სოციალური შედეგები

5.1. საკუთრების განსახელმწიფოებრივების ეკონომიკური შედეგები

5.2. საკუთრების განსახელმწიფოებრივების სოციალური შედეგები

დასკვნები და წინადადებები

გამოყენებული ლიტერატურა

თავი I. ეკონომიკის დემონიპოლიზაცია და სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივების არსი

1.1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დღემდე აპრობირებული ეკონომიკური სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება რესურსებზე საკუთრების ფორმებით და ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციისა და მართვის წესით. ამ ასპექტით ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომიკის სისტემები ასე კლასიფიცირდება:

1. წმინდა კაპიტალიზმი ანუ თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი;
2. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა;
3. ტრადიციული ანუ ადათ-წესებზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა;
4. საბაზრო ეკონომიკური სისტემა.

რადგან სინამდვილეში ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური სისტემები “წმინდა” სახით არ არსებობს და თითოეულის თავისებურება მხოლოდ ზოგადი ასპექტით გამოიხატება, საბოლოოდ ისინი დაიყვანება მხოლოდ ორი ტიპის დინამიკურ სისტემაზე:

1. საბაზრო ეკონომიკური სისტემა;
2. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემა.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ცხოველმყოფელობის ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი მაჩვენებელია წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმები, რაც განსაზღვრავს მოცემული საზოგადოების განვითარების საერთო მიმართულებებს, მისი მიღვაწეობის სოციალურ შედეგებს.

ეკონომიკური სისტემის მიხედვით იცვლება არა მარტო წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმები, არამედ საკუთრების ობიექტები, აგრეთვე საკუთრების სუბიექტები, ე.ი. მესაკუთრეებიც.

საკუთრების შესახებ მეცნიერული თეორია გამომდინარეობს იმ ისტორიული გამოცდილებით დადასტურებული დებულებებიდან, რომ წარმოების საშუალებებზე არ არსებობს საკუთრების ერთი, საყოველთაო და ყველა ეკონომიკური სისტემისათვის საუკლებულო ფორმა. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ცვლილებებთან ერთად იცვლება. ახალი ეკონომიკური სისტემის წარმოშობასთან ერთად საკუთრების ახალი ფორმები და სახეები ჩნდება და იგი არსებობს ამ

საზოგადოებასთან ერთად, ვიდრე არ შეიცვლება მისი ახალი ორგანიზაციით, რაც უეჭველად უნდა იყოს საკუთრებითი ურთიერთობის შეცვლის შედეგი. ამრიგად, ეკონომიკური სისტემის შეცვლას აუცილებლად ემთხვევა წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმების შეცვლა. ამას მოსდევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითადი ნიშნის შესაბამისი ცვლილებები.

წარმოების საშუალებებზე საკუთრების გაბატონებული ფორმა ყოველთვის შეხამებულია მწარმოებლური ძალების განვითარების გარკვეულ დონესთან და განასახიერებს ეკონომიკური სისტემის იმ ტიპს, რომელიც ისტორიულად მწარმოებლურ ძალათა განვითარების მოცემულ დონეს შეესაბამება. საკუთრებითი ურთიერთობები უშუალოდ გამოხატავენ ეკონომიკური სისტემის არსს. ასე ინასკვება მტკიცე კავშირურთიერთობა საკუთრებით ურთიერთობებს, როგორც ეკონომიკური სისტემის საფუძველსა, და მწარმოებლურ ძალებს შორის. ამ ნასკვის შინაგან მამოძრავებელ ელემენტს მწარმოებლური ძალები შეადგენს და ამ მიმართულებით ეს ძალები კაცობრიობის ისტორიის განვითარების ლოკომოტივად გვევლინება. მაგრამ, მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონე დამოკიდებულია თვით ეკონომიკური სისტემის ისტორიულ ეტაპზე. საზოგადოების მწარმოებლური ძალები და საკუთრებითი ურთიერთობები საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მამოძრავებელი კომპონენტებია.

ამდენად, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა, თითოეული ამ კომპონენტის შესწავლის საფუძველზე უნდა გაანალიზდეს.

თავდაპირველად პირველყოფილ საზოგადოებაში წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება არსებობდა. საკუთრების ეს ფორმა, ცხადია, არავის დაუდგენია, იგი ობიექტურად განსაზღვრა მწარმოებლური ძალების მდგომარეობამ. ცალკეული ადამიანი იმ დროს უძლური იყო ბუნების ძალების წინაშე და არ შეეძლო ფიზიკური არსებობა განკერძოებული საქმიანობით, შრომა მხოლოდ ერთიან, კოლექტიურ საქმიანობაში ასრულებდა ქმედით როლს. ცალკეული ინდივიდის საქმიანობა ასეთ ვითარებაში ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო. თუ ყველა ამ მომენტს შევაჯამებთ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შრომის განსაზოგადოება, ე.ი. მისი საზოგადოებრივი ხასიათი იყო არა შედეგი საზოგადოების ორგანიზაციული ღონისძიებებით განსაზღვრული, არამედ ბუნების წინააღმდეგ ადამიანის ბრძოლის სისუსტით განპირობებული სტიქიურად აღმოცენებული პროცესი.

ამრიგად, კაცობრიობის ისტორიის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია მწარმოებლური ძალების მთავარი ელემენტის – ადამიანის სისუსტით განსაზღვრული წარმოების საშუალებების საკუთრების საზოგადოებრივი ფორმა. მწარმოებლური ძალების განვითარებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების პროცესის შედეგად დაწყო თემის დაშლა და კერძო საკუთრების აღმოცენება.

კერძო საკუთრების აღმოცენება კაცობრიობის ისტორიაში დაკავშირებულია მწარმოებლური ძალების განვითარების იმ საფეხურთან, როცა ადამიანს, ინდივიდს, საშუალება მიეცა ეწარმოებინა ზედმეტი პროდუქტი. ეს არის ის ეტაპი, როცა საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარებაში მოხდა ნახტომი, მწარმოებლური ძალები შევიდა ახალ თვისებრივ ფაზაში და განსაზღვრა უფრო მაღალი საფეხური ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში. გაჩნდა წარმოების იარაღებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და განვითარების ახალი სტიმულები.

ამრიგად, კერძო საკუთრების აღმოცენებამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების განვითარებას და დასაბამი მისცა ახალი ეკონომიკური სისტემის წარმოშობას. აქ მთავარი ის არის, რომ ინდივიდუალურმა წარმოებამ, და ამით განპირობებულმა შრომის მწარმოებლურობის ზრდამ შექმნა შესაძლებლობა, ადამიანს ეწარმოებინა ზედმეტი პროდუქტი, რომელსაც მესაკუთრე ითვისებდა. ამგვარმა ურთიერთობამ წარმოქმნა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის საფუძველი, ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები ისტორიულად პირველად მონათმფლობელობის სახით განხორციელდა.

მონათმფლობელობამ, მიუხედავად წარმოების მუშაკის მეტად უხეში ფორმით ექსპლოატაციისა, გარკვეული ბიძგი მისცა მწარმოებლური ძალების შემდგომ განვითარებას. ამის მკაფიო მაგალითია ძველი საბერძნეთისა და რომის ეკონომიკა, კულტურა, მეცნიერება, ტექნიკა და ა.შ. კერძო საკუთრების წარმოქმნა იმთავითვე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში. მან წარმოაჩინა და განავითარა ადამიანის შემოქმედებითი მეწარმეობრივი და საერთოდ, შრომითი შესაძლებლობები. განამტკიცა მისი სტატუსი ბუნებაში და საზოგადოება დღევანდელ ცივილიზაციამდე მიიყვანა.

ფეოდალიზმმა დიდი ცვლილებები მოახდინა მონათმფლობელ საკუთრებით ურთიერთობებში. გლეხს უფლება მიეცა კერძო საკუთრებაში ჰქონოდა წარმოების საშუალებათა გარკვეული ნაწილი (გარდა მიწისა), შეექმნა საკუთარი ოჯახი და

მეურნეობა. მოისპო მონათმფლობელობისათვის დამახასიათებელი შრომისა და ყოფაცხოვრების მძიმე და ხშირად აუტანელი პირობები, რომელიც წარმოების მუშაკს შრომისადმი ყოველგვარ ინტერესს უკარგავდა.

ფეოდალიზმმა მძლავრი ბიძგი მისცა მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას, ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარებას. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კაპიტალიზმის აღმოცენებასა და განვითარებაში.

კაპიტალიზმი ფეოდალიზმის ეკონომიკური სისტემის პირდაპირი უარყოფაა. მან შეცვალა ფეოდალური საზოგადოების წარმოების წესი და მისი ადეკვატური საკუთრებითი ურთიერთობების სისტემა. კაპიტალიზმის არსებითი ნიშანია საზოგადოების დაყოფა წარმოების საშუალებების მესაკუთრე და წარმოების საშუალებების საკუთრებას მოწყვეტილ არმქონებელ კლასებად. ამასთან კაპიტალიზმმა, რომლის ეკონომიკურ საფუძველსაც კერძო საკუთრება შეადგენს შექმნა მისი მრავალი სპეციფიკური სახე. კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე გაჩნდა საკუთრების კერძო ფორმის ნაირსახეობა.

სხვაგვარად დგება საზოგადოებრივი საკუთრების გაბატონებული ფორმით არსებობის საკითხი XX საუკუნეში ხელოვნურად ორგანიზებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც გაბატონებული მდგომარეობა სახელმწიფო საკუთრებამ დაიკავა. ე.ი. მოხდა საზოგადოების განვითარების ბუნებრივი გზიდან გადახვევა. სახელმწიფოებრივი საკუთრების გაბატონებამ წარმოშვა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა და მისი შესაბამისი ტოტალიტარული სახელმწიფო. საზოგადოებრივი საკუთრება ფიქცია გახდა, გადაიქცა საკუთრებად მესაკუთრის გარეშე. წარმოების მუშაკებს მან ვერ შეუქმნა სათანადო სტიმულები, ვერ უზრუნველყო შრომის მწარმოებლურობის საჭირო დონე და მწარმოებლური ძალების განვითარება შეაფერხა.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა განსხვავდებოდა ყველა უწინდელი სოციალურ-ეკონომიკური სისტემისაგან უწინარეს ყოველისა იმით, რომ ემყარებოდა წარმოების საშუალებებზე ფორმით, საზოგადოებრივ და შინაარსით სახელმწიფოებრივ საკუთრებას. ამან გამოხატულემა ჰპოვა საზოგადოებრივი ცხოვრების გასახელმწიფოებრივებაში, რამაც საყოველთაო ხასიათი მიიღო. განსახელმწიფოებრივებამ მოიცვა, პირველ ყოველისა, საკუთრივ სახელმწიფოებრივი საკუთრება. კვაზისაზოგადოებრივი საკუთრების გაბატონებამ ეკონომიკა დატოვა

საკუთრების თანაბარუფლებიანი სუბიექტების გარეშე ეკონომიკა იმართებოდა ცენტრიდან დირექტიული გეგმების მეშვეობით.

განხორციელდა კოოპერაციული საკუთრების განსახელმწიფოებრივება. საკლემურნეო-კოოპერაციული საკუთრება ფაქტობრივად სახელმწიფო საკუთრების დანამატი გახდა.

გასახელმწიფოებრივების პროცესი ყველაზე უხეშად შეეხო კერძო საკუთრებას. იგი ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციის გზით მთლიანად ლიკვიდირებული იქნა. მეტის-მეტად შეიზღუდა პირადი საკუთრება, რაც გამოიხატებოდა როგორც ძირითადი, ისე სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მკაცრი სახელმწიფოებრივი რეგლამენტით, შრომითი წვდილის მიხედვით განაწილების უგულებელყოფით, გათანაბრებითი განაწილებით და ა.შ. მთელი საბჭოთა იმპერიის ვრცელ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ იერარქიულ დონეზე სახელმწიფოებრივი ფორმით ფაქტობრივად ერთიანი ეკონომიკური ცენტრის ფუნქციონირებამ, ზემოთ აღნიშნულთან ერთად, გამოიწვია განაწილებითი ურთიერთობების დეფორმაციაც. ეს ყველაზე ნათლად გამოვლინდა ზედმეტი პროდუქტის დიდი ნაწილის სახელმწიფოს ხელში კონცენტრაციითა და საწარმოო ერთეულებზე მისი თვითნებური, სამეურნეო-ანგარიშიანობის პრინციპის გაუთვალისწინებლად განაწილებით. ფაქტობრივად დაკანონდა საწარმოთა მოგება-ზარალის თვითნებურად განაწილების სამეურნეო პრაქტიკის ყველაზე მახინჯი ფორმა, რომლის მეშვეობითაც მაღალრენტაბელური საწარმოები “ინახედნენ“ დაბალრენტაბელურ და ზარალიან საწარმოებს. ამით არსებითად ძირი გამოეთხარა საზოგადოებრივი წარმოების მამოძრავებლის ეკონომიკური ინტერესების მოქმედებას, რის შედეგადაც მივიღეთ ე.წ. უძრავი ეკონომიკა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, გასახელმწიფოებრივებული სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშანი იყო სამომხმარებლო საქონლის დეფიციტი და ბიუროკრატიზმი. დეფიციტურობა შეზღუდული რესურსების არსებობის პირობებში (მაღალგანვითარებული) ქვეყნისათვისაც არ არის უცხო, მაგრამ, მათგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირში ამას სისტემატური, მყარი და საყოველთაო ხასიათი ჰქონდა, რისი უმთავრესი მიზეზიც წარმოების საშუალებებზე გაბატონებული სახელმწიფოებრივი საკუთრება და ეკონომიკის მკაცრად ცენტრალიზებული ადმინისტრაციულ-დირექტიული მართვა იყო.

საბოლოოდ ჩამოყალიბდა არა მხოლოდ გასახელმწიფოებრივებული კვაზისოციალისტური ეკონომიკა, არამედ გასახელმწიფოებრივებული კვაზისოციალისტური საზოგადოება მისი ყველა მახინჯი – ტოტალიტარული ფორმით, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალაც სახელმწიფოს ძლიერება და შეუვალობა იყო.

როგორც ეს ცხოვრებამ აჩვენა, ეკონომიკურ სისტემებს შორის ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკა. სხვა ეკონომიკურ სისტემებთან შედარებით საბაზრო სისტემების უპირატესობები მრავალი ასპექტით ვლინდება, რომელთა შორის უმთავრესია რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მეწარმეთა ეკონომიკური თავისუფლება. საბაზრო სისტემის პირობებში “უხილავი ხელი” ისეთნაირად მართავს პირად ინტერესებს, რომ არსებული რესურსების ხარჯზე საზოგადოებას უზრუნველყოფს სულ უფრო მეტი რაოდენობის საქონელით, ეს კი ნიშნავს მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტიანობას.

საბაზრო ეკონომიკამ პრაქტიკულად ცხადყო, თავისი მაღალი ეფექტიანობა ისეთი ამოცანების გადაწყვეტაში როგორცაა: წარმოებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური კავშირის უზრუნველყოფა; დამოკიდებული მწარმოებლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების საზოგადოებრივი შეფასება; ფასების თავისუფალი ფუნქციონირება; ეკონომიკის სანაცია; კონკურენციის საყოველთაობა და სხვა ამის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკა წარმატებით წყვეტს დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, ფასების სტაბილურობის, ეკონომიკური თავისუფლების, ეკონომიკური უსაფრთხოების თანასწორობისა და ეფექტიანობის პრობლემებს.¹

საზოგადოებრივი სტრუქტურების განვითარების მსველლობამ დაადასტურა რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის, კერძოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის შექმნის მიზანშეწონილობა. ე.ი. ადმინისტრაციულ-დირექტიული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში მსოფლო სოციალისტური სისტემა დაიშალა და განვითარებულ სოციალიზმად წოდებული ეკონომიკური სისტემა უარყოფილი იქნა. გაუქმდა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი

1. რა თქმა უნდა ყოველივე ეს არ ნიშნავს საბაზრო სისტემის ყოველისშემძლეობას. საქმე ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს მაკროეკონომიკურ პროპორციულობას, სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესს, სტრატეგიულ ინვესტიციებს, არასაბაზრო სექტორის მხარდაჭერას, სოციალური პრობლემების დაძლევას და სხვა

საკუთრება და იგი განსახელმწიფოებრივების ობიექტად გამოცხადდა. ე.წ. “სოციალისტური ქვეყნების“ წინაშე წარმოჩნდა პრობლემა თუ როგორ დაუბრუნდნენ ისინი უმტკივნეულოდ, შედარებით მოკლე დროის მონაკვეთში, რაც შეიძლება ნაკლები სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგებით, კაცობრიობის განვითარების ბუნებრივ-მაგისტრალურ გზას.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი უმეტესი რესპუბლიკების წინაშე დაისვა სახელმწიფოებრივობის აღდგენის, ხოლო ზოგიერთისათვის შექმნის საკითხი. ნიშანდობლივია, რომ ამ რევოლუციურ გარდაქმნებს ყოფილ მოკავშირეთა უმეტესობა სრულიად მოუშადადებელი შეხვდა. საზოგადოებამ ვერ გაიგო და არ იცოდა რით დაეწყო, რა გაეკეთებინა, რათა თანამიმდევრობით გაეტარებინა ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი, რა პრიორიტეტები გამოეყო რეფორმების ჩატარებისას და სხვა. თუმცადა აბსოლუტურად ყველა ქვეყანა უპირობოდ აღიარებდა და აღიარებს რომ ეკონომიკის განვითარების საფუძველი უნდა იყოს შერეული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პრინციპები. ხოლო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საბოლოო მიზანი სამოქალაქო საზოგადოება.

“განთავისუფლებული ქვეყნები“, ბუნებრივია აღმოჩნდნენ ე.წ. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის წინაშე, ისტორიულ პერიოდში, რომლის დროსაც უნდა განხორციელდეს ძირითადად ძველი ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და ახლის შემადგენელი ნაწილების აქტივიზაცია.

ამ მოძრაობაში სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ბუნებრივია ჩაერთო საქართველოც, რომელმაც პრიორიტეტულ ამოცანად აღიარა ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნის აუცილებლობა.

1.2. საკუთრების განსახელმწიფოებრივების (პრივატიზების) არსი და ძირითადი მეთოდები, ფორმები და მიმართულებები

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან (სოციალიზმიდან) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ამასთან დაკავშირებით, ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება, შესაძლებელია მხოლოდ საკუთრების (სხვადასხვა

ფორმების) მრავალფორმიანობის პირობებში, სადაც წამყვანი როლი მიენიჭება კერძო და კოლექტიურ საკუთრებას, აგრეთვე მათ სხვადასხვა კომბინაციას, ხოლო სახელმწიფო სექტორი იქნება ეკონომიკის მნიშვნელოვანი, მაგრამ რამდენადმე დაქვემდებარებული კომპონენტი, რამდენადაც საკუთრებითი ურთიერთობების შეწონასწორებული თანაფარდობა სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის საფუძველს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ძირითად მიმართულებად საკუთრების განსახელმწიფოებრივებაა მიჩნეული.

განსახელმწიფოებრივება არის საწარმოთა მმართველობის სახელმწიფო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებიდან გამოიყვანა და მათი გარდაქმნა კერძო საწარმოებად, აქციონერულ საზოგადოებებად, საპაიო ამხანაგობებად, კოოპერატივებად და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებად. არსებობს პრივატიზების განხორციელების განსხვავებული მეთოდები:

1. რესტიტუცია – რომლის მიზანია ქონება დაუბრუნდეს მის ყოფილ მფლობელს. ეს მეთოდი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც მთავრობის მიერ ქონების დასაკუთრება არასამართლიანი მეთოდის გამოყენებით მოხდა. რესტიტუცია ამ შემთხვევაში განიხილება როგორც სამართლიანობის აღდგენის ფორმა და გამართლებულია მორალური და სამართლებრივი თვალსაზრისით. სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი რამ ცნობილია დეპრივატიზაციის სახელწოდებით. ქონების ჩამორთმევისა და უკან დაბრუნების საფუძველი უნდა გახდეს შესაძლო დარღვევები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ სახეზეა კორუფციული ქმედება. თუ ასეთი დადგინდება, მაშინ შესაბამისი კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს ამ ქონების ჩამორთმევა შემდგომი პრივატიზებისათვის. რესტიტუციის პრაქტიკა ძალიან იშვიათია. ეს მეთოდი გამოყენებული იქნა ესტონეთსა და ჩეხეთში.¹

1. ბოლო დროს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ემფლონებში ძალზე ხშირად საუბარი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგების შესაძლო გადასინჯვის შესახებ. ახლა პრივატიზების შედეგების მასობრივად გადასინჯვა გაუმართლებელია, მაგრამ პრიორიტეტული დარგების ობიექტები, რომლებიც არაკანონიერად იქნა გაყიდული, ისინი მოსახერხებელ შემთხვევაში სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს. ამასთან, ყველა არასწორი გზით შეძენილი ქონება უნდა შეფასდეს დღეისათვის მოქმედი საბაზრო ფასებით და მასზე დაწესდეს ქონების გადასახადი. უკანონო ქონება უნდა დაიბეგროს ძალიან მაღალი გადასახადით.

2. პირდაპირი გაყიდვის მეთოდი – ამ მეთოდის გამოყენება გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა (აღმოსავლეთ გერმანიამ, ესტონეთმა, უნგრეთმა და პოლონეთმა), მაგრამ მალე წარმოიშვა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. პრივატიზების ამ მეთოდის გამოყენებით გამოვლენილ ნაკლოვანებებს შორის, ყველაზე თვალსაჩინო აღმოჩნდა ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალი დონე. ასევე უცხოელი ინვესტირებისათვის გასაყიდი ობიექტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდების სიძნელეები.

3. ქონების შესყიდვა მენეჯმენტისა და მომუშავე პერსონალის მიერ. პრივატიზების ეს მეთოდი გულისხმობს ობიექტის შესყიდვას მენეჯმენტისა და დასაქმებული პერსონალის მიერ. ამგვარი მეთოდი არ არის სწრაფად და იოლად განსახორციელებელი. მას შეუძლია დადებითი შედეგების მოტანა, რამდენადაც აქ ერთიანდება წარმოებაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეებისა და მმართველი აპარატის ინტერესები. აღნიშნულ მეთოდს აქვს ნაკლოვანებებიც. ხდება გაუმართლებლად მაღალი ხელფასების და ზედმეტი სამუშაო ძალის შენარჩუნება, აგრეთვე ვერ ხერხდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა პრივატიზების ეს მეთოდი ფართოდ იყო გამოყენებული ხორვატიაში, მაკედონიაში, პოლონეთში, რუმინეთში, სლოვენიაში და რუსეთში.

4. მასობრივი პრივატიზება – ამ შემთხვევაში მთავრობა, როგორც წესი მოსახლეობას ურიგებს ვაუჩერებს, რომელთა გამოყენებით ხდება საწარმოთა წილის შესყიდვა. ეს მეთოდი ფართოდ იქნა გამოყენებული ჩეხეთში, სომხეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ლიტვასა და ლატვიაში. აგრეთვე, აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში. ვაუჩერებით პრივატიზების მეთოდი იძლევა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში კაპიტალის დეფიციტის დაძლევის შესაძლებლობას. ამდენად, ეს მეთოდი ყველაზე მისაღებად და სამართლიანად ითვლება მოსახლეობაში. მან ხელი შეუშალა ამ ქვეყნებში უცხოური კაპიტალის შემოდინებას. (ინტერვენციას) და თავიდან იქნა აცილებული პრივატიზების პროცესში საწარმოთა შეფასებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებული სიძნელეები. როგორც ამას პრაქტიკა ადასტურებს ვაუჩერული პრივატიზაცია ამდღეს რეფორმების ავტორიტეტს მოსახლეობაში და მას მეტად წარმატებულს ხდის. ამ მეთოდის მომხრეთა აზრით, ის ქმნის ახალ მესაკუთრეთა ფართო ფენას, რომელიც დაინტერესებულია რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის. ვაუჩერული პრივატიზება საქართველოში სამწუხაროდ წარუმატებლად ჩატარდა.

5. სააქციო საზოგადოებათა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების სპეციალიზებულ აუქციონზე ნულოვანი საწყისი ფასით გაყიდვა. ცნება, ნულოვანი საწყისი ფასი პირობითია და ნიშნავს იმას, რომ მინიმალური თანხის შეტანის შემთხვევაში მყიდველს შეუძლია მიიღოს აქციების გარკვეული რაოდენობა.

დავუშვათ, რომ აუქციონზე გამოტანილია რომელიმე სააქციო საზოგადოების აქციების 60%, ვთქვათ 100000 აქცია, თითოეული ერთი ლარის ნომინალური ღირებულებით. თუ მყიდველი შეიტანს თუნდაც ერთ ლარს და მას არ ეყოლება კონკურენტი, მაშინ მას დარჩება ეს აქციები. ამით იგი 60%-ის, სააქციო საზოგადოების აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდება. ხოლო კონკურენტების გამოჩენის შემთხვევაში შესაბამისად ფასიც აიწევს, მაშინ აქციების განაწილება მოხდება შეტანილი თანხის პროპორციულად. თუ მაგალითად, აუქციონზე გამოტანილ აქციას ჰყავს ორი მყიდველი და ერთმა შეიტანა 100 ლარი, მეორემ კი ათჯერ მეტი, ამ შემთხვევაში აქცია განაწილდება ამ ორ მონაწილეზე შეტანილი თანხის პროპორციულად 1 : 10-თან. ნულოვან აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ სააქციო საზოგადოებებში, რომელთა საწესდებო კაპიტალში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობის წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახელმწიფოებრივებასა და პრივატიზებას შორის მკვეთრი ზღვარის გაგლება შეუძლებელია. ამჟამად საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს პრივატიზების (განსახელმწიფოებრივების) განხორციელების ფორმების, მეთოდებისა და ვადების (ტემპების) შესახებ.

პრივატიზების განხორციელების ფორმებთან დაკავშირებით, ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული მრავალი წინადადებების განზოგადებით შეიძლება გამოვეყნოთ ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული შემდეგი ძირითადი ფორმები:

1. პრივატიზებას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა (კერძოდ, არენდა-გამოსყიდვის უფლებით);
2. პრივატიზებას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალოდ გაყიდვა;
3. ჰოლდინგების შექმნა, რომელთა განკარგულებაში დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავს იყრის პრივატიზებულ საწარმოთა აქციების საკონტროლო პაკეტები.

საკუთრების პრივატიზების ამ ფორმებს შორის ეკონომიკურ ლიტერატურასა და მსოფლიო პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭება ქონების უშუალო გაყიდვას. ტერმინი

პრივატიზება წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან „პრივატუს“ და ნიშნავს კერძოს, იგი გულისხმობს სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების კერძო პირების ხელში გადასვლას გამოსყიდვით ან უსასყიდლოდ (რ. ლუკასი). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში ვხვდებით განსხვავებულ შეხედულებებსაც, რომლის მიხედვითაც პრივატიზება არა მარტო ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლას, არამედ საკუთრების კონკრეტული ფორმის შიგნით ფლობის, სარგებლობის და მართვის (განკარგვის) უფლებამოსილების განაწილებასაც ნიშნავს.

კონკრეტულად, იგი ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრების – საკუთრების სხვადასხვა ფორმებად გარდაქმნას; მეურნეობის ძირითად დარგებში სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას; კერძო საკუთრების დამკვიდრებას; კონკურენციული გარემოს შექმნას; კერძო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას; მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შეცვლას და საბაზრო მეურნეობაზე რეალურ გადასვლას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს პრივატიზების ცნების ფართო და ვიწრო გაგება. ფართო გაგებით პრივატიზება არის სახელმწიფოს გვერდის ავლით მონოპოლიური, პრივილეგიური უფლებების მოპოვება წარმოებისა და მომსახურების ბაზარზე, ხოლო ვიწრო გაგებით, პრივატიზება გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში წარმოების საშუალებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და მომსახურების სფეროს ობიექტების გადასვლას. ორივე შემთხვევაში პრივატიზება განიხილება, როგორც განსახელმწიფოებრივების სისტემა, რომელიც გულისხმობს მეურნეობის მართვის ბიუროკრატიული მექანიზმიდან და სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო ქმედების შეზღუდვებიდან განთავისუფლებას. კერძო კაპიტალის სტიმულირებას, ეკონომიკის ღირეპტიული რეგულირების შეზღუდვას.¹

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში პრივატიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდება და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება, რომელიც გულისხმობს:

- საწარმოთა რესტრუქტურისაცია;
- მართვის ახალი ფორმების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას;

1. მესხია ი. მურჯიკელი მ. – ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. „პრივატიზაცია და მისი რეალიზაციის მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული პრობლემები“. თბ., 1996 წ. გვ. 141.

- საგარეო ბაზრებზე დამკვიდრებას;
- უცხოური და შიდა ინვესტიციების მოზიდვას;

პრივატიზების სრულფასოვნად განხორციელებისათვის აუცილებელია:

- პრივატიზაციის განხორციელების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და მისი გატარების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების პროგნოზირება;
- მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილი, პრივატიზების ყველა ფორმის დაწვრილებით შესწავლა და დადებითი გამოუცდელი გამოცდების გაზიარება;
- პრივატიზების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება, პროცესის ეტაპობრივად და დიფერენცირებული მიდგომით განხორციელება.

ეკონომიკის გარდაქმნის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული პრივატიზების განხორციელების მასშტაბებსა და ტემპებზე. როგორც მსოფლიო გამოცდილება მოწმობს წარმატებები არ ააქვს ფართომასშტაბიან და მოკლე ვადიან პრივატიზაციას. რაც უფრო სწრაფად განხორციელდება გარდაქმნები, მით უფრო დარღვევებით მიმდინარეობს პრივატიზაციის წინაშე დასმული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური მიზნები და ამოცანები.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ საკუთრების რეფორმის ფორსირებული პროცესები აძლიერებენ გარდაქმნის შემაფერხებელი ფაქტორების მოქმედებას და იწვევენ მძიმე ნეგატიურ შედეგებს.

ამდენად, სასურველია მოძებნილი იქნეს პრივატიზაციის განხორციელების ოპტიმალური ტემპი იმ ვარაუდით, რომ წარმატებით იქნეს პრივატიზებული (საპრივატიზებოდ გათვალისწინებული) სახელმწიფო საკუთრება.

პრივატიზაციის რეალური ტემპი დამოკიდებულია ქვეყანაში სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ შემუშავებულ პროგრამაზე. როცა ემსჯელობთ პრივატიზაციაზე, კანონზომიერად ისმება კითხვა: თუ რა ზომით და რა მასშტაბით უნდა იქნეს შემცირებული სახელმწიფო საკუთრების წილი და უპირველეს ყოვლისა, რომელ საწარმოებსა და დარგებში უნდა განხორციელდეს ასეთი გარდაქმნები. არსებობს თეზისი (შეხედულება) სრული პრივატიზაციის აუცილებლობის შესახებ, რომლის დროს სახელმწიფოებრივი საკუთრების წილი ნულამდეა დაყვანილი. მაგრამ პრაქტიკაში ეს თეზისი ნაკლებად გაითვალისწინება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აქტუალურ პრობლემებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საკუთრების რადიკალური რეფორმის განხორციელება, რომლის მიზანია საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნათა შესაბამისად

საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის დამკვიდრება, მრავალწესობიან ეკონომიკის ჩამოყალიბება, საწარმოთა მართვის ფართო დემოკრატიზაცია.

წარმოების განსახელმწიფოებრივება მეტწილ შემთხვევაში უსათუოდ გულისხმობს სახელმწიფო საწარმოთა გამოყენას უშუალოდ სახელმწიფოებრივი მართვის სტრუქტურიდან, მათ გარდაქმნას საკუთრების სხვა, არასახელმწიფოებრივ ფორმაზე დამყარებულ საწარმოებად და სახალხო მეურნეობაში სახელმწიფოს მონოპოლიის აღმოფხვრას, ამასთან განსახელმწიფოებრივება არ შეიძლება დაეყვანოს მხოლოდ კერძო საკუთრების შემოღებაზე.

საკუთრების ფორმათა მრავალფორმიანობის დამკვიდრება რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის შექმნის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს საკუთრების სხვადასხვა ფორმების ფუნქციონირებას, ასევე ეკონომიკური სუბიექტების მრავალფეროვნებას. საწარმოთა ტიპები მათი ეკონომიკური შინაარსით (ტექნიკურ-ორგანიზაციული და რეგულირების სამართლებრივი ფორმით) მრავალფეროვანი უნდა იყოს.¹

როგორც ეს მსოფლიოს პრაქტიკით დადასტურებულია არასწორი და არარაციონალურია სახელმწიფო სექტორის სრულიად გაუქმება. საკვანძო დარგები (თავდაცვითი მრეწველობა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სხვა). საჭიროა დარჩეს სახელმწიფოს უშუალო კონტროლის ქვეშ. არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს საკუთრების მონოპოლიიდან კერძო საკუთრების მონოპოლიაზე გადასვლა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ კერძო საკუთრება თავისი კლასიკური სახით თანამედროვე განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არ არსებობს. ფაქტობრივად, კერძო საკუთრება ინტეგრირებულია აქციონერულ, კორპორაციულ, კოლექტიურ, ტრანსნაციონალურ და სხვა საკუთრების ფორმებში.²

დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრების მასობრივი დაქუცმაცება, უნდა შეიქმნას თვისობრივად ახალი, ანუ ცივილიზებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო საკუთრება. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანების განვითარებას. მას აქციების საკონტროლო პაკეტი

-
1. ლურწყაია კ. - საკუთრებით ურთიერთობათა გარდაქმნის ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები გარდამავალ პერიოდში. უურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2001 წ. გვ. 51-56.
 2. გოგობია რ. - საბაზრო ეკონომიკა. თბ., „საქპროფგამი“, 1996 წ. გვ. 26-34.

უნდა ჰქონდეს აქციონერულ საზოგადოებებში, კორპორაციებში, ფირმებში და ა.შ. რაც მთავარია, სახელმწიფოს თავისი საკუთრების მეშვეობით უნდა შეეძლოს საერთო-სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, ფინანსური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სოციალური პოლიტიკის გატარება.¹

პრივატიზაციის განხორციელების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სექტორს. საკუთრების მრავალფორმიანობის პირობებში მას წამყვანი როლი უნდა ეკუთვნოდეს. მის მიმართ უნდა გატარდეს გონივრული ეკონომიკური პოლიტიკა. უნდა შეიქმნას მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობები. ქვეყანაში შემოდებული უნდა იქნეს სახელმწიფო რეგულირების (გადასახადებისა და სხვათა) ერთიანი რეჟიმი, რათა ადგილი არ ექნეს კერძო საკუთრების დისკრედიტაციას. კერძო საკუთრებისადმი მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს, როგორც პოლიტიკური, ისე ადმინისტრაციული ღონისძიებებით, ამისათვის აუცილებელია მოიხსნას, ყოველგვარი შეზღუდვა კერძო მეწარმეობის განვითარებისათვის და შესაბამისი ცვლილებები იქნეს შეტანილი მეწარმეთა კანონსა და კონსტიტუციაში.

ქვეყანაში საკუთრების პრივატიზაციის შეფერხებული და ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია მეურნეობის ყველა ძირითად დარგში სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია, კერძო საკუთრების დამკვიდრება და კონკურენტული გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას და საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლას. პრივატიზაცია ხორციელდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა გამოსყიდვის და პიდაპირი მიყიდვის ფორმით.

კონკურსის ფორმით პრივატიზების დროს სახელმწიფო ქონების გასხვისებისათვის საწარმოთა მართვის სააგენტო ან მისი ტერიტორიული ორგანო ქმნის საკონკურსო კომისიას, რომლის მიერ მუშავდება რეგლამენტი. კერძოდ, მის მიერ კონკურსის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის განთავსება ცენტრალურ ან ადგილობრივ პრესაში. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს კონკურსის პირობებს და კონკურსის სახეს, საპრივატიზებო ქონების საწყის ფასს და გადახდის გრაფიკს, საპრივატიზებო ქონების დასახელებას და მისამართს,

1. ბახტაძე ლ. – მეურნეობრიობის ფორმათა მრავალფეროვნება, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი. „სესესკი“, ტ. II, 1997 წ. გვ. 199–205.

განცხადების მიღების დაწყების და კონკურსის ჩატარების ვადას და სხვა. ასევე კომისიის მიერ ხდება კონკურსში მონაწილეთა შორის გამარჯვებულის გამოვლინება.

სახელმწიფოს ქონების აუქციონის ფორმით გაყიდვის მიზანია ქონებაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. აუქციონის ორგანიზება ხორციელდება გამყიდველის მიერ, ასევე ხელშეკრულების თანახმად, პრივატიზების განხორციელება შესაძლოა გამყიდველის მიერ დაევალოს შუამავალს. მყიდველი ინფორმაციის განთავსებაზე ადგილობრივ პრესაში, ამ შემთხვევაში სავალდებულო. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ამომწურავ ჩამონათვალს მასზე, თუ რის გაკეთება ევალება მყიდველს და რა პირობები უნდა იქნეს მის მიერ შესრულებული.

სახელმწიფო ქონების „იჯარა-გამოსყიდვის“ ფორმით გაყიდვის მიზანია გამოსყიდვამდე მატერიალური ფასეულობების ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობა და სარგებლობა სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის,

სახელმწიფო ქონების პირდაპირი ფორმით გაყიდვის მიზანია ქონების გასხვისება-გაყიდვა ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე. ანგარიშსწორება სახელმწიფოსთან ხორციელდება ერთიანად ან განვადებით. თუ სახელმწიფო ქონება შეძენილია კონკურსის ფორმით, საბოლოო თანხა უნდა დაიფაროს უმოკლეს ვადაში. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას თანხის გადახდევინება ხდება განვადებით მხარეთა შორის შეთანხმებით, მაგრამ ვადა არ უნდა გადასცდეს 10 წელიწადს. პირდაპირი ფორმით პრივატიზებისას თანხის გადახდა პრაქტიკულად ხდება გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. თანხის დაფარვის შემდეგ აუცილებელია სახელმწიფოს და მყიდველს შორის დაიდოს ხელშეკრულება, რომელიც აუცილებლად დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ. ხელშეკრულებაში შეტანილი უნდა იქნეს მონაცემები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ, ქონების დასახელება, შემადგენლობა და ფასი. ასევე, მხარეთა მისამართები, მყიდველის ვალდებულება შემდგომში თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული მის მიერ შეძენილი ქონება.

ხელშეკრულების დადებისა და თანხის სრულიად დაფარვის შემდეგ 30 დღის ვადაში მყიდველმა უნდა მიიღოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რის შედეგადაც იგი, სახელმწიფო ქონების მყიდველი ხდება შეძენილი ქონების სამართალმემკვიდრე.

განსახელმწიფოებრივების მიმართულებებს შორის დღეს მსოფლიოში ყველაზე

პოპულარულია საწარმოთა აქციონირება. ეს იმითაა განპირობებული, რომ სამეურნეო რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მეურნეობრიობის ისეთი ახალი ეკონომიკური სუბიექტების განვითარება, რომლებიც დაძლევენ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის არასრულყოფილებას. ამ უკანასკნელის ალტერნატივა კი სააქციო საზოგადოებების შექმნაა. რადგან იგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მობილიზებული იქნეს ეროვნული მეურნეობის ტექნიკური მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციისათვის აუცილებელი რესურსები. ამასთან, აქციონერული საკუთრება აქტიურად უწყობს ხელს ეკონომიკის დემონოპოლიზაციას, წარმოების დაფინანსებისათვის საკუთარი სახსრების მობილიზაციას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. აღნიშნულ და ბევრ სხვა უპირატესობასთან ერთად წარმოების აქციონირება ქვეყნის სახალხო მეურნეობის „ღია“ ეკონომიკად გადაქცევის, მსოფლიო ბაზარში მისი ჩართვის, და შესაბამისად, ეკონომიკაში მონოპოლიზმის დაძლევის რეალური გზაა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში აუცილებელია მსხვილ საწარმოებთან და გაერთიანებებთან ერთად მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა შექმნა-განვითარება. ამიტომ საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია მცირე ბიზნესის განვითარების გარეშე. სწორედ მცირე ბიზნესმა არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლასა და მის განვითარებაზე. ხოლო, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა.

ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ საგადასახადო, საინვესტიციო და საკრედიტო პოლიტიკის რაციონალურად გამოყენება არის, როგორც რესურსების დაზოგვის, ისე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალი ტემპებით განვითარების, მცირე მეწარმეობის გაძლიერების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ეკონომიკური რეფორმების სისტემაში უაღრესად სათუთი და დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა აგრადური სექტორის გარდაქმნა. ეს ითვალისწინებს მიწათსაკუთრებისა და მიწათსარგებლობის რეფორმას, კერძო მიწათმფლობელობის ინსტიტუტის შემოღებას, სოფლის მეურნეობაში არსებული მეწარმეობის ფორმებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა თვისობრივ გარდაქმნას ფერმერულ (გლეხური), საიჯარო, სააქციო, კოოპერატიულ და სხვა მეურნეობის ფორმირებას, წარმოების აგროსამრეწველო დივერსიფიკაციას და სხვა.

ასევე სამეურნეო ასოციაციების სახით უნდა განვითარდეს ისეთი ახალი სამეურნეო სტრუქტურები, როგორცაა: აგროფერმები, აგროკომბინატები, მცირე საწარმოები, კონსორციუმები, კორპორაციები და ა.შ.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, თანდათანობით უნდა დამკვიდრდეს მიწაზე საკუთრების ყველა შესაძლებელი ფორმა: კერძო, კოლექტიური (საიჯარო და კოლექტიური საწარმოების და ა.შ.) სახელმწიფოებრივი (მათ შორის მუნიციპალური), ეკლესია-მონასტრების საკუთრება. მომდევნო ეტაპზე, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, უწინარესად კერძო საკუთრებაში არსებული მიწა გადაიქცევა ყიდვა-გაყიდვის ობიექტად, რაც დარეგულირდება მიწის კანონმდებლობის შესაბამისად.¹

არსებობს პრივატიზაციის განხორციელების სხვადასხვა ვარიანტი:

ა) ნულოვანი - ამ ვარიანტის დროს ხდება გარდაქმნის პროცესების მკაცრად ცენტრალიზებული რეგულირება (რომელიც გულისხმობს საპრივატიზებო ობიექტებზე შედარებით მაღალი ფასების დაწესებას) ქონების გამოსყიდვის დროს ფასდაკლებებისა და საგადასახადო შეღავათების არარსებობას; პრივატიზაციაში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან შეზღუდვებს, შესყიდვის მიზნებისათვის კრედიტების მიღების მინიმალურ შესაძლებლობებს და სხვა, რაც წარმოქმნის მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებას პრივატიზაციისადმი. მოცემული ვარიანტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანა ეკონომიკურად დაუძლურებულია და საკანონმდებლო სტრუქტურებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში არაა სწორი დამოკიდებულება პრივატიზაციის პროცესის განხორციელებისადმი;

ბ) სტიქიური - ეს არის პრივატიზაციის პროცესის ცენტრალიზებულ რეგულირებაზე (სრული უარის თქმა) ხელის აღება. ქვეყანაში არ არსებობს პრივატიზაციის განხორციელებისათვის საჭირო საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა და ამ პროცესს აქვს „საყოველთაოდ ნებადართული“ ხასიათი. არსებობს საპრივატიზებო ქონების შეფასების შემცირების ტენდენციები. მძვინვარებს კორუფცია და მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტში პრივატიზებიდან მისაღები შემოსავლები;

გ) კეთილსასურველი - გარდაქმნის პროცესი მომდინარეობს სახელმწიფოებრივი რეგულირების პირობებში. არსებობს საკმაოდ გააზრებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა. ეფექტიანად ფუნქციონირებს სახელმწიფო ქონების მართვის

1. გოგობია რ. - საბაზრო ეკონომიკა (ლექციების კურსი), თბ., 1996 წ. გვ. 26-34.

ორგანოები, შექმნილია პრივატიზაციაში მონაწილეობის სტიმულები (დაწესებულია სხვადასხვა შეღავათები, ფართოდ გამოიყენება კრედიტები, განვადებით გაყიდვა და ა.შ.) მთავრობის მხრივ აშკარად იგრძნობა ქვეყნის მოქალაქეებზე და საზღვარგარეთელ პარტნიორებზე ნდობა და ა.შ.

ხელისუფლებამ პრაქტიკულად უნდა გამორიცხოს სტიქიური პრივატიზაცია. ამ პროცესის სწორად წარმართვისათვის კი აუცილებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შეთანხმებული მოქმედება.

განსხვავებული მიდგომაა საჭირო მცირე და დიდი ზომის საკუთრების ობიექტების განსახელმწიფოებრივებისადმი. მცირე ზომის საწარმოთა პრივატიზებით ვერ განხორციელდება განსახელმწიფოებრივების ძირითადი ეკონომიკური მიზანი, განსახელმწიფოებრივების საფუძველს წარმოადგენს დიდი ობიექტების პრივატიზება. მაგალითად, აშშ-ში დაახლოებით 17 მილიონი წვრილი საწარმოა. აქედან 70% ინდივიდუალურ საკუთრებაშია, მხოლოდ 2% აქციონერულ კომპანიებს და კორპორაციებს ეკუთვნის. აშშ-ის ეროვნული პროდუქტის 40%-ს მხოლოდ 500 მსხვილი კორპორაცია აწარმოებს. მაშასადამე, საჭიროა დიდი ზომის საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პირველ ეტაპზე, როგორც წესი, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ობიექტების პრივატიზებას. ხოლო, რაც შეეხება საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზებას. იგი ხორციელდება მეორე ეტაპზე ჩვეულებრივ „მცირე პრივატიზაციის“ შემდეგ იწყება „დიდი პრივატიზაციის“ განხორციელება.

პირველ რიგში პრივატიზებული უნდა იქნეს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების წვრილი საწარმოები, აგრეთვე დაბალრენტაბელური და ზარალიანი ობიექტები, რაც აშკარად უწყობს ხელს მცირე ბიზნესის განვითარებას, მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას.

მცირე პრივატიზაცია სწრაფი ტემპით ხორციელდება, როგორც ცალკეული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს მსხვილი სამრეწველო საწარმოების პრივატიზაციის განხორციელებას სჭირდება 1,5-2 წელი. მაშინ როცა მცირე პრივატიზებისათვის ეს ვადა 2-3 თვეს არ აღემატება.

როგორც ამას მსოფლიოს გამოცდილება მოწმობს, განვითარებულ ქვეყნებში წარმატებით განხორციელდა საიჯარო საწარმოების კოლექტიურ საწარმოებად

გარდაქმნის პროცესი. ისინი განსაკუთრებულად პოპულარულნი გახდნენ აშშ-ში. ამჟამად აშშ-ში კოლექტიური მესაკუთრენი ფლობენ 10500 ფირმას. მათში დასაქმებულია 11 მილიონ კაცზე მეტი (დაახლოებით აშშ-ში დასაქმებულთა 10%).

ამჟამად, კოლექტიურ საკუთრებაში საწარმოთა გადასვლა მნიშვნელოვანი ელემენტია სხვადასხვა ქვეყნების მიმდინარე პრივატიზაციაში, მათ შორის არგენტინაში, ღიდ ბრიტანეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ა.შ.

მაშასადამე, მხარდაჭერას მოითხოვს მშრომელთა კოლექტივების ინიციატივა, რომელთაც სურთ შექმნან სახალხო საწარმოები კოლექტიური საკუთრების ბაზაზე. კოლექტიური საწარმოს განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ ის კი არ იყიდება კონკურსით ან აუქციონით სახელმწიფოს მიერ, არამედ ხდება ამ ქონების გამოსყიდვა შრომით კოლექტივად გარდაქმნილ საწარმოთა მშრომელებისაგან. მსგავსი პრაქტიკა არსებობს განვითარებულ ქვეყნებში. ეს პროცესი განსაკუთრებულ ძალას იკრებს რუსეთში. ჩვენთან სამწუხაროდ სრულიად უგულვებელყოფილია.

თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე ხდებოდა, ეკონომიკის განსახელმწიფოებრივების პროცესი საკმაოდ მრავალგვარი აღმოჩნდა თავისი მრავალფეროვნების მიხედვით. ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფო ქონების დენაციონალიზაცია სულაც არ უტოლდება და არ დაიყვანებოდა პრივატიზაციამდე. ხშირად იყო მიღებული შუალედური და კომბინირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფექტიანობით აჭარბებდნენ კიდევ, ისეთ უკიდურეს ღონისძიებებს, როგორცაა სახელმწიფო ქონების მასობრივი პრივატიზაცია.

როგორც ეს გამოცდილებიდან ჩანს ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივების ოთხი წესი:

1. ბაზრების ლიბერალიზაცია;
2. შერეული საწარმოების შექმნა;
3. სახელმწიფო საკუთრების საწარმოებზე საბიუჯეტო დახმარებების შეწყვეტა;
4. სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაცია.

1. **ბაზრების ლიბერალიზაცია.** მთავრობა ახდენს იმ შეზღუდვების შემცირებას ან ლიკვიდაციას, რომლებიც ხელს უშლიან ამა თუ იმ დარგის სახელმწიფო წარმოებაში ახალი კონკურენტების შეღწევას. პირიქით, სახელმწიფო ხელს უწყობს მრავალპროფილიანი მცირე ბიზნესის წახალისებას, რომელიც საბაზრო ხერხელებს ავსებს და სტიმულს აძლევს წარმოების და რეალიზაციის დივერსიფიკაციას.

საბოლოოდ ბაზრის ლიბერალიზაცია ნიშნავს განსახელმწიფოებრივებას პრივატიზაციის გარეშე. ამ შემთხვევაში დივერსიფიცირებულ საწარმოებში პროდუქციის რაოდენობა იზრდება ეროვნული მწარმოებლის ან საზღვარგარეთული კერძო ფირმების და კონკურენციის სხვა მონაწილეების ახალი ინვესტიციებით.

2. შერეული საწარმოების შექმნა. სახელმწიფო ქმნის შერეულ საწარმოებს, ახდენს მათი მოქმედების სფეროს გაფართოების სტიმულირებას, სახელმწიფო მხოლოდ ამ საწარმოებზე ახდენს თავისი საინვესტიციო პოლიტიკის ორიენტირებას ან ამას აღწევს შეღავათიანი დაბეგვრის ან დაკრედიტების განსაკუთრებული რეჟიმის დაწესების გზით.

3. სახელმწიფო საკუთრების საწარმოებზე საბიუჯეტო დახმარების შეწყვეტა. ეს წესი ითვალისწინებს იმ არასაბაზრო შეღავათიანი პირობების თანდათანობით ლიკვიდირებას, რომელშიც სახელმწიფო სექტორის ბევრი საწარმო იმყოფება, იგულისხმება საბიუჯეტო დახმარების შეწყვეტა, საბანკო დავალიანების ჩამოწერაზე უარის თქმა, საგადასახადო შეღავათების გაუქმება და ა.შ.

4. სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაცია. ეს ხორციელდება ყოფილი სახელმწიფო საწარმოების აქციების ინდივიდუალურ და კოლექტიურ საკუთრებაში გადასვლის (გაყიდვის) გზით. ამ აქციებს შეიძლება დაეპატრონონ ბანკები, საწარმოთა კოლექტივები, სააქციო საზოგადოებები, საზღვარგარეთის ფირმები, კოოპერატივები და სხვა.

თანამედროვე ეტაპზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ჩვეულებრივ შეიმჩნევა განსახელმწიფოებრივების ყველა ამ წესის კომბინაცია (გადახლართვა), მაგრამ აქედან მთავარი მაინც ორია:

1. ლიბერალიზაცია;
2. დენაციონალიზაცია.

ლიბერალიზაცია უზრუნველყოფს არა მხოლოდ სახელმწიფო მეწარმეობის სფეროს შეფარდებით შემცირებას, არამედ იგი განაპირობებს ეკონომიკის დემონოპოლიზაციასაც. ლიბერალიზაციის პროცესში სახელმწიფო საწარმო კარგავს აღრინდელ ბატონობას ბაზარზე, იცვლის თავის სტატუსს, მონოპოლიურიდან კონკურენციულად გადაიქცევა, ე.ი. ლიბერალიზაცია ორ ეფექტს იწვევს – განსახელმწიფოებრივებას და დემონოპოლიზაციას.

დენაციონალიზაცია ასუსტებს საფინანსო დაძაბულობას ბიუჯეტის გასაგაღის ნაწილში, ხელს უწყობს ხარჯების ეკონომიას (დეფიციტის შემცირებას) და

ზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს.

იმისათვის, რომ ქვეყანაში წარმატებით გატარდეს დენაციონალიზაციის პროცესი, აუცილებელია გარკვეული პირობების შესრულება:

1. უნდა არსებობდეს სახელმწიფო საკუთრების სუბიექტები, ანუ ის დაწესებულებები, რომელთაც კანონით უფლება აქვთ განაგებდნენ ქონებას გაყიდონ ან შეიძინონ სახელმწიფო საწარმოთა აქციები;
2. საჭიროა შეიქმნას განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურა. პირველყოფლისა საფონდო ბირჟა, რომლის გარეშე შეუძლებელია კაპიტალებისა და რესურსების დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი გადაადგილება;
3. აუცილებელია დენაციონალიზება, საკუთრების განაწილების რეგლამენტაცია.

1.3. საკუთრების განსახელმწიფოებრივების უცხოური გამოცდილება

როგორც ამას ფაქტები ადასტურებენ, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივებას ანუ პრივატიზაციას ხანგძლივი ისტორია აქვს. პრივატიზაციის პირველ დაწყებით ფორმად მიიჩნევენ ფეოდალებზე სახელმწიფოს მიერ მიწების დარიგებას, ასევე ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში სახელმწიფო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის კერძო საკუთრებაში გადაცემას.

პრივატიზაციის შემდგომ ეტაპად თვლიან პირველი მსოფლიო ომის დროს აშშ-ს და ლიდ ბრიტანეთში სახელმწიფოს ხელში თავმოყრილი სამრეწველო, სამხედრო და სამშენებლო რესურსების უმრავლესობის განკერძოებას.

პრივატიზაციის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპად აღიარებულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-სა და გერმანიაში სახელმწიფოს მიერ ომამდე აშენებული მრავალი გემთმშენებელი, საავიაციო, სამხედრო, ქიმიური და მშენებლობლობის სხვა დარგების საწარმოების შეღავათიან ფასებში (თავდაპირველი ღირებულების 60%-ის ოდენობით) გაყიდვა.

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს 80-იანი წლების დასაწყისში პრივატიზაციის მასშტაბები კიდევ უფრო ფართოვდება.

სწორედ ამ პერიოდში ხდება „პრივატიზაციის“ ტერმინის ეკონომიკურ ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრება¹.

პრივატიზება XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების კანონზომიერი მოვლენა გახდა.

70-იანი წლებიდან მოყოლებული პირველად იგი განხორციელდა როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ, ისე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ (ე.წ. განვითარებად) ქვეყნებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ინგლისი სადაც პრივატიზაცია განხორციელდა პრემიერმინისტრის მარგარეტ ტეტჩერის ხელმძღვანელობით „ტეტჩერიზმის“ ეკონომიკური პოლიტიკის სახელწოდებით; საფრანგეთში მაშინდელი პრემიერ მინისტრის (შემდგომ პრეზიდენტის) ე. შირაკის თაოსნობით; აშშ-ში პრივატიზებას ფართო მასშტაბი არ მიუღია, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებს, საბაზრო ეკონომიკის იმთავითვე ლიბერალური ბუნების გამო.

პრივატიზაციის პროცესები განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება 80-იანი წლებიდან, გამოირჩევა ფართო მასშტაბებით. მათ თითქმის ყველა კონტიგენტი მოიცავს. მაგალითად: 1980-1991 წლებში მთლიანად მსოფლიოში კერძო საკუთრებაში გადავიდა 6.8 ათასი მსხვილი სამრეწველო საწარმო, მათ შორის: პრივატიზებული იყო ლათინურ ამერიკაში-800 საწარმო, აფრიკაში-200, აზიაში-130 გერმანიაში-4500, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში-800²

მსოფლიო ბანკის მონაცემებით 1988-1995 წ.წ. 88 ქვეყანამ გაყიდა 135 მილიონი დოლარის ღირებულების აქტივები. წამყვან რეგიონებად ითვლებიან ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნები, რომელთა შემოსავალი 54 მილიონ დოლარს შეადგენს, მეორე ადგილზეა აღმოსავლეთ აზია, პრივატიზებიდან შემოსავლების რაოდენობა აქ 28 მილიონს უდრის, ხოლო ბოლო ადგილზეა ევროპა და ცენტრალური აზია (მასში შედის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები), რომელთა შემოსავლები 20 მილიონია, ანუ 17%. დანარჩენ განვითარებად ქვეყნებზე მოდის პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლების მხოლოდ 12%.³

ფართო მასშტაბიანი პრივატიზება ჩატარდა ისეთ განვითარებად ქვეყნებში როგორცაა: ჩილე, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ინდოეთი, ინდონეზია და სხვა.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან პრივატიზება დაიწყო ჩინეთში საერთო ეკონომიკური ლიბერალიზაციის პირობებში.

მსოფლიო პრაქტიკაში მეტად საყურადღებოა პრივატიზაციის ინგლისური

1. გაბუნია მ. - საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მაკროეკონომიკური ანალიზი და თეორიულ-ორგანიზაციული საკითხები. თბილისი 2001წ. გვ. 70-73.

2. Жур. Экономист №1, 1993г. стр. 65.

3. там же

გამოცდილება, მისი ერთ-ერთი თავისებურებაა დაბალ რენტაბელური და ზარალიანი ეროვნული კომპანიების განსახელმწიფოებრივება.

საფრანგეთში პრივატიზაცია განხორციელდა ცენტრალიზებული წესით, ინვესტორის მიერ კონკურენტუნარიანი ფირმების შერჩევის გზით. მათ მიეყიდათ აქციების გარკვეული პაკეტი. ღია ბაზართან შედარებით შედარებით ფასებში, ამასთან აეკრძალათ იმ აქციების გაყიდვა 3-4 წლის განმავლობაში, რათა მესაკუთრეს მისცემოდა შესყიდული საწარმოს რესტრუქტურის შესაძლებლობა.

მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა პრივატიზაციას ჩილეში. პრივატიზაციის პროგრამა გათვლილი იყო 15 წელზე და შეიცავდა რამდენიმე ეტაპს. ჩილეში 10 წლის განმავლობაში პრივატიზებული იყო საწარმოთა თითქმის 75%. ძირითადად პრივატიზებული იყო დაბალრენტაბელური ზარალიანი საწარმოები. მოსახლეობას აქციების შესაძენად მიეცა შედარებითი კრედიტები. საპრივატიზაციო ობიექტების აქციებს ყიდულობდნენ, საწარმოთა ყოფილი მუშაკები საპენსიო ფონდების ანგარიშში.

მსოფლიო პრაქტიკაში პრივატიზების ჩილეს გამოცდილება ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად არის აღიარებული. ამ მოდელის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს ის, რომ პრივატიზაცია განხორციელდა ცენტრალიზებული წესით (სამხედრო დიქტატურის პირობებში), განსახელმწიფოებრივების სრული პროცესი მთავრობის ოპერატიულ მართვას დაექვემდებარა. პრივატიზების პირველ ეტაპზე (1974-1975წ.წ) ადრინდელ მფლობელებს დაუბრუნდათ 360 კომპანია, ხოლო მეორე ეტაპზე (1975-1980 წლები) გაიყიდა 96 კომპანია და 16 კომერციული ბანკი. ამასთან განხორციელდა სახელმწიფო საწარმოების, საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის ღონისძიებები. შერეული საკუთრების საწარმოებაში შემცირდა სახელმწიფოს წილი და ისინი გადაიქცნენ სააქციო საზოგადოებებად. მესამე ეტაპზე (1981-1982 წლებში) პრივატიზების მასშტაბებზე გაველენა იქონია მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა, ამიტომ მსხვილი მონოპოლიების პრივატიზების დამამთავრებელი ეტაპი 1985 წლიდან დაიწყო. პრივატიზების გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობენ „ახალი ინდუსტრიული ქვეყნები“. სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, ტაივანი, მალაიზია, ტაილანდი, ინდონეზია და ფილიპინები.

ამ ქვეყნების ეკონომიკაში 80-ანი წლებიდან (ე.ი. პრივატიზების განხორციელების პერიოდიდან) ჩნდება ისეთი ახალი მომენტები როგორცაა: სამეურნე სუბიექტების საქმიანობაში სახელმწიფოებრივ ჩარევაზე უარის თქმა, კეძო ინიციატივის

გაფართოვება, ეკონომიკის რეგულირების არაპირდაპირი მეთოდების (კრედიტი, გადასახადი და სხვა) შეზღუდვა და ა.შ აღნიშნულ ქვეყნებში ახალ სამეურნეო პრაქტიკაზე გადასვლამ ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია, აქ მხოლოდ ქონების განსახელმწიფოებრივებისა და საკუთრების ფორმების მრავალფორმიანობის დამკვიდრების ღონისძიებებით კი არ შემოიფარგლენ, არამედ შექმნეს პირობები უშუალოდ მწარმოებელთა ინიციატივის გაფართოებისათვის, სახელმწიფო საწარმოებზე ბიუროკრატიული კონტროლის მოხსნისათვის, მართვის და ფინანსური ავტონომიის მინიჭებისათვის რომელთა საფუძველზე დაიწყო ეკონომიკური ზრდა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონკურენტუნარიანობის განმტკიცებას, ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრას და სახელმწიფო საგარეო ვალების შემცირებას, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში აქტიურად მოღვაწეობდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიოს ბანკი, მათი რეკომენდაციები ძირითადად მიმართული იყო სახელმწიფო სექტორის შეზღუდვისაკენ, საწყის ეტაპზე განახორციელეს წვრილი საწარმოების პრივატიზება და სახელმწიფოს ჩამოშორეს ზარალიანი საწარმოები, ხოლო შემდგომ ეტაპზე პრივატიზების პროცესი ფართოდ გაიშალა, ადგილობრივმა და უცხოურმა კაპიტალმა მიიღო საშუალო და მსხვილი ობიექტების შესყიდვის უფლება, თუმცა აქედან ბიუჯეტში შეტანილი სახსრები შედარებით ნაკლები აღმოჩნდა ვიდრე ვარაუდებდნენ. პრივატიზების პროცესის განხორციელებამ მეტად რადიკალური ხასიათი მიიღო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და სხვა.)

ამ ქვეყნებში პრივატიზების გზები და მეთოდები, რომლებიც ასახავს მსოფლიოს განვითარების ტენდენციას, ერთმანეთისაგან მაინც განსხვავებულია, რაც განპირობებულია აქ არსებული კონკრეტული სოციალურ - ეკონომიკური სიტუაციით, ჯერ ერთი, ამ ქვეყნებს არა აქვთ ისტორიული გამოცდილება, მეორეც, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია ღრმა ინსტიტუციონალური ცვლილებები. ნიშანდობლივია ისიც, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა წინა პლანზე წამოწიეს პრივატიზების თანდათანობითი გატარების იდეა, გადასახადების გამოყენებითა და სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის გათვალისწინებით. ჩეხოსლოვაკიაში (იქ შედარებით გვიან დაიწყო პრივატიზაცია) მოქალაქეს, რომელსაც

შესრულებული ქონდა 18 წელი გადაეცა ფასიანი 1000 დოლარიანი) სახელობითი ვაუჩერი, რამაც თითქმის გამორიცხა ფინანსური მაქინაციების შესაძლებლობა.¹

რაც შეეხება პოლონეთს აქ პირველ ეტაპზე გამოყენებული იყო კომერციალიზაციის გზა, ფართო აქციონერების საფუძველზე.

პრივატიზების პოლონური პროგრამა, მომსახურების და ვაჭრობის მცირე საწარმოების მიმართ, განხორციელდა ძალიან ჩქარა. 1991 წლის დასაწყისში პოლონეთში ასეთი საწარმოების 70% იქნა პრივატიზებული. ხოლო 2500 საწარმო გადაეცა მართვის უფლებით ან ხანგრძლივი არენდით შრომით კოლექტივებს, პოლონეთში 1993 წელს მემარცხენე ძალთა არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პრივატიზების პროგრამა ორი წლით გადაიდო და იგი მხოლოდ 1995 წელს განხორციელდა. ასეთივე ბედი ეწია პრივატიზების პროგრამას რუმინეთში- პოლიტიკური დაძაბულების გამო ეს პროგრამა ფაქტობრივად 1995 წლამდე გაიყინა. ეს დროებითი მოვლენა იყო. ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და რუმინეთში მემარცხენე ორიენტაციის პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში მოსვლის მიუხედავად პრივატიზების პროცესი თავის ახალ სტადიაში შევიდა. 1995 წელს პრივატიზების ვაუჩერული ტიპის პროგრამა განახლდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ამ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაზარდა ეროვნული პროდუქტის წარმოება. მიუხედავად რიგი სირთულეებისა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მთლიანობაში წარმატებით გაართვეს თავი ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირველი ეტაპის პრობლემებს და მნიშვნელოვნად წაწიეს წინ ცივილიზებული ბაზრის ჩამოყალიბების გზაზე. ბოლო პერიოდში პრივატიზაციის ტენდენციები მეტყველებს იმაზე, რომ გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში კერძო მესაკუთრეობისაკენ აშკარა წინსვლა შეიმჩნევა. ამ ქვეყნებში მნიშვნელოვნად იცვლება საკუთრების სტრუქტურა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პოლონეთის გამოცდილება. აქ პრივატიზაცია არ იყო ძირითადი ფაქტორი ახალი საკუთრების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ამ მიმართებით უფრო მნიშვნელოვანი ახლად დაფუძნებული კერძო ფორმების ბუმი იყო, რომელიც დინამიური ეკონომიკური ზრდის წარმმარველ ძალად გადაიქცა. ასევე ნიშანდობლივია ის, რომ პოლონეთის ეკონომიკის ის ნაწილი, რომელიც მთლიანად პრივატიზებულია, ნამდვილად კერძო სტრუქტურას წარმოადგენს

1. Перская Б. Хорминг Х. - Опыт приватизации в чехской республике. Российский Экономический Журнал. № 3, 1995 г. стр. 95.

და არ საჭიროებს არც სუბსიდიებს და არც სახელმწიფოს სხვა სახის დახმარებას.

დასავლეთის ქვეყნებში პრივატიზაციის შედეგად შეიქმნა შერჩეული საწარმოები, რომლებიც თავიანთი ფორმით, შინაარსით და ფუნქციებით ხელს უწყობს საკუთრების ფორმების უპირატესობათა გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვისობრივად სრულად ახალ მოვლენასთან-საკუთრების ფორმების შეთანაწყობით ეფექტიანობის მიღწევასთან. დასავლეთის ქვეყნებში გამოიკვეთა პრივატიზების პროცესში პრიორიტეტების არჩევის პრინციპიც. ამით დაძლეული იქნა საკუთრების ფორმების წინააღმდეგობრივი ხასიათი. ეს ასპექტი ადასტურებს იმას, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ეყრდნობა შერეული საკუთრების პრინციპს, რაც ობიექტური კანონზომიერი პროცესია.

უკანასკნელ პერიოდში დასავლეთის ქვეყნებში შეიმჩნევა პრივატიზების ტემპების შენელების ტენდენცია. მაგალითად, 90-იან წლებში პრივატიზების პროგრამები არ შესრულდა საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, სირიაში, ბრაზილიაში და ა.შ.

თავისებურებით ხასიათდება პრივატიზება აზიის განვითარებად ქვეყნებშიც, ნიშანდობლივია, რომ ამ ქვეყნებში პრივატიზების შემუშავებული პროგრამები მთლიანად არ შესრულებულა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილ სსრკ-ში პრივატიზების რთული პროცესი დიდ სირთულეებს წააწყდა. თავი იჩინა ისეთმა სიძნელეებმა რომელთა დაძლევა დღემდე ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფო საკუთრების მოსახლეობაზე მიყიდვა, იმ პირობებში, როცა ადამიანებს არ გააჩნით ამის მინიმალური შესაძლებლობაც კი. მაშინ როცა მოსახლეობის უმცირესი ნაწილი, ე.წ. ნომენკლატურული ელიტა, ჩრდილოვანი ეკონომიკის, ასევე კრიმინალური სამყაროს კლანური სტრუქტურების წარმომადგენლები ხელში იგდებენ მთელ სახელმწიფო საკუთრებას. სხვადასხვა ქვეყანაში უცხოელი ინვესტორები ხშირად ხდებიან ბევრი და მნიშვნელოვანი ობიექტების მესაკუთრენი. ასევე, ადგილი აქვს სპონტანური პრივატიზების ფაქტებს და ა.შ.

ქონების განსახელმწიფოებრიობისაკენ სწრაფვა ძლიერია იმ ქვეყნებში, სადაც ნაკლებია სამეწარმეო თავისუფლება გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. იქ სადაც მიღწეულია პრივატიზაციის გარკვეული დონე, დღის წესრიგში დგება საკუთრების სხვადასხვა ფორმის სინთეზირებისა და ეკონომიკაში მათი ოპტიმალური თანაფარდობის პრობლემა. საგულისხმოა, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის

დადგენილი თანაფარდობა და ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის. ეს თანაფარდობა და ურთიერთდამოკიდებულება განსხვავებულია ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საგარეო ურთიერთობებიდან გამომდინარე, მაგრამ არსად არ ხდება სახელმწიფო ქონების აბსოლუტური პრივატიზება. პირიქით საჭიროა საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება და შერეული ტიპის საწარმოების ჩამოყალიბება. ნიშანდობრივია ისიც, რომ არ არსებობს პრივატიზაციის იდეალური მოდელი. ცალკეული ქვეყნების მოდელები ერთმანეთისაგან განსხვავებულია და გააჩნიათ უპირატესობები და ნაკლოვანებები.

პრივატიზაციის ეროვნული თავისებურებანი განპირობებულია მათი კონკრეტული ისტორიული მდგომარეობით, ტრადიციებით, მენტალობით ეკონომიკის განვითარების დონით, სოციალურ-კულტურული გარემოთი, ქვეყნის სტაბილურობის დონით, საფინანსო-საბანკო სისტემის განვითარებით და ა.შ.

როგორც ამას მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს პრივატიზაციას ყველა ქვეყანაში თან ახლავს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეული წინააღმდეგობები და შეზღუდვები. ამან განაპირობა ის, რომ სახელმწიფო ქონების გაყიდვა, უმტკივნეულოდ არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. პრივატიზაციის განხორციელების შემაფერხებელი მომენტები ყველა ქვეყანაში ძირითადად დაკავშირებულია საჭირო ფინანსური სახსრების უქონლობასთან და სოციალურ სიღუბჭირესთან. ერთი ეკონომიკური წყობიდან მეორეზე გადასვლა პრაქტიკულად არ ხდება უარყოფითი სოციალურ - ეკონომიკური შედეგების გარეშე. თუმცა გარკვეული ზომით, მაგრამ ყოველთვის აუცილებლად ადგილი აქვს წარმოების დონის დაცემას და სხვა კრიზისულ მოვლენებს.

როგორც ამას პრაქტიკა ადასტურებს პრივატიზების პროცესის შემჭიდროვებულ ვადებში და ეფექტიანად განხორციელება წარმოუდგენელია გარკვეული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ამასთან, საჭიროა სახელმწიფოს მიერ მკაცრი კონტროლის დაწესება, რათა თავიდან იქნეს აცილებული თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (მექრთამეობა, კორუფცია, გამოძალგა და სხვა).

ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ერთ ნაწილში პრივატიზების გარკვეული სტრუქტურულიზაციული დონისძიებების გატარების გამო მოხდა ეკონომიკის გაჯანსაღება, ხოლო მთელ რიგ ქვეყნებში, მან სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. მაგალითად, სირიაში, ბრაზილიაში. პრივატიზებამ ხელი ვერ შეუწყო ქვეყნების

ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას. ხოლო ისეთ ქვეყნებში როგორცაა: ჩილე, სამხრეთ კორეა, ტაივანი და სხვა პრივატიზებამ აშკარა წარმატებები მოუტანა ეკონომიკას, რაც ძირითადად გამოწვეულია უცხოური კაპიტალის დახმარებით.

პრივატიზებას ბევრ ქვეყანაში საფუძვლად უდევს იდეოლოგიური პარტიული მიზნები. პრივატიზებასთან დაკავშირებით ზოგიერთ ღონისძიებებს ატარებენ იდეოლოგიური მოტივებიდან გამომდინარე, რომელიც ხელს არ უწყობს ეკონომიკის გაუმჯობესებას, უფრო მეტად ემსახურება კლანურ ინტერესებს.

ასე, რომ პრივატიზება არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური მოვლენაა, არამედ იგი მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქციაც არის.

ამ ბოლო პერიოდში ნათლად გამოიხატა ქონების განსახელმწიფოებრივების დეიდეოლოგიზაციის ტენდენცია. ოპოზიციური პარტიები მასობრივი პრივატიზების შეჩერებას და სახელმწიფო სექტორის გაფართოებას მოითხოვენ, ხოლო მთავრობა და მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები მხარს უჭერენ ყოველსადაცველ პრივატიზებას და კერძო მეწარმეობის თავისუფლებას.

პრივატიზაციის განხორციელება არც ერთ ქვეყანაში არ ისახავს მიზნად სახელმწიფო საკუთრების სრულ ლიკვიდაციას, როგორც ამის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი რეფორმატორ-ეკონომისტები აღნიშნავენ, სახელმწიფო საკუთრება არა ნაკლებ 25-30%-ისა აუცილებელია ეროვნული მეურნეობის დასარეგულირებლად.

ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყანაში წლების მანძილზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, წარმოების გადაადგილების, სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების საფუძველზე ჩამოყალიბებული რთული საწარმო-ტექნოლოგიური კომპლექსების გარკვეული დროით შენარჩუნების აუცილებლობა. მათი ხელაღებით დამსხვრევა უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე და ძირს გამოუთხრის წარმოების ნორმალურ ფუქციონირებას.

როგორც ამას გამოცდილება მოწმობს განვითარებულ ქვეყნებში საკუთრების განაწილება ხდება არა წმინდა საბაზრო გზით, (როდესაც გასაყიდი სახელმწიფო საწარმოები ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვინც მათ ყიდვას მოისურვებს), არამედ აქ მოქმედებდა და მოქმედებს მკაცრი რეგლამენტაცია, მაგალითად, საფრანგეთში ასეთი საწარმოების 10% მასში დასაქმებულ მუშებს ეკუთვნით, ამასთან, პირველ რიგში და შემცირებული ფასებით, 15% უცხოელებს, 50% ნებისმიერ ფრანგ მოქალაქეს, 25% ქვეყნის უდიდეს საფინანსო ინსტიტუტებს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

სახელმწიფო იტოვებს პრივატიზებული ფირმების აქციების 51 და 25,1%¹. ნებისმიერ ვითარებაში სააქციო კაპიტალების ასეთი წილი მის მფლობელებს სახელმწიფო ორგანოს კვალიფიციური უმრავლესობის მდგომარეობაში აყენებს, რაც საშუალებას აძლევს მას, ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე.

საჭიროა, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივი ორგანოებს შორის ძალებისა და უფლებამოსილების განაწილების ისეთი ბალანსის არსებობა, რომელიც ადგილობრივი ორგანოების მხრივ გამორიცხავდა პრივატიზაციის ეროვნული პროგრამის ბლოკირებას. ამ პირობის შესრულება ყველგან არ ხერხდება. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი, სადაც სახელმწიფო სექტორი განსაკუთრებული რეგიონული თავისებურებებით გამოირჩევა და მოიცავს ფედერალურ, საადგილმამულო, ადგილობრივ და სახელმწიფო საწარმოების სხვადასხვა ტიპს, ასევე მათ ყველანაირ კომბინაციას. ამ ქვეყანაში დენაციონალიზაციის პროგრამა ბევრ რამეში იმით ფერხდება, რომ ადგილებზე აწყდება მთავრობის წარმომადგენლებთან წინააღმდეგობას, რომლებიც ფედერალური ხელისუფლების ზეწოლის მიუხედავად არ აპირებენ საკუთრების დათმობას.

მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დენაციონალიზაციის იმ კანონებისა და ინსტრუქციების გარეშე, რომლებიც მის შესრულებას უზრუნველყოფენ, საქმე კარგად არ მთავრდება. განსახელმწიფოებრივებასთან დაკავშირებული სირთულეები ჩვეულებრივ იქ წარმოიშობა, სადაც წინდაუხედავად იღებენ ისეთ კანონებს, რომლებიც აფიქსირებენ სახელმწიფო სექტორისადმი ამა თუ იმ დარგის ან საწარმოს სავალდებულო კუთვნილებას.

მაგალითად, პრივატიზების ინგლისურ კანონმდებლობაში არ არის დენაციონალიზაციის დაბრკოლებები, რაც დაეხმარა სახელმწიფოს, ოპერატიულად შეეცვალა თანაფარდობის საზღვარი სახელმწიფო და კერძო მეწარმეობას შორის. ყველგან სადაც სახელმწიფომ ეს პირობები დაიცვა დენაციონალიზაციამ საგრძნობი შედეგები მოიტანა. ამან ხელი შეუწყო ეკონომიკის დემონოპოლიზაციას და ბაზრის მექანიზმის გაძლიერებას. გააუმჯობესა სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა და უფრო დემოკრატიული გახდა საკუთრებითი ურთიერთობები და წარმოების მართვა.

1. The politics of privatization in western Europe, p. 18-39.

ინგლისში, მაგალითად, მის თანამფლობელთა რიცხვი 2,2 მლნ ინგლისელით გაიზარდა.¹

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო საკუთრების დენაციონალიზაცია, როგორც ჩანს, არაა თვითმიზანი. მისი განხორციელებით სახელმწიფო ცდილობს, თავისი საქმიანობა ისეთ ჩარჩოებში მოაქციოს, რომელიც საბაზრო ტიპის მეურნეობის თავისებურებითაა განსაზღვრული, იმოქმედოს ისე, რომ ამ უკანასკნელმა იმუშაოს მაღალი ეფექტიანობით, დროულად მოახდინოს მოთხოვნაზე რეაგირება. რაც შეეხება სახელმწიფოს როლს, იგი იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მან უნდა უზრუნველყოს კონკურენტული ბაზრის მექანიზმის ფუნქციონირების ნორმალური პირობები და შეასრულოს და შეავსოს ის სამუშაო, რომელსაც ბაზარი ვერ ასრულებს.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, თანამედროვე საზოგადოებაში არის მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც ბაზარს არ ძალუძს და სახელმწიფოს აუცილებელ ჩარევას მოითხოვს. საერთოდ თვით თავისუფალი კონკურენციის სისტემაც კი რეგულირებად ეკონომიკად შეიძლება ჩაითვალოს, იგი არ მუშაობს სახელმწიფოს გარეშე, რომელიც თავისთავად იღებს პასუხისმგებლობას ფულადი მიმოქცევის სწორ ორგანიზაციაზე, ხალხის კოლექტიური მოთხოვნილებების ნაწილის დაკმაყოფილებაზე და საბაზრო ქცევის ნეგატიური ეფექტების ლიკვიდაციასა და დაუშვებლობაზე. ფუნქციების ეს ერთობლიობა იმის მაქსიმუმია, რაც მთავრობამ უნდა გააკეთოს თავისუფალი ბაზრის პირობებში, ამავე დროს, იგი მინიმუმია იმისა, რითაც მან უნდა იმოქმედოს რეალურ საბაზრო ეკონომიკაში.

თუ სწორად შევაფასებთ სინამდვილეს, აღმოვაჩინთ ეკონომიკური ცხოვრების ისეთ ახალ პროცესებს, სადაც ბაზრის მექანიზმი არ იძლევა საზოგადოებისათვის საჭირო ეფექტებს და ადგილი აქვს ამ სისტემის შეზღუდულობის სხვა გამოვლინებებს. გათვალისწინებული უნდა იქნეს სამეურნეო პროცესებში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა.

მაშასადამე, მთავარია მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით შევადგინოთ ქონების განსახელმწიფოებრივების ეროვნული პროგრამა და არა ისე როგორც ჩვენნი „რეფორმისტები“ ფიქრობენ.

1. The politics of privatization in western Europe, p. 54-68.

1.4. პრივატიზაციის საკანონმდებლო ნორმატიული და ორგანიზაციულ – მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და სრულყოფა

საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის დასაწყებამდე არსებობდა მხოლოდ რამდენიმე საკანონმდებლო დოკუმენტი.

1991 წლის სექტემბერს მიღებული კანონით ქვეყანაში არსებული მთელი ქონება საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა.

1992 წლის ნოემბერში შეიქმნა პრივატიზების განხორციელების ერთიანი ორგანო – “სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო“ და დაიწყო სახელმწიფო ქონების გრანსფორმაცია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აგვისტოს მიიღო კანონი “საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ და აღნიშნულის შესაბამისად მინისტრთა კაბინეტის მიერ 1991–1992 წლებში მიღებული იქნა მთელი რიგი კანონქვემდებარე დადგენილებები:

„პრივატიზაციის პროცესის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“; „სამეურნეო საქმიანობის დემოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“; „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების დებულებათა დამტკიცების შესახებ“; „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის შესახებ“; „სამეურნეო საქმიანობის დემოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ დადგენილების გამოყენების წესის და დებულების დამტკიცების შესახებ“; „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ“ და სხვა.

პრივატიზების ორგანიზაციული-მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ „სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის, ხოლო შემდგომ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების“ შესახებ მიღებულ დადგენილებებს.

სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია ჩატარდა 1993 წელს 1 აპრილის მდგომარეობით, და იგი საფუძვლად დაედო სახელმწიფო ქონების შესყიდვას.

პრივატიზების ორგანიზაციული-მეთოდოლოგიური ბაზის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების გზების სწორად განსაზღვრას. პირველად 1993 წლის 9 აგვისტოს იქნა მიღებული კანონი

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“, რომელმაც დასაბამი მისცა პრივატიზების პროცესის პირველი ეტაპის დაწყებას.

მიღებული კანონი „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ ემყარება ჩვენს ქვეყანაში და სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში პრივატიზების განხორციელების გზაზე შექმნილ პრაქტიკულ გამოცდილებას. ამ კანონის შესაბამისად მომზადდა კანონქვემდებარე აქტი - „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ“. ასევე, კანონი „სახელმწიფო საწარმოთა შესახებ“, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებულ საკითხებს.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებას „პრივატიზების პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების შესახებ“. მეტად საჭირო მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1995 წელს მიღებული კანონქვემდებარე აქტი „საპრივატიზებო საწარმოების ქონების პასიური ნაწილის (ერთი კვ. მეტრის) გასაყიდი ფასის დადგენის შესახებ“. ამ აქტების თანახმად საპრივატიზებო ობიექტების პასიური ნაწილის გასაყიდი ფასი განისაზღვრა არანაკლებ 30 აშშ დოლარის ექვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში - ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში განთავსებული საწარმოებისათვის; ხოლო 20 აშშ დოლარის ექვივალენტის ოდენობით, ეროვნულ ვალუტაში - დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში განთავსებული საწარმოებისათვის. აგრეთვე, შეიქმნა ნორმატიული აქტი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ფირმის პრივატიზებისას საპრივატიზებო საწარმოს აფასებულ ღირებულებას დაემატა ამ ღირებულების 30%. ხოლო რაც შეეხება სააქციო საზოგადოებების აქციების რეალიზებას (გარდა შრომითი კოლექტივებზე 20%-ის ფასდაკლებით გასაცემი აქციებისა) მათ ნომინალურ ღირებულებას დაემატა 30% და გამოაკლდა სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში პასივების ხვედრითი ნაწილის შესაბამისი პროცენტი.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების დაწყებიდან 1997 წლამდე (ე.ი. პრივატიზების პირველ ეტაპზე) მიღებული იყო საქართველოს პარლამენტის 15-მდე დადგენილება, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით დამტკიცებულია

30-ზე მეტი ნორმატიული დოკუმენტი, რომელსაც ჩვეულებრივ თან ახლავს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ნორმატიული კანონმდებარე აქტები და სხვა.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებამ გამოიწვია როგორც ახალი კანონების მიღების, იმ არსებული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების განახლების აუცილებლობა.

1997 წლის 30 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და მთავრობის მიერ მოწონებული ახალი კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“. საწარმოს პრივატიზების წარუმატებელი შემთხვევისათვის, შემუშავებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის №671 ბრძანებულება „საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ“.

აღნიშნული წესის მიხედვით, თუ არ მოხდა ნებისმიერი ფორმით საპრივატიზებოდ ორჯერ გამოტანილი ობიექტის პრივატიზება, მისი გასაყიდი ფასი ორივეჯერ შემცირდება 50-50%-ით. ე.ი. პირველ შემთხვევაში უნდა განახევრდეს, ხოლო მეორეჯერ გამეოთხედდეს.

ასევე, გათვალისწინებული იქნა საწარმოს კერძო მფლობელობაში გადაცემის მიზნით „ნულოვანი“ საწყისი ფასით სპეციალიზებული აუქციონის ჩატარება, ან კომერციული კონკურსის ფორმით მისი სიმბოლურ ფასად გაყიდვა.

ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის შესახებ შემუშავებული დებულება. ამ დოკუმენტის მიხედვით პრივატიზაცია ხორციელდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის გზით.

პრივატიზების პროცესის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის პოზიტიური მომენტების, დაგროვილი გამოცდილების, დაშვებული შეცდომებისა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების პროცესის სათანადო დონეზე ჩატარება თავისთავად საჭიროებდა არსებული საკანონმდებლო ბაზის შემდგომ სრულყოფას.

ამ მიზნით უდიდესი მნიშვნელობის იყო „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ კანონში 1997 წლის 12 დეკემბერს შეტანილი ცვლილებები, რომელიც ეხებოდა სადაო საკითხების ვადის მოწესრიგებას. ხოლო 1998 წლის 12 ივნისს

შეტანილი იქნა ცვლილებები კონკურსით, აუქციონით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლებით კონკურსის ფორმით გადაცემისას გასაფორმებელი ხელშეკრულების ვადების მოწესრიგებას.

1998 წლის 24 დეკემბერს ცვლილებები იქნა შეტანილი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“. კანონის იმ მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებდა სათბობენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, პორტების, რკინიგზის, სახელმწიფო წყალსადენების, საკანალიზაციო მეურნეობის, განათლების სისტემის და სხვა ობიექტების პრივატიზების აკრძალვას.

კანონში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე გადაისინჯა „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების 1998–2000 წლების ერთიანი გეგმა“ ასევე, ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საკუთრების ობიექტების სარგებლობისა და განკარგვის მომქმედ კანონმდებლობაში. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების შესახებ მიღებულ კანონებს და დებულებებს: „სახელმწიფო ქონების პრივატიზების წესისა და ფორმების შესახებ“, „ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ“, „პრივატიზაციის პროცესში ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების ღირებულების ინდექსირების შესახებ“, „საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“, „გარიგებათა შესახებ“, „საპრივატიზებო ქონების ინფორმაციის შესახებ“, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის მართველობის ორგანოებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების გადაცემის წესის შესახებ“ და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო ქონების მართვის სრულყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებულ კანონებსა და გადაწყვეტილებებს, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის მეტად მნიშვნელოვან ბრძანებულებებს. ამ მხრივ, გადამწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტია „სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და მართვის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 12 თებერვლის №40 ბრძანებულება.

ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები მომქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის. ამ ღონისძიებათა მოკლე ჩამონათვალი ასეთია: სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში სახელმწიფო ინტერესების დაცვის შესახებ“; სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოებში სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატურების შერჩევის მიზნით შემუშავებული დებულება – „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოებში წევრობის კანდიდატურების შერჩევის შესახებ“, რომლის საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭოებში შერჩეული სახელმწიფო წარმომადგენლებთან გაფორმდა ხელშეკრულებები, სადაც სრულად ასახულია მათი ფუნქციები და უფლება მოვალეობები.

„სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალიზებული საბირჟო აუქციონის ინსტიტუტის შემოღებას, რომლის ორგანიზება ხორციელდება საფონდო ბირჟის მეშვეობით. აღნიშნული ცვლილებები დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეში, რის შედეგადაც მან ნორმატიული აქტის სტატუსი შეიძინა. საბირჟო აუქციონის ჩატარება საფონდო ბირჟის საავტორო სისტემების გამოყენებით, გარდა ამისა, რომ უზრუნველყოფს ვაჭრობის პროცესის მოქნილობასა და მასში მონაწილეთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების ოპერატიულობას, სტიმულს მისცემს აგრეთვე ამ პროცესში საფონდო ბაზრის პროფესიონალ შუამავალთა და კონსულტანტთა ჩართვას და მათი საშუალებებით აქციათა შესახებ ინფორმაციის გაერცელებას საერთაშორისო ქსელში.

სამინისტროს 07/11/02 წლის №1-3/807 ბრძანებით საფონდო ბირჟას სარეალიზაციოდ გადაეცა 17 სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტი, საიდანაც 7 საწარმოს მიენიჭა შესაბამისი სარეგისტრაციო კოდი. აქედან რეალიზებული იქნა სააქციო საზოგადოება „ხაშურის მინის ტარის“ – 100, სააქციო საზოგადოება „გორიგაზის“ – 76884, სააქციო საზოგადოება „ტაბოგეოდეზიის“ – 33700, სააქციო საზოგადოება „სპეცმშენის“ – 2846, სულ – 113530 ცალი აქცია, რომლიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტმა დამატებით მიიღო – 52204 ლარი (საშუალოდ ერთი აქცია 0,46 ლარად გაიყიდა).

ჩატარდა გარკვეული ღონისძიებები სახელმწიფო ქონების მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფისათვის. სხვადასხვა დონეზე იქნა განხილული „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების განვითარების სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი, ხოლო „ანტიკორუფციული ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 აპრილის №430 განკარგულება. აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი - „სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში „სახელმწიფო კუთვნილი აქციების საკონტროლო პაკეტის და წილების ბაზაზე პოლიდინგური კომპანიების დაფუძვნების შესახებ“.

ასევე მომზადებული იქნა საქართველოს კანონპროექტები: „სახელმწიფოს ქონების პრივატიზების შესახებ“, „სახელმწიფო პოლიდინგური კომპანიის შესახებ“ და სხვა.

აღნიშნული პროექტები შესათანხმებლად დაეგზავნათ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

2002 წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერით საქართველოს პარლამენტში შეტანილი იქნა კანონპროექტი, რომელიც სხვა ღონისძიებებთან ერთად სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოების მართვის სრულყოფის უზრუნველსაყოფად ითვალისწინებდა - საწარმოთა მართვის სააგენტოს შექმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონების აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 აპრილის №190 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და უწყებების, აგრეთვე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებულ კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემული უძრავი ქონების აღრიცხვიანობის მოწესრიგების აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“.

პრივატიზების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, 2002 წელს მომზადდა და საქართველოს პრეზიდენტის 10/09/02 წ. №398 ბრძანებულებით დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების 2002-2005 წლების ერთიანი გეგმა“.

აგრეთვე, სახელმწიფო ქონების პრივატიზების დაჩქარების მიზნით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში და რიგ ნორმატიულ აქტებში.

2002 წლის 14 მაისს მიღებულ კანონში - „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკაში: დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რაც უდაოდ პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ეს სტანდარტები უზრუნველყოფენ ბუღალტრული აღრიცხვის შესადაარისობას სხვა ქვეყნებში დანერგილ აღრიცხვიანობასთან.

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების მიზნით საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა ბუღალტრული ანგარიშგების მოცულობა და ფორმები. ანგარიშთა ეს სისტემა საშუალებას იძლევა მაღალ დონეზე ჩატარდეს საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის ანალიზი და დაისახოს ღონისძიებები საწარმოთა ფუნქციონირების მიზანშეწონილობის, მათი რეორგანიზაციის, განკარგვისა და ფინანსური შედეგების გაუმჯობესებისათვის.

თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებულია ბიზნეს-გეგმები, რომელთა ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ უნდა დამტკიცდეს პარტნიორთა (აქციონერთა) საერთო კრებებზე. ასეთ გეგმებში დეტალურად იქნება გაწერილი საწარმოო პროგრამა, მის შესასრულებლად აუცილებელი ყველა შესაძლო ხარჯი და მოსალოდნელი შემოსავლები. ასეთი გეგმების არსებობა იძლევა შესაძლებლობას: გაკონტროლდეს ხარჯები, განისაზღვროს მოსალოდნელი შენატანები ბიუჯეტში, როგორც გადასახადების, ასევე დივიდენდების სახი. განისაზღვროს საწარმოო პროგრამის დაფინანსებისათვის დამატებით ფინანსური რესურსების მოზიდვის აუცილებლობა და შეირჩეს ამ რესურსების მოზიდვის ოპტიმალური ფორმები. ასევე, სოფლის მეურნეობაში რესტრუქტურისაციისა და პრივატიზაციის პროცესის ორგანიზებულად დაწყების მიზნით, რამდენიმე კანონი და დადგენილება იყო მიღებული 1992 წლის 18 იანვარს - „სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის ჩატარების შესახებ“. ასევე, 1996 წელს მიღებული:

1. „კანონი სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“;
2. „კანონი ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“.

ყოველ შემდგომ მიღებულ დადგენილებაში კი შედიოდა ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების პროცესში წამოიჭრობოდა და საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მიწის რეფორმის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის მარტში მიღებულ კანონს - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. მეტ-ნაკლებად დასრულებული სახე აქვს, რითაც დაფიქსირდა ქვეყნის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილის მიწასთან მიმართების ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები და საბოლოოდ განისაზღვრა სოფლად ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაცია. ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოში დასრულდა მიწის რეფორმის პირველი ეტაპი.

ასევე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კანონს - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დამატებითი პრივატიზების შესახებ“, რომელიც ამჟამად პროექტის სახით არსებობს და განხილვის პროცესშია.

ამ კანონის მიზანია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის სრულიად ათვისება, მისი რაციონალურად გამოყენება და მიწის ბაზრის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

ეს კანონი აგრეთვე მიზნად ისახავს დაარეგულიროს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებული საკითხები.

კანონის მიხედვით პრივატიზებას არ ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შემდეგი კატეგორიის მიწა:

- ა) საზაფხულო და ზამთრის საძოვრები, პირუტყვის გადასარეკი ტრასები;
- ბ) წყლის ფონდის მიწა, რეკრეაციული დანიშნულების მიწა, ნაკრძალები, ეროვნული პარკები;
- გ) მიწა, რომელზედაც განთავსებულია ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლები;
- დ) „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, სასაზღვრო ზოლში მოქცეული მიწა;
- ე) ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე, ჯიშთა გამოცდის სადგურების მიწები, რომლების საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის;

ვ) დაცული ტერიტორიები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება:

ა) სპეციალური აუქციონის; ბ) ღია აუქციონის; გ) უპირატესი შესყიდვის ფორმით.

სპეციალური აუქციონით ან ღია აუქციონით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სარგებლობაში გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მოსახლეობისათვის უპირატესი შესყიდვის ფორმით მიყიდვას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სარგებლობაში (საჯაროდ) გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აუქციონზე გატანილი მიწის ნაკვეთისა და უძრავი ქონების გასაყიდი ფასი განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. სპეციალურ აუქციონზე გასაყიდი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ტოლია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის წლიური გადასახადების ორმაგი ოდენობისა.
2. ღია აუქციონზე გასაყიდი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ტოლია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის წლიური გადასახადის ათმაგი ოდენობისა.

თავი II. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის განხორციელების თავისებურებები და ეტაპები საქართველოში

2.1. პრივატიზაციის თავისებურებები

საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, გეზი აიღო საბაზრო ეკონომიკური სისტემის შექმნისაკენ, რადგან საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივება, ანუ პრივატიზაცია ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა და მას სხვა ალტერნატივა არ ჰქონდა.

ამდენად, მცდარია იმ ეკონომისტთა შეხედულებები, რომლებიც ნეგატიურად აფასებენ პრივატიზაციის პროცესს ჩვენს ქვეყანაში. ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს არა თვით პრივატიზაცია როგორც ასეთი, არამედ მისი მოუმზადებლად, არაორგანიზებულად, თვითღინებით, შესაბამისი ეკონომიკური პირობების შეუქმნელად დაწყება და განხორციელება, როგორც ამას მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მეოხებით ჰქონდა ადგილი საქართველოში.

პრივატიზაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში თავისი შინაარსით, არსებითად განხორციელდა ტრადიციული სქემებისაგან განსხვავებით. ისე როგორც საერთოდ პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება და მისი მართვის ახალი ფორმები მსოფლიო ეკონომიკისათვის უპრეცედენტო შემთხვევაა, რამდენადაც ანალოგიურ მოვლენას მანამდე არც ერთი ქვეყნის პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია.

საქართველოში იმ ქონების განსახელმწიფოებრივება და კერძო საკუთრებაში გადაცემა მოხდა, რომელიც ათეული წლების მანძილზე იქმნებოდა საზოგადოების ყველა წევრის კოლექტიური შრომით, იგი საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივი საკუთრება იყო და ფაქტობრივად, მთლიანად სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის სირთულეს განაპირობებდა ისიც, რომ უნდა შეცვლილიყო ქონების არა მარტო კონკრეტული მესაკუთრე, არამედ თვით პოლიტიკური წყობაც, მისი შესაბამისი საკუთრებითი ურთიერთობებით.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო მეტად რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში.

ამ პროცესს დაემთხვა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გარდაქმნის უაღრესად მტკივნეული პროცესი, ძველი სამეურნეო კავშირების მოშლა და ამის საფუძველზე დაწყებული ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის დასაწყისისათვის ყველა პოსტსოციალისტური სახელმწიფო მოიცვა.

ქვეყნის ყველა სამრეწველო საწარმოში შეწყდა წარმოების პროცესი და დაიწყო უპატრონოდ მიტოვებული საწარმოების (ხშირად აქ დასაქმებულთა მიერ) მასობრივი გაძარცვა-განადგურება.

დამახასიათებელი გახდა სოციალური დაძაბულობის ზრდა, ეკონომიკური აქტივობის დაცემა, უმუშევრობისა და სიღარიბის ღონის ზრდა, ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი, დაუძლეველი სირთულეები ქვეყნის გარეთ ანგარიშსწორების სფეროში, საკუთარი ვალუტის არარსებობის პირობებში ეროვნული კუპონის ჰიპერინფლაცია და საბჭოთა ფულის ნიშნების მძაფრი ნაკლებობა, სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი ყოველივე ეს თითქმის გადაუჭრელ სირთულეებს ქმნიდა ახალი რეფორმის გზაზე.

90-იანი წლების პირველ ნახევარში ქვეყანა ჩართული აღმოჩნდა ეთნოკომფლიქტებსა და სამოქალაქო ომში, ხელისუფლება შეიცვალა ძალისმიერი მეთოდებით, რამაც გამოიწვია საზოგადოების გახლეჩა და ურთიერთდაპირისპირება. ასეთ ვითარებაში რამდენადმე უწყურადღებოდ დარჩა ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნისაკენ მიმართული რეფორმები, მ.შ. პრივატიზაციის პროცესი.

ამ სიტუაციაში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქმედითი საშუალება იყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემებიდან საბაზრო ეკონომიკაზე უსწრაფესი გადასვლა, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივება – პრივატიზება, სოციალიზმისათვის სრულიად უცხო საზოგადოების ახალი ნაწილის, კერძო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება, რომლის უნარზე, მოქმედების მასშტაბურობაზე სისხლხორცეულად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენება, საწარმოთა სიმძლავრეების ამოქმედება, მომსახურების სფეროსა და ვაჭრობის გამოცოცხლება, თვით ქვეყნის შიგნით არსებული სრული პოლიტიკური და სოციალური ვითარების გამო

დაცარიელებულ სახელმწიფო ხაზინის შეესება, მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

მაშასადამე, ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისისათვის აშკარად გამოიკვეთა უპატრონოდ დარჩენილი სახელმწიფოებრივი ქონების დაჩქარებული პრივატიზების აუცილებლობა.

პრივატიზაციის პროცესის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1992 წლის 11 აგვისტოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ და 1992 წლის 18 აგვისტოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას.¹ აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს:

- სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნას საკუთრების სხვადასხვა ფორმებად, მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო საწარმოთა ქონების (ფასიანი ქაღალდების) შეძენას და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შეცვლას;
- მეურნეობის ძირითად დარგებში სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას, კერძო საკუთრების დამკვიდრებას, კონკურენტული გარემოს შექმნას, კერძო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას, საბაზრო მეურნეობაზე რეალურ გადასვლას;
- მცირე ბიზნესის განვითარებას და მთლიანად ეკონომიკის რეანიმაციას, მის გამოყენებას გაჭიანურებული კრიზისიდან, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
- ქვეყნის ფინანსური მდგომარეობისა და სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესებას;
- არარენტაბელური საწარმოების დიდი ნაწილის პრივატიზებით სახელმწიფო ბიუჯეტის განთავისუფლებას მათი დოტაციისაგან;
- საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებით მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში რეალური მეურნეობების ჩამოყალიბებასა და მაღალმწარმოებლური შრომისადმი მოტივაციის შექმნას;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განთავისუფლებას მათთვის არათვისებრივი ფუნქციისაგან – მეურვეობისაგან;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და სხვა.²

1991 წელს შეიქმნა სახელმწიფო ქონების მართვის (პრივატიზების) სამინისტრო. ხოლო, 1992 წელს მიღებულმა საქართველოს კანონმა „სახელმწიფო ქონების

1. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები. თბ, 1996წ. გვ. 16.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 18 აგვისტოს №123 დადგენილება.

პრივატიზების შესახებ“ განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სოციალური საფუძვლები. ამ კანონის ძირითადი პრინციპების შესაბამისად გარანტირებული იქნა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენა. მიზნად იქნა დასახული ქვეყანაში ეფექტური, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარება.

უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით შეირჩა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების შემდეგი გზები:

1. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ დარიგება;
2. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა;
3. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ (არენდა გამოსყიდვის უფლებით) გამოსყიდვა;
4. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა.

შედგა საპრივატიზებო ობიექტების და ზარალიანი საწარმოების ნუსხა და გადაწყდა საპრივატიზებო ქონების გასხვისება: აუქციონის, პირდაპირი გაყიდვის, იჯარა-გამოსყიდვის და საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ფორმით.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა დებულებები: „სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით“, „სახელმწიფო ქონების იჯარა - გამოსყიდვის უფლებით“ და „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით“, „პრივატიზებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ“.

ამ დოკუმენტების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად არსებული საკანონმდებლო ბაზა სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესის მაღალორგანიზებულად და უხეში შეცდომების გარეშე ჩატარებისათვის.

ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული პრივატიზების განხორციელების მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი გეგმა. ზემოთ ჩამოთვლილი კანონები არ ეფუძვნებოდა იმ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც დაგროვილი იყო მთელ რიგ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში პრივატიზების განხორციელების სფეროში. ამ დოკუმენტებში სათანადოდ არ იყო გაშუქებული სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების არსი, პრივატიზების გამტარებელი ხელმძღვანელი ორგანოების ფუნქციები. არ იყო

დაზუსტებული იმ დარგებისა და საწარმოების ჩამონათვალი, რომლებიც არ უნდა დაქვემდებარებოდა პრივატიზებას და ა.შ.

უხეში შეცდომა იქნა დაშვებული საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალი გზის ეკონომიკური სტრატეგიის არჩევაში. ვიჩქარეთ, სხვებს დაეუფერეთ, ბრმად გაეიაზრეთ „შოკური თერაპიის“ გზით საბაზრო ეკონომიკაზე დაუყოვნებლივი გადასვლის თეორია. ვუარყავით საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლის თეორია „გრადუალიზმი“, არ გავეთვალისწინეთ ის, რომ გარკვეულ პერიოდში საქართველოში სასარგებლო იქნებოდა სახელმწიფო კაპიტალიზმის ზოგიერთი გამოცდილების გამოყენება და ა.შ.

გამოუცდებლობამ და უნიტარული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე „შოკური თერაპიის“ მეთოდის გამოყენებით აჩქარებული გადასვლის ნიუანსებში გაურკვეველობამ თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას.

ამიტომ იყო, რომ შემდგომ გზადაგზა, პრივატიზაციის პროცესის განხორციელების პარალელურად მუშავდებოდა და მტკიცდებოდა მთელი რიგი სამართლებრივი აქტები, დებულებები, მეთოდები, კანონები და ა.შ. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა აგრეთვე ეყრდნობოდა მსოფლიო ბანკის, ევროგაერთიანების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და მითითებებს, რომლებიც ითვალისწინებდა მსოფლიო პრაქტიკის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას. ამდენად, ზემოთ აღნიშნულ გარემოებებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა პრივატიზების პროცესზე, რამაც თავი იჩინა იმ დარღვევებისა და ნაკლოვანებების სახით, რაც დაშვებული იქნა ცალკეულ ეტაპებზე.

2.2. პრივატიზაციის განხორციელების ეტაპები

პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით ქონების განსახელმწიფოებრივების პროცესი განხორციელდა ეტაპობრივად:

პირველი ეტაპი - მცირე პრივატიზება (განხორციელდა 1993-1997 წლებში);

მეორე ეტაპი - მასობრივი პრივატიზება (განხორციელდა 1998- 2002 წლებში);

მესამე ეტაპი - სრულმასშტაბიანი ანუ „აგრესიული“ პრივატიზება (ფაქტობრივად დაიწყო 2003 წლიდან და გრძელდება დღესაც).

ა) საწარმოთა პრივატიზების პირველმა ეტაპმა ძირითადად მოიცვა:

ბინების პრივატიზაცია, მცირე საწარმოთა პრივატიზაცია და სავაუჩერო პრივატიზაცია. ამასთან, საკანონმდებლო საფუძველი ჩაეყარა მიწების პრივატიზაციას.¹

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პირველ ეტაპზე უპირატესობა მიენიჭა მცირე ობიექტების პრივატიზებას. მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა ორ უმთავრეს მიზანს ისახავდა:

პირველი - ამ ობიექტებისათვის პატრონის მიჩენას, მისი განდგურებისაგან გადარჩენის მიზნით; მეორე - მათ დროულად ამოქმედებას.

მაშასადამე, პირველ ეტაპზე სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი პრივატიზებას არ დაექვემდებარა, იგი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა. აქ იგულისხმებოდა სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული საწარმოები. ხოლო დანარჩენი ყველა მცირე, დაბალრენტაბელური და სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი საწარმოები, მათი სატრანსპორტო საშუალებები და სხვა, პირველ ეტაპზე გაიყდა მომქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

სახელმწიფო ქონების პრივატიზება საქართველოში დაიწყო 1993 წლის მარტიდან. ინვენტარიზაცია კი იმავე წლის პირველი აპრილის მდგომარეობით ჩატარდა.

ქვეყანაში ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა ძირითადად ეყრდნობოდა მსოფლიო ბანკის, ევროგაერთიანების რეკომენდაციებსა და მითითებებს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას.

პრივატიზება პირველად განხორციელდა არასაწარმოო სფეროს სოციალურად ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგში როგორცაა საბინაო მეურნეობა. როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 1 თებერვალს მიღებული დადგენილების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გადასცა უსასყიდლოდ.

ეკონომიკური გარდაქმნების პირველ ეტაპზე ასევე დაიწყო მიწების განსახელმწიფოებრივების პროცესი. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმის პირველი შედეგები სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გამო წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის მიზეზი იყო რეფორმის ჩატარება შესაბამისი ორგანიზაციული და მეთოდური წინამძღვრების შემუშავების გარეშე; არ მოხდა

1. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები. თბ., 1996წ. გვ. 16-17.

მიწების სათანადო აღრიცხვა და პასპორტიზაცია, არასწორად განისაზღვრა გადასახადების მოცულობა და ა.შ. ამას თან დაერთო მიწების გამანაწილებელი ადგილობრივი კომისიების თვითნებობა და უპასუხისმგებლობა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განიავება, ძარცვა, დატაცება, არაკანონიერად მითვისება და ა.შ. პრივატიზების პირველ ეტაპზე, ძირითადად პრივატიზებული იქნა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების წვრილი საწარმოები, აგრეთვე დაბალრენტაბელური და ზარალიანი ობიექტები.

პრივატიზაციის პირველი ეტაპის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა ცხრილი №1-ის მონაცემები.

1993-1997 წლებში პრივატიზების ყველა ფორმის გამოყენების გზით კერძო საკუთრებაში გადავიდა 11492 საწარმო. მათ შორის: კონკურსის - 27%; ლიკვიდაციის - 15%; იჯარა გამოსყიდვის - 1%; პირდაპირი მიყიდვის - 28% და აუქციონის გზით - 29%.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემებით სახელმწიფო ქონების ერთი ნაწილი საპრივატიზებო ბარათების („ვაუჩერების“) მეშვეობით მოსახლეობაზე უფასოდ გადაცემის შედეგად „პრივატიზებული“ იქნა დაახლოებით 150 მლნ დოლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება, ანუ ქვეყნის ქონების მთლიანი ღირებულების 30%-ი.

პრივატიზების პირველ ეტაპზე სრულიად გამართლებული იყო საპრივატიზებო ბარათების, ეგრეთწოდებული „ვაუჩერების“ შემოღება, რამაც საზოგადოების გარკვეულ ფენებს ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ადვილად შეძენის საშუალება მისცა. როგორც ვნახეთ, პრივატიზაციის პირველ ეტაპზე პრივატიზებული იქნა ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების წვრილი საწარმოები, აგრეთვე დაბალრენტაბელური და ზარალიანი ობიექტები, რამაც აშკარად ბიძგი მისცა ბიზნესის განვითარებას, მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას.

მცირე* პრივატიზება (დარგობრივ ჭრილში)
 1997 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.¹

დარგები	1993	1994	1995	1996	1997	სულ
ვაჭრობა	416	620	1259	488	1215	4598
საყოფაცხოვრებო მომსახ.	423	557	1855	566	1144	5545
მრეწველობა	149	14	32	3	47	245
სოფლის მეურნეობა	64	22	116	3	175	280
მშენებლობა	101	56	45	2	54	258
ტრანსპორტი	8	15	47	6	27	103
სოციალური სფერო	21	22	305	10	162	521
საქენერგო	5	4	13	1	7	30
საქნავთობპროდუქტები	142	11	10	-	2	165
ჯანდაცვა	-	-	363	85	102	550
პურპროდუქტები	-	-	72	9	17	98
სულ	1329	1321	4717	1173	2952	11492

საბოლოოდ, 1997 წლის 31 დეკემბრისათვის პრივატიზებული იყო 11492-მდე მცირე ობიექტი. აღნიშნული ღონისძიების გატარების შედეგად კერძო მესაკუთრე გახდა ასიათასობით მოქალაქე. საკმაოდ მნიშვნელოვანი შევსება მიიღო ქვეყნის ბიუჯეტმა პრივატიზაციიდან ამონაგები თანხებით. მარტო 1997 წელს ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტში გადაირიცხა 30 მლნ. ლარი.

1. საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები. თბ., 1996წ. გვ. 26.
- მცირედ ჩაითვალა ის საწარმოები, რომლებიც 1993წ. 11 აპრილის მდგომარეობით 44 ათას აშშ დოლარზე ნაკლებად შეფასდა.

სააქციო საზოგადოებათა დაფუძნება 1993-1997 წლებში.¹

№	სექტორი	დაფუძნებული და რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებები	შენიშვნა
	სულ საქართველოში	1160	
1	მათ შორის: მრეწველობა	177	
2	სამთო ქიმია	26	
3	სოფლის მეურნეობა და სურსათი	323	
4	პურპროდუქტები	41	
5	არქიტექტურა და მშენებლობა	217	
6	ვაჭრობა და მატერიალური რესურსები	68	
7	საქვაზი	43	
8	ტრანსპორტი	106	
9	სოციალური სფერო	45	
10	სათბობ-ენერგეტიკა და ნავთობპროდუქტები	114	

1. პრევატიზება: მოკლე ანალიზი და ნორმატიული დოკუმენტები. (სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო) თბ: 1998წ. გვ. 22

პრივატიზაციის პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი მოვლენა გახდა საწარმოთა აქციონირება, როგორც ეს ცხრილი №2-ის მონაცემებიდან ჩანს 1997 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყანაში აქციონირებული იქნა 1160 საშუალო და მსხვილი საწარმო.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების აქციების 51%-ზე მეტი პრივატიზებული იქნა 850-ზე მეტ საწარმოში.

ამ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბანკო სისტემის რეორგანიზაციას, საბაზრო ეკონომიკურ პრინციპებზე მის გადაყვანას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით სააქციო საზოგადოებებად დაფუძნდნენ „აგრომრეწვებანკი“, „საქართველოს ბანკი“ (ბინსოცბანკი), „ექსიმბანკი“, „ახალი ქართული ბანკი“ (შემნახველი ბანკი), „ინდუსტრიაბანკი“.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად 1995 წლის 7 აპრილს სააქციო კომერციული ბანკების „ექსიმბანკისა“ და „ახალი ქართული ბანკის“ და საპაიო კომერციული ბანკის „ინდუსტრიაბანკის“ გაერთიანების ბაზაზე ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით დაფუძნდა ს/ს „გაერთიანებული ქართული ბანკი“.

ეროვნული ბანკისა და მის მიერ უფლებამოსილი ბანკებისა და მათი ფილიალების მიერ ჩატარდა აუქციონი. აუქციონზე შემოვიდა 9028 განაცხადი. გაიყიდა აუქციონზე გამოტანილი 265 საზოგადოების აქციები. ჩატარებული აუქციონიდან პრივატიზების ანგარიშზე შემოვიდა დაახლოვებით 5,5 მლნ. ლარი. აუქციონის შედეგად აქციების მესაკუთრე გახდა ათასობით ადამიანი.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის სარეაბილიტაციო კრედიტის გამოყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო ობიექტების შერჩევა საპრივატიზებოდ, რაც თავისთავად გულისხმობდა მსხვილ საწარმოთა აქციების პაკეტების გაყიდვას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საერთაშორისო ტენდერების მეშვეობით. აღნიშნულს საფუძველი ჩაეყარა სწორედ პრივატიზაციის პირველ ეტაპზე.

ქონების მართვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერებზე გამოტანილი იქნა თბილისის ლუდის მშენებარე ქარხნის, ოზურგეთის შპს „ასკანის“, ქსნის მინის ტარის ქარხნის, თბილისის ღვინოების ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტები, რომელთა ღირებულებამ 9,4 მლნ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა, ხოლო საინვესტიციო თანხებმა 40,5 მლნ დოლარს გადააჭარბა. 1997 წელს (აქციათა მართვის უფლების გადაცემის მიზნით) გამართულ ტენდერებზე ს/ს „კასპცემენტში“, ს/ს „მადნეულსა“ და ს/ს

„რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში“ გათვალისწინებული იქნა 66,9 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტის ინვესტირება. სულ 1997 წელს ჩატარებული ტენდერებით მოზიდულმა ინვესტიციებმა 100 მლნ დოლარს გადააჭარბა.

ზემოთ აღნიშნული წარმატებების მიუხედავად, პრივატიზაციის ამ ეტაპზე ქვეყანაში წარმოიქმნა მთელი რიგი სიძნელეები. სწორედ ამის გამო გახდა აუცილებელი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ ახალი კანონის შემუშავება და მიღება, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში მიმდინარე რეფორმის წარმატებით განხორციელება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრივატიზაციის პოლიტიკას დასაწყისიდანვე აკლდა მყარი, მეცნიერულ არგუმენტაციაზე დაფუძნებული იდეოლოგიური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. ამის გამო პრივატიზაციის საწისი ეტაპი ფაქტობრივად თვითდინებით მიმდინარეობდა და თითქმის არალეგალური გზით წარიმართა, რომელშიც ძირითადად სახელმწიფო ნომენკლატურამ (ბიუროკრატიულმა აპარატმა) მიიღო მონაწილეობა.

პრივატიზაციის განხორციელებაში თავიდან დაშვებული სერიოზული შეცდომა იყო ამ პროცესში შრომითი კოლექტივების ინტერესების სათანადოდ გაუთვალისწინებლობა და აგრეთვე ის, რომ პრივატიზაციის იდეოლოგიების მიერ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ საშუალებად მხოლოდ კერძო საკუთრების აღიარება. ასევე, უხეშ შეცდომას წარმოადგენდა პრივატიზების არასწორი იდეოლოგია, რომლის ღიზუნგური მოთხოვნის არსს წარმოადგენდა განსახელმწიფოებრივების რევოლუციური გზით, მისთვის საჭირო ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლების მომზადების გარეშე, სწრაფად ხელის ერთი მოსმით განხორციელება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კომპლექსურ პროგრამასთან პრივატიზაციის ორგანულად შეუხამებლობის და ფასების ლიბერალიზაციასთან მისი მიუსადაგებლობის შედეგად საქართველოში მცირე პრივატიზაციის დაწყებამ წინ გაუსწრო ფასების ლიბერალიზაციას, რამაც ეკონომიკურ რეფორმას გაუკუღმართებული მიმართულება მისცა და პრივატიზაციამ ფაქტობრივად სახელმწიფო ქონების დარიგების სახე მიიღო. ამან კი ისედაც უსახურად დაწყებული პრივატიზაციის დისკრედიტაცია გამოიწვია.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პირველ ეტაპზე განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მცირე პრივატიზება პრაქტიკულად დამთავრდა 1997 წლის ბოლოს. 1993–1997 წლებში

კერძო საკუთრებაში გადაეცა 11.492 ობიექტი და დაფუძნდა 1060 სააქციო საზოგადოება.

პრივატიზების პროცესში უცხოური ინვესტიციების მიზიდვის მიზნით 1995–1997 წლებში გადაიდგა პირველი ნაბიჯები. უცხოელმა ინვესტორებმა საბარათო აუქციონზე შეისყიდეს სარეალიზაციოდ განკუთვნილი ქონების 20%. უცხოური კაპიტალი დაბანდდა 60–მდე ახალ პრივატიზებულ საწარმოში.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პირველ ეტაპზე გაწეულმა მუშაობამ და შექმნილმა გამოცდილებამ დღის წესრიგში დააყენა პრივატიზების პროცესის გაღრმავების და მეორე ეტაპის სწრაფი ტემპით განხორციელების აუცილებლობა.

ბ) პრივატიზების განხორციელების მეორე ეტაპი (1998–2002 წწ.)

ქვეყანაში სახელმწიფო ქონების პრივატიზების ერთიანი პოლიტიკის წარმართვის მიზნით საქართველოს სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტრომ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად შეადგინა ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების გეგმა 1998–2002 წლებისათვის.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების მეორე ეტაპზე ქონების პრივატიზებისა და მართვის პროცესმა თვისებრივად ახალი შინაარსი შეიძინა.

დღის წესრიგში დადგა უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური მიზიდვის, სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების მართვის ეფექტიანობის ამაღლების, ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზაციის, ქვეყანაში ინსტიტუციური ცვლილებებისათვის კონსტრუქციული მხარდაჭერის და პრივატიზების პროცესში ჩამოყალიბებული მესაკუთრეთა და მეწარმეთა ხელისშეწყობის საკითხები.

საქართველოში 2001 წლის 1 იანვარის მდგომარეობით პრივატიზებული იყო 16665 ობიექტი. აქედან სააქციო საზოგადოებებად დაფუძნდა 1244, ხოლო საკონტროლო პაკეტი პრივატიზებული იქნა 840–ზე მეტ სააქციო საზოგადოებაში.

ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების გეგმის მიხედვით განხორციელდა:

- სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსს მიკუთვნებული ობიექტების პრივატიზება;
- მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საწარმოებისა და ობიექტების პრივატიზება;

- სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების პრივატიზება;
- კომუნალური მეურნეობის საწარმოების, წყალთა მეურნეობის და მელიორაციის სისტემის საწარმოთა პრივატიზება;
- სოციალური, სპორტული და ტურისტული ობიექტების პრივატიზება;
- ჯანდაცვის სისტემის ობიექტთა პრივატიზება;
- სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციების პრივატიზება;
- გაკოტრებას დაქვემდებარებული, ქრონიკულად არასტაბილური (გარდა სტრატეგიულია) და ვალაუვალი სახელმწიფო (სახაზინო) საკუთრების საწარმოთა რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია და მათი ქონების (აქტივების) პრივატიზება;
- სააქციო საზოგადოებათა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების გაყიდვა აუქციონზე და სპეციალიზებულ აუქციონზე;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ცალკეულ საწარმოთა პრივატიზება;
- საქართველოს სამინისტროების, უწყებებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სახელმწიფო ქონების პრივატიზება.

ელექტროენერგეტიკული სექტორის ობიექტების პრივატიზება განხორციელდა სტრატეგიული ინვესტიციებზე მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა (საინვესტიციო ბანკის) დახმარებით. ეს პროცესი წარმართა ენერგეტიკული სისტემის დავალიანებათა რესტრუქტურისაციის შედეგების გათვალისწინებით. ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისაციის თანახმად „საქენერგოს“ რეორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფინანსურად დამოუკიდებელი 3 გენერაციის ქვესექტორი: გადაცემა, დისპეჩინგისა და განაწილება. ამასთან მიღებული იქნა მათი ობიექტების სამოქმედო პროგრამა. პირველ რიგში განისაზღვრა სააქციო საზოგადოება „თელასის აქციათა პაკეტის 75%-ის პრივატიზება პოტენციურ ინვესტორზე.

შემუშავდა 30 მგვტ სიმძლავრეზე უფრო მაღალი სიმძლავრის ჰესების პრივატიზების ფორმა და წესი. დაფუძნებული სააქციო საზოგადოებებიდან გაიყიდა ლაჯანურჰესის, ტყობულის, შაორის, ხრამი I-ის, ხრამი II-ის, თბილსრესის, ვარციხის კასკადის, რიონჰესის, გუმათის, თბილისის თბოქსელის აქციები.

ასევე, გაიყიდა სახელმწიფო კომპანია „საქენერგო-გენერაციის“ მცირე ელექტროსადგურები: მაჭახელაჰესი, აჭიჰესი, კინკიშაჰესი, შატილჰესი, ღორეშაჰესი,

ყაზბეგჰესი, კეხვიჰესი, ახოტჰესი, ზაერეთჰესი; გენერაციის სფეროში შემავალი სპეციალური საამშენებლო ტრესტის რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების საწარმოები: „ენერგომშენი“, „ჰიდრომშენი“, „შენობა-ნაგებობების მშენებლობის“, რკინა-ბეტონისა და ხის დამამუშავებელი საწარმო „დუღაბი“. საწარმოო გაერთიანება „საქენერგორემონტის“ რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნებული სააქციო საზოგადოებები: „საქენერგორემონტი“, „საქენერგოტექნიკური“, „ცენტრალური სარემონტო ქარხანა“, „თბილსრესრემონტი“, „მექანიზაციის სამმართველო“ და სხვა.

ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოების პრივატიზების განხორციელების პარალელურად ამ ეტაპზე სახელმწიფო სექტორში შენარჩუნებული იქნა მთელი რიგი პიდროელექტროსადგურები.

ქვანახშირის მრეწველობის დარგის დაქვემდებარებული სახაზინო საწარმოები გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებებად, რომელთა აქციათა საკონტროლო პაკეტი (51%) დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში. შედგა სააქციო საზოგადოებების „ტყიბულნახშირის“, შპს „პროგრესის“ და სხვათა რესტრუქტურის გეგმა.

დამტკიცდა გაზის მეურნეობის ობიექტების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ნუსხა. გაზის მეურნეობაში დაფუძნდა 42 საზოგადოება, ხოლო 7 სააქციო საზოგადოებაში პრივატიზებული იქნა აქციათა 100%-ი. გაიყიდა ქალაქებისა და რაიონების გაზის მეურნეობის ბაზაზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების აქციების საკონტროლო პაკეტი (51%) კონკურსის წესით.

სააქციო საზოგადოებების „თბილგაზის“ აქციათა პაკეტის 76%-ის გაყიდვის მიზნით გამოცხადდა კონკურსი. დასრულდა კომერციულ-შუამავლური ნაუთობპროდუქტებით მომარაგებული საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა, რომელთა აქციების საკონტროლო პაკეტი (51%) გაიყიდა კონკურსის (საინვესტიციო პირობებით) წესით, დანარჩენი აქციები კი აუქციონის წესით. ხოლო, სახელმწიფო კონცერნი „საქნაუთობპროდუქტი“ გარდაიქმნა ჰოლდინგურ კომპანიად.

განხორციელდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების ობიექტების პრივატიზება. სოფლის მეურნეობის საწარმოთა გარკვეული ნაწილი გადაეცა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში და ამის შემდეგ დაიწყო პრივატიზება. 1999 წლისათვის მთლიანად დასრულდა სოფლის მეურნეობის მომსახურე საწარმოების (საამშენებლო-სარემონტო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზების, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და სატრანსპორტო საწარმოების) პრივატიზება.

ამავე პერიოდში დამთავრდა კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის და პურპროდუქტების საწარმოთა, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (გარდა სპეციალიზებული მეურნეობების) ლოკალური სამელიორაციო და შიგარაიონული სისტემების პრივატიზება.

სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოთა პრივატიზების შედეგად, დიდი სიმძლავრის წისქვილ-ქარხნების (მარნეულის, გორის, ქუთაისის) ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოებები. „მარნეულის ელექვატორის“, „ელიტას“ და „წისქვილის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შესაბამისი საინვესტიციო პროგრამების განხორციელების პირობებით მიეყიდათ ინვესტორებს აქციების მინიმალური ღირებულების 20%-ში.

ქ. თბილისის მშენებარე ლუდის ქარხნის საინვესტიციო კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „გომბორ BGI“-ი. აღნიშნული ქარხნის ღირებულება 2,9 მლნ აშშ დოლარს უდრიდა. ფირმის დამფუძნებლები არიან ფრანგული კომპანია „BGI“ და ქართული შპს „ვერაზიმპექსი“.

სააქციო საზოგადოება „ფოთთევზის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შესაბამისი საინვესტიციო პროგრამების პირობით გადაეცა შპს „ოუშენ სი პროდუქტ ლტდ“-ს, რომელმაც გადაიხადა საკონტროლო პაკეტის ღირებულების 51%-ი.

განხორციელდა საამშენებლო დარგის ობიექტების პრივატიზების დასახული გეგმა. გატარდა კომუნალური მეურნეობის რეფორმა, მისი რესტრუქტურისაცია, შესაბამისი სამსახურები გადაეცა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში.

რუსთაისა და კასპის ცემენტის ქარხნების ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოებები და მათი აქციათა (51%) საკონტროლო პაკეტი გაიყიდა კონკურსის (საინვესტიციო პირობებით) წესით, ხოლო დარჩენილი აქციები აუქციონის წესით. დანარჩენი საამშენებლო, სარემონტო, საექსპლუატაციო, სხვადასხვა პროფილის კომბინატებისა და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების პრივატიზება განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განხორციელდა სატრანსპორტო დარგის ობიექტების რესტრუქტურისაცია და შესაბამისი საწარმოები გადაეცა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში, შემდგომ მოხდა მათი პრივატიზება.

საქართველოს რკინიგზის ინსტიტუციონალური მოწყობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე დაფუძნდა შპს „საქართველოს რკინიგზა“ და დაიწყო მისი არასაწარმოო დანიშნულების ინფრასტრუქტურული საწარმოების

(200-მდე ობიექტის) პრივატიზების პროცესი. სააქციო საზოგადოებებად დაფუძნების შემდეგ გაიყიდა თბილისის ელმაველმშენი ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტი (51%) კონკურსის (საინვესტიციო პირობებით) წესით. რკინიგზის სავაჭრო-საბითუმო ბაზები, მომსახურების სფეროს, სოციალურ-კულტურული დანიშნულების, მშენებლობის დაუმთავრებელი საამშენებლო ობიექტები, ძველი ამორტიზებული შენობა-ნაგებობები და სხვა.

კავშირგაბმულობის საშუალებებზე ქვეყნის ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით განხორციელდა მათ დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციებისა და საწარმოების რესტრუქტურისაცია და დემონოპოლიზაცია, ჩატარდა შპს „ელექტროკავშირის“ საქალაქო და ადგილობრივი სატელეფონო ქსელების ავტომატური სატელეფონო სადგურების, საკაბელო მეურნეობის, პრივატიზება უპირატესად კონკურსის (საინვესტიციო პირობებით) წესით.¹

ქონების მართვის სამინისტროს მიერ შესაბამის უწყებებთან და სამსახურებთან ერთად მომზადდა „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“, „ქიმბოჭკოს“, „მადნეულის“, „ხესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ და სხვა მთელი რიგი სააქციო საზოგადოებების აქციათა საკონტროლო პაკეტების მართვის უფლებით სხვადასხვა უცხოური ფირმებისათვის გადაცემის საკითხი.

სააქციო საზოგადოებებად გარდაიქმნა „თბილისის აეროპორტი“, რომელთა აქციათა 100%-ი დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში. ხოლო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ავიახაზების“ აქციათა პაკეტის პრივატიზების მიზნით გამოცხადდა ტენდერი.

მსოფლიო ბანკთან შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა ქუთაისში სააქციო საზოგადოებების „მედეას“, „სატრაქტორო ქარხნის“, „კოლხიდას“, „ლიტოფონის ქარხნის“, „ელექტრომექანიკოსის“ და სხვათა რესტრუქტურისაცია-რეორგანიზაცია და დაიწყო მათი აქციების პრივატიზება. ამასთან დაკავშირებით გამოიყო მსოფლიო ბანკის კრედიტი.

მომზადდა პროექტები, „საქართველოს კომუნიკაციის სექტორის პრივატიზების სტრატეგიის შესახებ“, აგრეთვე, ფოთის საზღვაო ნავსადგურის რესტრუქტურისაცია და პრივატიზების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ფოთის საზღვაო ნავსადგურის ქონების ბაზაზე შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ რეორგანიზაციას.

1. ხანთაძე შ. - პრივატიზაციის ზოგიერთი საკითხი. „სესესპსკი“ ტ. III, 1998წ., გვ. 176-180.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის სარეაბილიტაციო კრედიტის გამოყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო ობიექტების შერჩევა საპრივატიზებოდ, რაც თავისთავად გულისხმობდა მსხვილ საწარმოთა აქციების გაყიდვას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საერთაშორისო ტენდერების მეშვეობით. ასეთი ტენდერები მოეწყო – თბილისის მშენებარე „ლუდის ქარხნის“, სააქციო საზოგადოება „მადნეულის“, „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ და სხვა საწარმოთა საკონტროლო პაკეტის მართვის უფლების გადაცემაზე.¹

ტენდერი შესდგა სააქციო საზოგადოება „მინის“ (ქსნის მინისტარის ქარხანა) აქციათა 76%-ის გამოსყიდვაზე, სადაც გაიმარჯვა თურქულმა ფირმამ „შიშეჯამმა“, ჩატარდა კონკურსი სააქციო საზოგადოება „ბაგრატიონი 1882“-ის (თბილისის შამპანიურის ქარხანა) აქციათა 75,95%-ის შესყიდვაზე. ამ კონკურსში გაიმარჯვა ამერიკულმა ფირმამ „აგრობიზნეს-მენეჯმენტ კომპანი ლ.ლ.ჯ.“-მ.

ეკონომიკური რეფორმების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მიზანშეწონილად იქნა ასევე მიჩნეული პრივატიზების პროცესის წარმატებით განხორციელება ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემაში. სამინისტრომ დაამტკიცა საწყისი გასაყიდი ფასი ჯანმრთელობის დაცვის 36 ობიექტზე. განაცხადი პირდაპირი გაყიდვის თაობაზე შემოიტანა 21 ობიექტის შრომითმა კოლექტივმა. ჯანდაცვის სფეროში მოხდა რეგულირებადი სამედიცინო ბაზრის ჩამოყალიბება და მასთან ადაპტირებული სამეურნეო სუბიექტების ფორმირება, რასაც მოჰყვა სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების (მესაკუთრეთა სუბიექტების) შექმნა. ჯანდაცვის სფეროს მიკუთვნებული ობიექტების პრივატიზების პირველ ეტაპზე (1998 წლის პირველ ნახევარში) ძირითადად დასრულდა აფთიაქების, სტომატოლოგიური პოლიკლინიკებისა და სარეაბილიტაციო ობიექტების პრივატიზება, მომდევნო ეტაპზე (1998 წლიდან 2000 წლამდე) განხორციელდა კლინიკურ-დიაგნოსტიკური დაწესებულებების, დისპანსერების, პოლიკლინიკების და სტაციონარების პრივატიზება.

საპრივატიზებო სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებები, თავისებურებებისა და ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცვის მიხედვით დაიყო სამ ჯგუფად:

1. გაბუნია მ. – სახელმწიფო ქონების მართვისა და ტრანსფორმაციის ზოგიერთი საკითხი. „სესეპსკი“, ტ. III, 1997წ., გვ. 180.

- სახელმწიფო შეკვეთის, საბაზრო პროგრამით მუშაობისა და ვიწრო პროფილის შენარჩუნების აუცილებელი პირობით („ა“ ჯგუფის ობიექტები);
- 10 წლის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულებების პროფილის შენარჩუნების აუცილებელი პირობით („ბ“ ჯგუფის ობიექტები);
- სამედიცინო დაწესებულებების პირობების შეზღუდვის გარეშე („გ“ ჯგუფის ობიექტები).

რაც შეეხება სასიცოცხლოდ აუცილებელი ჯანდაცვის სახელმწიფო ობიექტებს, მათი პრივატიზება საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

პრივატიზების მეორე ეტაპზე ჩატარდა განათლების სფეროს პრივატიზება. 1999 წლის ბოლოს ძირითადად დასრულდა მშენებარე ობიექტების, სასწავლო დაწესებულებებისათვის გამოუყენებელი შენობა-ნაგებობების, არადანიშნულებით გამოყენებული შენობების და სხვა დამხმარე დანიშნულების ობიექტების პრივატიზება, ხოლო 2000 წლიდან განხორციელდა მოქმედ სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო დაწესებულებების პრივატიზება.

პრივატიზების მეორე ეტაპზე ასევე დასრულდა აგეგმიური რესპუბლიკების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების გეგმები.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში წარმოშობილი მწვავე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების ერთდროული და ერთმანეთის პარალელურად გადაჭრა მეტისმეტად რთული აღმოჩნდა. ყოველივე ეს საქართველოში, როგორც ეკონომიკურად ჯერ კიდევ სუსტად განვითარებულ ქვეყანაში, ამუხრუჭებდა ეკონომიკური რეფორმების, კერძოდ მისი ქვაკუთხედის პრივატიზების პროცესის ნორმალურად მსვლელობას.

ზემოთ აღნიშნული სიძნელების მიუხედავად პრივატიზაციამ როგორც პირველ, ასევე მეორე ეტაპზე ფართო მასშტაბი შეიძინა. მეორე ეტაპზე სულ აქციონირებული იქნა 1121 საწარმო, ანუ სააქციო საზოგადოებებად გარდასაქმნელ ობიექტთა 86,8%. რაოდენობის მიხედვით სააქციო საზოგადოებების მეტი წილი შექმნილია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობაში 28,5%, მშენებლობასა და არქიტექტურაში 19,2%, ხოლო მრეწველობაში 15,6%. „კერძო პირებს აქვთ აქციების 66,2%, უცხოელ ინვესტორებს 19,7%, საინვესტიციო ფონდებს 3,8%, იურიდიულ პირებს 10,7%. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დაფუძნებული სააქციო საზოგადოების აქციების 51%-ზე მეტი პრივატიზებულ იქნა 850-ზე მეტ საწარმოში, 70%-ზე მეტი 623 საწარმოში,

ხოლო 100%-ი 363 საწარმოში.¹

დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებებში პრივატიზების დონის შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მთელი აქციებიდან გაყიდულ აქციათა ხვედრითი წონა, ანუ მოქალაქეთა საკუთრებაში აქციების გადასვლა. მცირე პრივატიზებისას ეს პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობდა საპრივატიზებო საწარმოს საწესდებო კაპიტალის უფრო მცირე მოცულობის გამო, ხოლო პრივატიზების მეორე ეტაპზე აქციონირებულ საშუალო და მსხვილ საწარმოებში აქციათა პრივატიზების პროცესი კიდევ უფრო შენედა.

მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა იქონია სახელმწიფო საკუთრების მიზანმიმართულ ტრანსფორმაციის პროცესზე. ამის ნათელი მაგალითია მრეწველობის დარგი. აქ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების დიდი ნაწილი, მეტწილად მსხვილ საწარმოთა აქციები გაუყიდავი დარჩა.

გ) სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების მესამე ეტაპი

საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების მესამე ეტაპი მოიცავს 2003 წლიდან პერიოდს და გრძელდება დღესაც. ამ გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის დაჩქარება და ძირითადად დასრულება. ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისათვის ლიბერალური და მიმზიდველი გარემოს შექმნა. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ შესაძლო პარტნიორების გამოვლენა და ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობისათვის ხელშეწყობა.

2003 წლიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხელისუფლების მითითებით ფართომასშტაბიანი ე.წ. „აგრესიული“ პრივატიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო.

სამინისტრომ გამოაქვეყნა 2004–2006 წლებში საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა. ნუსხაში 372 ობიექტი შევიდა. (იხ. დანართი №1), სადაც უდიდესი ნაწილი შედარებით მცირე ობიექტებს წარმოადგენს. ამასთან ამ ნუსხაში ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი (ე.წ. პრიორიტეტული) საწარმოებიც ფიქსირდება, როგორებიც არის „თბილავიამშენი“,

1. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი წლების მონაცემები.

„რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, „ჭიათურმანგანუმი“, „აზოტი“, „საქართველოს ელექტროკავშირი“, „საქართველოს ტელეკომი“, „თბილისის საეთაშორისო აეროპორტი“, „ფოთის პორტი“, ენერჯო ობიექტები, კავშირგაბმულობის ობიექტები და ა.შ. ნუსხის განახლება, შევსება და სხვა სახის დაზუსტებები, როგორც ამას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გეპირდება პერიოდულად მოხდება. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვისათვის საკანონმდებლო აქტების შემუშავება და სხვა.

როგორც ვხედავთ, დაგეგმილია ტოტალური პრივატიზაცია, რომლის მსგავსი ჯერ არცერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა.

როგორც ვნახეთ ნუსხაში შეტანილია ობიექტები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სახელმწიფოს ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, ეს ობიექტებია: საზღვაო პოსტები, წყლის ეკვატორია, ჰიდროელექტროსადგურები, მაგისტრალური გაზსადენები, ელექტრო-ენერგეტიკული სისტემის დისპეტჩერიზაცია, ჰიდრორესურსები და სხვა. რაც ჩვენი აზრით სწორი არ არის. საქართველოს კანონში –“სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ პირველი თავის მე-4 მუხლში ზოგადად მითითებული იყო “სახელმწიფო ქონების ჩამონათვალი რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება:“

- ა) წიაღისეული, წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და სასაზღვრო ზოლი, ტყის ფონდი, საჰაერო სივრცე, დაცული ან განსაკუთრებული წესით გამოსაყენებელი ბუნებრივი ტერიტორიები;
- ბ) დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობების ობიექტები, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები, კინო-ფოტო და ფოტო დოკუმენტების სახელმწიფო ფონდი, სახელმწიფო მუზეუმები, თეატრები, საქართველოს სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები;
- გ) სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი;
- დ) ელექტროენერგეტიკული სექტორის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სამსახურები;
- ე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ფუნდამენტური მეცნიერების დაწესებულებები, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და მათდამი დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს;

- ვ) საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურების ნავმისადგომები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, შუქნიშნები და აკვატორიები;
- ზ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა, გაზის მაგისტრალური მილსადენი, საავტომობილო გზები, თვითმფრინავების ფრენის მართვის სისიტემები და ასაფრენ დასაფრენი ზოლები;
- თ) უშიშროების, შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლოს სისტემის საშტატო და სარეზერვო ქონება;
- ი) სიხშირეთა სპექტრი, სახელმწიფო საფოსტო კავშირის, რადიო-სატელევიზიო მაუწყებლობის, საქალაქთაშორისო-საერთაშორისო სატელეფონო კავშირის სამთავრობო კავშირის საშუალებები და საქართველოს პოზიცია გეოსტაციონალურ ორბიტაზე;
- კ) საწარმოები, რომლებიც ამზადებენ რადიოაქტიურ და სამხედრო დანიშნულების მასალებს, მათი საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო დაწესებულებების ქონება;
- ლ) სახელმწიფო სასაფლაოები და პანთეონები;
- მ) სახელმწიფო წყალსადენისა და საკანალიზაციო მეურნეობის ერთიანი სისტემა;
- ნ) დადგენილი წესით დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები;
- ო) სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები.

ეს ჩამონათვალი საზღვარგარეთის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებით იყო შედგენილი. აღნიშნულის საფუძველზე – სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ – საქართველოს კანონში დაფიქსირდა მთელი რიგი ობიექტები და საწარმოები. ისინი სტრატეგიულ ობიექტებად იქნა აღიარებული და აიკრძალა მათი პრივატიზება. მაგრამ საქართველოს პარლამენტის 1998 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ კანონში, მთავრობის ეკონომიკური გუნდის მოთხოვნით შეტანილ იქნა ცვლილებები, კერძოდ იმ მუხლში, რომლითაც იკრძალებოდა სათბობ-ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის, სახელმწიფო წყალსადენისა და საკანალიზაციო მეურნეობის და სხვა სტრატეგიულად მიჩნეული ობიექტების პრივატიზება.

პარლამენტის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებით დაირღვა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების მსოფლიო პრაქტიკით აპრობირებული პოლიტიკა.

სწორად არ მოხდა საზოგადოებრივი საკუთრების – სახელმწიფო ქონებად და საპრივატიზებო ქონებად გამიჯვნა.

საქართველოს მთავრობის 2002 წლის 11 სექტემბრის №35 საოქმო დავალების და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2002 წლის 25 სექტემბრის №36 საოქმო დავალების შესრულების მიზნით ქონების მართვის სამინისტროს უნდა მოემზადებინა ქვეყნისათვის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტთა ნუსხა, რომელთა პრივატიზება საბოლოოდ იქნებოდა კანონმდებლობით აკრძალული.

სამწუხაროდ, ასეთი ნუსხა დღესაც არ არის შედგენილი. ამასთან, სახელმწიფოს მესაკუთრის საუკეთესო თვისებები და უნარი შესწევს უპატრონოს ქონებას და ეფექტიანად გამოიყენოს იგი. უწიგნურებაა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო თავისი ბუნებით ცუდი მესაკუთრეა საერთოდ და არ შეუძლია მაღალეფექტიანი წარმოების შექმნა. თვით კერძო მესაკუთრეები სახელმწიფოსაგან ელიან მათი საკუთრებისა და უფლებების დაცვას, მხარდაჭერას და როგორც წესი იღებენ კიდევ. მეორეც, მასობრივი, დაჩქარებული პრივატიზაცია და ბაზარზე საწარმოთა დიდი რაოდენობით გამოტანა ფასის უკიდურესად დავარდნას, წამგებიანად გაყიდვას ნიშნავს. ამდენად, მიზანი უნდა იყოს არა ყველაფრის გაყიდვა ხალხის დაუკითხავად, არამედ ყველაფრის ამუშავება, სათანადო ღონისძიებათა განხორციელება. ასეთ საკითხებზე საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება საზოგადოების მონაწილეობით, სპეციალისტთა მიერ, პრივატიზაციის მოსალოდნელი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების დეტალურად დათვლის, ანალიზის, შეფასების საფუძველზე და არა კაბინეტებში რამდენიმე ადამიანის ურთიერთშეთანხმებით. რატომღაც საქართველოში გაბატონებულ მოსაზრებად იქცა განსახელმწიფოებრივების პროცესის რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში განხორციელება, რასაც “რეფორმატორები“ ამართლებენ კერძო მეწარმეობის განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე უსწრაფესად გადასვლის მოტივებით, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მთავრობის მიერ სათანადო ყურადღება არ ექცევა სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩენილი საწარმოების ეფექტიანობას.

სახელმწიფოებრივი საკუთრების ტრადიციული როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ, ხელი შეუწყოს იმ დარგების განვითარებას, რომლის შექმნა კერძო სექტორს არ ძალუძს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფომ თავისთავზე აიღოს დაბალრენტაბელური და ზარალიანი წარმოება (აქ არ მიიღტვის კერძო კაპიტალი), რომელთა წარმოებაზე მთლიანად უარის თქმა

ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს. ორივე შემთხვევაში სახელმწიფო სექტორის შენარჩუნება აუცილებელია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი პრივატიზებას არ ექვემდებარება და იგი კვლავ სახელმწიფო განკარგულებაში უნდა დარჩეს. აქ იგულისხმება სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული დარგები, რომელთა ნუსხა წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული. სახელმწიფომ თავის განკარგულებაში უნდა დაიტოვოს მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა ნაწილი, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სპეციალური საწარმოები, რათა მათ საშუალება ჰქონდეს ეკონომიკური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის შიდა და საგარეო ბაზარზე. ასეთი საწარმოები შეიძლება გამონაკლისის სახით პრივატიზებული იქნენ აქციონირების წესით, მაგრამ მათი ქონების საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს. სამწუხაროდ აღნიშნული ჭეშმარიტება ვერ გაიგეს მთავრობაში. მთავრობამ საჭიროა საკუთარ თავზე აიღოს მთელი რიგი დარგების დაფინანსება, უნდა შეიძინოს კიდევაც ისინი სახელმწიფო საკუთრებაში და დამოუკიდებლად მართოს მათი საქმიანობა. ამ ვარიანტის აუცილებლობის დასასაბუთებლად საჭიროა ერთის მხრივ, “ინდივიდუალური საქონლისა და მომსახურების“, ხოლო მეორეს მხრივ, “საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების“ კატეგორიების განხილვა.

არსებობს განსაზღვრული საქონლი და მომსახურებები ე.წ. საზოგადოებრივი ანუ სოციალური სიკეთეები (საქონელი და მომსახურებები), რომლებიც დაუყოფადია. ისინი იმდენად მსხვილი ერთეულისაგან შესდგება, რომ, როგორც წესი, არ შეიძლება გაიყიდოს კერძო მყიდველებზე. ადამიანებს შეუძლიათ ჰამბურგერების, კომპიუტერების, მანქანებისა და სხვათა შექმნა, მაგრამ, არა რაკეტა “პატრიოტების“, ჩქაროსნული ავტოსტრადების, კოსმოსური ხომალდების, ტელესკოპების და საჰაერო ტრანსპორტის მართვის სისტემების და სხვათა შექმნა.

უფრო მეტიც, საზოგადოებრივ მომსახურებასა და სიკეთეზე არ ვრცელდება გამონაკლისის პრინციპები. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი სარგებლობიდან ინდივიდების ჩამოშორების (გამოყოფის) ეფექტიანი ხერხი. ამ სიკეთეებით ერთდროულად სარგებლობს მთელი საზოგადოება. მაგალითად, ისეთი დარგები როგორებიცაა: ეროვნული თავდაცვა, წყალდიდობების კონტროლის სისტემა, ჯანდაცვა, სათანამგზავრო სანავიგაციო სისტემები, მანქანების მწერებთან და სხვადასხვა ეპიდემიურ დაავადებებთან ბრძოლა და სხვა - ყველაფერი ეს საზოგადოებრივ სიკეთეთა მაგალითებია. რამდენადაც აქ გამონაკლისის პრინციპი არ მოქმედებს, კერძო

საწარმოებს არანაირი ეკონომიური სტიმული არ გააჩნიათ ასეთი უმსხვილესი ობიექტების მშენებლობისათვის. თუ საზოგადოებას სურს ჰქონდეს ასეთი საქონელი და მომსახურებები, მათი წარმოება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო სექტორმა, ხოლო მისი წარმოების დაფინანსების წყარო უნდა იყოს მოსაკრებლები გადასახადების სახით.

როგორც ვხედავთ, ძირეული განსხვავება ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ სიკეთებს შორის დაკავშირებულია გამონაკლისის პრინციპის გამოყენებასთან. მაგრამ სახელმწიფო აწარმოებს ასევე მრავალ სხვა საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მიმართ გამონაკლისის პრინციპი შეიძლება იქნეს გამოყენებული. ისეთი საქონელი და მომსახურებები, როგორცაა განათლება, გზები და ავტოსტრადები, საპოლიციო და სახანძრო სისტემები, ბიბლიოთეკები და მუზეუმები, კულტურისა და დასვენების პარკები, პროფილაქტიკური მედიცინა, კანალიზაცია, გამონაკლისის პრინციპს ექვემდებარება, ე.ი. კერძო მწარმოებლებს შეუძლიათ დააწესონ საზღაური (ფასები) და შესთავაზონ მომხმარებლებს საბაზრო სისტემის ფარგლებში. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი წარმოადგენენ მომსახურებებს, რომლებსაც თან ახლავთ გადადენის დიდი სარგებლობები და რომლებიც შეიძლება არ ეწარმოებინა საბაზრო სისტემას საკმარისი რაოდენობით. ამიტომ, ამ მიზნით რესურსების არასაკმარისი გამოყოფის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ასეთ შემთხვევაში მოხდებოდა, სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს მათ წარმოებას. მსგავს საქონელსა და მომსახურებას კვაზი-საზოგადოებრივ სიკეთეს უწოდებენ.¹

1. მაკონელი კ.რ., ბრიუ ს. ლ. – ეკონომიკისი. ტ. 1. თბ., 2001წ., გვ. 237–239. (1133გვ).

თავი III. პრივატიზება ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში

3.1 პრივატიზება მრეწველობაში

საქართველოს მრეწველობაში პრივატიზაციის პირველ ეტაპზე ე.ი. 1993–1997 წ.წ. სულ პრივატიზებული იყო 2470 საწარმო, ანუ საერთო რაოდენობის 80,2%. მათ შორის: სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში – 21,1%, მეტალურგიულ მრეწველობაში 52,4%, ქიმიურ მრეწველობაში – 80,0%, მანქანათმშენებლობაში – 71,1%, ხე-ტყის გადამამუშავებელ და ქაღალდის მრეწველობაში – 95,4%, მსუბუქ მრეწველობაში 66,0%. მრეწველობის ცალკეული დარგებიდან პრივატიზებულ საწარმოთა მაღალი წილით გამოირჩეოდა ხე-ტყის გადამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობა, სადაც პრივატიზებული იყო 95,4%, აქ გამომუშავებული პროდუქციის მოცულობაში პრივატიზებულ საწარმოთა წილი 97,6%-ს შეადგენდა.

სრულიად საპირისპირო სურათი იყო მანქანათმშენებლობაში, სადაც პრივატიზებულ საწარმოთა წილი 71,1%-ს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 72%-ს უდრიდა. ასევე დაბალი იყო პრივატიზებულ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის წილი სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში და მეტალურგიულ მრეწველობაში. ამ მხრივ შედარებით უკეთესი სურათი იყო მსუბუქ მრეწველობაში, სადაც პრივატიზებულ საწარმოთა 66% აწარმოებდა გამოშვებული პროდუქციის მოცულობის 72%-ს (იხ. ცხრილი №3).

ა) პრივატიზება ქიმიურ მრეწველობაში

ქიმიურ მრეწველობაში ე.წ. „მცირე პრივატიზაციის“ პროგრამის განხორციელება 1993 წელს დაიწყო კერძოდ, ადგილობრივი მნიშვნელობის ქიმიურ საწარმოთა (ლაქსალევაების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის) პრივატიზება. პრივატიზების შემდგომ ეტაპზე 1994–1996 წლებში ჩატარდა საშუალო და მსხვილ საწარმოთა განსახელმწიფოებრივება – სააქციო და სააქციო-პოლდინგურ საზოგადოებებად ჩამოყალიბება. საწარმოთა მართვის იურუდიულ-სამართლებრივ ფორმებად შეირჩა შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებები.

ცხრილი №3

პრივატიზებულ საწარმოთა ხვედრითი წონა მრეწველობაში 1997 წელს
(პროცენტობით)¹

დარგები	პრივატიზებულ საწარმოთა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წონა	მომუშავეთა ხვედრითი წონა	ძირითად საწარმოო ფონდების ხვედრითი წონა
მრეწველობა სულ: მათ შორის	80,2	39,1	39,2	-
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	21,1	14,4	2,7	3,9
მეტალურგიული მრეწველობა	52,4	33,8	27,7	32,4
ქიმიური მრეწველობა	80,0	7,2	5,6	8,7
მანქანათმშენებლობა	71,1	7,2	9,7	18,7
ხე-ტყის გადამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობა	95,4	97,6	1,0	0,4
მსუბუქი მრეწველობა	66,0	72,0	70,0	65,0

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემებით სააქციო საზოგადოებათა ნუსხაში რეგისტრირებულია 48 ქიმიური საწარმო და ორგანიზაცია. სააქციო საზოგადოებებიდან 6 სახელმწიფოებრივი მართვის საწარმოა, რადგან მათ მიერ წარმოებული პროდუქცია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და პრივატიზებას არ ექვემდებარება.

საქართველოში ქიმიურ საწარმოთა რესტრუქტურისა და ჩატარდა არახელსაყრელ პირობებში. თითქმის ყველა საწარმოს ტექნიკური საშუალებები და ტექნოლოგიური ხაზები ფიზიკურად და მორალურად მოძველებული იყო. საწარმოების უმეტესობას არ

1. შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ქონების მართვის სააგენტოს მონაცემების საფუძველზე

ჰქონდა საიმედო სათბობ-ენერგეტიკული, სანედლეულო ბაზა და ა.შ. ასეთ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება „რუსთავის ქიმიური ბოჭკოს და ძაფის ქარხანა“, „რუსთავის ქიმიური კომბინატი“, ქარხანა „რეკორდი“, „თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა“, „ქუთაისის ლითონფონის ქარხანა“ და სხვა.

რა თქმა უნდა, ასეთი ტექნიკური და ტექნოლოგიური რეჟიმის პირობებში წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი არ იყო და ამის გამო ამ საწარმოებს გაკოტრების საშიშროება ემუქრებათ.

რესტრუქტურირებული ტექნოლოგიური საწარმოების პრივატიზების პროცესი აგრეთვე შეაფერხა ქართველ მეწარმეთა ფინანსურმა სიძნელეებმა და ქვეყანაში სოციალური პირობების მკვეთრმა გაუარესებამ. ამას დაემატა ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, რომელთა შედეგად მნიშვნელოვანი ქიმიური საწარმოები უცხოელ ბიზნესმენტთა ხელში აღმოჩნდა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2003 წლის ბოლოს ქვეყანაში გამოშვებული ქიმიური პროდუქციის საერთო მოცულობიდან წარმოებული იყო სახელმწიფო საკუთრების საწარმოებში 92,8%, ხოლო კერძო საკუთრების საწარმოებში 7,2%.

ქიმიური პროდუქციის დარგობრივ სტრუქტურაში წარმოებული იყო: პოლდინგური კომპანია „სამთო ქიმიის“ მიერ 0,6%; ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის მიერ 3,8%. ნიშანდობლივია, რომ დამზადებული ქიმიური პროდუქციის მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი წილი 84,7% სააქციო საზოგადოება „რუსთავის ქიმიურ კომბინატზე“ მოდიოდა.

რეორგანიზაცია-რესტრუქტურირაცია ჩატარდა „რუსთავის ქიმიურ კომბინატში“. კომბინატიდან ტექნოლოგიური ნიშნით გამოიყო და დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის წარმოება (ქარხანა „ამო“).

რესტრუქტურირაციის პროცესი დამთავრდა პოლდინგურ კომპანია „სამთო ქიმიაში“. კომპანიას გამოეყო: ბარიტის მოპოვებისა და გადამუშავების სააქციო საზოგადოება „ქუთბარიტი“, კალციტისა და მისგან წარმოებული პროდუქციის დასამზადებლად - შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „იმერეთი“. სააქციო საზოგადოება „საქუმბრინს“ გამოეყო შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სააქციო საზოგადოება „საქუმბრინი“, შპს „კალციტი“, შპს „თოლია“, სააქციო საზოგადოება „ასკანიტი“, შპს „ასკანა“, შპს „ასკანგელა“, შპს „ჰარმონია“, შპს „პოლიმერი“. ხოლო მოგვიანებით განხორციელდა ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოთა რეორგანიზაცია - რესტრუქტურირაციის სამუშაოები, ასევე დასრულდა სააქციო

საზოგადოება „ბაქტერიოფაგის“ ტექნოლოგიურ-სტრუქტურულ ერთეულებად დაყოფა. „ბაქტერიოფაგს“ გამოეყო და დამოუკიდებელ სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბდა: ს/ს „ბაქტერიული პრეპარატები“, ს/ს „ბიოფერმა“, ს/ს „ლითოფილიზაცია“, ს/ს „ვეობისტიკები“.

სააქციო საზოგადოებათა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი საწარმოების ვალდებულებების გამიჯვნა მოხდა თითოეული საწარმოს ქონებრივი წილის პროპორციულად.

ბ) პრივატიზება მანქანათმშენებლობაში

საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოთა საერთო რაოდენობიდან (87 საწარმო) პრივატიზებული იქნა 74, მათგან სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბდა 71, ხოლო „იჯარა-გამოსყიდვის უფლებით 3 საწარმო. პრივატიზების პროცესების განხორციელებაში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო, არაა პრივატიზებული აფხაზეთში 4, ხოლო ცხინვალში 2 საწარმო.

ქონების მართვის სამინისტრომ 1997 წლის 21-31 ივლისს ეროვნული ბანკის ფილიალების დახმარებით ჩაატარა ნულოვანი აუქციონი. მანქანათმშენებლობის 8 სააქციო საზოგადოების მიერ ნულოვან აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იყო 12839225 აქცია. აუქციონზე გამოტანილი ყველა აქცია გაიყიდა. აუქციონზე გამოტანილი ქონების დიდი ნაწილი უცხოელებმა შეიძინეს, აქციების გაყიდვის შედეგად შემოსულმა თანხამ სულ 74275 ათასი ლარი შეადგინა.

გაჩერებული, ნახევრადგაძარცვული საწარმოების აღდგენა-ამუშავების კონკრეტული ღონისძიებების გატარების ნაცვლად მთავრობამ მონახა „მარტივი გამოსავალი“ - ჩაატარა საწარმოთა პრივატიზების ნულოვანი აუქციონი და პრივატიზაციას მისცა მსოფლიოში უპეცენდენტო დამახინჯებული ფორმა - 270 საწარმო 5 მილიონ ლარად გაიყიდა. (მათ შორის მანქანათმშენებელი მრეწველობის 8 საწარმო 9742,8 ათას ლარად). ეს არ იქნებოდა დიდი უბედურება, რომ აღნიშნული საწარმოები მეწარმეებს ასამუშავებლად რომ შეეძინათ. მაგრამ ტრაგედიის ტოლფასი აღმოჩნდა ის რომ ამ ქონების უფრო დიდი ნაწილი შემთხვევითმა ხალხმა შეიძინა, მათ რამდენიმე თვეში ჯართის სახით, მიზეზურ ფასებში გაყიდეს მთელი მოწყობილობა-დანადგარები.

ამდენად, დღეს მანქანათმშენებლობაში ჩამოყალიბებული 74 სააქციო საზოგადოებიდან მხოლოდ 10% მუშაობს, ისიც 15–20% დატვირთვით, დანარჩენი გაჩერებულია ან მთლიანად ლიკვიდირებულია. ჩვენი აზრით მანქანათმშენებლობის სააქციო საზოგადოების მუშაობის ეფექტიანობას აფერხებს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები.

ობიექტურ მიზეზებს წარმოადგენს წარმოებისათვის ის არახელსაყრელი გარემო, რომელიც ქვეყანაში ჩამოყალიბდა სამოქალაქო ომის, ტერიტორიების დაკარგვის, რეგიონებს შორის უთანხმოების, კორუფციის, კონტრაბანდის, ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერების და რაც მთავარია, ეკონომიკაზე სახელმწიფო როლის შესუსტების გამო.

ქვეყანაში შიდა აშლილობისა და არეულობის დროს საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიზიდა და გაიყიდა ქვეყანაში და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში არსებული წარმოების საშუალებებათა დიდი მასა, ხოლო საწარმოებს რაც შემორჩათ წარმოების საშუალებების სახით, ისინი მორალურად გაცვეთილია. გაიზარდა წარმოების ინდივიდუალური დანახარჯები და სამამულო წარმოების პროდუქცია კონკურენტუნარო გახდა, საბოლოოდ ეროვნული წარმოება მოშალა.

მანქანათმშენებლობის სააქციო საზოგადოებებში პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირება გამოწვეულია აგრეთვე სუბიექტური ფაქტორებითაც. ყოველი ათი სააქციო საზოგადოების ამჟამინდელი ხელმძღვანელიდან ცხრა უწინდელი (საბჭოთა დროინდელი) დირექტორია. ეს ის ადამიანებია, რომელთა მოქმედების იმპულსი დაკავშირებული იყო ზემოდან დაშვებულ ბრძანებებსა და გარანტირებულ მომარაგება-გასაღების სისტემასთან. დღეს მათ ძალიან უჭირთ ბაზრის კარნახით მუშაობა, როცა ყველაფერი, რესურსების აკუმულირებიდან დაწყებული და საქონლის რეალიზაციით დამთავრებული, მათ ცოდნაზე, გამოცდილებაზე, ინიციატივაზე, მოხერხებულობაზე და რისკიანობაზეა დამოკიდებული.¹

მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ მიზეზს წარმოადგენს მეწარმეთა საკუთარი კაპიტალის უკმარისობა. სააქციო საწარმოებს არ გააჩნიათ საკმარისი ოდენობის შიგა წყაროები. საწარმოთა უმოქმედობისა და დაბალეფექტიანობის გამო გამორიცხულია მოგების, რეინვესტირების და ამორტიზაციის ფონდების გამოყენება, ბევრმა მეწარმემ სახსრები მთლიანად

1. სამადაშვილი უ. - სააქციო საზოგადოებების ეფექტიანი ფუნქციონირების გზები, ჟურნ. „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“, 1998 წ. №12, გვ. 57.

საწარმოთა გამოსყიდვას მონაღმმა და დღეს საბრუნავი კაპიტალის შევსებისა თუ ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის არავითარი საშუალება არ გააჩნია.

რაც შეეხება ინვესტირების საბანკო წყაროს - კრედიტს, მისი მოზიდვა გათულებულია სიძვირისა და სათანადო საგირავნო გარანტიების უქონლობის გამო. აქციების რეალიზაციით დამატებითი კაპიტალის მოზიდვას კი აფერხებს ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული მეორადი ბაზრის არ არსებობა.¹

ანალოგიურად მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა მანქანათმშენებლობაში საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნისა და პრივატიზების პროცესი.

პრივატიზების შედეგად, ისე როგორც მრეწველობის სხვა დარგებში, მანქანათმშენებლობაშიც დამკვიდრდა კერძო სექტორი, რომლის ხვედრითი წილი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით უმნიშვნელოდ იზრდება.

მაგალითად, 1997 წელს მანქანათმშენებლობის კერძო სექტორში გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილის (თავდაცვითი მრეწველობის საწარმოების გარეშე) პროდუქციის საერთო მოცულობაში 24,8%, ხოლო 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 50%-ი შეადგინა.

ამჟამად ქვეყნის მანქანათმშენებელ საწარმოთა დიდი ნაწილი არ მუშაობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2005 წელს 1957 წელთან შედარებით პროდუქციის მოცულობა 18,1% გაიზარდა. მათ შორის: სარკინიგზო მანქანათმშენებლობაში - 16,9%; საავტომობილო მრეწველობაში - 26,3%; გაზის მოწყობილობებისა და ნაკეთობების მრეწველობაში - 14,3%, მაგრამ ამავე პერიოდში შემცირდა პროდუქციის მოცულობა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში - 55,3%; ხელსაწყოთმშენებლობაში - 11,2%; ელექტროტექნიკურ მრეწველობაში - 2%.

გ) პრივატიზება მსუბუქ მრეწველობაში

საქართველოში მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა განსახელმწიფოებრივების პროცესი (აფხაზეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონების გარდა) 1998 წელს დასრულდა.

2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყანაში მსუბუქ მრეწველობაში ფუნქციონირებდა 45 სააქციო საზოგადოება. მათი აქციების წილი სახელმწიფოსა და

1. ჩომახიძე დ. - პრივატიზაცია მრეწველობის დარგებში. „სესესკი“, ტ. IV, 2001 წ. გვ. 422.

კერძო სექტორს შორის შემდგენაირად იყო განაწილებული: 1998 წლისათვის კერძო საწარმოები მაღალი ხვედრითი წონით იყო წარმოდგენილი. სამკერვალო - 90% და ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობაში - 87,5%. უახლოეს წლებში მთლიანად კერძო საკუთრებაში გადავიდა ბამბისა და შალის მრეწველობა.

90-იან წლებში საქართველოს ხელისუფლებამ ჩაატარა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაციისა და აღორძინების ღონისძიებები. კერძოდ, ამ მხრივ ცნობილია პრეზიდენტის 1996 წლის 31 მარტის №244 და 20 ივნისის №317 ბრძანებულებები. აღნიშნულ წლებში დადებით შედეგებს მიაღწია სამკერვალო და ტყავ-ფეხსაცმელის ცალკეულმა საწარმომ, სადაც პროდუქციის გამოშვების ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება მოხდა უცხოური ფირმების მონაწილეობით. ამასთან, საფეიქრო მრეწველობის ყველა ქვედარგში - ბამბის, შალის, აბრეშუმის და ტრიკოტაჟის მრეწველობაში პროდუქციის წარმოების ვარდნა სამწუხაროდ კვლავ გრძელდება.

ასევე შემცირდა მსუბუქი მრეწველობის თითქმის ყველა ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოება.

მსუბუქი მრეწველობის დარგში პრივატიზაციამ ჯერჯერობით დადებითი შედეგები ვერ გამოიღო. საკონტროლო პაკეტების მფლობელი საწარმოები მოკლებულნი არიან შესაბამის საინვესტიციო საშუალებებს, ხოლო საწარმოთა თვითგანვითარებისათვის ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა შესაბამისი გარემო. სააქციო საზოგადოებებმა ვერ მოახერხეს დაკარგული საბრუნავი საშუალებების შევსება, ვერ დაიბრუნეს თავიანთი ადგილი შიგა და საგარეო ბაზრებზე. ყოველივე აღნიშნულის გამო, შეიძლება ითქვას, რომ მსუბუქ მრეწველობაში სააქციო საზოგადოებები ფაქტობრივად არ ფუნქციონირებენ, მათი საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე საშუალოდ 1-3% არ აღემატება. სხვა ფაქტორებთან ერთად მათ ამოქმედებას ხელს უშლის გამოუყენებელი ძირითადი ფონდების დიდი მოცულობა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვევა საწარმოთა საქმიანობას არაწარმოებრივი ხარჯების სახით.

ამასთან, დარგის ძირითადი ფონდების 80% გაცვეთილია ფიზიკურად, რადგან 15 წელია არ ხდება მათი განახლება და უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება. ამიტომ აუცილებელია საწარმოთა ორგანიზებული და ტექნიკური რესტრუქტურისაციის პროცესის დაჩქარება.

დ) პრივატიზება კვების მრეწველობაში

კვების მრეწველობა მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობასთან და იმის მიხედვით თუ რა სახის სასოფლო-სამეურნეო ნედლეული გადამუშავდება, შესაბამისად ყალიბდება კვების მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა.

ამდენად, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება განსაზღვრავს კვების მრეწველობის დარგთა პროფილს, სპეციალიზაციას, სეზონურობის და გადაადგილებას. კვების მრეწველობის მატერიალურ დანახარჯებშიც უდიდესი წილი 92-95% მოდის შესაბამის ნედლეულზე. აქედან გამომდინარე, კვების მრეწველობის განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება მისი სანედლეულო ბაზის - სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

რეფორმების გზაზე სოფლის მეურნეობა უაღრესად მძიმე პირობებში აღმოჩნდა. 1996 წელს, 1990 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება. კერძოდ, ჩაის წარმოება - 8,4-ჯერ; ხილის - 1,4; ყურძნის - 1,9; ციტრუსების - 2,6; თამბაქოს - 4,5; რძის - 1,4-ჯერ და ა.შ.¹

კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზის შემცირება გამოიწვია - საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სოფლის მეურნეობაში ჩატარებული მიწის რეფორმის, პრივატიზაციის პროცესის არასწორედ წარმართვამ, რაც სტიქიურად და ქაოსურად მიმდინარეობდა. მიწაზე გადასახადების დაუსაბუთებელი განაკვეთების დაწესებამ და სათანადო სამართლებრივი ბაზის უქონლობამ, ფულად-საკრედიტო სისტემის მოშლამ, სასურველი მომსახურების უკიდურესად დაბალმა დონემ და ა.შ. გლეხებს პირად საკუთრებაში გადაეცა ხეხილის ბაღები, ვენახის ფართობები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები და ა.შ. სწორედ აღნიშნული კულტურები განსაზღვრავენ კვების მრეწველობის სპეციალიზებული დარგების: ჩაის, ღვინის, საკონსერვო მრეწველობის განვითარების დონეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პრივატიზებული მრავალწლიანი ნარგავების ფართობების დამუშავება გლეხმა ვერ შეძლო სათანადო ტექნიკის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, ფინანსური რესურსების არ არსებობისა და მთავრობის

1. დავითულიანი დ. ლომსაძე ლ. - კვების მრეწველობის პრობლემები და პერსპექტივები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. „სესეპსკი“, ტ. II. 1997 წ. გვ. 706-718.

მხრიდან ხელშეუწყობლობის გამო. ამას დაემატა ის, რომ პრივატიზებული მიწებიდან მიღებული მოსავალი, რომელიც ჩაბარდა გადამამუშავებელ საწარმოებს, სათანადოდ ვერ ანაზღაურდა და პრობლემად იქცა მათ მიერ მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია. ყოველივე ამის გამო, გლეხი იძულებული გახდა ამოეძიკვა ამ ნაკვეთებში მრავალწლიანი ნარგავები და მისი ადგილი დაიკავეს შედარებით იოლად მოსასვლელმა ერთწლიანმა კულტურებმა. მაშასადამე, სოფლის მეურნეობის კრიზისულმა მდგომარეობამ სერიოზული ზიანი მიაყენა კვების მრეწველობას, მთელ რიგ დარგებში მნიშვნელოვნად დაეცა საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონე და 1996 წლისათვის შეადგინა: ღვინის მრეწველობაში - 12%; ნატურალური და დაფასოებული ჩაის - 13%; ხილ-ბოსტნეულის კონსერვების - 4,7%; რძის - 12%, ხორცის - 1,8% ყველის - 1,6%. აღნიშნულმა გამოიწვია კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების შემცირება. მაგალითად, 1990-1996 წლებში შემცირდა: ნატურალური და დაფასოებული ჩაის წარმოება - 50%; ღვინის - 38%; შამპანურის - 36%; კონიაკის - 22%; ხილ-ბოსტნეულის კონსერვების - 38%; ხორცის - 44%; რძის - 65%; მინერალური წყლების - 63%-ით.

აღნიშნულ წლებში კვების მრეწველობის დარგის მკვეთრმა ჩამორჩენამ მნიშვნელოვნად შეაფერხა პრივატიზაციის პროცესი.

საქართველოში კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა პრივატიზების პროცესი ძირითადად 2001 წლის ბოლოს დამთავრდა. (იხ. ცხრილი №4)

კვების მრეწველობის პრივატიზებულ საწარმოთა რიცხვი ¹
(1998–2001 წ.წ.)

№	მაჩვენებლები	წლები	1998	1999	2000	2001
1	მრეწველობა სულ		3581	3456	2840	2826
2	გადამამუშავებელი მრეწველობა		3297	2713	2558	2578
3	კვების პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს დამუშავება		1982	1800	1648	1595
4	ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება, დამუშავება და კონსერვირება		52	35	28	29
5	ხორცის წარმოება და კონსერვირება		6	6	5	3
6	ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება და კონსერვირება		20	16	17	20
7	თევზისა და თევზპროდუქტების გადამამუშავება და კონსერვირება		4	1	3	3
8	კარტოფილის გადამამუშავება		1	1	-	-
9	ხილისა და ბოსტნეულის წვენების წარმოება		3	3	1	2
10	ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება და კონსერვირება, რომელიც არაა ჩართული სხვა კატეგორიაში		16	12	16	18

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

2000 წლის მდგომარეობით კვების მრეწველობაში 296 სააქციო საზოგადოება ირიცხებოდა, ისინი სახელმწიფო აქციების მხოლოდ 20% ფლობდა, გარდა ამისა შექმნილია 71 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლებიც ამ სექტორში პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებენ. ქვეყანაში სულ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა) 98 ჩაის ფაბრიკაა, აქედან პრივატიზებულია 88, სააქციო საზოგადოებად გარდაქმნილია 84, გაიყიდა კონკურსის წესით 2, გამოსყიდულია იჯარის გზით 2 ჩაის ფაბრიკა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში განსახელმწიფოებრივების მაჩვენებლის მიხედვით ჩაის ფაბრიკებს, მეღვინეობის საწარმოების შემდეგ, მეორე ადგილი უკავია. მათი განსახელმწიფოებრივების პროცესი ძირითადად 1994 წელს დამთავრდა. ჩაის ფაბრიკების აქციების მესაკუთრენი არიან შრომითი კოლექტივების წევრები, ცალკეული პიროვნებები და ფირმები.

პრივატიზების არასწორად ჩატარების გამო საქართველოს ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ პირთა ხელში გადავიდა, რომელთაც არ უფიქრიათ მის ეფექტიან გამოყენებაზე. მათ საკონსერვო ქარხნების წარმოების საშუალებათა ძირითადიდა უდიდესი აქტიური ნაწილი ჯვართის სახით გაყიდეს საზღვარგარეთ.¹

არასწორად გატარებულმა პრივატიზებამ განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა კვების მრეწველობის დარგებზე, რასაც მოჰყვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დატაცება-განადგურება, საწარმოთა მიმართულების (პროფილის) შეცვლა, დასაქმებულთა შემცირება, კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების კატასტროფული დაცემა და ამის შედეგად არამარტო საგარეო, არამედ შიგა ბაზრის დაკარგვაც. ეს განსაკუთრებით ეხება ჩაის და ღვინის მრეწველობას.

რეფორმის მთელი სავალალო შედეგები მთელი სისრულით გამოვლინდა საქართველოს კვების მრეწველობის ცალკეულ დარგებში. მათ შორის, საკონდრიტო წარმოებაში.

საქართველოში არსებული ხუთი საკონდრიტო ფაბრიკიდან (ქუთაისის - „ნუგბარი“, თბილისის - „მზიური“ და „საამო“, ბათუმის და სოხუმის) პრივატიზებულია ოთხი, გარდა სოხუმის საკონდრიტო ფაბრიკისა.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში ამ საწარმოთა პრივატიზების შემდეგ საგრძნობლად

1. კაპანაძე ი. - პრივატიზაციისა და რესტრუქტურისაციის პროცესები საკონსერვო წარმოებაში. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“ №6, 2002 წ., გვ. 118-124.

გაუარესდა საკონდიტრო წარმოების მდგომარეობა. შექმნილ სააქციო საზოგადოებებში შემცირდა მოგების, შრომის მწარმოებლობის, ფონდუკუგებისა და მოგების მაჩვენებლები.

საბჭოთა პირობებში საკონდიტრო მრეწველობა ორიენტირებული იყო საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე. 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც საკონდიტრო მრეწველობა სრული დატვირთვით მუშაობდა, ყოველწლიურად საკონდიტრო წარმოების მოცულობა 66,6 ათას ტონას შეადგენდა. მისი 64% მოიხმარებოდა შიგა ბაზარზე, დანარჩენი საზღვარგარეთის ქვეყნებში გადიოდა.¹

ამჟამად საკონდიტრო მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება მეტისმეტად მაღალია, იგი ვერ გადის საგარეო ბაზარზე თავისი დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო. დღეს როდესაც საბაზრო ეკონომიკა მეტისმეტად ძნელად, მაგრამ გზას მაინც იკაფავს, ახალი რეალობისაკენ, კვების მრეწველობის დარგის ადაპტირებას უდუდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ყველაზე დიდი საექსპორტო პოტენციალის დარგს.

პრივატიზაციის პროცესის ჩატარების დროს დაშვებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით, საჭიროა გადაისინჯოს სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის დადებული სახელშეკრულებო ვალდებულებები და დაწესდეს მკაცრი კონტროლი მათ შესრულებაზე სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო პრივატიზების გარეშე დარჩენილი სტრატეგიული დანიშნულების საწარმოებში პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეული იქნეს სააქციო საზოგადოებების შექმნა ერთობლივი საწარმოების სახით უცხოელ პარტნიორებთან ერთად.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს რესპუბლიკების კვების მრეწველობის აღორძინებას და მისი როლის ამაღლებას, როგორც ადგილობრივი ნაწარმით მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ისე ქვეყნის სავალუტო რესურსებით შევსების უზრუნველყოფას.

1. გურაბანიძე ვ. – პრივატიზაციის შედეგები საკონდიტრო მრეწველობაში. ჟურნ., „სოციალური ეკონომიკა“ №4, 2001წ., გვ. 104–107.

3.2. პრივატიზება სათბობენერგეტიკულ კომპლექსში

საქართველოს სამრეწველო წარმოებიდან რესტრუქტურისაცია პირველად სათბობენერგეტიკულ კომპლექსში, კერძოდ ელექტროენერგეტიკაში განხორციელდა. ამას საფუძვლად დაედო „ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის №437 ბრძანებულება.

ამ დოკუმენტის შესაბამისად დეპარტმენტ „საქენერგოს“ რეორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფინანსურად დამოუკიდებელი გენერაციის, გადაცემა-დისპეტჩერიზაციის და განაწილების სისტემები.

გენერაციის ქვესექტორში შემავალი საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებული 15 საწარმოს ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოებები. შემდგომში, გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სტრუქტურა გარდაიქმნა ერთიან კომერციალიზებულ, ფინანსურად ავტონომიურ სახაზინო საწარმოდ „საქენერგოდ“, ხოლო განაწილების სტრუქტურები დაცალკევედა ტერიტორიული პრინციპით.

ანალოგიურად განხორციელდა გაზის მეურნეობის რესტრუქტურისაცია, კერძოდ, დეპარტმენტ „საქგაზის“ და სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრეწვის“ ბაზაზე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 20 აპრილის №206 ბრძანებულებით ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს საერთაშორისო გაზის კორპორაცია“. მასვე გადაეცა სახაზინო საწარმო „საქტრანსგაზმრეწვის“ მაგისტრალური გაზსადენები.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 29 დეკემბრის №776 ბრძანებულების „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის შესახებ“ შესაბამისად განისაზღვრა მცირე სადგურების: მაჭახელაჰესის, აჭიჰესის, კინკიშაჰესის, შატილჰესის, ღორეშაჰესის, ყაზბეგჰესის, კეხვიჰესის, ზვარეთჰესის და არხოტაჰესის პრივატიზება.

აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის შემდეგ ობიექტთა უმრავლესობამ მუშაობა გააუმჯობესა. ელექტროენერგეტიკის სფეროში პრივატიზების წარმატებით განხორციელების მიზნით, ასევე პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა მიჩნეული ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების ბაზაზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების აქციების (აქციათა პაკეტების) პრივატიზება კონკურსის წესით. ჩამოყალიბდა 10 სააქციო საზოგადოება, მათ შორის 8 ჰესი და 2 თესი. მათ მიერ 1997

წელს წარმოებული იქნა 3556,0 მლნ. კვტ. საათი ელექტროენერგია. აქედან 2437.2 (68.5%) ჰესებში და 718.8 მლნ კვტ. საათი (31,5%) თესებში. მთლიანად ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის თითქმის ნახევარი სწორედ აქციონირებულ ელექტროსადგურებზე მოდიოდა. ამასთან, მათი გამომუშავება წლითიწლივით იზრდებოდა. 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყანაში სულ პრივატიზებული იყო 30 ენერგეტიკული ობიექტი. მათ შორის 22 მცირე ჰესი. მათი საერთო სიმძლავრე და გამომუშავება შეადგენდა საქართველოს ენერგოსისტემის ანალოგიური მაჩვენებლის 3-4%-ს.

გარდა ამისა, ამ პერიოდისათვის იჯარით გაცემული იქნა სამი სადგური - ჟინვალჰესი, ზაჰესი და ორთაჭალჰესი. პრივატიზებულ ჰესებში საშუალოდ იწარმოებოდა დაახლოებით 1 მილიარდი კვტ.საათი ელექტროენერგია ანუ ქვეყნის მთლიანი წარმოების 14,0%. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში პრივატიზებულ ჰესებში ელექტროენერგიის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

როგორც ვნახეთ საქართველოში ენერგეტიკული ობიექტების ფართომასშტაბიანი პრივატიზების პოცესი 1998 წელს დაიწყო. ხოლო მას წინ უძღოდა 1993-1994 წლებში განხორციელებული ე.წ. მცირე პრივატიზება. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 ივლისის №403 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს ენერგოსისტემის კომპანიების პრივატიზების სტრატეგია.

საქართველოში 2001 წლის 1 ივნისის მდგომარეობით სულ პრივატიზებული იყო 35 დიდი და მცირე ელექტროსადგური. მათ მიერ 2000 წელს გამომუშავებული იყო 1391,1 მლნ. კვტ.სთ. რაც ელექტროენერგიის საერთო რაოდენობის 18,9% შეადგენდა. (იხ. ცხრილი №5).

აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, ენერგეტიკის ობიექტების პრივატიზაციის საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩეველის საინვესტიციო კომპანიის „მერილ ლინჩის“ მონაწილეობით, ჩაატარა ქ. თბილისის გამანაწილებელი ელექტროკომპანიის „თელასი“-ს პრივატიზაციის საერთაშორისო ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა აშშ-ის კომპანია AES; ამ კომპანიასთან 1998 წლის ბოლოს გაფორმდა „თელასი“-ს აქციათა 75%-ის ნასყიდობის ხელშეკრულება.

„ეი-ი-ეს“-თან პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკება ჰიდროელექტრო-სადგურების „ხრამი-1“ და „ხრამი-2“-ის 25 წლიანი პერიოდით მართვის უფლების გადაცემისათვის, რომელიც ასევე წარმატებით დასრულდა. ს/ს „თბილსრესის“ მე-9

და მე-10 ენერგობლოკებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ობიექტების შესასყიდად ინვესტორმა გადაიხადა 5 მლნ. აშშ დოლარი და ანაზღაურა მე-9 და მე-10 ენერგობლოკების რეაბილიტაციისათვის დონორი ორგანიზაციების მიერ დახარჯული კრედიტები, რომელიც დარიცხულ პროცენტებთან ერთად შეადგენდა 135 მლნ აშშ დოლარს. ასევე განხორციელდა აღნიშნული ელექტრობლოკების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღსანიშნავია, ის რომ 2001 წლის 1 აპრილის მდგომარეობით კომპანია „ეი-ი-ეს“-ის მიერ საქართველოს ენერგეტიკის დარგში ჩაიდო 555 მლნ ლარზე მეტი თანხა, ხოლო (1999–2002 წ.წ.) სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის სახით გადაიხადა 89152 ათასი ლარი. კომპანიის მიერ თბილისში ერთი წლის განმავლობაში დამონტაჟებული იქნა 190 ათასზე მეტი თანამედროვე ტიპის მრიცხველი და მართვის პულტი. ამ სამუშაოზე დასაქმდა ათასობით ადამიანი. ამასთან, მომხმარებლებისაგან ელექტროენერჯის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლების პირობებში, სრულად გადაიხადა შესყიდული ენერჯის ღირებულება.

საქართველოს ენერგეტიკულმა ობიექტმა პრივატიზების შემდეგ, გარკვეულ წილად გააუმჯობესეს მუშაობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ეს ეხება როგორც ელექტროენერჯის წარმოებას, ისე განაწილების სფეროებს.

მცირე ჰესების ნაწილი პრივატიზების ჩატარებამდე საერთოდ არ მუშაობდა, ხოლო პრივატიზების შემდეგ წარმოება თითქმის საპროექტო დონეზე მივიდა. მაგალითად, 1990–1994 წლებში ელექტროენერჯის გამომუშავება გაიზარდა სიონის ჰესებში 25,6%-ით, საცხენისის ჰესში – 7,2%-ით, ჩითახევი ჰესში – 8,9%-ით.

პრივატიზებული მცირე ჰესების მუშაობა შემდგომ წლებში თანდათან სტაბილური გახდა. უკვე 2000 წლის მაჩვენებლით, ელექტროენერჯის წარმოება 1990 წელთან შედარებით გაიზარდა მარტყოფი ჰესში 2,5-ჯერ, სიონი ჰესში 1,8-ჯერ, ჩითახევი ჰესში 17%-ით. მისაქციელი ჰესში 2000 წელს გამომუშავებული იქნა 385,9 ათასი კვტ.სთ. ელექტროენერჯია, მაშინ როცა პრივატიზებამდე იგი უმოქმედოდ იყო. იგივე ითქმის კახარეთის ჰესზე, 2000 წელს ამ სადგურმა აწარმოა 22 მლნ კვტ.სთ, ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხერთვისის ჰესში და ა.შ. რაც შეეხება 1999–2000 წლებში პრივატიზებულ ელექტროსადგურებს – „ხრამჰესი-1“ და „ხრამჰესი-2“ და „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ელექტრობლოკებს, მიუხედავად

საქართველოს ყველა პრივატიზებული ელექტროსადგურები 2000 წელს¹

№	ელექტროსადგურების დასახელება	ელექტროენერჯის გამომუშავება
1	მისაქციელი	0,4
2	იგიეთი	30
3	დმანისი	-
4	ხერთვისი	1,3
5	კახარეთი	2,2
6	მარტყოფი	1,9
7	სიონი	14,3
8	ტიროფონი	9,3
9	საცხენისი	17,5
10	ჩითახევი	93,4
11	დამბაში	2,0
12	ბუუუა	51,5
13	თეთრიხევი	13,4
14	რიცკულა	20,8
15	ჩხოროწყე	2,9
16	ალაზანი	0,7
17	აბჰასი	2,5
18	კაბალი	4,1
19	სქური	0,7
20	ყაზბეგი	0,9
21	კურზუ	0,4
22	ზვარეთი	-
23	ძამაჰესი	-
24	ინწობა	1,5
25	მაშავერა	1,1
26	მექენა	0,9
27	აჭი	1,6
28	კეხვი	5,0
29	კინკიშა	1,6
30	მაჭახელა	6,1
31	ვარიანი	0,7
	სულ მცირე ჰესები	261,7
32	ხრამჰესი-1	149,7
33	ხრამჰესი-2	219,9
34	თბილთეცი	19,5
35	„ე-ი-ეს მტკვარი“	740,3
	ჯამა მი 32-35	1129,4
	სულ ჯამი	1391,1

1. საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სამინისტროს მონაცემები.

პრივატიზების მცირე პერიოდისა, აქ ელექტროენერჯის გამომუშავება 2000 წელს 1999 წელთან შედარებით გაიზარდა – „ხრამჭესი-2“-ში 5,6%-ით, „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ელექტრობლოკებზე – 20,6%-ით.

ამასთან, ზოგიერთ ჰესში შემცირდა ელექტროენერჯის წარმოება. ამის გამომწვევ მიზეზთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია 2000 წლის გვალვიანი პერიოდი, ასევე ჰესების მწვავე ფინანსური კრიზისი, რომელიც ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურების მეტად დაბალ მაჩვენებელს უკავშირდება.

მთლიანობაში, ენერგეტიკაში პრივატიზაციის საერთო შედეგები აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს. ინვესტორთა სახით დარგის ობიექტებს ჰყავს საიმედო პატრონი, რომელიც პასუხს აგებს მათ ნორმალურ ფუნქციონირებასა და საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკურ შედეგებზე. თვით სახელმწიფოს პრივატიზაციის შედეგად გამოუჩნდა ისეთი შემოსავლები როგორცაა: პრივატიზებიდან ამონაგები სახსრები, გადასახადები, წილი აქციებიდან მიღებულ დივიდენდებში და ა.შ.

ამასთან, პრივატიზების შემდგომ ეტაპზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს გასულ პერიოდში არსებული სირთულეები და შეცდომები. პირველ რიგში ეს ეხება საპრივატიზაციო ხელშეკრულებებს. აღნიშნული ნათლად დადასტურდა „ეი-ი-ეს თელასის“ შემთხვევაში, როცა ხელმოწერილ იქნა ელექტროენერჯის ტარიფის განსაზღვრის მეტად მძიმე პირობები.

აშკარაა, საქართველოს ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ გაითვალისწინა ზოგიერთი ობიექტის პრივატიზებიდან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, როცა ამერიკული ფირმა „AES SIEK ROAD HOLDING“-ზე 1998 წელს მოახდინა „თელასის“ პრივატიზება. იგი ყოველწლიურად აყენებდა ელექტროენერჯის ტარიფის გადიდების საკითხს. ახლა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პარტიები ქვას ქვაზე არ ტოვებენ. „ეი-ი-ეს თელასის“ აქციების რუსულ კომპანიებზე მიყიდვასთან დაკავშირებით, აშშ მთავრობას საყვედურობენ თუ რატომ მიჰყიდა თელასი რუსეთის ფირმა „რაოჰესს“. მაგრამ იმას კი არ ამბობენ, რომ თავდაპირველად „თელასი“ რატომ მიეყიდა ამერიკელებს.¹

ამის გარდა, საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორში დახარჯული 1 კვტ.სთ. ელექტროენერჯის ღირებულება გაცილებით ნაკლებია საზღვარგარეთის ქვენებთან

1. ერისთავი ე., ჩომახიძე დ., ცინცაძე პ. – ტარიფები და ეკონომიკური რეფორმები საქართველოს ელექტროენერგეტიკაში. ჟურნ. „ენერჯია“, №4, 1998 წ. გვ. 36

შედარებით. მაგალითად, აშშ-ში იგი 0,0858 დოლარია,¹ საქართველოში კი - 0,0950 ლარი, ანუ 0,0475 დოლარი. ამის მიუხედავად, ხელფასის დაბალი დონის გამო საქართველოს მოსახლეობას ამ შედარებით დაბალი ტარიფის გადახდა უფრო უძნელდება, ვიდრე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობას ბევრად უფრო მაღალი ტარიფის გადახდა და უფრო მტკივნეულადაც აღიქვამს ზრდას.

ანალოგიური, მდგომარეობაა გაზის სექტორშიც. კომპანია „იტერა“-მ, რომელიც გაზის ერთადერთი მომწოდებელია საქართველოში, 2001 წლის სექტემბერში უკვე პირველი განაცხადი გააკეთა ტარიფების მომატების შესახებ.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების საიმედო და ხარისხიანი მომარაგება საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია და აქედან გამომდინარე მას სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. ამ საქმის მხოლოდ საბაზრო ურთიერთობებზე „მინდობა“ არ შეიძლება.²

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ელექტროენერგეტიკული საწარმოები მუშაობენ პრინციპით, რომ ელექტროენერგია მიეწოდება მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელსაც სურს და შეუძლია მომსახურების საფასურის გადახდა. ეს პრინციპი საბაზრო ურთიერთობების დამახასიათებელი პრინციპია, მაგრამ რა ქნას ეკონომიკურად ხელმოკლე (დაბალშემოსავლიანმა) ოჯახებმა, რომელთაც არ შეუძლიათ ელექტროენერგისა და გამოყენებული გაზის საფასურის გადახდა. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა - იქნებ სჯობდა საქართველოს ხელისუფლებას ჯერჯერობით თავი შეეკავებინა საერთოდ კომუნალური დანიშნულების, მათ შორის ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზებისაგან და ისინი თავის საკუთრებაში დაეტოვებინა; მათი რებელიტაცია კი იმ გარანტიებისა თუ სესხებით მოეხდინა, რომელთა უდიდესი ნაწილი არაეფექტიანად და არამიზნობრივად გაიფანტა.

1. ცნობები საზღვარგარეთული სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსიდან, ჟურნ. „ენერგია“, №2, 1997 წ. გვ. 96.

2. მასურაშვილი ს. კურტანიძე ზ. - პრივატიზება საქართველოს მუნიციპალურ მეურნეობაში. ჟურნ. „ენერგია“, №6, 2006 წ. გვ. 109-110.

3.3 პრივატიზება ტრანსპორტის სფეროში

ა) პრივატიზება საავტომობილო ტრანსპორტში

საქართველოში 4 ათასზე მეტ საწარმოს, ორგანიზაციისა და უწყების მფლობელობაში იყო სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტი. პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ შეიმუშავა „სახელმწიფო მფლობელობისათვის ეკონომიკურად მიზანშეუწონელი სატრანსპორტო საშუალებების პრივატიზების წესი და შეფასების მეთოდიკა“.

საავტომობილო ტრანსპორტში ეკონომიკურად მიზანშეუწონელი სატრანსპორტო საშუალებების პრივატიზაცია დაიწყო 1992 წლიდან.

საქართველოში 1992–1995 წლებში სულ პრივატიზებული იყო 12500 ეკონომიკურად მიზანშეუწონელი ავტოსატრანსპორტო საშუალება და პირდაპირი გამოსყიდვის წესით, მიეყიდა მხოლოდ თანამშრომლებს და მათი რეალიზაციის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა მიიღო 75 მლნ აშშ დოლარი. ამასთან, კერძო მესაკუთრებმა სატრანსპორტო საშუალების მფლობელობაში გადაცემის უფლების მოპოვებისათვის (ავტონისპექციებში აღრიცხვაზე აყვანის, ტექნიკური დათვალიერების და ნოტარიუსში დამტკიცებისათვის) სახელმწიფოს დამატებით გადაუხადეს 1 მლნ აშშ დოლარზე მეტი.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების პრივატიზების დროს დაშვებული იქნა მთელი რიგი ხარვეზები. უპირველეს ყოვლისა გასაყიდი ავტოსატრანსპორტო საშუალებები არასწორად იქნა შეფასებული. გასაყიდი ფასი საგრძნობლად დაბალი იყო მის რეალურ საბაზრო ღირებულებაზე. გასაყიდი ფასების შემცირება ხდებოდა ანგარების მიზნითაც. რამაც დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ინტერესებს.¹

გასაყიდი სატრანსპორტო საშუალების საწყისი ფასი არ განისაზღვრა ქონების ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე და იმ რეალური ფასების საფუძველზე, რომელიც მოცემული მომენტისათვის ჩამოყალიბებული იყო წარმოების საშუალებათა ბაზარზე.

აქ არ შეიძლება არ შევეხოთ იმ მეტად მტკივნეულ საკითხს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მსუბუქი ავტომობილების (ტაქსების) პრივატიზების დროს, რამაც თბილისის

1 ბოკუჩავა გ. ჩაჩიბაია ა. – საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტში პრივატიზაციის მიმდინარეობის შედეგები. „სესესკი“, ტ. I, 1997 წ., გვ. 455–465.

და ქვეყნის სხვა ქალაქების მოსახლეობა ტაქსებით მომსახურების გარეშე დატოვა. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ ტრანსპორტის ყოფილი სამინისტროს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მიერ (საქართველოს მთავრობის 1992 წლის 29 აპრილის №260 განკარგულებით) მსუბუქი ავტომანქანების (ტაქსების) პრივატიზება განხორციელდა სახელმწიფო ინტერესების იგნორირებით.

მთავრობის მითითებით მსუბუქი ტაქსომოტორების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი უნდა ჩაერიცხათ ტრანსპორტის სამინისტროს მთავარ სამმართველოს „საქავტოტრასის“ სპეციალურ ანგარიშზე, რათა გამოყენებული ყოფილიყო ახალი ავტომანქანების შესაძენად. მიუხედავად ამისა, ტაქსების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა სულ სხვა მიზნებისათვის იქნა გამოყენებული. ავტომანქანების უმრავლესობა გაიყიდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ბ) რესტრუქტურისა და პრივატიზება რკინიგზის ტრანსპორტში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უდიდესი გართულებები და წინააღმდეგობები მოჰყვა. რთულ პირობებში აღმოჩნდა ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი. მათ შორის რკინიგზის ტრანსპორტიც, რომელსაც მთელი სიგრძე-სიგანით შეეხო უღმობელი ნგრევა, თითქმის ძირფესვიანად განადგურდა მრავალდარგოვანი რთული მეურნეობა. 1994–1995 წლებში საქართველოს რკინიგზა სრულ გაპარტახებამდე იყო მისული.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით და „სარკინიგზო ტრანსპორტის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად 1998 წლის დეკემბერში დაარსდა შპს „საქართველოს ეროვნული რკინიგზა“, როგორც კერძო სამართლის დამოკიდებული იურიდიული პირი, რომელსაც გადაეცა რკინიგზის ტრანსპორტირების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქონება.

მოხდა საქართველოს რკინიგზის სტრუქტურული გარდაქმნა და მართვის სისტემის სრულყოფა. დღეს „საქართველოს რკინიგზა“ ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ქვეყანაში. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლის, კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდგომარეობის გათვალისწინებით შემუშავებულია საქართველოს რკინიგზის რესტრუქტურისა და მდგრადი, რომელიც პასუხობს სახელმწიფო ინტერესებს.

3.4. პრივატიზება კავშირგაბმულობისა და ფოსტის სისტემაში

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სისტემაში პრივატიზების განხორციელების ძირითადი მიმართულებები შემუშავებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 29 დეკემბრის №776 ბრძანებულების „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის შესახებ“ შესაბამისად.

რეფორმის პირველ ეტაპზე საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ განახორციელა სისტემების დამხმარე საწარმოთა პრივატიზება პირდაპირი მიყიდვისა და აქციონირების ფორმით.

მონოპოლიურ მდგომარეობაში მყოფ კავშირგაბმულობის სისტემის საწარმოთა თანდათანობით დემონოპოლიზაციის განხორციელებით და ლიცენზირების გზით სამინისტრომ შეძლო ალტერნატიული სამსახურების საქმიანობის გაუმჯობესება. (გაიცა 400-ზე მეტი ლიცენზია). ამის შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გამოეყო ეტაპობრივად საპრივატიზებო ობიექტები.

აშკარად შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში პრივატიზება ჩატარდა ნაჩქარევად. ბიუჯეტმა ვერ მიიღო ის ეფექტი, რომელიც პრივატიზებას უნდა მოყოლოდა. იმის გამო, რომ პრივატიზებული საწარმოები სადაც აქციების ნახევარი, ხან მეტი წილი სახელმწიფოს ეკუთნოდა გადახდის უუნარონი აღმოჩნდნენ.¹

ამჟამად საქართველოში დემონოპოლიზირებულია კავშირგაბმულობისა და ფოსტის თითქმის ყველა მიმართულება. სისტემაში ფუნქციონირებს სამოქალაქო სატელეფონო მომსახურების პეიჯინგური, ფიჭური, მონაცემთა გადაცემის, საკაბელო ტელევიზიის, რადიოსა და სხვა კერძო კომპანიები.

ტელეკომუნიკაციური სისტემის აღდგენა-რეკონსტრუქციაში, ასევე არსებული ქსელის მოდერნიზაციისა და ახლი ტექნოლოგიების დანერგვაში ადგილობრივ ფირმებთან ერთად ინტენსიურად მონაწილეობდა და ახლაც მონაწილეობს მრავალი საზღვარგარეთული კომპანია და ფირმა. ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა უცხოელ ინვესტორთა და კრედიტორთა რიცხვი.

1. ჭარბაძე დ. – ეკონომიკური რეფორმა და პრივატიზაციის თავისებურებები კავშირგაბმულობისა და ფოსტის სისტემაში „სესეპსკი“. ტ. II, 1997 წ. გვ. 602-614

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1994–1998 წლებში საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში ინვესტიციებისა და კრედიტების სახით დაბანდდა 130 მლნ დოლარზე მეტი.

ამჟამად კავშირგაბმულობასა და ფოსტის სისტემაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან საპრივატიზებოდ განკუთვნილია გარკვეული სამსახურები და რეგიონული სამსახურებიც კი. აშკარად უნდა ითქვას, რომ აქ გასათვალისწინებელია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება, მათ ყველაზე ბოლოს სწორედ სატელეკომუნიკაციო სისტემის პრივატიზება განახორციელეს.¹

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სისტემაში არსებობს პრივატიზების განხორციელების რამდენიმე ვარიანტი. მათ შორის, შპს „საქართველოს ტელევიზიის“ პრივატიზების ახალი მოდელი, შპს „საქართველოს ტელეკომისა“ და შპს „საქართველოს ელექტროკავშირის“ შერწყმის მოდელი.

აღნიშნულ მოდელებში აქცენტი გაკეთებულია ადგილობრივ თავისებურებათა და ქვეყნის ამოცანების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოში ტელეკომუნიკაციის სექტორის პრივატიზების პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება სხვა ქვეყნებში ჩატარებული პრივატიზების პროცესისაგან, როგორც ორგანიზაციული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.²

საქართველოს ტელეკომუნიკაციის სისტემა უცხოელი ინვესტირებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის თვალსაზრისით. მისი, როგორც ამიერკავკასიის რეგიონის ერთ-ერთი სტრატეგიულად საინტერესო ქვეყნის პოზიციებიდან გამომდინარე უკვე პარტნიორები დაინტერესებულ არიან ტრანს-აზია-ევროპის (ტაე) ოპტიკურ ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის პროექტით მიუხედავად და შანხაის შორის, რომლის მშენებლობაც ახლა მიმდინარეობს. ეს მაგისტრალი ნოვოროსიისკ-სოჭი-ფოთი-თბილისის გავლით აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე გავლით.

მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია აგრეთვე აზია-ევროპის სატრანსპორტო მაგისტრალის „ტრასეკას“, ე.წ. „აბრეშუმის გზის“ და „ტრანს-აზია-ევროპის ბოჭკოვან

1. სულაბერიძე მ. სვანიძე ჩ. – კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს ტელესაკონუნიკაციო სექტორის პრივატიზების ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საკითხები. „სესეპსკი“ ტ. IV, 2001 წ., გვ. 554–559.

2. იქვე.

ობტიკური საკაბელო მაგისტრალის“ ერთიან გეგმაში წარმოდგენა, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ტელეკომუნიკაციის სისტემის და საერთაშორისო სატრანსპორტო მაგისტრალის ჩართვას ტელეკომუნიკაციის გლობალურ სატელეფონო ქსელში.

აგრეთვე, დიდი როლი ენიჭება ტელეკომუნიკაციების სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მომსახურებაზე ტარიფების მოწესრიგებას, მმართველობის ცენტრალური ორგანოების სამეურნეო ფუნქციებისაგან განთავისუფლებას. ყოველივე ამან ტელეკომუნიკაციის სექტორი უნდა აიყვანოს თვისებრივად ახალ საფეხურზე, რაც შესაძლებელს გახდის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მომხმარებელთა მომსახურების უზრუნველყოფას.¹

3.5. პრივატიზება ვაჭრობაში

სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სავაჭრო საწარმოების პრივატიზაცია განხორციელდა უპირატესად კერძო მფლობელობაში გადასვლის გზით. მხოლოდ საწარმოთა მცირე ნაწილი დარჩა სახელმწიფო მუნიციპალურ საკუთრებაში სახაზინო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სახით. რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერაციის „ცეკავშირის“ სისტემას იგი, როგორც კოოპერატივი, ცნობილი იქნა საბაზრო ეკონომიკისათვის შესაფერის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმად და მისი საწარმოები კერძო მფლობელთა ხელში უშუალო გადასვლას არ დაექვემდებარა.² იმ ფაქტმა, რომ საქართველოში მეტისმეტად გაჭიანურდა ვაჭრობის საწარმოთა პრივატიზაცია, უაროფითად იმოქმედა დარგში მიმდინარე სტრატეგიულ გარდაქმნებზე. როგორც ცნობილია, ვაჭრობა საქმიანობის ისეთი სახეობაა, რომელიც მცირე საწარმოების სიმრავლით ხასიათდება და შედარებით ადვილია მათი გაყიდვა ინდივიდუალური განცხადებების ან საზოგადოებრივი აუქციონის საშუალებით. პრივატიზაციის პროცესის გაჭიანურებამ ქვეყანაში მიმდინარე სხვა უარყოფით

1. სულაბერიძე მ. სვანიძე ჩ. – კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს ტელესაკომუნიკაციო სექტორის პრივატიზების ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საკითხები. „სესესპსკი“ ტ. IV, 2001წ. გვ. 554–559

2. მიუხედავად სამომხმარებლო კოოპერაციის დიდი მნიშვნელობისა, ცეკავშირის სისტემაში დღემდე ვერ იქნა მიღწეული სტაბილიზაცია. არსებულ ვითარებაში მეტად პრობლემატურად მოჩანს ამ გიგანტის სრულყოფილად ამოქმედება.

მოვლენებთან ერთად ხელი შეუწყო საწარმოთა ქონების ძარცვა-განიაყებას, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ პრივატიზაციის შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში გაძნელდა ობიექტების სრული ან თუნდაც ნაწილობრივი ფუნქციონირება.

პირველყოფლისა, ვაჭრობის სამინისტროსადმი და რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო უწყებებისადმი დაქვემდებარებული საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელი გადაეცა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, რითაც ფაქტობრივად წერტილი დაესვა ვაჭრობის სამინისტროს, როგორც სავაჭრო სისტემის არსებობას.¹

ვაჭრობის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება პრაქტიკულად 1993 წლიდან დაიწყო. 1998 წლის 1 ივლისის მდგომარეობით პრივატიზებული იყო ვაჭრობის 4612 საწარმო, რაც ქვეყნის მასშტაბით პრივატიზებული მცირე საწარმოების მთლიანი რაოდენობის 39%-ს შეადგენდა.

სავაჭრო საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევის დროს, განსაკუთრებით რაიონებში, უპირატესობა მიენიჭა ინდივიდუალურ საწარმოს.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში ვაჭრობის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად შეიცვალა. სხვა დარგების ხვედრითი წონის დაცემის შედეგად, ამ უკანასკნელის ხვედრითი წონა გაიზარდა. თუ 1990 წელს ვაჭრობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 5,7% იყო, 1995 წელს 26,1%-მდე გაიზარდა, 1997 წელს კი 22% შეადგინა. ამ დროს მრეწველობის ხვედრითი წონა 9,6% იყო, ნაცვლად 1990 წლის 23%-ისა.²

თუ ერთმანეთს შევუდარებთ ვაჭრობის სფეროში რეგისტრირებულ და პრივატიზებულ საწარმოთა რაოდენობას დაინახავთ, რომ რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა თითქმის 6-ჯერ აღემატება პრივატიზებულ საწარმოთა რაოდენობას. 1998 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო 25588 სავაჭრო საწარმო, ხოლო პრივატიზებულ სავაჭრო საწარმოთა რაოდენობამ 4612 შეადგინა.³

1. გელევანიძე მ. – ვაჭრობის საწარმოთა რესტრუქტურის პრობლემები. „სესესკი“, ტ. IV, 2001 წ. გვ. 560-567.

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

3. იქვე.

ეს აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ ქვეყანაში სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები პრივატიზების გვერდის ავლით არსებობდნენ და მეორე, პრივატიზება არ არის კერძო სექტორის ფორმირების ერთადერთი გზა, კერძო სექტორი მნიშვნელოვანწილად გაფართოვდა საკუთარი ინვესტიციების ხარჯზე.

საქართველოში მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები უშლიდა ხელს სავაჭრო საწარმოთა ნორმალურ ფუნქციონირებას. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა, სამამულო მრეწველობის უკიდურესად დაკნინება, მოსახლეობის გაღატაკება და მყიდველობითუნარიანობის დაქვეითება, საბრუნავი საშუალებების შეზღუდულობა, სამეურნეო კავშირების არარსებობა, სამამულო წარმოების და ეროვნული ბაზრის დაუცველობა, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობაში ბოლომდე გარკვევის სიძნელები და ა.შ. რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენდა და ახდენს სავაჭრო საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე.

3.6. ბანკების პრივატიზება

საქართველოს პრეზიდენტის №178 ბრძანებულებამ შრომით კოლექტივებს მიანიჭა უფლება შეესყიდათ იმ საწარმოების ღირებულების 30%, სადაც ისინი მუშაობდნენ. დანარჩენი 30%-ის შესყიდვაც კოლექტივებისათვის გარკვეული პრივილეგიებით ხდებოდა. ე.ი. შრომით კოლექტივებს შეღავათიანი პირობებით შეეძლოთ შეეძინათ საწარმოს ქონების ის ნაწილი, რომელიც მას გადამწყვეტ უფლებას მისცემდა ამ ქონების განკარგვაში.

აგრეთვე, ასეთივე უფლებით შეეძლოთ ესარგებლათ ბანკების თანამშრომლებსაც, რადგან საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები თავისთავად ბანკების განკერძოებასაც ითვალისწინებდა.

მაგალითად, „ინდუსტრია ბანკში“ თანამშრომლებმა გამოთქვეს ბანკის 51%-ის შესყიდვის სურვილი. ჩატარდა კრებები, შეგროვდა თანხები, გაკეთდა კოლექტიური განაცხადი ქონების მართვის სამინისტროს სახელზე, მაგრამ მათ უარი უთხრეს, თანაც ექვსი თვის დაგვიანებით.

წარმომადგენლებს უარი ეთქვა პირდაპირი მიყიდვის წესით ბანკის აქციების 51%-ის პრივატიზაციაზე. იმიტომ რომ, ამჯობინეს ბანკების გაერთიანება და რამდენიმე „საპატიო“ პირთა საკუთრებაში მათი გადაცემა. ფაქტობრივად საქართველოში ჩატარდა ნომინკლატურული პრივატიზაცია. 1995-1996 წლებში ვაუჩერებზე „სპეკულაციური“

გარიგებით მოხდა სახელმწიფოს საკუთრების დიდი ნაწილის და მათ შორის ბანკების კონცენტრაცია ნომენკლატურის ხელში.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოში ვაუჩერული პრივატიზების ყველაზე დიდი ასპარეზი ბანკები აღმოჩნდა.

კომერციული ბანკები, კავკასიის ბირჟა და ხელისუფლება შეთანხმებულად და მიზანმიმართულად მიმართავდა მოსახლეობიდან ვაუჩერების ამოღებას. ფასის სპეციალურად დაგდების გზით თითოეულ ვაუჩერს 3-4 ლარად ყიდულობდნენ. ისე როგორც მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, მათ შორის ბანკის მესვეურებმაც, თავიანთ ხელში თავი მოუყარეს ვაუჩერების კოლოსალურ ღირებულებას.

1994 წლის იანვარში მოხდა ხუთი სახელმწიფო კომერციული ბანკის პრივატიზაცია. მათ ქვეყნის საბანკო აქტივების 80% მიითვისეს. ასევე, ამავე წლის 21 მარტს პრეზიდენტის №71 ბრძანებულებით გაერთიანდა სამი სახელმწიფო ბანკი: „ექსიმბანკი“, „ახალი ქართული ბანკი“ და „ინდუსტრია ბანკი“ - „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სახელწოდებით.

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ კაპიტალში თითოეული მონაწილის მიერ შეტანილი იქნა წილი:

1. ყოფილი სააქციო კომერციული „ახალი ქართული ბანკის“ მიერ - 788 100 დოლარი;
 2. ყოფილი სააქციო კომერციული „ექსიმბანკის“ მიერ - 200 000 დოლარი;
 3. ყოფილი სააქციო კომერციული „ინდუსტრიაბანკის“ მიერ - 1592180 დოლარი.
- სულ 2580280 დოლარი.

შემდგომ სამივე ბანკის ქონებრივი და თანხობრივი ნაწილების შერწყმის შედეგად „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საწესდებო კაპიტალმა ჯერ 4571930 დოლარი, ხოლო შემდგომ 6 000000 დოლარი შეადგინა. აქედან ბანკის მეპატრონეთა წილი 56,4%-მდე გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო წილი 43,4%-მდე შემცირდა.

როგორც ვხედავთ, ბანკების გაერთიანებით კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება ისე განაწილდა (გათამაშდა) რომ სახელმწიფომ საკუთარ ქონებაზე კონტროლი დაკარგა.

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ ადმინისტრაციამ სახელმწიფო წილი ახლად გაერთიანებულ ბანკში ხელოვნურად შეამცირა, რითაც სახელმწიფოს დააკარგვინეს სახელმწიფო კონტროლი, მეორეს მხრივ კი, თავად მიეცათ შესაძლებლობა დაეებჯდათ და გაეყიდათ აქციები და ამით გაედიდებინათ საკუთარი კაპიტალი. ეს გახლავთ

ფარული პრივატიზაციისა და სახელმწიფო ინტერესების იგნორირების კლასიკური მაგალითი.

ახლა, აქციათა გაყიდვის შედეგად ბანკის საწესდებო თანხა 21 მილიონ დოლარს შეადგენს. აქედან, ბანკის მეპატრონეთა განცხადებით თანხა მხოლოდ მათი საკუთრება არ არის, რადგან 100 ათასამდე მეპაიე ჰყავს. მათ შორის მსხვილი მეპაიეები:

1. მარტინ ბაუერი (გერმანია) – 3799440 დოლარი ანუ 18,1%;
2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი – 1741873 დოლარი ანუ 17,8%-ი;
3. შრომითი კოლექტივები (73947 მეპაიე) – 1611828 დოლარი ანუ 7,7%.

სულ: 43,6%

ბანკის ადმინისტრაციის მონაცემებით „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ყოფილი მეპაიეების, სადღეისოდ აქციონერების რაოდენობა შეადგენს 73947 პიროვნებას. ისინი ჯამში ფლობენ 1611828 აქციას, რაც აქციათა საერთო ღირებულების 7,7%-ს შეადგენს. ე.ი. დღეს მათ 21 მილიონი დოლარის საწესდებო კაპიტალიდან ეკუთვნით ერთ მილიონ დოლარზე ცოტა მეტი. მაშინ, როცა მათ შემნახველ ბანკებში ანაბრებზე შეტანილი ჰქონდათ 13 მილიარდი მანეთი, ანუ 8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი. აქციების დანარჩენი 56,4% ბანკის დამაარსებელ მცირე რიცხოვან (4 კაციან) ჯგუფს ეკუთვნის. ე.ი. თითოეულს ცალცალკე უფრო მეტი ეკუთვნის, ვიდრე 73947 მეანაბრეს.

3.7. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზება

აგრალური საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ სწორ გზას წარმოადგენს მიწაზე სახელმწიფოებრივი საკუთრების მონოპოლიის ნაწილობრივი აღმოფხვრა. მიწის პრივატიზება და მათი გლეხობაზე გადაცემა. მიწის კერძო საკუთრების პირობებში ბევრად მაღალია საბოლოო შედეგებით დაინტერესება, გაცილებით დიდია თავისუფალი არჩევანის საშუალება, უსაზღვროდ იზრდება პირადი პასუხისმგებლობა, ამიტომ იგი მეტად პროფესიონალიზმისაკენ, კომპეტენტურობისაკენ უბიძგებს ადამიანებს. მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა ებძემა საწარმო-ეკონომიკურ ურთიერთობაში, იზრდება ხალხის ეკონომიკური აზროვნების დონე და რაც მთავარია, იქმნება პირობები შრომის მწარმოებლობის ამაღლებისათვის.

ამდენად, გლეხობისათვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა ქართველი კაცის, ქართულ მიწაზე დამაგრების ერთადერთი საშუალებაა, ხოლო ქართველი გლეხობის მიერ საქართველოს ტერიტორიის ფლობა, თავისთავად ეროვნული თვითმყოფადობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა.

მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განსახორციელებლად ადრე მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებული იყო რეფორმის პირველი რიგი სამუშაოების ჩატარება, საკარმიდმო ნაკვეთების გაფართოვება. აღნიშნულის მიზნით საზოგადოებრივ მეურნეობებზე უვადო სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფოს მიწებიდან გამოიყო რეფორმის ჩატარებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ე.ი. შეიქმნა ე.წ. „მიწის რეფორმის“ ფონდი. ამასთან, განისაზღვრა ის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც არ შეიძლებოდა მიკუთვნებულიყო რეფორმის ფონდს და უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო საკუთრებაში.

ასევე ცალკე გამოიყო ის საზოგადოებრივი მეურნეობები, რომელთაგან არ შეიძლებოდა რეფორმისათვის მიწების გამოყოფა. ასეთ მეურნეობებად მიჩნეული იყო ექსპერიმენტული, საცდელი და საყრდენი სასწავლო-სამეცნიერო, მეთესლეობის, სანაშენე-საჯიშე მეურნეობები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსები, სასათბურე კომბინატები, სასაზღვრო და საგარეუბნო ზოლში გადაადგილებული მეურნეობები.

მიწის განაწილების სუბიექტად მიჩნეული იქნა კომლი, ხოლო თვით კომლი დაიყო კატეგორიებად. ამასთან, საკარმიდამო ნაკვეთების ზღვრული ნორმები დიფერენცირებული იქნა კომლების კატეგორიების, ბარისა და მთის რაიონების მიხედვით.

აი, სწორედ ამ ფონზე დაიწყო საქართველოში აგრარული ურთიერთობების ცენტრალური პრობლემის – მიწის რეფორმის განხორციელება.

1996 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მოქალაქეებს საკუთრებაში უფასოდ გადაეცათ 716.3 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული საქართველოს ტერიტორიის 10,3%. მათ შორის 677,6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათი საერთო რაოდენობის 22,7%, აქედან სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების – 52,6%.

რეფორმის შედეგად ამ ეტაპზე მიწის ნაკვეთები მიეცა 953 ათას ოჯახს. მათ შორის: სოფლად მცხოვრებ 827,6 ათას კომლზე გაიცა 647,4 ათასი ჰექტარი (საშუალოდ ერთ კომლზე – 1,03 ჰა), ქალაქად მცხოვრებ ოჯახზე 68,9 ათასი ჰექტარი

(საშუალოდ 0,21 ჰა).¹ მაშინ როცა საშუალოდ 5–6 სულიანი ოჯახისათვის საჭიროა 5–6 ჰექტარი მიწა.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საკუთრებაში გადაცემის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი №6-ის მონაცემები. ამ ეტაპზე სულ პრივატიზებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25,3%, მათ შორის სახნავის 54,6%; მრავალწლიანი ნარგავების 68,5%; სათიბებისა და საძოვრების 5,3%. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა მხოლოდ ის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა, ობიექტური მიზეზების გამო არ ექვემდებარება პრივატიზაციას. კერძოდ ეს მიწებია:

1. პრივატიზაციის დაუქვემდებარებელი 1737 ათასი ჰექტარი, ანუ ქვეყნის სავარგულთა საერთო რაოდენობის 57%;
2. სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების 52 ათასი ჰექტარი, რომელიც მოქცეულია სასაზღვრო ზოლში, ხოლო 94 ათას ჰექტარზე განთავსებული მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებიც რეფორმის პირველ ეტაპზე განსახელმწიფოებრივებას არ დაექვემდებარა;
3. 71 ათასი ჰექტარი არაპრივატიზებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები ირიცხება აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მიწის კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეთა კომლექსისათვის (ოჯახებისათვის), გადაცემული იქნა 1992 წლამდე მათ სარგებლობაში არსებული საბადე, საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და ისინი მიჩნეულ იქნა მათ კანონიერ კერძო საკუთრებად. ამ ფაქტმა, ცხადია, მოხსნა მიწისადმი გაუცხოების სინდრომი, სამეურნეო თვალსაზრისით გააქტიურა მწარმოებელი.

როგორც ვნახეთ, საქართველოში მოქალაქეთა კომლექსის (ოჯახების) საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემით, განხორციელდა მიწის სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის შეცვლა

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, „სტატისტიკური წელიწდეული“, თბ., 2002წ., 2003 წ., გვ. 162–163.

სახელმწიფო და კერძო იურიდიული, აგრეთვე ფიზიკური პირების საკუთრებით.

თუ რეფორმის დაწყებამდე ე.ი. 1990 წლის ბოლოსათვის საქართველოში იყო 1744 სასოფლო-სამეურნეო საწარმო (მათ შორის საბჭოთა მეურნეობა - 692, კოლმეურნეობა - 799 და სამეურნეობათაშორისო საწარმო - 253), აქედან 1996 წლის ბოლოსათვის „გარდაქმნილი“ იყო 1090 საწარმო.

კერძო საკომლო მეურნეობებს გადაეცათ სახნავი მიწების 54%, ანუ 420 ათასი ჰექტარი და მრავალწლიანი ნარგავების 75%, კერძო სექტორში კონცენტრირებულია პირუტყვის სულადობის 95%.

1997 წელს საკარმიდამო მეურნეობებში აწარმოეს: მარცვლეული - 875 ათასი ტონა; შესაბამისად ბოსტნეული - 212; კარტოფილი - 192; ყურძენი - 232; ხილი და ციტრუსი - 298; ყველა სახის ხორცი - 46; რძე - 435 ათასი ტონა.

მეცხოველეობის დარგში, საკუთრების ფორმების თვალსაზრისით უკვე ჩამოყალიბდა კერძო საკუთრების აშკარად გაბატონებული მდგომარეობა. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის - 97,6%; ძროხების თითქმის - 100%; თხისა და ცხვრის - 88,9%; ღორის - 99%; ფრინველის 99,3%-ის კერძო მფლობელობაშია. კერძო სექტორი იძლევა ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 90%-ზე მეტს.¹

საკარმიდამო მეურნეობები უკვე გახდნენ ბოსტნეულის, კარტოფილის, ყურძნის, ხილის, ხორცის და რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ძირითადი მწარმოებლები.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის რეფორმის პირველმა ეტაპმა შეგვიძინა დიდი გამოცდილება და გამოიღო მეტად მნიშვნელოვანი შედეგები, ამასთან იგი ხასიათდებოდა მთელი რიგი უარყოფითი მომენტებით:

ჯერ ერთი, მიწის რეფორმის განხორციელებისათვის არ შექმნილა სათანადო სამართლებრივი ბაზა (სახელმწიფო სამოქმედო პროგრამა). კანონი - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მიღებული იქნა დაგვიანებით (1996 წლის მარტში), იმ დროს როცა ქვეყანაში დიდი ხნის დაწყებული იყო მიწის პრივატიზაციის არაღეგაღური და სტიქიური პროცესი.

გარდა ამისა, კანონს მრავალრიცხოვანი ნაკლოვანებები გააჩნია: იგი შეეხო

1. ჭითანავა ნ., - სახელმწიფო აგრაღური პოლიტიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. „სესესკი“, ტ. IV, გვ. 444.

ქვეყნის მთელი სავარგულების მხოლოდ 21%-ს; საკარმიდამოებს, საბოსტნე და სააგარაკე მიწებს და არ შეხებია ტყის ფართობებს, ზღვის მიწებს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. ამ კანონის მიღებიდან 10 წელი გავიდა და ეს მიწები ჯერ კიდევ არ მოხვდა სახელმწიფო ინტერესებში, ამიტომ, აღნიშნულ კანონს სრულიად სამართლიანად უწოდებენ „მკვდარ კანონს“.¹

კანონში შეტანილი მუხლი იჯარის შესახებ ეწინააღმდეგება დღეს მოქმედ კანონს ნიადაგის დაცვის შესახებ, უფრო მეტიც, ამ კანონით დაშვებულია ქვეიჯარა, რომელიც აკრძალულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, რადგან იგი იწვევს, როგორც მოიჯარის, ისე ნიადაგის ექსპლუატაციას. კანონში არ არის არავითარი შეზღუდვები, რომელიც მიწის ყიდვა-გაყიდვას ეხება.

ხელმძღვანელებმა მიწის რეფორმა პირველყოფლისა მიმართეს ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლის, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დატაცება-განიავების, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განადგურების, წარმოების კატასტროფული დაცემის მიმართულებით.

ქვეყანაში ხელის ერთი მოსმით, უმოკლეს დროში დაინერგა სტრატეგიული მნიშვნელობის მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის და მეციტრუსეობის მიმართულების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მეცხოველეობის ფერმები, სანერგე, სასელექციო, კვლევითი, საცდელ-საჩვენებელი, სანაშენო მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის კომპლექსები და ა.შ. როგორც ვხედავთ, პრივატიზების პროცესის განხორციელების შედეგად აგრალურ სექტორში მივიღეთ მსხვილი წარმოების შეცვლა წვრილი წარმოებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაქუცმაცება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ერთიანობის დარღვევა. ამასთან, არა საკუთრების ფორმების მრავალფორმიანობა, არამედ თვისებრივად საბაზრო ეკონომიკისათვის შეუთავსებელი ახალი მდგომარეობა. მხოლოდ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წვრილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად დაიწყო მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის და კერძოდ სოფლის მეურნეობის სტრუქტურული

1. ჭითანავა ნ., – სახელმწიფო აგრალური პოლიტიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. „სესესკი“, ტ. IV, გვ. 445.

ეროვნული პოლიტიკა. უნდა აღინიშნოს რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა სტიქიურად, ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების გარეშე.

პრივატიზაციის პროცესში ხელისუფლების მესვეურთა აჩქარებამ, აგრეთვე უცხოური მოდელების დაუფიქრებლად გადმოღების მცდელობამ, ბევრი სიძნელე შექმნა სოფლის მეურნეობის სექტორში, სადაც ყოველად მიუღებელი ფორმით დაიწყო განსახელმწიფოებრივების პროცესი.

უფრო მეტიც, რამდენიმე თვეში დაიშალა და დაქუცმაცდა მაღალრენტაბელური საწარმოები, აუნაზღაურებელი ზარალი მიაღება მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდს.

საქართველოში 90-იან წლებში ვახის ფართობი 66,9 ათასი ჰექტარი იყო, აქედან პრივატიზებული იქნა 54,7 ათასი ჰექტარი. მაგრამ მისი დიდი ნაწილი უკვე გაჩანაგებულია. ამავე პერიოდში შიდა ქართლის რეგიონში 40,6 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღი იყო, დღეისათვის თითქმის მთლიანად ამოძირკულია. მთლიანად გაჩანაგდა გურიისა და სამეგრელოს ჩარხა და ციტრუსების პლანტაციები. სრულიად დაუსაბუთებლად, კანონისგვერდისაველით, მიწის კადასტრის მონაცემების გარეშე, მოხდა მიწის განაწილება, დაიტაცეს და გაყიდეს მანქანა-ტრაქტორთა პარკებში თავმოყრილი ტექნიკის უდიდესი ნაწილი. სახელმწიფომ ბედის ანაბარა მიატოვა მიწის ახალი მესაკუთრე, რომელთა უმრავლესობამ უსახსრობის გამო ვერ შეძლეს სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების შეძენა, რამაც მაღალმოსავლიანი პლანტაციების დაავადება-დაღუპვა გამოიწვია.

სწორი აგრაღური პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო იყო გარკვეული ვადით შენარჩუნებულიყო ქვეყანაში არსებული მსხვილი მეურნეობები (იგულისხმება კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები), ჩატარებულიყო ყველა კატეგორიის მიწის სრული ინვენტარიზაცია, საკადასტრო სამუშაოები, ნიადაგის (ლაბორატორიული ანალიზი) ხარისხობრივი, თვისობრივი გამოკვლევა, მტკიცედ გამოიჯნულიყო რეგიონებს, რაიონებს, სოფლებსა და ნაკვეთებს შორის საზღვრები; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვექმნა სათანადო საკანონმდებლო ბაზა და ამის შედეგად გაადვილდებოდა (მიწის) რეფორმის განხორციელება, ხოლო უფრო მოგვიანებით, ან პარალელურად საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, ფერმები, კომპლექსები და ა.შ. გარდაგვექმნა ამხანაგობებად, კოოპერაციებად, კოოპერატივებად და ა.შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში რესტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოდ, სრულიად არადამაკმაყოფილებლად. საკმარისია აღინიშნოს, რომ 15 წლის მანძილზე ყოფილ ე.წ. „გარდაქმნილმა“

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მხოლოდ სახელი შეიცვალა, ხოლო მეორე ნაწილმა (654-მა) აქამდე ისიც ვერ მოასწრო. რაც შეეხება სოფლად მეწარმეობის განვითარების ამოცანას, იგი ჯერჯერობით დაწყებულიც არ არის. ამასთან ნათლად მიუთითებს სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამართალმემკვიდრეთა ბოლო წლების საწარმოო შედეგები.

სახეშეცვლილმა და სახეშეუცვლელმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ხელაღებით გადააშენეს პირუტყვი და ფრინველი. წლების მანძილზე არ მუშავდებოდა მათ განკარგულებაში დარჩენილი ჩაის პლანტაციები, ვენახები, ხეხილის ბაღები და სხვა მრავალწლიან ნარგავთა ფართობები. დაიშალა მეურნეობათა შრომითი კოლექტივები, გაიფანტნენ კვალიფიციური სპეციალისტები, თუ რომელიმე მათგანს შემორჩა მეურნეობების რაიმე შესაძლებლობა, აწარმოებდნენ მხოლოდ მარცვლეულს, რომლის გასაღება პრობლემებთან არ იყო დაკავშირებული.

კოლმეურნეობების სამართალმემკვიდრე კოოპერატივებსა და სხვა ფორმის საწარმოებში მემკვიდრეობით მიღებული მთელი ქონება დღესაც კვლავ საერთო საკუთრებას წარმოადგენს და არ ხდება მათი კოოპერატივის წევრებზე პრივატიზება, რის გამოც ახალი ტიპის მესაკუთრის ჩამოყალიბებისათვის არ შეიქმნა შესაბამისი პირობები.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ირღვევა კოლმეურნეობების ლიკვიდაციის წესი, კანონი „საკუთრების შესახებ“, რის გამოც კოლმეურნე წევრების საკუთრება უცხო პირების ხელში გადადის. გაუქმებული კოლმეურნეობის ქონება მისი წევრების საკუთრებას წარმოადგენდა და მათ უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება მისი გამოყენების შესახებ.

კოოპერატივებზე გადაცემული ქონება უნდა განაწილებულიყო კოლმეურნეობის წევრებზე და ჩათვლილიყო იგი მათ საპაიო შენატანში. ქონებიდან პირველ რიგში უნდა დაფარულიყო ყველა სახეობის ვალი, რომელიც კოლმეურნეობას ჰქონდა აღებული, ხოლო კლუბი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები და სხვა კოლმეურნეობის წევრთა დადგენილებით უნდა გადაცემოდა სოფლის საკრებულოს საზოგადოებრივი დანიშნულებით გამოყენების მიზნით, რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სატრასპორტო საშუალებებს, მანქანა-იარაღებს, მექანიკურ და სამეურნეო სახელოსნოებს და სხვა ქონებას. მათ

ბაზაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო წარმოებისა და მომსახურების კოოპერატივები.¹ დღეს ქვეყანაში სოფლის მეწარმეთა ტექნიკურ მომსახურებას არაორგანიზებული სახე აქვს: ეს ეხება ვეტერინალურ, მცენარეთა დაცვის, ხელოვნური დათესვის, ჯიშთა მოშენების და სხვა სამსახურებს.

მაშასადამე, განსახელმწიფოებრივება, როგორც სოფლის მეურნეობის კომპლექსური რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი დიდი დარღვევებით წარიმართა, იგი ერთდროულად და ერთნაირად შეეხო მსხვილ და წვრილ რენტაბელურ თუ არარენტაბელურ სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებს.

უფრო განუკითხავ მდგომარეობაში კოლმეურნეობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სხვა გამაჯანსაღებელი ობიექტები, რომელთა მესაკუთრებად გვევლინებიან ყოფილი „საკოლჯანმრთელობის“ ცალკეული მოხელეები.²

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ რესტრუქტურისაცია ქვეყნის ასკ-ში არაორგანიზებულად და დიდი დარღვევებით განხორციელდა. უხეშად დაირღვა შრომითი კოლექტივების და ადამიანთა საკუთრების უფლებები. განადგურდა აგროსამრეწველო საწარმოთა ეკონომიკური ბაზა, რომლის აღდგენა-შექმნისათვის საჭირო იქნება ხანგრძლივი დრო და რესურსები.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია რეფორმის პერიოდში გაიყიდა და ახლაც იყიდება საქართველოს უძველესი და უნიკალური ძეგლებით დაფარული ტერიტორიები, ქართველი ერის ისტორიული და ხელშეუხებელი საგანძური, რაც კორუფციის წყაროდაა გადაქცეული.

ხელალებით გაიყიდა აგრალური უნივერსიტეტისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული (მათი) საცდელ-საჩვენებელი კვლევითი მეურნეობები, ღვინის ქარხანა და ა.შ. ამჟამად ეს ტერიტორია დაფარულია ფეშენებლური სააგარაკე და სხვა დანიშნულების ნაგებობებით.

მიწის რეფორმის პირველი ეტაპი ისეთი დარღვევებით, როგორც ჩვენთან ჩატარდა, არსად მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა. ბევრად უკეთესი

1. კოლუაშვილი პ. - მეურნეობრივობის ფორმების რეკონსტრუქციის საკითხისათვის სოფლის მეურნეობაში (რეტროსპექტივის რაკურსით) ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №5, 2002 წ., გვ. 112-113.
2. ვაშაიძე თ. - სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რესტრუქტურისაცია. „სესესკი“, ტ. IV, 1999 წ., გვ. 541

მდგომარეობაა ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. აქ ჩვენგან განსხვავებით შექმნილია საკანონმდებლო ბაზა, მიღებულია კანონები, ჩატარებულია ინვენტარიზაცია, საკადასტრო და სხვა აუცილებელი სამუშაოები. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ მიწის სრული ინვენტარიზაციის, საკადასტრო და სხვა სამუშაოების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და მიწის კანონის მიღების გარეშე არ შეიძლება მიწის რეფორმის განხორციელება და მითუმეტეს მიწის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გამოცხადება.

1998 წელს მიწის დეპარტამენტის წარდგინებით პარლამენტმა მიიღო „კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“, რომლის საფუძველზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უსასყიდლოდ გადაეცათ ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ამჟამად პარლამენტში წარმოდგენილია კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ“. აღნიშნული კანონი იჯარით სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფოს კუთვნილი 465000 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიყვიდის გზით გადაცემას ითვალისწინებს. კანონის შესაბამისად მიწების პრივატიზაცია განხორციელდება შემდეგი ფორმით:

- იჯარის გადახდის ათმაგი ოდენობის გადახდის შემთხვევაში, მოიჯარე ნაკვეთს პიდაპირი მიყიდვის წესით მიიღებს;
- პრივატიზება განხორციელდება დახურულ აუქციონზე და უპირატესობა ადგილობრივ მოსახლეობას მიენიჭება;
- მოიჯარის მიერ გამოსყიდვაზე უარის თქმის, ან აუქციონზე მიწის არ გაყიდვის შემთხვევაში, პრივატიზება ღია აუქციონზე ჩატარდება.

კანონპროექტი საქართველოს საპატრიარქოს იჯარით სარგებლობაში არსებული მიწების საპატრიარქოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას ითვალისწინებს.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი არ ეთანხმება მიწების პრივატიზების თეზისს. ისინი უკან იხედებიან და „ხოდაბუნური“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის იდეას გვთავაზობენ. მოითხოვენ ოჯახების კომლექსურად გაერთიანებას და კომლის ძველი სამეურნეო ფუნქციის აღდგენას. ე.ი. კერძო ხოდაბუნური საამხანაგო გაერთიანებების ჩამოყალიბებას.¹

1. გაზ. „ილერი“, სპეციალური გამოშვება, 2000 წ. ნოემბერი, №15.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საკუთრებაში გადაცემა
(2003 წ. 1 აპრილის მდგომარეობით; ათასი ჰექტარი)¹

საქართველოს ადმინისტრაცი- ული დანაყოფი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები - სულ				მათ შორის:											
					სახსნავი				მრავალწლიანი ნარგავები				სათიბები და საძოვრები			
	სულ	%	პრივატი- ზებული	%	სულ	%	პრივატი- ზებული	%	სულ	%	პრივატი ზებული	%	სულ	%	პრივატი ზებული	%
საქართველო - სულ	3023,5	100	763,0	25,3	798,7	100	436,3	54,6	264,9	100	181,4	68,5	1940,1	100	103,4	5,3
მათ შორის: აფხაზეთის ა/რ	217,3	100	18,4	8,5	44,8	100	8,7	19,4	44,1	100	9,6	21,8	128,4	100	0,1	–
აჭარის ა/რ	73,7	100	22,0	29,8	10,4	100	7,7	74,0	16,3	100	7,2	44,2	46,1	100	1,6	0,3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	282,7	100	106,8	37,8	70,6	100	58,5	82,9	38,8	100	19,9	51,3	167,5	100	26,5	15,8
გურია	73,1	100	42,4	58,0	22,4	100	18,1	80,4	24,8	100	19,7	79,4	25,1	100	4,2	16,7
იმერეთი	216,2	100	109,6	50,7	86,3	100	74,0	57,5	29,3	100	23,9	81,5	97,7	100	10,6	10,8
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	154,1	100	35,3	22,9	8,7	100	8,7	100	3,4	100	3,4	100	141,6	100	10,1	7,1
შიდა ქართლი	226,6	100	80,6	35,6	79,3	100	41,7	52,6	38,3	100	36,1	94,3	107,7	100	2,6	2,4
მცხეთა-მთიანეთი	291,1	100	54,8	18,8	38,4	100	25,9	67,4	7,5	100	6,9	92,0	243,8	100	11,6	4,7
კახეთი	629,9	100	154,1	24,5	215,7	100	103,4	47,9	47,5	100	41,1	86,5	264,6	100	8,6	3,2
ქვემო ქართლი	400,7	100	67,7	16,9	136,8	100	47,2	34,4	11,8	100	10,5	88,9	248,9	100	5,5	2,2
სამცხე-ჯავახეთი	400,2	100	70,4	17,6	82,4	100	41,8	50,7	3,0	100	3,0	100	313,8	100	21,8	6,9
სხვა	57,9	100	0,9	0,2	2,9	100	0,6	0,2	0,1	100	0,1	100	54,9	100	0,2	0,4

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. „სტატისტიკური წელიწადი“ თბ., 2000 წ., გვ.162-163.

საქართველოში ისტორიულ მიწაზე არსებულმა საკუთრების სახელმწიფო (სამეფო), საერთო, სასოფლო-სათემო, კერძო-საკარმიდამო და საეკლესიო-სამონასტრო ფორმებმა და სახეებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის ეკონომიკის, ტრადიციული თვითმმართველობის და ჯანსაღი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ურთიერთობების უზრუნველსაყოფად, მაგრამ დღეს სულ სხვა სიტუაციაა. ძველი ფორმები შეუთავსებელია თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობებისათვის.

ასევე, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის (და განსაკუთრებით მისი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გამოცხადების) საკითხის დასმამ საზოგადოებაში განსაკუთრებით აგრო-ეკონომისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით მოწინააღმდეგეები შემოთავაზებულნი არიან ორი მოსაზრების გამო:

1. მიწა მთლიანად გამოვა სახელმწიფო საკუთრებიდან და მას დარეგულირების მიზნით საკუთრებაში არ დარჩება გარკვეული ფონდები;
2. კერძო საკუთრებაში გადაცემის შემდეგ, მიწა ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაიქცევა, ამის გამო ადვილად გადავა ხელიდან ხელში და არაა გამორიცხული რომ მას უცხოელის დაეპატრონოს.

ჯერ ერთი, საბაზრო ეკონომიკის ფორმირება - ჩამოყალიბება მიწაზე სახელმწიფოებრივი საკუთრების მონოპოლიის აღმოფხვრისა და საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრების გარეშე წარმოუდგენელია - ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩება, ხოლო მიწების უდიდესი ნაწილი კერძო საკუთრებაში გადავიდა.

პრაქტიკით დადასტურებულია, მიწის კერძო საკუთრებაზე დამყარებული საწარმო-ეკონომიკური ურთიერთობები და მათზე დაფუძნებული სამეურნეო პოლიტიკა უფრო მეტად ასახავს და პასუხობს ეკონომიკურ კანონთა მოთხოვნებს, უზრუნველყოფს წარმოების განვითარების ყველაზე რაციონალური გზების შერჩევას, შრომითი, ბუნებრივი და საწარმოო რესურსების ყველაზე უკეთ გამოყენებას. მიწის კერძო საკუთრებაში მოცემულია საზოგადოებრივი საკუთრების ეფექტიანობის ამაღლების შეუდარებლად დიდი შესაძლებლობანი, ვიდრე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში მოქმედ საწარმოებში. მიწის კერძო საკუთრების არსებობის გარეშე გლეხის თავისუფლება მიუღწეველია. სახელმწიფო საკუთრებაში აუცილებელია იყოს მხოლოდ სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები,

ხოლო კოლექტიურ-სათემო საკუთრებაში საერთო სარგებლობის ტყე, საძოვარი და სხვა მიწები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მიწაზე, ისე როგორც სხვა წარმოების საშუალებებზე უნდა არსებობდეს მხოლოდ საკუთრების პლურალიზმი (მრავალფორმიანობა) კერძო საკუთრების წამყვანი როლით და მიწა აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტს. გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. დღეს მსოფლიოში არსებობს საბაზრო ეკონომიკური სისტემის ისეთი ქვეყნები, სადაც მიწა ყველაზე იყიდება (ასეა ფიქსირებული მიწის კოდექსში). ამას მთელი რიგი ობიექტური და პოლიტიკური მომენტები განაპირობებენ.

ამასთან, არსებობს საბაზრო ეკონომიკის ისეთი ქვეყნები, სადაც უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიწას არ ყიდიან. მაგალითად, ამერიკის, ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში უცხოელ მოქალაქეებზე მიწის მიყიდვა კანონმდებლობით არ არის ნებადართული.

უკრაინის მიწის კოდექსი აღიარებს მიწაზე კერძო საკუთრებას, მაგრამ არ იძლევა მისი გაყიდვის უფლებას. რუსეთის მიწის კოდექსს, რომელიც მიღებული იქნა 1997 წელს პრეზიდენტ ელცინმა დაადო ვეტო, რომელიც კრძალავდა მიწის გაყიდვას. ბულგარეთში გლეხებს მიწა გადაეცათ კერძო საკუთრებაში, მაგრამ 10 წლით აეკრძალათ ყიდვა-გაყიდვა. ასევე მოხდა ბალტიისპირეთში, რამდენადაც ეს ქვეყნები დატოვეს უცხოელებმა, აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა. ანალოგიურად მოხდა მოლდავეთში. ევროპისა და ცენტრალური ამერიკის ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს მონიტორინგს მიწის გაყიდვაზე. ზოგიერთ ქვეყანაში საერთოდ იკრძალება მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა და ყიდვა-გაყიდვაც ან იკრძალება გარკვეული ვადით.

აღმოსავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთმა ქვეყანამ სახელმწიფო მიწები გადასცა მესაკუთრებს, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის გარეშე. ზოგიერთ ქვეყანაში პრივატიზებული მიწების გაყიდვაც კი იზღუდება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, აღიარებენ მიწაზე კერძო საკუთრებას, მისი ყიდვა-გაყიდვის უფლებით (რაც ასახულია მათ კონსტიტუციებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს მიწის საბაზრო ურთიერთობაში მოქცევას.

როგორც დაინახეთ, მიწის გაყიდვის უფლება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად იზღუდება.

ზოგიერთი ქართველი აგრარიკოსის არგუმენტირება - რომ მიწა ბუნების ნაბოძვარია, რაოდენობრივად ზღვარდებულება, არაკელაქარმოებადი რესურსია და ერთადერთი შეუცვლელი წარმოების საშუალებაა და ამის გამო მისი კერძო საკუთრებად გამოცხადება და სხვა წარმოების საშუალებების მსგავსად საქონლის სახით საბაზრო ურთიერთობებში ჩართვა შეუძლებელია - მეცნიერულად დაუსაბუთებელი და არასწორია.

მიწის საკუთრება, განსხვავებით სხვა ქონებისაგან უფრო „საყოველთაო ინტერესების“ სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა დაექვემდებაროს, ვიდრე ბაზრის სტიქიას და ცალკეულ პირთა შეხედულებებს.

მიწა საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებლად უნდა იყოს კერძო საკუთრებაში, მაგრამ იგი მხოლოდ ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ყიდვა-გაყიდვის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში მიწის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების, ანდერძის და სხვათა გაფორმების პრიორიტეტი და სავსებით გამოირიცხოს მიწების განიავებისა და სპეკულაციის, აგრეთვე უცხოელთა მიერ მიწების ხელში ჩაგდების ყოველგვარი მცდელობა.

საქართველო აგრალური ქვეყანაა და ამიტომ ყველამ კარგად უნდა გაათვითცნობიეროს რომ მიწის საკითხი ქვეყნის ქვაკუთხეა. მასზე დამოკიდებული დემოგრაფიული და ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ვუარყოთ ეჭვები, რომ კერძო საკუთრებაში გადაცემის შემდეგ მიწა საქონელი გახდება და ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაიქცევა. პირიქით, როგორც ისტორია, ისე სტატისტიკა და ყველა ჩვენთაგანის დაკვირვება და გამოცდილება იმას ამტკიცებს, რომ ქართველები აქტიურობენ მიწის გასხვისებასა და გაყიდვაში, მიუხედავად იმისა, რომ მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა ასეთ საშიშროებასთან არის დაკავშირებული, ჩვენ ხელი არ უნდა ავიღოთ ამ განზრახვაზე. პირიქით, სწორედ მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემით ეყოლება მიწას ნამდვილი პატრონი. მიწაზე კერძო საკუთრების კანონმდებლობით დამკვიდრების პირობებში გლეხი მტკიცედ დაუბრუნდება მიწას და ბეჯითად შეეცდება აღადგინოს მდიდარი სამიწათმოქმედო ტრადიციები, მომავალში გლეხური მეურნეობის უნიკალური ქართული ტრადიციები შეერწყმება ცივილიზებული ქვეყნების აგრალურ სექტორში საყოველთაოდ აღიარებულ ფერმერული მეურნეობის მდიდარ გამოცდილებას.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის გამო შეშფოთებულთ აქვე გვინდა ვუპასუხოთ: როგორ საბჭოთა პირობებში მიწა სახელმწიფოებრივ საკუთრებად რომ

გვექონდა გამოცხადებული, რა არ განსხვავდება? საუკეთესო მიწებზე ვერ დასახლდა ბევრი გადამთიელი? განა არ იყო გაჩაღებული მიწების უთავბოლო სპეკულაცია?

მიწების არაქართული მოსახლეობისათვის გადაცემის აღკვეთისათვის ყველაზე ქმედითი ღონისძიება იქნება მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება. მიწას ნამდვილი პატრონი რომ ჰყოლოდა, მაშინ აფხაზეთში, მარნეულში, გარდაბანში, თბილისის გარეუბნებსა და ვინ იცის კიდევ სად, ხელმრუდ ქართველებს ასე ხელალებით არ ექნებოდათ საუკეთესო მიწების განსხვავების შესაძლებლობა ან კიდევ მიწაზე კერძო საკუთრება რომ ყოფილიყო მიუსერას მიმდებარე ტერიტორიიდან 480 ჰექტარი მიწის ფართობის პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის საადგილმამულო რეზიდენციისათვის გამოყოფისა და მისი რსფსრ-სთან შეერთების შესახებ საკითხის წამოყენებისას ცენტრი ცოტა უხერხულობაში არ აღმოჩნდებოდა.¹

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით და ვიზიარებთ იმ ფაქტებს, რომ დღეისათვის, თბილისში და მთელ საქართველოში განუკითხაობას აქვს ადგილი, იყიდება საქართველოს უძველესი და უნიკალური ძეგლებით დაფარული ტერიტორიები, ქართველი ერის ხელშეუხებელი ისტორიული საგანძური და ა.შ. დარღვევით მიმდინარეობს მიწების პრივატიზება, მათ შორის იმ ნაკვეთებისა, რომელთა პრივატიზება კანონითაა აკრძალული. მაგრამ ეს უფრო კანონის უხედავობის უგულებელყოფისა და სახელმწიფო ჩინოვნიკების დაუსჯელობით გამოწვეული პრობლემაა და არა მიწების პრივატიზების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შედეგი. პირიქით, 1998 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების შესახებ“ არის ძალზე სერიოზული და გაბედული წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოში სოფლად აგრაღური ურთიერთობების მოწესრიგების თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, ხელი კი არ უნდა ავიღოთ მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემისა და მისი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად აღიარებისაგან, არამედ თავისუფალ საქართველოში საკუთრების ნებისმიერი ფორმის უსასტიკესი კანონებით დაცვაა აუცილებელი, მიწის გაყიდვა უნდა შეეძლოს ყველას, მიწის ყიდვა კი იმ მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს ამ ქვეყანაში. მიწის მყიდველს, თავდაპირველად მიწა უნდა გაფორმდეს ფლობის ხუთწლიანი უფლებით, ხოლო მთლიანად მის საკუთრებაში მიწა

1. ჯიბუტი ა. - აგრაღურ ურთიერთობათა ძირეული გარდაქმნისათვის. ჟურნ. „ეკონომიკა“, №2, 1991 წ. გვ. 12-16.

მაშინ გადავა, თუ მისი მეპატრონე მიწის ნაკვეთს გამოიყენებს მიზნობრივად და ეფექტიანად. შეიქმნება თუ არა რაიმე საშიშროება ქვეყანაში მიწების პრივატიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებით? რა თქმა უნდა არა.

მიწა (სასოფლო-სამეურნეო საგარეულები) უნდა მიეყიდოს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და იმ პირებს, რომლებსაც აქვთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტის სტატუსი, რომელიც დარეგისტრირებული იქნება საჯარო რეესტრში, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი.

ზოგიერთი პოლიტიკოსისა და მეცნიერის აზრით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების შესახებ კანონის მიღება არ შეიძლება ვიდრე არ გადაწყდება სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობა, სანამ არ მოხდება დეგრადირებული მიწის რეაბილიტაცია, არ ჩატარდება ინვენტარიზაცია და კადასტრი, არ დამკვიდრდება მიწის მემკვიდრეობითი ქირავნობის და იჯარის უფლებით გაყიდვის პრინციპი, არ განისაზღვრება სარეზერვო მიწის ფონდი, არ შეიქმნება სოფლად ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო პირობები და სხვა. ჩვენი აზრით, მიწის პრივატიზების შესახებ კანონის მიღებისა და მისი ცხოვრებაში რაც შეიძლება სწრაფი განხორციელების წინააღმდეგ შეიძლება იყვნენ მხოლოდ კომუნისტური აზროვნების ადამიანები.

მიწაზე უნდა იყოს აგრეთვე საკუთრების მრავალფეროვნება. სახელმწიფო, კოოპერაციული, კერძო და შერეული საკუთრების ფორმით. ასევე უნდა იყოს მეურნეობრიობის მრავალფეროვანი ტიპები.

როგორ გადაეცათ მიწა საკუთრებაში? უფასოდ თუ გამოსყიდვით? თუ ორივე გზით? რა თქმა უნდა ორივე გზით. მაგალითად, სამართლიანი იქნებოდა, რომ განსაზღვრული რაოდენობის მიწა (საკარმიდამო ორ ჰექტრამდე) გადაეცათ უფასოდ. ეს იქნებოდა კოლექტივიზაციის დროს განხორციელებული მიწების ექსპროპრეაციის ერთგვარი კომპენსაცია, ხოლო ამის შემდეგ მიწების გადანაწილება უნდა მოხდეს გამოსყიდვის გზით.

კარგად გააზრებული რეფორმა ხალხს და სახელმწიფოს ძალიან სწრაფად მისცემს უკუგებას. ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ჩაატაროს მიწების რეაბილიტაცია, გლახს უნდა შეუქმნას ისეთი ადეკვატური გარემო-პირობები, რომელიც ორიენტირებული იქნება წარმოების განვითარებაზე. უპირველეს ყოვლისა სოფელს უნდა დაეხმაროს კრედიტებითა და ტექნიკით.

სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს სახელმწიფო ტყის მასივები, ნაკრძალები, რკინიგზისა და მისი მიმდებარე მიწები, აეროდრომები, სამხედრო პოლიგონები, „სახელმწიფო მამულები“, ციხე-სიმაგრეებისა და სხვა მიწები. ხოლო გლეხობისა და მუშა-მოსამსახურეების (როგორც სოფლად, ისე ქალაქად) კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთები და გლეხობაზე (გამოსყიდვის გზით) ახლად გადაცემული მიწები უნდა გამოცხადდეს კერძო საკუთრებად.

როგორც ამას მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, მიწების განაწილებისა და გადაანაწილების სხვა სამართლიანი კრიტერიუმი არ არსებობს. გამოსყიდვის გარეშე მიწების განაწილება-გადაანაწილების (როგორც ამას პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს). შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. მაშასადამე, ერთადერთი სწორი გზაა, მისი გამოსყიდვა. მიწების გამოსყიდვა არ შეიძლება განხორციელდეს სპეციალურად შექმნილი საზედამხედველო ინსტიტუტის გარეშე. მიწების გამოსყიდვის დროს მიწის ფასის სწორედ დადგენა მთავარ საკითხს წარმოადგენს. ჩვეულებრივ მიწის ფასი მიწის შემოსავლიანობისა და ბანკის სარგებლის ნორმის კვალობაზე იანგარიშება. მაგრამ მიწის ფასის განსაზღვრის ეს საყოველთაოდ აღიარებული მეთოდი ჩვენში ახლა არ გამოდგება. საქმე ისაა, რომ დღეს საქართველოში, მოსახლეობის გამრავლებისა და განსაკუთრებით, სავარგულების სიმცირის გამო, ძალიან ძვირად ფასობს მიწა, ხშირად 1 კვ.მ. მიწის ფასი 100-200 აშშ დოლარს აღემატება. ეს ისეთი ფასია, რომელიც არ შეეფარდება მიწის შემოსავალს და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ სარგებლობას. თუ მიწები დღევანდელი საბაზრო ღირებულების კვალობაზე შეფასდა, გლეხობა სამუდამოდ ვალში ჩააცვივა. საჭიროა მიწების ისეთი გამოსასყიდი ფასების დადგენა, რომლის გადახდაც შეძლებს გლეხობა. კერძოდ ისე უნდა განისაზღვროს ფასი, რომ მიწის გამოსყიდვა ხელსაყრელი იყოს გლეხობისათვის. კანონპროექტში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული საქართველოში სოფლად მცხოვრებ მოსახლეობის შესაძლებლობა და ინტერესები, მიწის ნაკვეთის შეძენის უფლება კანონპროექტის თანახმად, პირველ რიგში უშუალოდ სოფლის მოსახლეობას ეძლევა. სპეციალური აუქციონი მხოლოდ მათთვის გაიმართება. გათვალისწინებულია ადგილობრივი მოსახლეობის მწირი ფინანსური შესაძლებლობები, ასევე მხედველობაშია მიღებული, რომ სპეციალურ აუქციონში გამარჯვებულ მოქალაქეებს, შესასყიდი თანხის გადახდა შეეძლებათ ნაწილ-ნაწილ, ხუთი წლის განმავლობაში.

კანონით უნდა განისაზღვროს პიროვნებისათვის ან ოჯახისათვის კერძო მფლობელობაში გადასაცემი მიწის ფართობი. მცირე მიწიანობიდან გამომდინარე უნდა დაწესდეს ოპტიმალური ნორმები. მაგალითად, ერთ სულზე 1 ჰექტარი, ხოლო ოჯახზე არა უმეტეს 20 ჰექტარისა. კანონით გარკვეულ დრომდე უნდა შეიზღუდოს ასეული ჰექტრობით მიწის შეძენისა და ფლობის უფლება, კურსი უნდა ავიდოთ წვრილი გლეხური მეურნეობის განვითარების გზით კლასიკური ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებაზე. ერთი სიტყვით, მიწის შესახებ კანონში ზუსტად უნდა განისაზღვროს მიწის მფლობელობასთან და ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ყველა პირობა.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ 5-6 სულიანი ოჯახის კომლის არსებობისათვის აუცილებელია 5 ჰექტარი საეარგული, ხოლო ჩვენ გლეხობას კი მხოლოდ 1,03 ჰექტარი აქვს, მაშინ კლასიკური ფერმერული მეურნეობის შექმნისათვის მიწის ყიდვა-გაყიდვა კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს. დღევანდელი 1,03 ჰექტრის მესაკუთრე გლეხი რა გზით უნდა გახდეს 5-10 ან 20 ჰა. მფლობელი? ე.ი. თუ არ უყიდა მიწის ნაკვეთი, რა გზით უნდა გახდეს იგი კლასიკურ ფერმერად?

მსხვილი მეურნეობის დაშლამ და მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემამ გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა წარმოების კონცენტრაციის დონეზე, სამექანიზაციო ნაკვეთები დაქუცმაცდა და დაწვრილერთეულდა, ამიტომ უნდა დაჩქარდეს მიწის ბაზრის ფორმირების პროცესი, რომ მოხდეს ფერმერულ მეურნეობათა გამსხვილება - გაფართოება და ფართო მასშტაბის სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელთა ფენის ჩამოყალიბება.¹

ასეთ პირობებში ცხადია ვერ მოხერხდება სამუშაოთა მექანიზაციის დონის, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის, ნიადაგის ნაყოფიერება გამდიდრების, მცენარეთა დაცვის და საერთოდ აღწარმოების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება და მითუმეტეს კლასიკური ფორმით, ფერმერული მეურნეობის ფორმირება.

გლეხობისათვის მხოლოდ მიწის საკუთრებაში უსასყიდლოდ ან მიყიდვის გზით გადაცემა ვერ უშველის მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას. კერძო მესაკუთრე გლეხს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს კრედიტებით, ტექნიკით, საამშენებლო მასალებით და

1. ბურკაძე ვ., მახარაძე ჯ., - საქართველოში აგრარული კრიზისის დაძლევის ძირითადი მიმართულებები. უკრნ. „სოციალური ეკონომიკა“. 2000წ. გვ. 99-106.

შედავათებით აღებული სესხების დაფარვაში. გლეხური (ფერმერული) მეურნეობები სათანადოდ უნდა მომარაგდნენ რელიეფის შესაბამისი მცირე გაბარიტიანი ტექნიკით, კოპერატიულ საწყობზე უნდა შეიქმნას მელიორაციული, აგროქიმიური და ტექნიკური მომსახურების დამოუკიდებელი სამსახურები. ახლა საქართველოში, მხოლოდ სახელმწიფოს (ან უცხოური ინვესტიციების) განსაკუთრებული დახმარების შედეგად შეიძლება დაძლეული იქნეს სოფლის მეურნეობის ქრონიკული ჩამორჩენილობა. ამ საქმეში სათანადო სამსახურის გაწევა მოუხდებათ ქვეყნის თითოეულ საწარმოს, ორგანიზაციას, უწყებას, საკრედიტო დაწესებულებებს. განსაკუთრებული ღონისძიებების გატარებაა საჭირო სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებით, რადგან იგი დამახინჯდა 1921 წლიდან მოყოლებული. მიწების ყიდვა-გაყიდვა უნდა განახორციელოს ქვეყანაში ამ მიმართებით შექმნილმა სპეციალურმა ინსტიტუტებმა. ჩვენი აზრით, ეს ფუნქცია შეიძლება დაეკისროს „სამიწათმოქმედო ბანკს“, რომლის გარეშე ქვეყანაში არ უნდა მოხდეს მიწების ყიდვა-გაყიდვა. „სამიწათმოქმედო ბანკი“ გლეხობას დაეხმარება კრედიტით, წარმართავს მიწის სწორად გამოსყიდვას, უხელმძღვანელებს მიწის ფონდების ეროვნული ინტერესების შესაბამისად განაწილებას.

ქვეყნის იმ რაიონებში, სადაც ქართველი მოსახლეობა აბსოლიტურ უმცირესობას შეადგენს, გასათვალისწინებელია ეროვნული ინტერესები. მიწა აქ მხოლოდ ისტორიულად მცხოვრები ერების მოქალაქეების კუთვნილება უნდა იყოს და არა ყველა მსურველისა. სანამ საქართველოში არ იქნება შემოდებული მოქალაქის სტატუსი, სწორად უნდა განეჭვრიტოთ რა შედეგებს მოიტანს მიწის მათთვის სარგებლობაში გადაცემა ან მიყიდვა. ასეთ რეგიონებში უნდა შეექმნათ ე.წ. „სახელმწიფო მამულები“, ამასთან კურსი უნდა ავიდოთ შედარებით მსხვილი საჩვენებელი სახელმწიფო ფერმერული მეურნეობების შექმნისაკენ, სადაც მოსახლეობა მიწაზე საიჯარო პირობებით იმუშავებენ. უნდა განისაზღვროს მოქალაქისა და სოფლის სტატუსი, უნდა აღსდგეს სოფლის თვითმმართველობა, რომელიც საქართველოში იქმნებოდა საუკუნეები მანძილზე გამომუშავებულ ტრადიციებზე და ადათწესებზე, რომელსაც დიდი ილია „უბიუროკრატო, უჩინოვნიკო მართვა-გამგებლობას უწოდებდა“.¹

ქართველ ერს აქვს იურიდიული უფლება საქართველოში სხვადასხვა დროს ჩამოსახლებულ ხალხებს (ბოლოსდაბოლოს) დაუბრუნოს ძველი მოსულის სტატუსი,

1. გაზ. „ილერი“ – სპეციალური გამოშვება, 2000 წ. ნომბერი №15.

როგორც ეს ბალტიისპირეთში განხორციელდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს. მათ პირველებმა გამოიყენეს მკვიდრობისა და არამკვიდრობის მნიშვნელობა დემოგრაფიული კრიზისიდან გამოსასვლელად და კონსტიტუციურად დააკანონეს მკვიდრი მოსახლეობის უპირატესობა მოსულთან შედარებით.¹

„მიწის შესახებ კანონმა“ უნდა უზრუნველყოს მიწების რაციონალური გამოყენების, ნიადაგების ნაყოფიერების ზრდის და მიწის რესურსების სათანადო დაცვის პირობები. ეს კანონი გადაწყვეტს დამოუკიდებელ საქართველოში აგრარული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და მტკიცედ იდგება ხალხის, კერძოდ ქართველი გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე.

1996 წელს მიღებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ კანონის თანახმად, მიწების ერთი ნაწილი გადაეცა მოსახლეობას, ხოლო ამ მიწების თითქმის 80% იჯარით იქნა გადაცემული.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღევანდელ ვითარებაში მიწების დიდი ნაწილი აღმოჩნდა არა გლეხების, არამედ „თანამედროვე მემამულეების“ ანუ ყოფილი და დღევანდელი ჩინოვნიკების ხელში. მაღალჩინოსნებმა მიწები გრძელვადიანი (99 წლიანი) იჯარით და შესყიდვის უფლებით აიღეს „კაპიკებად“. ბევრ მათგანს გაფორმებული აქვს ათასობით ჰექტარი მიწა იჯარით შესყიდვის უპირატესი უფლებით. მიწის ე.წ. „მოიჯარეები“ არ ამუშავენ მიწის ნაკვეთებს, ქვეიჯარით აქვთ გადაცემული, მათ დაქირავებული მუშახელით ამუშავენ და აქედან ღებულობენ დიდძალ შემოსავალს.

ერთი ჰექტარი მიწა 1000 ლარად აქვთ გადაცემული იჯარით. თუ ვისმეს 7 ათასი ჰა. მიწა აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ზის თბილისში და სახელმწიფოსაგან იღებს „მუქთად“ იჯარით მიღებული მიწიდან წელიწადში 7000X1000 ე.ი. 7 მილიონ ლარს.

მაშასადამე, საჭიროა ამასთან დაკავშირებით შესწორებები იქნეს შეტანილი მიწის კოდექსში. მიწის პრივატიზაციის კომისიის წევრები დაგვიანებით მიხედნენ დაშვებულ შეცდომას და ხელისუფლებას ახლა სთავაზობენ 99 წლით იჯარით გაცემული მიწების გაყიდვას. ქართველი საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია მიწის პრივატიზაციის კანონპროექტმა. მეცნიერების, პოლიტიკოსების და უბრალო ადამიანების გარკვეული ნაწილი ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდიან. განსაკუთრებით მწვავე რეაქციას იწვევს სასაზღვრო ზოლის პრივატიზაცია. საქმე

1. გაზ. „ილერი“ – სპეციალური გამოშვება, 2000 წ. ნომბერი №15.

ეხება საზღვრისპირა ზოლის მიწის ნაკვეთების ნულოვანი ვარიანტით კერძო საკუთრებაში გადაცემას.¹

კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა აზრით, საზღვრისპირა მიწის ნაკვეთების პრივატიზაცია სახელმწიფოს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის, თუნდაც იმიტომ, რომ ეს მიწები, შესაძლოა „არასასურველ პირთა“ ხელში აღმოჩნდეს. მესაზღვრეებს ხელს შეუშლის კონტრაბანდისტებისა და დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი 21 კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლის აღდგენას მოითხოვს. ჩვენი აზრით კანონპროექტის მიხედვით, სასაზღვრო ზოლის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა, ხელს შეუწყობს აღნიშნული ფართობების სრულფასოვან ათვისებას და საზღვრის უკეთ გაკონტროლებას. პრივატიზების შემთხვევაში ამ მიწებზე შეიქმნება დასახლებები. ამით კი რამდენიმე საქმე მოგვარდება. დავიცავთ საზღვარს და ამ ადგილებს დაცლისაგან გადავარჩინთ ამ შემთხვევაში, მესაზღვრისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ის საზღვარს კერძო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე დაიცავს თუ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე.

ახლა რეფორმის მეორე ეტაპზე საჭიროა რეფორმის პირველ ეტაპზე დაშვებული შეცდომების გამოსწორება, საადგილმამულო ურთიერთობების შემდგომი სრულყოფა, მიწის სრულიად და რაციონალურად გამოყენებაზე სახელმწიფოს კონტროლის დაწესება. მეურნეობის ყველა ფორმისათვის სამართლებრივი და ეკონომიკური თანასწორობის უზრუნველყოფა, მსხვილი საქონლური წარმოების აღდგენა და განვითარება, აგრეთვე სამთო ტრადიციული მიწათმოქმედებისა და საჯარო მეწარმეობის აღორძინება.²

სოფლად მეურნეობრიობის ახალი ფორმების დაფუძნების, მათი შექმნის მართებულობას და კლასიფიკაციის აუცილებლობას, ბევრ სხვა საკითხსაც, თავიდანვე უნდა შეექმნას სწორი საკანონმდებლო საფუძველი.

სამწუხაროდ, დღემდე ერთმანეთისაგან ჯეროვნად არ არის გამიჯნული პირადი დამხმარე, გლეხური და ფერმერული მეურნეობა. უფრო მეტიც, პრესასა თუ ეკონომიკურ ლიტერატურაში, ზოგჯერ კი სამთავრობო დოკუმენტებშიც მეურნეობრიობის ფორმები (ინდივიდუალური წმინდა საოჯახო, ერთობლივი

1. სასაზღვრო ზოლი 500 მეტრს მოიცავს, სასაზღვრო ზონა კი 5 კილომეტრს.

2. გოგოხია რ, გაშაკიძე თ. ჯიქია თ. – სოფლად მეურნეობრიობის კერძო ფორმათა ფუნქციონირება – კლასიფიკაციის საკითხისათვის. „სესესპსკი“, შრომათა კრებული, ტ. II, თბ., 1997 წ. გვ 689.

ფერმერული მეურნეობების და კორპორაციები) მათი შესაბამისი ცნებები და ტერმინები აღრეულია ერთმანეთში. ეს, ბუნებრივია ართულებს მეურნეობრიობის ფორმათა ფუნქციონირების ანალიზს, მათი პერსპექტივების განჭვრეტას. ამიტომ, როგორც თეორიული, ისე სტატისტიკური აღრიცხვის თვალსაზრისითაც აუცილებელია მათი გამიჯვნა, მართებული კლასიფიკაცია.¹

საქართველოში უნდა შეიქმნას კლასიკური ტიპის ერთპიროვნული ფერმერული მეურნეობები, საოჯახო ფერმერული მეურნეობები და კორპორაციული ტიპის ფერმერული მეურნეობები. ფერმერული კორპორაციები მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის პირმშოა და მათ განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

კორპორაციები შეიძლება დასპეციალდნენ მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსების მოყვანასა და გადამამუშავებაზე, ასევე პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდაზე და სხვა.

მომავალში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის ტენდენციების შესაბამისად ისინი ერთმანეთს, შეერწყებიან და ჩამოყალიბდება მძლავრი აგროსამრეწველო გაერთიანებები, რომლებიც გააკონტროლებენ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადამამუშავების, შენახვის და რეალიზაციის დასრულებულ ციკლს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაგასკენათ რომ ქვეყანაში მეწარმეობის ძველი ფორმების რეტრუქტურიზაცია, რომელიც საბაზრო ტიპის სოფლის მეურნეობის შექმნის აუცილებელი პირობაა, ძალიან ნელი ტემპით და სერიოზული ნაკლოვანებებით მიმდინარეობს. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ რეფორმა დაიწყო სათანადო საკანონმდებლო ბაზის გარეშე, და ამდენად არსებული კანონები ვერ არეგულირებენ ე.წ. სოციალისტური სოფლის მეურნეობის გარდაქმნის პროცესებს. აშკარად შეიძლება ითქვას, რომ სათანადო არ ხდება სოფლად მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის სახელმწიფოს მხრიდან დარეგულირება.

თანამედროვე პირობებში ეროვნული ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აგრალური სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირება, სოფლად სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლის

1. გოგობია რ, ვაშაკიძე თ. ჯიქია თ. - სოფლად მეურნეობრიობის კერძო ფორმათა ფუნქციონირება- კლასიფიკაციის საკითხისათვის. „სესესპსკი“, შრომათა კრებული, ტ. II, თბ., 1997 წ. გვ 689.

გაძლიერება-განმტკიცება. აგრალური სექტორის მხარდაჭერას უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი, ადეკვატურად პასუხობდეს კონკრეტულ პროცესს და რაც არსებითია, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური ეფექტიანობის წანამძღვრების მომზადებას.¹

სოციალისტურ ეკონომიკური სისტემიდან თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ლოგიკურად მოითხოვს ქვეყნის ბუნებრივ - ისტორიული პროცესის შესაბამისად, სამეურნეო ცხოვრების ორგანიზაციის ახლებურად მოწყობას, რომელშიც შეხამებული იქნება მეურნეობრიობის ტრადიციული პრინციპები, გამოცდილება და თანამედროვე მსოფლიოს აგრალური სექტორის განვითარების თავისებურებები, ტენდენციები და კანონზომიერებანი.

3.8. ტყის პრივატიზება

საქართველოში ტყის მასივები სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს. ტყეზე საკუთრების ინსტიტუტის შეცვლა დღეს უგუნურებადაა აღიარებული.

როგორც ამას მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, ტყეების კერძო საკუთრებაში გადაცემით მთელი მასივები განადგურდა. ამის დასადასტურებლად აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნების მაგალითი გამოდგება. ამ ქვეყნებში ტყის მასობრივი პრივატიზაცია არ განხორციელებულა, მაგრამ რესტრუქტურისაციის შედეგად ყოფილ მეპატრონეებზე დაბრუნებული ტყეები ისე გაჩანაგდა, რომ მათ გადარჩენას ახლა ტყეების უკან შესყიდვით ცდილობდნენ.

ამჟამად მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში უკუ პროცესი მიმდინარეობს. ტყის მასივებზე სახელმწიფო საკუთრების უპირატესობასა და აუცილებლობაში დარწმუნებული მთელი რიგი სახელმწიფოები სხვადასხვა დროის კერძო მფლობელებზე გადაცემული ტყეების შესყიდვას აწარმოებს.

მაგალითად, კანადაში თავის დროზე სახელმწიფოს მიერ კერძო მფლობელებზე გასხვისებული ტყეების უდიდესი ნაწილი შესყიდულია და ადგილობრივი ხელისუფლების მფლობელობაშია გადაცემული. ფედერალური ხელისუფლება ტყის არცერთ ჰექტარს არ ფლობს, ხოლო კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაში ტყის

1. ჭითანავა ნ. - სახელმწიფო აგრალური პოლიტიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პროცესები. „სესეპსკი“, ტ. IV. 1999 წ. გვ. 447.

საერთო ფართობის მხოლოდ 5%-ია დარჩენილი.

ასევე რუსეთმა, რომელიც ტყეების უდიდეს მასივებს ფლობს, ტყეების პრივატიზაციაზე კარგა ხანია ხელი აიღო. ტყეები რუსეთში ახლა ქვეყნის ბიოფონდის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ინგრედიენტებს შორის განიხილება და ნედლეულის სახით ექსპორტის მეთოდურად შეზღუდვის პოლიტიკა ხორციელდება. თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ტექნიკით ჩამორჩენილი რუსეთი, ავეჯის წარმოებით სახელგანთქმულ საზღვარგარეთის კორპორაციებს თავის ქვეყანაში იწვევს და ნახევარფაბრიკატების შემცველი პროდუქციის, ავეჯის და სხვა ნაკეთობათა რუსეთშივე წარმოებას სთავაზობს.¹

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის, რომ 55–60 კუბური მეტრი მორების დამზადებასა და საზღვარგარეთ გატანაზე ერთი კაცი ერთი თვის მანძილზე დასაქმებული, ხოლო ამ რაოდენობის ხე-ტყის მასალა გადამამუშავებელ მრეწველობებში თვის მანძილზე 7–9 სამუშაო ადგილს უზრუნველყოფს.

მაშასადამე, მორების ანუ ნედლეულის სახით ხე-ტყის ექსპორტი, პრაქტიკულად სამუშაო ადგილების ექსპორტს ნიშნავს და ფლორა-ფაუნის გაჩანაგების გარდა, საქართველოს ეკონომიკასაც აუნახლაურებლად აზარალებს, ხე-ტყის ნედლეული ქვეყანაში ნახევარფაბრიკატებად გადამამუშავების შემთხვევაში ამ დარგში დასაქმებულთა რაოდენობა მინიმუმ 3-ჯერ, ხოლო მზა პროდუქციის დამზადების შემთხვევაში 9-ჯერ მაინც გაიზრდება.²

მაშასადამე, დღეს ტყეზე საკუთრების ინსტიტუტის შეცვლა მსოფლიოში უგუნურებადაა აღიარებული. ხოლო რაც შეეხება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ტყის რეფორმის საიმედოობას, იგი მეცნიერ-სპეციალისტთა სამართლიან ეჭვს იწვევს, რადგან რეფორმის გატარება ძირითადად გრძელვადიანი იჯარის გზით გადაჭრაზეა ორიენტირებული. იჯარა ეს არის ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის (გაქირავების) ხელშეკრულება. ქონების მიმღები იღებს შემოსავალს და ამაში იხდის წინასწარ დადგენილ ქირას. გრძელვადიანი იჯარის შემთხვევაში ტყის ძარცვა გაგრძელდება, რამაც ტყეების სრულ გაჩანაგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

ჩვენი აზრით უნდა შეიქმნას ტყის სახელმწიფო მეურნეობები. საქართველოს ტყეები არ არის მერქნის სერიოზული რესურსი. სამაგიეროდ, ისინი წყალდაცვითი და

1. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №4, 2004 წ., გვ. 10–13.

2. იქვე.

ნიადაგდაცვითი (ანუ მთის ლანდშაფტის დაცვისა და შენარჩუნების), ტურიზმისა და სარეკრეაციო სერიოზულ რესურსს წარმოადგენს. შესაბამისად, პირველი პრობლემა ამ რესურსის დაცვა და გადარჩენაა, შემდეგ კი – რაციონალურად გამოიყენება.

მაშასადამე, საჭიროა ტყის რესურსის, მისი გამოყენების დაცვის სხვადასხვა შესაძლებლობების სერიოზული ეკონომიკური შეფასება და საუკეთესო ვარიანტის ამორჩევა, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს გრძელვადიანი ხედვის და მთელი ჩვენი რეგიონის საბაზრო ტენდენციების გაანალიზების საშუალებით და არა უბრალოდ სატყეო დეპარტამენტის სამომავლო გეგმების მონეტარულ გამოსახულებაში გადაყვანით. როგორც ეს მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ეკონომიკური შეფასებისას გაკეთდა.

თავი IV. სახელმწიფო ქონების პრივატიზების წინააღმდეგობრივი ასპექტები

4.1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიული გზის არჩევაში დაშვებული შეცდომა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიული მიმართულების (ვადების, თანმიმდევრობის თუ ფორმების) შესახებ შეხედულებები განსხვავებულია, მაგრამ მაინც გამოირჩევა ორი ძირითადი მიმართულება.¹ პირველი მიმართულება რადიკალურია. ეს არის „შოკური თერაპიის“ გზით საბაზრო ეკონომიკაზე დაუყოვნებლივი გადასვლის თეორია, რომელიც გამორიცხავს მეტ-ნაკლები ზომით ხანგძლივი გარდამავალი პერიოდის საჭიროებას. მეორე მიმართულებაა გარდამავალი პერიოდის მეშვეობით საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლის თეორია – „გრადუალიზმი“. ამ უკანასკნელის მიხედვით საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების აუცილებელი წინა პირობაა კატასტროფამდე მისული ეკონომიკის გაჯანსაღება – სტაბილიზაცია და გარკვეულ პერიოდში ე.წ. „ორსისტემიანი“ ეკონომიკის ერთდროულად ფუნქციონირება მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებით. „არასაბაზრო ეკონომიკის“ მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათანობით შეიძენს საბაზრო ნიშან-თვისებებს და საბოლოოდ მას შეერწყმება.

ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკის კურსს ალტერნატივა არაა აქვს. მის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც ვერ შეემა მსოფლიოს მაღალგანვითარებული სახელმწიფოების რიცხვში. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ საქართველოში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა ე.ი. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლა არასწორი გზით

1. ამ საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაციის გარდა საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სამი განსხვავებული გზა, რომელთაგან პირველია „გრადუალიზმი“ (რომელიც ჩამოყალიბდა უნგრეთში), მეორე „შოკური თერაპია“ (იგი პოლონურ-ჩეხოსლოვაკური წარმოშობისაა), მესამე ეს არის „დროში გაწეილი გრადუალიზმი“. როცა საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა დროში არის ძალზე გავრცობილი, ეს მეთოდი ჩინელების მიერ წარმატებით იქნა გამოყენებული. ეს უკანასკნელი იწყება მცირე საწარმოთა პრივატიზებით, კერძო სექტორი დაიშვება ვაჭრობაში მომსახურების სფეროსა და ტურიზმში

განხორციელდა. „შოკური თერაპიისა“ და „გრადუალიზმის“ ორი შესაძლო გზიდან, საქართველოს პირობებისათვის შეირჩა უარესი – „შოკური თერაპიის“ გზა.

„შოკური თერაპია“ ან „დიდი აფეთქება“, „დიდი დარტყმა“ და „მწარე აბი“ გულისხმობს უმოკლეს ვადებში გარდაქმნების მაქსიმიზებას.

„შოკური თერაპიის“ მეთოდი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად იქნა გამოყენებული დასავლეთ გერმანიის რეფორმირებისათვის. ამ მეთოდს „მეორე სიცოცხლე“ პოსტკომუნისტურმა პოლონეთმა შესძინა. შემდგომ სხვადასხვა ვარიაციით წარმატებით იქნა გამოყენებული სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც. მათ შორის ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც. იგი განხორციელდა: პოლონეთში „ბალცეროვიჩის გეგმის, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში – „კლაუსის გეგმის“ სახელწოდებით.

მსგავს ვარიაციებს ადგილი ჰქონდა „არაშოკურ ქვეყნებშიც“. ასე მაგალითად, უნგრეთში მიიღეს „კუპას გეგმა“, ხოლო იუგოსლავიაში „მარკოვიჩის გეგმა“. რაც შეეხება საქართველოს, იგი გამოყენებული იქნა ორთოდოქსული ე.წ. „ვაშინგტონის კონსესუსის“ სცენარით, რაც ქვეყანაში ტრანსფორმაციული პროცესებისადმი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიდგომებს დაედო საფუძვლად.¹

ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის ურთულესი პროცესი თავიდან სერიოზული შეცდომებით იქნა დაწყებული. არასწორად იქნა შერჩეული გადასვლის გზა. რა თქმა უნდა „შოკურ თერაპიას“ სჯობდა მეორე გზა – „გრადუალიზმი“. რომლის მიხედვით მიმდინარეობს სხვადასხვა საქონელზე ფასების განთავისუფლება და შესაბამის საწარმოთა წინასწარი მომზადება კონკრეტულ გარემოში სამუშაოდ. „გრადუალიზმი“ გულისხმობს თანდათანობით, ეტაპობრივი გარდაქმნების განხორციელებას. თანდათანობით ე.წ. „შერბილებული რეფორმების“ კლასიკურ მაგალითს ჩინეთი წარმოადგენს. რეფორმების გზით საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლა დროში მეტად გაწელილია.

როგორც ეს პრაქტიკამ აჩვენა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური თერაპიის“ მეთოდი მიუღებელი აღმოჩნდა, რამდენადაც მან ყველა ქვეყანაში „შოკური“ ხასიათის წინააღმდეგობები წარმოქმნა.

„გრადუალიზმის“ მეთოდს რა თქმა უნდა უპირატესობა აქვს. მაგალითად მთელ რიგ

1. პაპავა ე. – პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, 2005, თსუ გამომცემლობა, გვ. 21.

ქვეყნებში ამ მეთოდის გამოყენებამ დაადასტურა გეგმური და საბაზრო ეკონომიკის თანაარსებობის, მათი ერთგვარი „სიმბიოზის“ შესაძლებლობა. ამ მეთოდის გამოყენებამ განსაკუთრებით ჩინეთში გაამართლა, რასაც „ჩინურ სასწაულს“ უწოდებენ.

მთელი „კაპიტალისტური“ სამყარო დაინტერესებული იყო როგორც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე საქართველოში როგორმე, რაც შეიძლება სწრაფად ამოძირკულიყო სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრების და ცენტრალიზებული ეკონომიკის რესტავრაციის შესაძლებლობის ყოველგვარი საფუძველი.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციები შესაბამისობაში არ იყო პრივატიზაციის განხორციელების ოპტიმალურ ტემპებთან და მთლიანად ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განსახელმწიფოებრივების დონესთან. აშშ-ის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე თავს მოხვეულ, ძირშივე მცდარი რეფორმებისადმი ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას არ უნდა ჰქონოდა ადგილი.

ჩვენი აზრით, პოსტკომუნისტური ქვეყნების სპეციფიკური თავისებურებები მოითხოვდა „გრადუალიზმის“ გამოყენებას. რამდენადაც „შოკური თერაპიის“ გზით რეფორმებისათვის ამ ქვეყნებს არ აღმოაჩნდათ საჭირო ობიექტური წინაპირობები. „შოკური თერაპიის“ მეთოდის საფუძველად აღებული იქნა მონეტარისტული სქემა, რაც გამოუსადეგარი აღმოჩნდა ამ ქვეყნებში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პრობლემების გადასაწყვეტად. ისე როგორც მთელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, საქართველოსაც სჯობდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაეწყო არა „ზემოდან ქვემოთ“, არამედ „ქვემოდან ზემოთ“. ე.ი. უპირატესობა კი არ მიგვენიჭებია პრივატიზაციისათვის, არამედ უნდა შეგვექმნა საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურა, ახალი საწარმოების შექმნის და ძველის სანაციის გზით. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ყველა საწარმოს დახურვა და ეკონომიკის მასობრივად ნგრევა. სწორედ ამ შემთხვევაში შედარებით უმტკივნეულოდ უზრუნველყოფდით კომუნისტურად ორიენტირებული ეკონომიკიდან საბაზროზე ევოლუციური გზით გადასვლას.

„შოკურ თერაპიის“ მეთოდის რეალიზაცია საქართველოში 1992 წლიდან დაიწყო, რომლის განხორციელებისათვის ამ დროისათვის ქვეყანა მზად არ აღმოჩნდა.

საქართველოში ბრმა კოპირების შედეგად „შოკურ თერაპია“ დამახინჯებით გატარდა. პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების დიდი ნაწილი თურქმენეთის, უზბეკეთისა და ბელორუსიის გამოკლებით „შოკური თერაპიის“ გზას დაადგინენ. ამ

ქვეყნებისათვის დამახასიათებელი გახდა სოციალური დაძაბულობა, ეკონომიკური აქტივობის დაცემა, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის ზრდა, ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი, ინფლაცია და სხვა. ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტები არ გამოდგნენ რეფორმების დასაყრდენ საფუძველად, ამიტომ „შოკური თერაპია“ იქცა ე.წ. „მწარე აბად“.

გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი ასეთი მეთოდის გამოყენებას (კონკრეტული მექანიზმების და სათანადო მხარდაჭერის არ არსებობის პირობებში), უწოდებს „ჩვენი დროის უდიდეს ეკონომიკურ ტრაგედიას“.¹ 90-იან წლებში გაველენიანმა ფინანსურმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ცნობილ ეკონომისტებთან ერთად შეიმუშავეს ეკონომიკური პოლიტიკის (რეფორმების) ძირითადი მიმართულებები, რასაც „ვაშინგტონის კონსესუსი“ ეწოდა. აქედან ამოიხარდა „შოკურ თერაპია“, რომელიც ვერ ითვალისწინებს ამა თუ იმ ქვეყნის მთელ რიგ თავისებურებებს.

ეს არჩევანი ქვეყნის მოსახლეობას არ გაუკეთებია, არც ინტელიგენციას და პოლიტიკურ პარტიებს უმტკრევია თავი, იმაზე თუ როგორ მოხდებოდა ამგვარი სისტემის დამყარება. ეს მოდელი საქართველოს ურჩიეს რომელიც ყოველგვარი საყოველთაო-სახალხო განხილვის გარეშე უყოყმანოდ მივიღეთ.²

დღეს „შოკურ თერაპიის“ ავტორები და საქართველოში მისი პრაქტიკული გამტარებლებიც კი აღიარებენ, რომ უფრო სასურველი იქნებოდა თანდათანობით რეფორმების გზა - „გრადუალიზმი“, რადგან საკუთრების ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა მოითხოვდა ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო ინსტიტუციონალურ დონის დიებათა მთელი კომპლექსი, რათა პრივატიზებული საწარმოები ამოქმედებულიყო სრულიად ახალ (კერძო საკუთრების) ვითარებაში თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საფუძველზე.

ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საკუთრების შეცვლა მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს არ წარმოშობდა.

ჩვენ დაუშვით უხეში შეცდომა, კერძოდ ვერ გამოვიყენეთ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მდიდარი მსოფლიო გამოცდილება.

1. ვ. პაპავა. - პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, 2005, თსუ გამომცემლობა, გვ. 22.

2. იქვე

მცდარად გაგებულნი ბაზრის თავისუფლების გზაზე ყოველგვარი შეზღუდვის მოხსნამ ქვეყანას არსებითად ანარქიისაკენ უბიძგა. მცდარი აღმოჩნდა ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ერთბაშად შეზღუდვის პოლიტიკა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში „შოკური თერაპიის“ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების დროს შეგნებულად იქნა უგულებელყოფილი პოსტკომუნისტური გარდაქმნების სპეციფიკური შინაარსი და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. თუ „შოკური თერაპია“ მიზანდასახულად და კომპლექსურად განხორციელდებოდა, მას ასეთი დამანგრეველი შედეგები არ მოჰყვებოდა. მაგრამ საქართველოს მმართველობით ელიტას სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდა, რის გამოც ამოქმედდა მხოლოდ კერძო მესაკუთრული ტენდენციები, რაც საკმარისი იყო მათ მიერ სახელმწიფო საკუთრების ხელში ჩასაგდებად.

ცენტრალიზებულ-გეგმურ ეკონომიკიდან, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიულ საფუძვლად უნდა გვეღიარებინა არა „შოკური“ სპონტანური მეთოდი, არამედ თანდათანობითი, დროში გაწელილი პრინციპული ხასიათის ცვლილებები.

თუ საქართველოს მთავრობა მომავალში გააგრძელებს „შოკური თერაპიის“ ძველი პრინციპების გამოყენებას, გვერდს აუვლით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ინსტიტუციური მეთოდების დანერგვას და კვლავ სპონტანურ მეთოდებს მივცემთ უპირატესობას, ამით ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებაში კვლავ შეუვსებელი იქნება სისტემური ვაკუუმი და არსებითად დაბრკოლდება ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

საქართველოში პრივატიზაცია უამრავ კანონდარღვევასთან და დანაშაულთან იყო დაკავშირებული. სიტუაციას ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ პრივატიზაცია მიმდინარეობდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებულ მწვავე ინსტიტუციური კრიზისის, ომებისა და სამოქალაქო კონფლიქტების პირობებში. მასობრივად გავრცელდა სახელმწიფო ქონების გაფლანგვა და დატაცება, მექრთამეობა, სახელმწიფო მოხელეების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები, ფიქტიური გაკოტრებები, ფინანსური მაქინაციები, „ერთდღიანი“ საწარმოების (ბანკების) შექმნა, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების შემდეგ უმაღლეს უკვალოდ ქრებოდნენ ხოლმე, სახელმწიფო ქონების განსხვისების დროს კორუფციული გარიგებების მეშვეობით ფიქტიური აუქციონების მოწყობა და „ბინძური ფულის გათეთრების“ პრაქტიკა. ყოველივე ამის შედეგად სახელმწიფო ქონების გადაცემა ახალი მესაკუთრების ხელში პრაქტიკულად უკონტროლოდ ხორციელდებოდა საქართვე-

ლოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში აგრეთვე გამოვლინდა და გამოიკვეთა მთელი რიგი წინააღმდეგობრივი ასპექტები, კერძოდ: ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესუსტების, სახელმწიფო საკუთრების როლის უგულვებელყოფის, საპრივატიზაციო ქონების მოცულობასთან და ტემპებთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.

საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროს მიმართ სახელმწიფოს „ზედმეტი“ მეურვეობის შესახებ ბევრი კრიტიკული მოსაზრება არსებობს, მაგრამ ფაქტები (რათქმა უნდა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), დამაჯერებლად მეტყველებს (მაგალითად შვედეთის) ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მაღალ ეფექტიანობაში. თანამედროვე პირობებში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკა მსოფლიოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ძლიერდება მაღალტექნოლოგიურ სფეროთა პროექტების პირდაპირი სახელმწიფოებრივი დაფინანსება, რაც უზარმაზარ თანხებს მოითხოვს.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ხვედრით წილს უპირატესად განსაზღვრავენ მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების წილით. უკანასკნელად 30 წლის განმავლობაში განვითარებული ქვეყნის მიხედვით საშუალო სახელმწიფო დანახარჯები მშპ-ში 9%-დან 47%-მდე გაიზარდა. განვითარებად და შედარებით ღარიბ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში ბევრად ნაკლებია და საშუალოდ 20%-ს უდრის. სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკის ქვეყნებში (განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში) ეს წილი 50%-ს შეადგენს, ხოლო შვედეთში 60%-ზე მეტს.¹

მძაფრი კონკურენციის პირობებში ქვეყნის მრეწველობის ტექნოლოგიურ ბაზარზე პროგრესირებადმა ჩამორჩენილობამ დღის წესრიგში დასვა სახელმწიფოს როლის გაძლიერების საკითხი. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საბაზრო მეთოდებისა და სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების მეთოდების ოპტიმალური შეხამებისათვის, რაც ეკონომიკური სისტემის მაღალეფექტიანი ფუნქციონირების პირობაა. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთში განსაკუთრებით ბევრია საბაზრო ეკონომიკის პირობებში გეგმიანი საწყისების გამოყენების კლასიკური მაგალითები. მაგალითად, ინდიკატური დაგეგმვა,² რომლის უპირველესი ამოცანაა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი და კერძო სექტორის

1. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მთლიანად გააუქმა და უარყო ინდიკატური გეგმა.

2. მოვსესიანი ა.გ. ოგნივცევი ს.ბ. – „მსოფლიო ეკონომიკა“ (სახელმძღვანელო) თბ., 2004, გვ. 15

კოორდინაცია, ანუ შერეული ეკონომიკის მართვა, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე მისი ოპტიმიზაციის მიმართულებით.

ადმინისტრაციული და საბაზრო მეთოდების თანაფარდობა მთლიანად განისაზღვრება კონკურენტული ვითარებით. პრაქტიკა ადასტურებს, რომ რაც უფრო მწვავეა ეკონომიკური სიტუაცია, მით უფრო დიდია პირდაპირი სახელმწიფო-ადმინისტრაციული მეთოდების როლის გაძლიერების საჭიროება.

მაშასადამე, განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი მშპ-ის მოცულობაში სახელმწიფოებრივი საკუთრების მაღალი ხვედრითი წილით განისაზღვრება. ბოლოსდაბოლოს სახელმწიფომ (საქართველოს მთავრობამ) საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა უნდა გახადოს მართვადი, ბაზარი და საბაზრო ეკონომიკა მიჩნეული უნდა იყოს არა თვითმიზნად, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევის, კერძოდ, საზოგადოებაში კლასობრივ განსხვავებათა დაძლევისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური განვითარებისათვის, კერძო ინიციატივის და კონკურენციის ეკონომიკის აქტიურ სახელმწიფოებრივ რეგულირებასთან შეხების ფენომენად.

4.2. სამართლებრივი, მეთოდური და ორგანიზაციული ხასიათი შეცდომები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიული გზის არჩევანში დაშვებულ შეცდომას დაემატა პრივატიზაციისათვის მთავრობის მოუმზადებლობა. ამ პერიოდისათვის არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი ბაზა, არ იყო გათვალისწინებული პრივატიზების ვადები, მასშტაბები, ტემპები და ა.შ. ამ გარემოებამ რა თქმა უნდა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყანაში პრივატიზების პროცესის მიმდინარეობაზე.

აშკარად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პრივატიზების დაწყების წინა პერიოდში სახელმწიფო ქონების (ობიექტების) სათანადო აღწერა არ მომხდარა. ამ პერიოდისათვის დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მიერ აღრიცხული იყო მათ დაქვემდებარებაში არსებული მხოლოდ საწარმოები და არა საწარმოთა შემადგენლობაში არსებული ობიექტები. რაც შეეხება ქვეყნის სახელმწიფო ქონების (ობიექტების) სახელმწიფო რეესტრს (ჩამონათვალს) იგი არ გაკეთებულა. ამიტომ

ზუსტი მონაცემები დღესაც არ გააჩნია, არც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და არც ქონების მართვის სააგენტოს. სამწუხაროდ, ვერც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ფლობს ზუსტ მონაცემებს.¹

საქართველოში დღესაც არსებობს ინვენტარიზაციის პროცესში ჯერ კიდევ გამოუვლენელი და აღურიცხავი ე.წ. „დაკარგული“ ძირითადი ფონდები, დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტები და სხვა ქონება.

განსაკუთრებით თბილისში და საქართველოს ნებისმიერ რეგიონში არის დანგრეული და გაპარტახებული ქარხნები, ფაბრიკები, მშენებარე (დაუმთავრებელი ობიექტები) და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობები ჩამონგრეული ჭერითა და კედლებით. ეს ობიექტები სათანადოდ არ არის აღწერილი და შეფასებული, მათი ინვენტარიზაცია საერთოდ არ ჩატარებულა.

დღეს მილიონობით ღირებულების საერთო-სახალხო ქონება არის ეგრეთწოდებული პროფკავშირების და სხვა უწყებების ხელში. პროფკავშირების რაღაც ბირთვი მართავს ამ ქონებას, ყიდიან და ასხვისებენ მათ. ბიუჯეტში კი არც ერთი თეთრი არ შედის. აღნიშნულის მოწესრიგებაზე მხოლოდ ახლა ალაპარაკდნენ სათანადო ორგანოები.

ქვეყანაში განხორციელდა ე.წ. კორპორიზაციის პროცესი. განისაზღვრა მეწარმე ეკონომიკური სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), კოოპერატივი. ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამონათვალთან ერთად შევიდა ე.წ. „სახაზინო საწარმოები“. ეს უკანასკნელი გახდა პრივატიზებიდან თავის არიდების საშუალება და ათი წლის შემდეგ კიდევ იმკის ქვეყანა ამ ნაბიჯის უარყოფით შედეგებს ქვეყნისათვის ვალების მომტანი ათასობით საწარმოს არსებობით.

როგორც ეს სახელმწიფოს ნაწილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა საქმიანობის ანალიზიდან გაირკვა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ წამგებიან

1. ქონების მართვის სააგენტო, და არც სხვა რომელიმე უწყება ვერ ფლობს ზუსტ ინფორმაციას სახელმწიფო ქონების (საწარმოებისა და ობიექტების) რაოდენობის შესახებ. ქვეყანაში ასეთი ერთიანი და სრულყოფილი სია ქალაქების, რაიონების, ადმინისტრაციული თუ მუნიციპალური დაქვემდებარების მიხედვით არ არსებობს.

საწარმოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ისინი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონის“ თანახმად არ გაუქმებულა.

აშკარად შეიძლება ითქვას, რომ პრივატიზებისა და რესტრუქტურისაციის მიმართულებით ეკონომიკური რეფორმები ფაქტობრივად საწარმოების განსახდერული იურიდიულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების იქით არ წასულა.

ჩვენი აზრით საჭიროა ამ ობიექტების ზუსტი აღწერა და რეალური ღირებულების დადგენა. უპირანი იქნება მოქალაქეთა საკუთრებაში მათი გადაცემა შეტანილი ანაბრების თანხის შესაბამისად. ერთის მხრივ, ეს ფინანსთა სამინისტროს ჩაეთვლებოდა პრივატიზაციიდან ამოღებულ თანხად, ხოლო მეორეს მხრივ იქნებოდა სახელმწიფოს მიერ შიდა ვალის გასტუმრების საკმაოდ რეალური და უპრობლემო გზა. ამ ღონისძიების გატარებით ობიექტებს გაუზრდებოდა პატრონი და დაიფარებოდა მოქალაქეთა შიდა ვალი.¹

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ქონების რეალური შეფასება სამწუხაროდ საქართველოში პრივატიზების განხორციელების ყველა ეტაპზე არასწორად ხდებოდა საპრივატიზებო ქონების შეფასება.

სახელმწიფო ქონების არასწორი შეფასება ძირითადში გამიწვეული იყო ობიექტების საბაღანსო ღირებულებასა და ფაქტობრივ ღირებულებებს შორის არსებული სხვაობით.

ქონების საწყისი ფასი უნდა განსახდერულიყო საბაღანსო ღირებულებასა და ქონების ინვენტარიზაციის მონაცემებიდან გამომდინარე და იმ რეალური ფასების საფუძველზე, რომელიც მოცემულ მომენტში დადგენილი იყო საბაღანსო ღირებულებით.

ობიექტების ინვენტარიზაციისა და გადაფასების კომისიები არ ატარებდნენ ძირითადი ფონდების (კაპიტალის) სრულ ინვენტარიზაციას. (იგი ჩატარდა თვით საწარმოთა კოლექტივების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ საწარმოთა ქონების ღირებულების ხელოვნური შემცირებით). არ იქნა გათვალისწინებული ობიექტების რეალური ღირებულება. დაეყრდნენ მხოლოდ საბუღალტრო აღრიცხვის მასალებს, აღნიშნულ მასალებში კი ძირითადი ფონდების საბაღანსო ღირებულება

1. ჯიბუტი ა., ღლონტი ი. – საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი. თბ., 2003 წ. გვ. 100.

ხშირ შემთხვევაში არასწორად იყო ნაჩვენები. ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულებაში არ შექონდათ კაპიტალურ რემონტზე გაწეული დანახარჯები. ყოველივე ამის გამო მარტო საპრივატიზებო ქონების ღირებულება დაახლოებით 20 მლნ ლოლარით შემცირდა.¹

ამას დაემატა ქონების შეფასების მეთოდის ნაკლოვანება, რომლის მიხედვით ქონების ნარჩენი ღირებულება გაანგარიშებული იქნა მისი ამორტიზაციის თანხის გამოკლებით, რის შედეგადაც წარმოებაში არსებული მოქმედი ფონდების ღირებულება (განსაკუთრებით მისი პასიური) ნაწილის ღირებულება ნულს გაუტოლდა და ამ საფუძველზე მთელი რიგი ობიექტები ჩალის ფასად გაიყიდა. იმ დროს, როდესაც აღნიშნული ფონდები თავისი ფიზიკური მდგომარეობით ექსპლოატაციისათვის სრულიად ვარგისი იყო და შექმლო კიდევ ათეული წლების მანძილზეც კი ემსახურა წარმოებისათვის.

1992–1995 წლებში საწარმოთა გამოსასყიდი ფიქსირებული თანხა ჰიპერინფლაციის გამო მხოლოდ სიმბოლურ თანხად იქცა. არასწორად იქნა შემუშავებული ძირითადი ფონდების გადაფასების კოეფიციენტი, იგი მეტისმეტად დაბალი იყო და ვერ ასახავდა ფასების მაშინ არსებულ დონეს. ძირითადი ფონდების გადაფასების ასეთმა მცდარმა მეთოდმა ღირებულება დაადასვა საწარმოების, ფირმების, კოლპერატივებისა და აქციონერული საზოგადოებების საწყისი-საწესდებო კაპიტალის განსაზღვრას.

მართალია დაიწყეს საპრივატიზებო ქონების შეფასება საბალანსო ღირებულების საფუძველზე, მაგრამ იგი სწორად არ გაკეთდა.

ქონების საბალანსო ღირებულების დადგენა არ ნიშნავს მის სწორ შეფასებას. ძვირადღირებული მოწყობილობა ზოგჯერ ზარალს იძლევა, იაფფასიანი კი – მოგებას. ამიტომ კერძო მესაკუთრისა და საზოგადოებისათვისაც სწორედ იაფფასიანს შეიძლება ჰქონდეს უფრო მაღალი ღირებულება. მაშასადამე, საჭიროა მოხდეს ქონების (ძირითადი ფონდის) საბაზრო შეფასება. ე.ი. საპრივატიზაციო ქონებას თავისი ჭეშმარიტი ფასი არ დაედო, ძირითადი ფონდების საპრივატიზებო ფასები ისე დაშორდა საბაზრო ფასებს, რომ წლის მანძილზე ერთი ძროხისაგან ჩამოწველილი

1. 90-იანი წლების დასაწყისისათვის ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე (ბუნებრივი რესურსების, ტყის მასივებისა და სავარგულების გარეშე) 180 მილიარდ ლოლარს შეადგენდა, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 33 ათას ლოლარს.

რძის ღირებულება აღემატებოდა სახელმწიფოს მიერ თითქმის 10 ათასი ავტომანქანის პრივატიზაციიდან მიღებულ მთელ შემოსავალს.¹

1990–1991 წ.წ. საწარმოთა გამოსასყიდი ფიქსირებული თანხა ჰიპერინფლაციის გამო მხოლოდ სიმბოლურ თანხად იქცა.

სულ დღემდე სახელმწიფო საკუთრებიდან გამოტანილია საპრივატიზებოდ განკუთვნილი საწარმოთა რაოდენობის 80%-ი და, მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ღირებულების მხოლოდ 0,6%.²

ქონების ღირებულების შეფასების დროს მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ამორტიზაციის თანხის ის ნაწილი, რომელიც მოხმარდა ფონდების ნაწილობრივ აღდგენას, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მათი ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება და შესაბამისად ნარჩენი ღირებულების გადიდება.

სახელმწიფო ქონების შეფასებისათვის უფრო სწორი იქნებოდა გამოყენებული ყოფილიყო საბაზრო ფასები, ვიდრე მრავალჯერ შემცირებული სიმბოლური შეფასებები. მითუმეტეს, რომ ეს ქონება მიეყიდათ საწარმოთა კოლექტივებს, ანუ მთელი საზოგადოების ნაწილს, რითაც საზოგადოების დანარჩენი ნაწილი დაზარალებული დარჩა, რადგან შემცირებულმა ფასებმა გარკვეულწილად შეამცირა ამ უკანასკნელთა წილი გაუყიდავი ქონების საერთო მოცულობაში.³

სახელმწიფო ქონების საბაზრო ფასების შეფასების შემთხვევაში საპრივატიზებო ბარათების „ვაუჩერების“ ღირებულება იქნებოდა არა 30 დოლარი, არამედ გაცილებით მეტი, გარდა ამისა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა სახელმწიფოს ბიუჯეტში პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები

დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტისათვის ექსპერტების მიერ საქართველოს ქონება 180 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. მაგრამ არასწორი ინვენტარიზაციის შეფასების წყალობით იგი 20 მილიარდი დოლარით იქნა შემცირებული.

საპრივატიზებო ქონების რეალური შეფასების შემთხვევაში საწარმოთა ხელმძღვანელებს და მათთან შემოკრებილ ძმაკაცებსა და ნათესავებს გაეკარგებოდათ ქონების კოლექტიურად შეძენის სურვილი და დათანხმდებოდნენ

1. გაზ. „სეობოდნაია გრუზია“, 04/02/1995.

2. ბასილია თ. სილაგაძე ა. ჩიკვაძე თ. – პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001წ., გვ. 264.

3. 1. ბასილია თ. – სახელმწიფო საკუთრებისპრივატიზაციის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ. „სესესპსკი“ ტ. IV, თბ., 1999წ., გვ. 332–333.

ქონების შესყიდვაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობაზე. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ის დაპირისპირება, რაც წარმოიშვა საწარმოო კოლექტივებსა და ხელმძღვანელებს შორის.

საპრივატიზებო ქონების არასწორად შეფასებამ ქვეყნის მასშტაბით გამოიწვია უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თავი იჩინა ქონების მითვისებისათვის მისწრაფებამ ძალადობის, საწარმოო კოლექტივებზე ზეწოლის, პრივატიზების პროცესის გაჭიანურების, საწარმოთა ხელოვნურად გაჩერებისა და დასაქმებულთა შეგნებულად დათხოვნის გამოყენებით.

საწარმოთა ხელმძღვანელობის მცდელობა მიმართული იყო (და ახლაც არის) საწარმოთა მთელი ქონების ერთპიროვნულად დაუფლებისათვის, ვინაიდან გამოსასყიდი ქონება ისე იყო შეფასებული, რომ მისი შეძენა თითოეულს ადვილად შეძლებოდა. საწარმოთა ხელმძღვანელები არაფერს არ იშურებდნენ მიზნის მისაღწევად, ხდებოდა საწარმოთა უმიზეზოდ გაჩერება და მუშახელის ხელოვნურად განთესვა. აფერხებდნენ პრივატიზების პროცესს და საერთოდ უარს ამბობდნენ საწარმოთა პრივატიზებაზე და სხვა.

ყველა ზემოთ მოტანილ ნეგატიურ მოვლენათა თავიდან აცილება შეიძლებოდა პრივატიზების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის შემუშავებითა და მასზე სახელმწიფოებრივი კონტროლის დაწყებით.¹

უხეშ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ის, რომ საწარმოთა დიდი ნაწილი, რომლებიც არენდით იყო გადაცემული, შეისყიდა საწარმოთა კოლექტივებმა ამავე საწარმოს მიერ გარკვეული წლების მანძილზე მიღებული მოგების ხარჯზე, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც არ იყო გადაცემული არენდით, მათი ქონება (სააქციო საზოგადოებებად ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შექმნის გზით) გამოსყიდეს კოლექტივის წევრებმა ან ცალკეულმა ჯგუფებმა საკუთარი სახსრებით. გარდა ამისა, არენდით გადაცემული საწარმოთა ქონება მთლიანად (გამოსყიდვის გარეშე) გადავიდა საწარმოთა კოლექტივის საკუთრებაში. სამართლიანად ისმება კითხვა, რატომ უნდა ესარგებლა არენდულ კოლექტივებს განსაკუთრებული პრივილეგიებით? საწარმოთა აქციონირების დროს, როგორც წესი ქონების გამოსყიდვა უნდა

1. ბასილია თ. – სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ.

„სესესპსკი“ ტ. IV, თბ., 1999წ., გვ. 334.

მომხდარიყო სააქციო საზოგადოების მონაწილეთა საკუთარი სახსრებით და არავითარ შემთხვევაში წარმოების ბალანსზე რიცხული იმ მოგების ნაშთის გამოყენებით, რომელიც არსებობდა საწარმოში ეკონომიკური სტიმულირებისა და სხვა ფონდების სახით. მოგების ეს ნაწილი ამ კოლექტივის თითოეული წევრის საკუთრებას შეადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი ხელოვნურად იქნა დათხოვნილი საწარმოდან. არასწორად განხორციელდა ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების და კაპიტალურ დაბანდებათა გადაფასება (ინდექსაცია) 1992, 1994 და 1995 წლებში, ასევე შეცდომები იქნა დაშვებული 1997 წელს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების დროს. ძირითადი ფონდების ღირებულება იმდენად იქნა შემცირებული, რომ იგი მნიშვნელოვნად დაშორდა მათ რეალურ (საბალანსო) ღირებულებას.

1995 და 1997 წლებში ინდექსაცია განხორციელდა საშუალო კოეფიციენტებით, რომელიც არ ითვალისწინებდა დიფერენცირებას ძირითადი ფონდების სახეების მიხედვით. რიგმა საწარმომ (განსაკუთრებით მცირე) და სამეურნეო ორგანიზაციამ სრულყოფილად ვერ შეასრულა გადაფასებისათვის დადგენილი მოთხოვნები. ყოველივე ამან გამოიწვია მნიშვნელოვანი სხვაობა ქვეყნის ძირითადი ფონდების საბალანსო და რეალურ ღირებულებას შორის. გადაფასება უნდა მომხდარიყო ძირითადი ფონდების ფონდების შექმნის პერიოდების გათვალისწინებით. მათი საბალანსო ღირებულება სახეებისა და ჯგუფების მიხედვით, დიფერენცირებული ინდექსებით (კოეფიციენტებით), ამ მოცემული პერიოდისათვის საბაზრო ფასების შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ამ მიმართულებით არ იქნა გათვალისწინებული საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. იგი წარიმართა ძირითადი ფონდების გადაფასების სათანადო მეთოდოლოგიური, ტექნიკური, ტექნოლოგიური სამუშაოების ჩატარების გარეშე.

გადაფასებას არ დაექვემდებარა მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციებისა და საბიუჯეტო დაწესებულებების ძირითადი ფონდებით – სამეურნეო დაქვემდებარებასა და ოპერატიულ მმართველობაში არსებული, აგრეთვე სახელშეკრულებო იჯარის საფუძველზე გამოსყიდვის უფლებით გადაცემული და გამოუსყიდავი შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა სახის ძირითადი ფონდები. მოქმედი და კონსერვაციის რეჟიმში გადაყვანილი, მაგრამ დადგენილი წესის საფუძველზე სათანადო აქტით ჩამოუწერავი მშენებარე ობიექტები, აგრეთვე შექმნილი და დასადგმელად განკუთვნილი მოწყობილობები. რაც მთავარია გადაფასების დროს არ იქნა გათვალისწინებული ძირითადი ფონდების რემონტზე გაწეული დანახარჯები (საამორტიზაციო ანარიცხები) და ფაქტიური ცვეთის დონე

(პროცენტობით). 1997 წლის 1 ივლისის მდგომარეობით გადაფასებაში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გაცემული ობიექტების ფასების შემცირება, რამაც ზეგავლენა მოახდინა ქონების გადასახადისა და საამორტიზაციო ანარიცხების გაანგარიშების სისწორეზე. გამოსასყიდი თანხისა და იჯარის ქირის სწორად განსაზღვრაზე¹ ასევე, უარყოფითად იმოქმედა სააქციო საზოგადოებების

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების საწყისი გასაყიდი ფასის დადგენაზე, რამდენადაც პრივატიზების დროს სააქციო საზოგადოების აქციების საწყისი გასაყიდი ფასი დგინდებოდა (და ახლაც დგინდება) რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალიდან გამომდინარე.

ამის შემდგომ საწარმოები და ორგანიზაციები ძირითადი ფონდების გადაფასების შედეგებს არასწორად ასახავდნენ ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებებში. თავიანთ წლიურ ბალანსებში არასწორად რთავდნენ ძირითადი ფონდების გადაფასების შედეგებს - რა თქმა უნდა შემცირებული ოდენობით. უხეშად ირღვეოდა „საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასების განსაზღვრის წესი“. არ იყო გამოყენებული და დღესაც არ გამოიყენება საპრივატიზებო ქონების შეფასების ექსპერტული მეთოდი. შეფასების დროს ბოლომდე არ გაითვალისწინება ამა თუ იმ ობიექტის მნიშვნელობა (სტრატეგიულობა) და პერსპექტივები.

სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების დროს ქონების გასაყიდი ფასი დგინდება საკონკურსო საწყისებზე. კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით ორჯერ გამოტანილი სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო ფასი 50%-ით მცირდება, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება და აქციები, რომელთა პრივატიზება აუქციონზე არ განხორციელდება 50%-ის ფასდაკლებით იყიდება სპეციალიზებული აუქციონის მოწყობის გზით ნულოვანი საწყისი ფასით. საპრივატიზებო კომისიებში ყოველმხრივ ცდილობენ საკონკურსოდ გამოტანილი ქონების გაყიდვის ხელოვნურად გადავადებას მეორე და მესამე კონკურსებზე და ამით მნიშვნელოვნად ამცირებენ მის გასაყიდ ფასს.

პრივატიზების პირველ და მეორე ეტაპზე, როგორც წესი დამალული იყო ინფორმაცია - კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის დაპირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ქვეყნდებოდა მხოლოდ

1. 1997 წლის მეორე ნახევარში ამოქმედებული ძირითადი ფონდები აღრიცხული იქნა შეძენის ფასებში, ხოლო მოქმედებიდან გასული კი - გადაფასებამდე არსებული ფასებით.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სპეციალურ ცნობარში, რომელშიც შეტანილი არ იყო საპრივატიზებო ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი, მათზე განთავსებული ნაგებობათა სათანადო დახასიათება, მისამართი და ობიექტის გაყიდვის პირობები. აღნიშნული ცნობარი ხელმისაწვდომი არ იყო ფართო საზოგადოებისათვის, მისი ისედაც მცირე ტირაჟი შეგნებულად იმალებოდა, მას მთლიანად ყიდულობდა წინასწარ „შერჩეული“ მყიდველი.

საზოგადოება ვერ იღებდა დამაკმაყოფილებელ პასუხს ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზების გამჭვირვალობასა და სისუფთავეზე.¹ ზოგჯერ გაუგებარი იყო თუ რომელი წესის მიხედვით გაიყიდა ესა თუ ის ობიექტი. საერთოდ არ ხდებოდა კონკურენციის პირობების დაცვა და ობიექტები მთავრობის ხელმძღვანელთა კაბინეტებში იყიდებოდა. ყოველივე ეს, ახლაც ძველებურად ხდება. პრივატიზების პროცესში მონაწილეობდნენ მხოლოდ საპრივატიზებო ობიექტების ხელმძღვანელები და მყიდველები. (ჯერ გარიგება მათ შორის ხდებოდა). ამასთან, თანამდებობის პირთა მიერ ხშირად ირღვეოდა აუქციონირებისა და კონკურსების ჩატარების პირობები, რათა შეღავათით ესარგებლა დაინტერესებულ პირებს.

კონკურსში მონაწილეობას აღებივებდნენ ცრუნაცვალ პირებს, რომლებიც ჯერ მაქსიმალურ ფასს სთავაზობდნენ, ხოლო შემდეგ უარს აცხადებდნენ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებაზე. ამის შემდეგ, ქონება უკვე მნიშვნელოვნად შემცირებული ფასით გადიოდა კონკურსის მომდევნო მონაწილეზე, რომელიც ნამდვილი (შეთანხმებული) მყიდველი იყო.

შეგნებულად ხდებოდა სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ კრიზისამდე მიყვანა, რათა შემდგომ მათი პრივატიზება შემცირებულ ფასებში მომხდარიყო. გაკოტრების პროცედურა ფინანსურად ჯანსაღ საწარმოებზეც ხორციელდებოდა, გაკოტრების პროცესს ყველაზე ხშირად ცრუ კრედიტორები ახდენდნენ, რომლებიც საწარმოებზე კონტროლს აწესებდნენ მისი ვალების შესყიდვით ან ამ საწარმოების ხელმძღვანელების მიერ ხელოვნურად შექმნილი დავალიანების გზით.

იქმნებოდა ფიქციური სააქციო საზოგადოებები ან ფორმდებოდა ყალბი ხელშეკრულებები საწარმოთა შრომით კოლექტივებთან ერთობლივი საქმიანობის

1. საქართველოს ტელევიზიის ყველა არხზე კერძო წარმოების (დანა-ჩანგლების, პამპერსების, სარეცხი საშუალებების და ა.შ.) აურაცხელი საქონლის შესახებ გაუთავებელმა რეკლამამ, ლამის მოშალოს ქართველი კაცის ფსიქიკა და, ამ დროს საპრივატიზებო ობიექტების შესახებ საინტერესო და საჭირო მონაცემები არ ცხადდება.

შესახებ, რათა სხვა მყიდველებთან შედარებით, უკანონოდ მიეღოთ შეღავათები და უპირატესობები.

შრომითი კოლექტივების ინტერესებს ამოფარებულმა პირებმა, ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობის დარღვევებით, სიმბოლურ ფასად შეიძინეს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და მომსახურების მთელი რიგი ობიექტები.

ხელმძღვანელები ერთმანეთში ინაწილებდნენ აქციების ძირითად პაკეტს ან სიებში შეპყავდათ რიგი მუშაკები ისე, რომ მათ ამის შესახებ არაფერი არ იცოდნენ. ზოგჯერ ისეთი კომერციული სტრუქტურები იქმნებოდა, სადაც თავს იყრიდა საწარმოთა საბრუნავი სახსრები, რომლებიც შემდგომში კონკურსზე და აუქციონზე ობიექტების შესყიდვისათვის გამოიყენებოდა.

უკანონოდ ხდებოდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიწის ნაკვეთების გამოყოფა, მიწაზე საკუთრების მოწმობის გაცემა, მისი რეგისტრაცია, მიწის იჯარით გაცემა, ნორმის მიხედვით გაცემული მიწის ნაკვეთების საზღვრების გაფართოვება. იყო აგრეთვე მიწის პრივატიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების უკანონოდ გადაწყვეტის მთელი რიგი შემთხვევები.

მაშასადამე, საქართველოში ახალ სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნაში გამოვლინდა კრიმინოგენული ხასიათი, რომელმაც თავის მხრივ ხელსაყრელი პირობები და ფაქტორები შექმნა კრიმინალური ეკონომიკური ქცევისათვის. გარკვეული უარყოფითი როლი ითამაშა მკაცრმა საგადასახადო კანონმდებლობამ, იმ პირობებში როდესაც არ არსებობდა მისი შესრულების კონტროლის ეფექტური სისტემა. საბოლოოდ წარმოიქმნა წინააღმდეგობანი მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბების პროცესში. უაღრესად დაბალ საფეხურზე აღმოჩნდა ქართული ბიზნესის ზნეობრივი და საქმიანი ეთიკა.

ნულოვანი აუქციონის ჩატარების შემთხვევაში დავალიანების მქონე ზარალიანი საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა გაჩერებული იყო. ამ საწარმოთა მესაკუთრეებად ყოფილი ხელმძღვანელები და მათთან დაახლოებული პირები გახდნენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, არ დაინტერესებულან საწარმოთა ამუშავებით. პირიქით, დაიწყო მინიმალურ ფასად პრივატიზებულ საწარმოებში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის დემონტაჟი და მათი ჯვართის სახით (მათ შორის მაღალი ხარისხის ფოლადისა და ძვირადღირებული ფერადი ლითონების ნაწარმის) საზღვარგარეთ გატანა. ჯვართის ბიზნესი, რასაც ქვეყანაში ლითონის ნაკეთობების მასობრივი ქურდობა-დატაცება მოჰყვა, მეტად მომგებიანი აღმოჩნდა ექსპორტიორებისათვის.

ამ ბიზნესის მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს წლების მანძილზე საქართველოდან ექსპორტირებული ჯართის მნიშვნელოვანი რაოდენობა. საზღვარგარეთ გატანილი იქნა 1995 წელს - 2,4 მლნ აშშ დოლარის, 1996 წელს - 600 ათასი აშშ დოლარის, 1997 წელს - 1,6 მლნ აშშ დოლარის, 1998 წელს - 1,8 მლნ აშშ დოლარის, 1999 წელს - 25,5 მლნ აშშ დოლარის, 2000 წელს - 54,8 მლნ აშშ დოლარის, 2001 წელს - 56,0 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ჯართი.

1995-2001 წ.წ. ე.ი. 7 წელიწადში სულ საქართველოდან საზღვარგარეთ 142,7 მლნ აშშ დოლარის ჯართი გაიყიდა. 1995-2001წ.წ. ჯართი საქართველოს უმთავრესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი გახდა. 2001 წელს საზღვარგარეთ ექსპორტირებულმა ჯართის ხვედრითმა წილმა მთლიანი ექსპორტის მოცულობაში 17,6%-ი შეადგინა.¹

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე გრძელდება ელექტროსადენების, უმოქმედო გაზსადენების და სარწყავი სისტემის მიღების, ზოგჯერ თვით სასაფლაოებისა და სკულპტურული კომპლექსების ძარცვა, მისი ჯართის სახით საზღვარგარეთ გატანა. სათანადო წესრიგი არ იყო დამყარებული იჯარით გაცემული ქონებიდან საიჯარო ქირის გადახდის უზრუნველსაყოფად, წარმოება-დაწესებულებათა ერთი ნაწილი დროულად არ ფარავდა საიჯარო ქირის გადასახადს, მაშინ, როდესაც ისინი სრული დატვირთვით მუშაობდნენ და შემოსავალსაც იღებდნენ. დღემდე ვერ მოხერხდა იჯარით გაცემული ფართობების თუ სხვა ქონების ზუსტი რაოდენობის დადგენა და დამჭირავებლებთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება, საიჯარო ქირის გადახდაზე კონტროლის დაწესება. ამ სფეროში არსებული განუკითხაობის დასტურია ის, რომ იჯარით გაცემული ობიექტებიდან 2001 წელს ბიუჯეტში შემოსულია სულ 80,8 ათასი ლარი, ხოლო 2000 წელს უფრო ნაკლები 68,0 ათასი ლარი.²

საქართველოში ასევე, სათანადო განსჯის გარეშე უგულებლყოფილი იქნა ქონების განსახელმწიფოებრივების (პრივატიზაციის) მიმართულებებს შორის ყველაზე პოპულარული ფორმა - პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა (კერძოდ, არენდა გამოსყიდვის უფლებით) და ამ საფუძველზე აქციონერული საზოგადოებების შექმნა, რომელიც მეურნეობის

1. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. მოხსენება - სამართალდარღვევები პრივატიზების სფეროში და მისი გამომწვევი ფაქტორები. თბ., 2002, გვ. 48.
2. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. მოხსენება - სამართალდარღვევები პრივატიზების სფეროში და მისი გამომწვევი ფაქტორები. თბ., 2002, გვ. 46.

ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციის ფართო შესაძლებლობებთან ერთად, უზრუნველყოფდა მასში დასაქმებულთა ინტერესების ერთიანობას, თანასწორობასა და კეთილდღეობას.

როგორც ამას მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, განვითარებულ ქვეყნებში წარმატებით განხორციელდა საარენდო საწარმოების კოლექტიურ საწარმოებად გარდაქმნის პროცესი. ისინი განსაკუთრებულად პოპულარულნი არიან აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მომავალში ყურადღება უნდა გამახვილდეს საარენდო ურთიერთობების, აქციების გამოშვება-გაგრძელების, კონცერნების, ასოციაციების, აქციონერული საზოგადოებების შექმნის მიმართულებით. რაც რეალურ წანამძღვრებს მომზადებს შერეული, მრავალწილობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის.

ამჟამად კოლექტიურ საკუთრებაში საწარმოთა გადასვლა მნიშვნელოვანი ელემენტია სხვადასხვა ქვეყნების პრივატიზაციის პრაქტიკაში, მათ შორის არგენტინაში, დიდ ბრიტანეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუსეთში და ა.შ.

მაშასადამე, ჩვენში მხარდაჭერას მოითხოვს მშრომელთა კოლექტივების ინიციატივა, რომელთაც სურთ შექმნან სახალხო საწარმოები კოლექტიური საკუთრების ბაზაზე. ამდენად, საწარმოები კი არ უნდა გაიყიდოს კონკურსით ან აუქციონით სახელმწიფოს მიერ, არამედ მოხდეს ამ ქონების გამოსყიდვა შრომით კოლექტივებად გარდაქმნილ საწარმოთა მშრომელების მიერ. დასაველეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 85-90% სააქციო საზოგადოებებში, სახელმწიფო ფირმებსა და კომპანიებში არიან გაერთიანებული და იქ მუშაობენ. მაშასადამე, ყველაფერი დამოკიდებულია შემოსავლებზე, ხელფასზე, ქვეყნის ეროვნული შემოსავლების იმ ნაწილზე, რომელიც ნაწილდება. ამას კი საწარმოო ძალების განვითარების გარკვეული დონე ესაჭიროება.

დასაველეთის ქვეყნებში კერძო საკუთრებაზე დამყარებული თავისუფალი ვაჭრობის შემცირება სწორედ მსხვილი მანქანური წარმოების განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის აუცილებლობით იყო გამოწვეული.

ჩვენ დღეს კერძო საკუთრების ფართო გაგრძელებაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, არამედ უნდა გავამახვილოთ ყურადღება აქციების გამოშვება-გაგრძელების, კოოპერაციული საწარმოების (გაერთიანებების, კონცერნების, ასოციაციების) შექმნის მიმართულებით. საქართველოს მთავრობის ყურადღება ამ ტიპის პროცესების

მხარდაჭერასა და გაღრმავებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამასთან, ნათქვამი სულაც არ ნიშნავს კერძო საკუთრების აბსოლუტურ უარყოფას იქ, სადაც იგი მართლაც ეფექტიანი და საჭიროა.

აშშ მცირე ბიზნესს დიდი მხარდაჭერა აქვს, თუმცა ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს კორპორაციები ასრულებენ (მათი ხვედრითი წონა საწარმოთა საერთო რაოდენობაში 20% შეადგენს, 70% ინდივიდუალურ საკუთრებაშია, ხოლო 10% ე.წ. ამხანაგობებია. კორპორაციები უშვებენ გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის 80%.¹ პრივატიზაციის შემაფერხებელ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მეტისმეტად გაჭიანურდა საერთოდ პრივატიზაციის პროცესი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზება.

ამის გამო ობიექტები გაიძარცვა იმ სახელმწიფო მოხელეებისაგან ვინც ამა თუ იმ ობიექტს კურირებდა. ამ თვალსაზრისით, ვითომ სახელმწიფო ინტერესების წინ წამოწევამ ხელი შეუწყო კორუფციის მასშტაბების ზრდას, მთელი რიგი დარგების ნგრევას. ახლა, როცა უამრავ დიდ საწარმოს ვალები დაუგროვდა, უცხოელი ინვესტორებისათვისაც აღარ არის საინტერესო.

ახლაც დიდი სიფრთხილით ლაპარაკობენ დიდი ობიექტების პრივატიზებაზე. ჩვენნი აზრით დღესაც ზედმეტად ჭიანურდება მათი პრივატიზება. ხშირად ეს სიფრთხილე ჩვენთვის საზიანოდ მოქმედებს.

4.3. პრივატიზაციის მასშტაბებში დაშვებული შეცდომები, სტრატეგიული ობიექტების დაუსაბუთებელი პრივატიზება

საჭირო იყო იმთავითვე შემუშავებულიყო საპრივატიზებო და არასაპრივატიზებო ობიექტების შერჩევის კრიტერიუმები და განსაზღვრულიყო კერძო და სახელმწიფოებრივი საკუთრების თანაფარდობის მიახლოებითი კოეფიციენტები.

საქართველოში მიმდინარე პრივატიზებას არასოდეს არ ჰქონდა მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური სტრატეგია და იგი დღესაც „აბა ახლა რა გავყიდო“-ს პრინციპზეა აგებული.

1. ჟურნ., „ეკონომიკური ნაუკი“, №9, 1991, გვ. 80

საჭირო იყო არა საერთო-სახელმწიფოებრივი საკუთრების ბოლომდე განადგურება, არამედ მისი მონოპოლიური მდგომარეობის შეცვლა, იმისათვის რომ შექმნილიყო საკუთრების მრავალფორმიანობისა და კონკურენციული ბრძოლის მრავალფეროვანი გარემო. პრივატიზების პროგრამა ამას თითქოს ითვალისწინებდა, მაგრამ პრაქტიკულად სულ სხვა შედეგი, სრულიად ახალი თვისებრიობა მივიღეთ. დაინგრა ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალი, წარმოების მთელ რიგ დარგებში გაღრმავდა კრიმინალიზაციის პროცესი და სახელმწიფო მონოპოლიზმი კერძო საკუთრების მონოპოლიზმით შეცვლიდა. წარმოება მთლიანად მოიშალა, 1996 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ 1988 წლის დონის მხოლოდ 14%-ი შეადგინა. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ნებისმიერი საზოგადოება, მათი პოლიტიკური ორგანიზაციის (წყობის) მიუხედავად, სახელმწიფოს განკარგულებაში ტოვებს საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროებს, რათა საშუალება ჰქონდეს სათანადო ეკონომიკური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის საშინაო და საგარეო ბაზარზე, ერთმანეთს შეუხამოს კერძო, ჯგუფური და საზოგადოებრივი ინტერესები. სახელმწიფოები ყოველ მხრივ ავითარებენ ამ დარგებს, რამეთუ თავის მხრივ პრიორიტეტული დარგების განვითარების დაბალი ტემპები პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი სახელმწიფოებრივი საკუთრების ხვედრითი წილი საკმაოდ მნიშვნელოვანია. სახელმწიფო განაგებს სოციალურ სფეროს, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საწარმოებს, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ პრობლემებს, ეკოლოგიას, სახელმწიფო უსაფრთხოებას და სხვა სფეროებს.

განვითარებულ ქვეყნებში ძირითადად სახელმწიფოებრივ საკუთრებაში შენარჩუნებულია: რკინიგზები, ფოსტა, ტელეკომუნიკაციები, ელექტროენერგეტიკა, ავიასატრანსპორტო და ავიაკოსმოსური წარმოება, მოპოვებითი მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა, ფოლადსაჩამომსხმელო მრეწველობა, ნახშირის მრეწველობა, გაზის მრეწველობა, გემთმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა, ნავთობის მრეწველობა და სხვა. დიდ ყურადღებას უთმობენ ამ დარგების სახელმწიფოებრივი საკუთრების საწარმოების განვითარებას და მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

სახელმწიფოებრივი საკუთრება სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში სხვადასხვა ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი. მაგალითად, მას შესაბამისად მაღალი ხვედრითი

წონა უკავია ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, შვედეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, ავსტრალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, კანადაში, აშშ-ში, იაპონიაში და სხვა.

საქართველოში კი პირიქით მოხდა, წამოყენებულ იქნა სახელმწიფოებრივი საკუთრების დაუსაბუთებელი პრივატიზების თეზისი, რომლის შესაბამისად ხელაღებით გაიყიდა (და ამჟამადაც იყიდება) სტრატეგიული, თავდაცვითი და ეკოლოგიური მნიშვნელობის ბევრი ობიექტი.

პრივატიზების პროცესი საქართველოს მიერ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არჩეული „შოკური თერაპიის“ მეთოდის შესაბამისი არ აღმოჩნდა. იგი უფრო იდეოლოგიურ ამოცანებს ემსახურებოდა, ვინემ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი ამას მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითებით ამართლებს. მაგალითად, XX საუკუნის 70–იან წლებში ბრიტანეთის ნავთობის უდიდესი კომპანიის „ბრიტიშ პეტროლიუმის“ დენაციონალიზაცია განახორციელეს ინგლისელმა კონსერვატორებმა (მარგარეტ ტეტჩერმა გაყიდა 26 მილიარდის ქონება). ანალოგიურ ფაქტს ჰქონდა ადგილი შვეციაში, სადაც 70–იანი წლების ნახევარში უამრავი მსხვილი საწარმო გაიყიდა. ასევე, საფრანგეთში ეკონომიკის მასობრივი დენაციონალიზაციის პოლიტიკას აშკარად უჭერდა მხარს პრეზიდენტი სოციალისტი ფრანსუა მიტერანი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა და სხვა მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა საწარმოთა მნიშვნელოვანი წილი გაყიდეს. ამ ქვეყნებში კაპიტალისტური (საბაზრო ეკონომიკური) ურთიერთობების დამკვიდრებიდან 200–300 წლის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც მათ ქვეყანაში შექმნეს ეკონომიკის მძლავრი სახელმწიფოებრივი სექტორი, რომლის წილი მეკ-ის საერთო მოცულობაში დაახლოებით 20–39% შეადგენს.

საქართველოში სახელმწიფო სექტორის განმტკიცების მიმართულებით არაფერი არ გაკეთებულა და აქედანავე ჰყიდიან ყველაფერს. სახელმწიფოებრივი სექტორი საქართველოში მეკ-ში 10%-ს არ აღემატება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველაზე აქტუალური, კარდინალური პრობლემაა საკუთრების რადიკალური რეფორმა, რომლის მიზანიც არის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის დამკვიდრება. ბუნებრივია, სახელმწიფო სექტორის მთლიანად გაუქმება დაუშვებელია. საკვანძო პრიორიტეტულ დარგებს (თავდაცვითი მრეწველობა,

ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტის დიდი ნაწილი და სხვა) სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს ე.ი. არ უნდა დაეუშვათ, რომ ეკონომიკაში პლურალიზმის ღიშინებით მოხდეს გადასვლა საკუთრების სახელმწიფოებრივი მონოპოლიდიან კერძო საკუთრების მონოპოლიაზე.

განსახელმწიფოებრივება არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო საწარმოებმა ახალ თვისობრიობაში განაგრძონ ფუნქციონირება. მისი მიზანია საწარმოთა მართვის ფართო დემოკრატიზაცია, მათი დამოუკიდებლობის განმტკიცება და პასუხისმგებლობის გაძლიერება, ფორმალური დამოუკიდებლობის აღმოფხვრა და რეალური განზოგადებისაკენ მოძრაობა.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის საკითხებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა იდეოლოგიურ, არამედ პრაგმატულ მოსაზრებას. კარგად უნდა იქნეს გათვლილი მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობა. გათვალისწინებული უნდა იქნეს სტრატეგიული ობიექტის პრივატიზების დროულობა.

მთავრობაში ხშირად მიგვანიშნებენ პრივატიზაციის პროცესის ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებული გამოცდილების გათვალისწინების საჭიროებაზე. მაგრამ, მსოფლიოს გამოცდილება ყველაფერში როდია საქართველოსათვის გასათვალისწინებელი. ალბათ დიდ სარგებლობას მივიღებთ ამერიკის შეერთებული შტატების ან ინგლისის მთავრობის გამოცდილებიდან, რომელთა ეკონომიკაში თითქმის უკვე აღარაფერი დარჩა საპრივატიზაციო. ახლა საბაზრო ეკონომიკის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ ახალი ობიექტების მშენებლობა რიგ დარგებში კონკურენციული ბაზრების შესაქმნელად. საბაზრო ეკონომიკური სისტემა საკუთრების მრავალფორმიანობის პირობებში მართალია კერძო საკუთრების წამყვან მდგომარეობას გულისხმობს, მაგრამ, როგორც ეს მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა ქვეყნის ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარების ინტერესები მოითხოვს აგრეთვე, საკმაოდ მძლავრი სახელმწიფოებრივი სექტორის არსებობას.

ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის გარეშე საგარეო და შიგა ბაზარზე მძაფრი კონკურენციის პირობებში ქვეყანაში უპირატესად განვითარდება მხოლოდ ის დარგები რომლის განვითარებისათვის საჭირო რესურსი, სხვა რესურსებთან შედარებით, უფრო მოჭარბებულია აქვს. და, თუ მთლიანად მივენდობით საბაზრო ეკონომიკას საქართველო იქცევა მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ დანამატად. ამიტომ საჭიროა ქვეყნის მთავრობა აქტიურად ჩაერთოს ეკონომიკის მართვაში და იგი სასურველი მიმართულებით წაიყვანოს.

უმჯობესია უმნიშვნელო არაპერსპექტიული დარგებისა და საწარმოების მართვა მიენდოს ბაზაარს და დარჩენ ისინი კერძო საკუთრებაში. მათ არ სჭირდება

განსაკუთრებული კაპიტალური დაბანდებები და არც უახლესი ტექნოლოგიები. ამიტომ კერძო მეწარმეები უკეთესად მოახერხებენ მათ მართვას ვიდრე სახელმწიფო.

დღეს სახელმწიფო ვერ შესძლებს წერილი საწარმოების ეფექტურ მართვას და ჯობია ისინი დაუყონებლივ გაიყიდოს.

მაგრამ. მსხვილი მონოპოლისტური საწარმოები, რომლებიც მოითხოვენ დიდ კაპიტალურ დაბანდებს და მაღალ ტექნოლოგიებს, აუცილებელია დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში. მათ სახელმწიფოს დახმარების გარეშე გაუჭირდებათ მსოფლიოს ბაზარზე კონკურენციის დაძლევა.

ამდენად, არ უნდა გაიყიდოს ქვეყნის პრიორიტეტული საწარმოები. ჩვენთან კი პირიქით ხდება, ხელაღებით (ყოველგვარი ეკონომიკური და პოლიტიკური დასაბუთების გარეშე) იყიდება ტყე, მიწა, წიაღისეული, საჰაერო სივრცე, სანაოსნო, ანუ სრულიად საქართველო. განა შეიძლება კავშირგაბმულობის სისტემა სხვა ქვეყნის მიერ იყოს პრივატიზებული?

პირდაპირ განცვიფრებას იწვევს იმ ობიექტების გაყიდვა, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სახელმწიფოს ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, ეს ობიექტებია საზღვაო პორტები, წყლის აკვატორია, ჰიდროელექტროსადგურები, მაგისტრალური გაზსადენები, ელექტროენერგეტიკული სისტემის დისპეტჩერიზაცია, ჰიდრორესურსები და სხვა, რაც ჩვენი აზრით სწორი არ არის. მაგალითად, გაიყიდა ქარხანა „თბილავიამშენი“, იგი შეიძინა შპს „თბილავიამშენმა“, ე.ი. იმან ვინც მას მართავდა. როგორც სპეციალისტები ამბობენ მსგავსი გაყიდვა ჯერ არ ყოფილა საქართველოს პრივატიზაციის ისტორიაში. ქარხანა „თბილავიამშენი“ უფასოდ არემონტებდა თურქმენეთის თვითმფრინავებს. ხოლო „თბილავიამშენს“ საქართველოს მთავრობა უხდიდა შესაბამის თანხას 25%-იანი დისკონტით. საქართველოს მთავრობამ ქარხანა „თბილავიამშენი“ მიჰყიდა შპს „თბილავიამშენს“ რომ საქართველოს თანდათანობით ჩამოაწეროს თურქმენეთის ვალი. „თბილავიამშენი“ საჭირო აუდიტის ჩატარების, საწარმოო აქტივების ზუსტი შეფასებისა და სათანადო ტენდერის გამოცხადების გარეშე გაიყიდა.

გაურკვეველია რისთვის გაიყიდა ეს ობიექტები. პრივატიზებიდან მიღებულმა თანხამ შეამცირა თურქმენეთის ვალის მხოლოდ 25%-ი და 400 მილიონიანი ვალის საპროცენტო მომსახურების ერთი წლის დავალიანება. ეს საწარმო თურქმენეთის

ვალს გაყიდვამდეც ამცირებდა და იგი სახელმწიფო საკუთრებაში იყო როგორც სტრატეგიული ობიექტი. ისმება კითხვა – რამდენად მართებულია პრივატიზაციის ასეთი ფორმით ჩატარება? ფაქტობრივად ეს ხომ ჩაითვალია თურქმენეთის ვალის გასტუმრების სანაცვლოდ? ობიექტის პრივატიზება თუ გარდაუვალი იყო, მაშინ იგი მაქსიმალურად მაღალ ფასში უნდა გაყიდულიყო. შეიძლებოდა ქარხანა ეყიდა თურქმენეთს და ვალი მთლიანად ჩამოეწერა ან გაგრძელებულიყო ის ურთიერთობები რომელიც ადრე იყო, ქარხანა დარჩენილიყო სახელმწიფო საკუთრებაში და გაერემონტებინა თურქმენეთის თვითმფრინავები ვალის ანგარიშში და ამ გზით თანდათანობით შეგვემცირებინა თურქმენეთის მიმართ არსებული საგარეო დავალიანება.

„ავიამშენი“ 67 მლნ დოლარად გაიყიდა, მაშინ როცა ქარხნის მიერ წარმოებული ერთი „სუ-25“-ი თვითმფრინავის მინიმალური ფასი 5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. წინა წლებში ქარხანა მაღალრენტაბელური იყო და სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად 43-44 მლნ ლარს იხდიდა. სპეციალისტების დასკვნით სახელმწიფო საკუთრებაში ყოფნის პირობებში ქარხანა ყოველწლიურად 120 მილიონი დოლარის მომსახურების გაწევას უზრუნველყოფდა მხოლოდ თურქმენეთისათვის.

ქარხანას აქვს სარემონტო-საექსპლუატაციო საექსპერიმენტო ანგარები, რომელთა აგება დღეს მსოფლიოში, მათი განსაკუთრებული სიძვირის გამო, იშვიათად ხდება.

მხედველობაშია მისაღები ასევე ის, რომ ქარხნისადმი ძლიერ დიდია უცხოელთა ინტერესი. მაგალითად, „ბონგმა“ „თბილავიამშენთან“ ერთობლივი პროექტის განხორციელება სცადა. იყო შეთავაზება „ნორთოპ გრუმანისაგან“ და სხვა. ქარხანაში დასაქმებულია 2300 ადამიანი. იგი უშვებს MI ტიპის შეუქმდურებს. ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკას – გაზის გამათბობლებს, წყლის გამაცხელებლებს. ქარხანასთან კავშირი აქვს „ნატო“-ს, ასევე დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას. არსებობს ისრაელთან ერთად ერთობლივი პროგრამა და ა.შ. ამდენად, „თბილავიამშენის“ არაპრიორიტეტულობისა და არასტრატეგიულობის შესახებ ზოგიერთი ვაიხელმძღვანელის მტკიცება, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდია და სხვა არაფერი.

მაშასადამე, პირველი ნაბიჯები რომელიც დიდი პრივატიზაციისაკენ იქნა გადადგმული ბევრ სერიოზულ კითხვას ბადებს.

ასევე გაუმჭვირვალედ და მთელი რიგი დარღვებით განხორციელდა საქართველოს „საოკეანო-საზღვაო სანაოსნოს“ პრივატიზება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა „საოკეანო-საზღვაო სანაოსნო“ ე.წ. პირდაპირი მიყიდვის წესით

დაუთმეს დანიურ კომპანიას - „გრინოუქ გროუპ“-ს, იმ დროს როცა მისი შეძენის სურვილი სხვა მყიდველებსაც ჰქონდა.

ხელისუფლებამ „საოკეანო-საზღვაო სანაოსნოს“ განსხვავებასთან დაკავშირებით ინფორმაცია პირველად გამოაქვეყნა არა ქართულ პრესაში, არამედ ბრიტანულ გაზეთში „ფაინენშელთაიმში“, ამის გამო ეს ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობამ შეიტყო დაგვიანებით, კერძოდ მას შემდეგ, როცა ხელისუფლების წარმომადგენლებს „გრინოუქთან“ ფარული გარიგება ფაქტობრივად დამთავრებული ჰქონდა. რატომღაც ამჯერადაც სათანადო წესების დაცვით არ გამოქვეყნდა საპრივატიზებო ობიექტების შესახებ ინფორმაცია.¹

ეს პროცესი ღია და გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო, მასში მონაწილეობის უფლება ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უნდა ჰქონოდა.

საქართველოს „საოკეანო-საზღვაო სანაოსნო“, არ უნდა გამხდარიყო პრივატიზების ქვემდებარე, როგორც სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ობიექტის გაყიდვის მიზანშეწონილობას იმით ასაბუთებენ, რომ „საოკეანო-საზღვაო სანაოსნოს“ თითქოს გერმანიის ერთ-ერთი ბანკის 72 მლნ ვალი ჰქონდა და ობშერულ ზონაში იყო რეგისტრირებული. სინამდვილეში დადგინდა, რომ ვალი შეადგენდა არ 72, არამედ 28 მლნ ლოლარს.

მეკაღე ბანკი მართალია თავის მენეჯერით მართავდა საზღვაო-სანაოსნოს, მაგრამ მას გაკოტრებისა და იძულებითი გაყიდვის საშიშროება არ ემუქრებოდა. დარჩენილი 28 მლნ ლოლარი ვალი სანაოსნოს 2006 წლამდე უნდა დაეფარა. ვალი დაფარვის გარანტიები ნამდვილად არსებობდა, რადგან კომპანია უკვე მოგებას იღებდა.

წინა ოთხი წლის მანძილზე კომპანიამ ბათუმელ მეზღვაურებს ხელფასის სახით 9 მლნ ლოლარი გადაუხადა და შეძლო 140 მლნ ლოლარი ვალიდან 112 მლნ ლოლარის გასტუმრება. ამასთან, სანაოსნომ 2 გემი „შარტავა“ და „ამირეჯიბი“ შეიძინა. 2009 წლამდე კი დაგეგმილი იყო კიდევ რამდენიმე გემის შეძენა. ბანკი და მისი მენეჯერი (ვისი ვალი ჰქონდა (საოკეანო-საზღვაო სანაოსნოს) კმაყოფილი იყო ამ უკანასკნელის მუშაობით და განვითარების გეგმებიც ჰქონდათ შემუშავებული. გემების გაყიდვას

1. ასეთივე ფაქტებს ადგილი ჰქონდა ადრეც. პრივატიზაციის სამინისტროში მაღავედნენ გაზეთ „მესაკუთრე“-ს ყველა ნომერს, სადაც ქვეყნდებოდა საპრივატიზებო ობიექტების შესახებ ინფორმაციები. გასაყიდი ობიექტები, მისი ფასი, გაყიდვის დრო და პირობები მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. აბსოლუტურად გაზეთის ყველა ნომერს ყიდულობდა და მაღავედა საპრივატიზებო ობიექტის მყიდველი, რომელიც წინასწარ შერჩეული ჰყავდა სამინისტროს.

ჯობდა, რომ ისინი ჩვენ თვითონ გვემუშავებინა მით უმეტეს, რომ ამ გემებმა 2004 წელს ქვეყნის ბიუჯეტს 20 მლნ დოლარი მოუტანა. ჩალის ფასად გასხვისებასთან ერთად უცხოელ კომპანიებზე ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების გასხვისება ხელს უშლის ეროვნული ბიზნესის განვითარებას. მხედველობაშია მისაღები, რომ ფოთისა და ბათუმის პორტების გაყიდვას თან მოჰყვა ფოთისა და ბათუმის აკვატორიაში უცხოური გემების თარეში. თურქული თევზსაჭერი გემები აქ ქართული საშუამავლო ფორმების მეშვეობით შემოდიან. ფოთის აკვატორიაში თევზჭერი ერთი გემი 50 ათას დოლარს იხდის. ეს თანხა უმნიშვნელოა თურქების მოგებასთან შედარებით, რადგან ფოთში დაჭერილი ხამსა თურქეთში 1 კგ. 4 დოლარი ღირს. ფოთის აკვატორიაში დაჭერილი თევზიდან ქართველებს 2 თეთრი რჩება, თურქებს 98. ფოთის აკვატორიაში თევზის რეზერვის ღირებულება 20–30 მლნ დოლარს უდრის და მას 200–300 ათას ლარად ვყიდით. ფოთის აკვატორიაში თუ თურქული გემების შემოსვლას აკრძალავთ და სათანადოდ მოვამარაგებთ თევზის გადამამუშავებელ ქარხნებს, ამით ჩვენი ქვეყანა 4–ჯერ მეტ მოგებას მიიღებს. თევზის გადამამუშავებელი ფირმა „კაბადოკია“ თუ 18 ათას ტონა ხამსას გადაამუშავებს, ამით 2800 ტონა თევზის ფქვილსა და 1440 ტონა ზეთს აწარმოებს. ამ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად კი 1500000 დოლარის მოგებას მიიღებს. აქედან დაახლოებით 40% სახელმწიფო ბიუჯეტში შევა. იმ დროს როცა ადგილობრივ საწარმოებს შეუძლია მილიონობით მოგება მოუტანოს სახელმწიფოს, შავ ზღვაზე თურქული ბიზნესის შემოსავლის გამო ყველაფერი იკარგება. ასე, რომ „საოკეანო-საზღვაო სანაოსნოს“ პრივატიზება მთავრობის მიერ სათანადოდ არ არის დასაბუთებული. ასევე, სტრატეგიული ობიექტის ნაჩქარევად, საიდუმლოდ და ჩალის ფასად გაყიდვა უდაოდ დანაშაულია. როგორც ამის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, პრივატიზებიდან შემოსული თანხები მეტისმეტად მიზერულია მათ რეალურ ღირებულებასთან შედარებით.

საქართველოს მთავრობამ სრულიად უყურადღებოდ მიატოვა მთელი რიგი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები. ისინი „საქმოსნებს“ შეატოვეს, რომლებმაც ობიექტები გაკოტრებამდე მიიყვანეს.¹

საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვანი ობიექტების გაყიდვის აუცილებლობას

1. „საქმოსნები“ – (წინათაც და ახლა) ობიექტებს ყიდულობდნენ ან იჯარით იღებდნენ არა იმისათვის, რომ საწარმო აემუშავებინათ, არამედ იმისათვის, რომ გაეძარცვათ, გაეკოტრებინათ და ჯართად გაეყიდათ

ხშირად, ამ საწარმოთა დავალიანებებით ან არარენტაბელური მუშაობის მიზეზით ასაბუთებენ. ნაცვლად ამისა, რომ არარენტაბელური საწარმოები მომგებიანი გახადოს და მერე მაღალ ფასებში გაყიდონ, ამჯობინებენ მათ თავიდან მოცილებას. ხშირია შემთხვევები, როცა იყიდება მომგებიანი ობიექტები. მომგებიანი (რენტაბელური) საწარმოების (ობიექტების) განსხვისება მაღულად და ნაჩქარევად მიმდინარეობს. მაგალითად, ქართულ მხარესა და ამერიკულ-შვეიცარულ კონსორციუმის წარმომადგენლებს შორის მოხდა შეთანხმება კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის 15 მლნ დოლარად შესყიდვის შესახებ. ასე, რომ ამ შეთანხმებით უცხოელთა ხელში ჩაღის ფასად გადავიდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი. სულ მთლიანად კრწანისი, თავისი 44 ჰექტარი მიწით, 34 ნაგებობით, 14 კოტეჯით და საიდუმლო გვირაბით, მათ 15 მლნ. დოლარად შეიძინეს. მაშინ, როცა ამ ტერიტორიის 1 კვ. მეტრის ფასი 300-დან 400 დოლარამდეა. ამდენად, მათ მხოლოდ კრწანისის რეზიდენციის მიწის ფართობში 150 მლნ. უნდა გადაეხადათ.

საქართველოში უწინაც და ახლაც არაპროფესიონალურად, ნაჩქარევად, არასწორად ეწყობოდა და ეწყობა ტენდერები. ეს პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს. კონკურსი უნდა გამოცხადდეს ღიად და მასში მონაწილეობის უფლება ყველა დაინტერესებულ პირს უნდა მიეცეს. პრივატიზების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა საზოგადოებაში სერიოზული ეჭვი დაბადა, რომ აქ მარცხენა გარიგება მოხდა, ამ გარიგებით რაღაც თანხა გათეთრდა და ბიუჯეტში აისახა, გარკვეული თანხა კი ვილაცეების ჯიბეში წავიდა.

მაგალითად, საზოგადოებამ ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი „საოკეანო-საზღვაო სანაოსნოს“ პრივატიზების გამჭვირვალობასა და სისუფთავეზე.

„ჭიათურმანგანუმისა“ და „ვარციხჰესის“ პრივატიზების პროცესით უკმაყოფილონი დარჩნენ მონაწილე ავსტრიული კომპანია „დეკამეტალი“ და უკრაინული „ინტერპაიპის“ წარმომადგენლები. საქართველოში ხელისუფლების მიერ ჩატარებულ პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით მათ თბილისში (2005 წ. 19 იანვარს) პრესკონფერენცია გამართეს, სადაც განაცხადეს „ჩვენ ვერ გავარკვიეთ, რამდენი ობიექტის გაყიდვაზე იყო საუბარი საერთოდ, ეს პრივატიზაციის პროცესი საბავშვო თამაშს ჰგავდა“ – განაცხადა უკრაინული კომპანიის მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარემ იგორ იაროსლავცევმა. საბოლოოდ „ჭიათურმანგანუმისა“ და „ვარციხჰესის“ აქტივები რუსულმა კომპანიამ – „ევრაზია ჰოლდინგმა“ და ს/ს „ფეროს“ ქართველმა აქციონერებმა 132 მლნ დოლარად შეისყიდეს.

სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების დიდი ნაწილი რუსული ბიზნესის ხელში გადადის. მთელი ქვეყნის ენერგეტიკა, რუსული კონტროლის ქვეშ არის მოქცეული. დღეს რუსების განკარგულებაშია – „საქრუსენერგოს“ გადამცემი ხაზის 50%, გარდაბნის თბოელექტროსადგური, „თელასი“ რუსული კომპანია „იტერასა“ და „რაო-რაოს“ ხელშია ელექტროგამანაწილებელი ქსელები, აგრეთვე „ენგურჰესისა“ და მაგისტრალური გაზსადენის შესყიდვით არიან დაინტერესებული. საქართველოს საბანკო სექტორში რუსული კაპიტალი ერთ-ერთ ლიდერულ პოზიციაზე გავიდა „გაერთიანებული ქართული ბანკის“ შესყიდვით.¹

რუსეთზე ტელეკომის მიყიდვასაც აპირებენ; აგრეთვე ცნობილია, რომ რუსეთი ითვლება საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორად. ასევე ფაქტია ის, რომ ძირითადად რუსული კაპიტალი ტრიალებს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში და ა.შ. ყოველივე ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება თავის ნებით აძლიერებს ჩრდილოელი მეზობლის გავლენას ქვეყნის შიდა საქმეებზე.

უცხოელი კომპანიები ეპატრონებიან ისეთ სტრატეგიულ ობიექტებს, როგორებიცაა ფოთისა და ბათუმის პორტები, ოქროსა და სხვა მნიშვნელოვან წიაღისეულთა საბადოები და ა.შ.

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვა, ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გამართეს რუსეთის „გაზპრომთან“ და მოსამზადებელი სამუშაოებიც კი ჩაატარეს, ხოლო ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მიაწოდეს საზოგადოებას. საქართველოს მთავრობაში ასეთ გადაწყვეტილებებს 2–3 კაცი ხშირად კონსპირაციულად, კაბინეტებში იღებენ და შემდეგ სხვადასხვა ტექნოლოგიებით ცდილობენ, საზოგადოებას დაუსაბუთონ, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის შექმნის სურვილი „გაზპრომს“ 10 წლის წინათ ჰქონდადა ამ საკითხებზე ძველ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაც კი აწარმოეს, მაგრამ ეს თემა ტაბუდადებული იყო. ახალმა ხელისუფლებამ ამ საკითხს ახლებურად შეხვდა. მათ მიაჩნიათ, რომ მთავარია იშოვნონ ფული ამიტომ „გაზპრომი“ თავდაპირველად „შაჰდენის კონსორციუმს“ შესთავაზეს. „გაზპრომს“ მაგისტრალური გაზსადენი 300 მლნ აშშ დოლარი დაუფასეს, თანაც ამ ფასებში გაზსადენის გარდა რუსთავის „აზოტის“ ქარხანას და „თბილსრესში“ დარჩენილ მესამე და მერვე

1. საყურადღებოა, რომ „გაერთიანებული ქართულ ბანკში“ რუსული კერძო ბიზნესი კი არ შემოვიდა, არამედ შემოვიდა რუსული სახელმწიფო კაპიტალი.

ენერგობლოკებს სთავაზობენ.

მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზების გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო დარჩა საქართველოში ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი კავკასიის საკითხებში სტივენ მაინი. მათ ურჩიეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ არ გაეყიდათ მაგისტრალური გაზსადენი. მათი აზრით, „საქართველომ არ უნდა გაყიდოს ეს ობიექტები, ამით შეილახება მისი სტრატეგიული ინტერესები“. ამიტომ, ამ საკითხებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. ამ მხრივ უყურადღებობამ შეიძლება ქვეყანას დიდი ზიანი მოუტანოს. საქართველოსათვის ამ მიმართულებით მეტად საშიშია იმ ადამიანების მენტალიტეტი, რომელიც ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესს კურირებს და რომელთაც სამწუხაროდ ქვეყნისათვის სტრატეგიული ობიექტის ცნება, საერთოდ გაუგებარია.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი არ აღიარებს და არ ცნობს სტრატეგიული ობიექტების ცნებას. კითხულობს რა არის სტრატეგიული ობიექტი? და თვითონ პასუხობს „ეკონომიკური თვალსაზრისით, სტრატეგიულობა თავისთავად არაფრის მეტყველი არ არის“, მისი აზრით „საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არ უნდა შედიოდეს ისეთი საწარმოები, როგორცაა: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, აზოტი, მადნეული, თუნდაც ელექტროკავშირი, ამას ალტერნატივა არ აქვს.

ბუნებრივია, ისინი უნდა იყოს კერძო საკუთრებაში. იმიტომ, რომ უფრო ეფექტური იქნება, სახელმწიფო მათ მართვას ვერ დაიწყებს“.¹

სამწუხაროა, ის, რომ დღეს ეკონომიკის სამინისტრო აღიქმება ქონების მართვის (პრივატიზების) სამინისტროდ და სხვა არაფრად. ძნელია სხვა ახსნა მოუძებნო იმ განცხადებებს, რომელსაც ისინი საერთოდ მნიშვნელოვანი ობიექტებისა და მათ შორის მაგისტრალური გაზსადენის განსხვავებასთან დაკავშირებით აკეთებენ. აი, ასეთია მათი არგუმენტი – მილსადენში ისედაც რუსეთის გაზი გადის და რა მნიშვნელობა აქვს, იგი საქართველოსი იქნება თუ რუსეთის, რბილად რომ ვთქვათ, ეს სიბნელე და სიბრყველა, ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელთა განცხადებებში არ ჩანს არავითარი სახელმწიფო ინტერესი. მათ არ გაეგებათ, რომ მაგისტრალურ გაზსადენზე გადის საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკური სტაბილურობის (დამოუკიდებლობის) ხერხემალი. ნებისმიერ ქვეყანაში და მათ შორის რუსეთში მაგისტრალური სადენები (გაზსადენები, ელექტროსადენები, ნავთობსადენები)

1. გაზ. „ახალი თაობა“, 2005 წ. 20 მარტი, №7

სახელმწიფო საკუთრებაა. დღეს საქართველოს იმიტომ ააქვს გაზი, რომ სომხეთი რუსეთის პოლიტიკური მეგობარი და სამხედრო სტრატეგიული დასაყრდენია სამხრეთ კავკასიაში და, რადგან რუსეთი საქართველოს მაგისტრალური გაზსადენით სომხეთს აწვდის გაზს, იძულებულია საქართველოსაც მისცეს იგი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გაზის გამოყენების დავალიანება გვაქვს მის მიმართ. როგორც ეს გაზსადენი რუსების გახდება, გვეტყვის: „შენ ფულს არ მიხდი, სომხები მიხდიან, ამიტომ შენ გაზს ჩაგიკეტავ და სომხეთს მივაწვდი“. როცა გაზსადენი საქართველოსი იქნება, ამ მხრივ არავითარი პრეტენზიები არ ექნება. ამჟამადაც ზოგიერთი ვაიხელმძღვანელი დაინტერესებულია აღუსრულოს „გაზპრომს“ დიდი ხნის ოცნება.

საქართველოს ეკონომიკის რეფორმატორებს, კარგად უნდა ესმოდეთ, თუ რა პერსპექტივა აქვს მაგისტრალურ გაზსადენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში გაზის ტრანსპორტირების თვალსაზრისით. ეჭვს გარეშეა, რომ რამოდენიმე წელიწადში ირანული და შესაძლებელია თურქული გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით იგი კიდევ უფრო მეტად აქტუალური იქნება. ამიტომ, მხოლოდ ეკონომიკის თვალსაზრისითაც, მისი გაყიდვა უპრიანი არ იქნება, რადგან ახლა რა თანხასაც მივიღებთ მილსადენის გაყიდვით, 2-3 წლის შემდეგ მივიღებთ 4-5-ჯერ მეტს და თუ გაწყდება ირანული და თურქული გაზის ტრანსპორტირება, მაშინ რეფორმატორთა გადაწყვეტილება ეკონომიკურად გამართლებული არ იქნება, რადგან საქართველო მთლიანად ამოვარდება ამ სქემიდან. ამ საკითხს ასევე აქვს პოლიტიკური ასპექტიც: უნდა გავითვალისწინოთ, რას ნიშნავს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზება „გაზპრომზე“, ანუ კომპანიაზე რომელიც კრემლიდან იმართება, „გაზპრომი“ ვერ იმოქმედებს ეკონომიკური მიზნების შესაბამისად. მისი ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება კრემლში რუსეთის პოლიტიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე.¹

დღეს აშკარაა, რომ საქართველოში მიმდინარე დიდი პრივატიზაციის პროცესისადმი განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენს რუსული კაპიტალი, და თუ რატომ ეს გასაგებიცაა. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების შეფასების კრიტერიუმი ნებისმიერი ობიექტის მხოლოდ ძვირად გაყიდვა არ უნდა იყოს. აუცილებელია საქართველომ გაზსადენზე (მის ახლანდელ გამოყენებაზე) დააწესოს მკაცრი კონტროლი და ერთხელ და სამუდამოდ ენერგოპოლიტიკის საკითხი გახადოს ნათელი

1. რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი აშკარად აცხადებს, რომ რუსული კაპიტალი უნდა ემსახუროდეს რუსულ პოლიტიკას.

და გამჭვირვალე.

საქართველოს ეკონომიკის რეფორმატორები უკვე „თბილწყალკანალის“ გაყიდვაზე ალაპარაკდნენ. მის შეძენას აპირებს ფრანგული ფირმა „ქენერალ დეზო“. „თბილწყალკანალის“ გასხვისებას საფუძვლად დაედო ქალაქის მერიის გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც ტენდერიც კი გამოცხადდა. წყალი, როგორც სასიცოცხლო ობიექტი არ შეიძლება იყოს არა მხოლოდ უცხოელის არამედ ქვეყნის კერძო სექტორის ხელში. მთავრობაში აყენებდა წინადადებებს სასტუმრო „მეტეხის“ გაყიდვის თაობაზე, რომლის ღირებულების 84% საქართველოს საკუთრებაა. ასევე მოითხოვენ „ფოთის პორტის“, „გუდაურის კომპლექსის“, „მადნეულის“, „აზოტის“, „კახეთის რკინიგზისა“ და სხვა მრავალი ობიექტების გაყიდვას.

კახეთის რკინიგზის მშენებლობაზე 1910-1912 წლებში დახარჯა 18 მლნ მანეთი ოქროთი. დღეს კი ვიღაცას ქართველი ერის კუთვნილი ქონების კაპიკებად გასხვისება და შეძენა სურს. მაგრამ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ იგი ერის კუთვნილებაა, და ის რაც ერის კუთვნილებაა, არ იყიდება. მას ფასი არ აქვს და თუ ვინმე ამას გაბედავს, მან პასუხი უნდა აგოს ერის წინაშე.

ხელისუფლებამ მოლაპარაკებები დაიწყო წინანდლის სამუზეუმო კომპლექსის 49 წლით იჯარით გაცემის თაობაზე. იჯარით გასაცემი ქონების ჩამონათვალში არის მუზეუმის ინვენტარი - დეკორატიული ჭალი და სხვა ექსპონატები, რომლებიც 24 ათას დოლარად არის შეფასებული. ექსპონატების ასე შეფასება შეუძლებელია. 24ათასი დოლარი და მეტიც ის ფორტეპიანო ღირს რომელიც გრიბოედოვმა ჩამოიტანა. ამის გადაცემა იჯარით ნიშნავს საკუთარ წარსულზე უარის თქმას, არასერიოზულ დამოკიდებულებას, სულიერებისათვის სერიოზული ზარალის მიყენებას. ბოლოსდაბოლოს ყველაფრის გასხვისება არ უნდა იყოს სახელმწიფოს პრიორიტეტი. ის 70 ათასი დოლარი, რომელიც თითქოს ამაზე შემოუვათ, არა მგონია იმაზე ძვირფასი იყოს, რაც არის ეს ადგილი საქართველოსათვის.

მართლაც როგორ შეიძლება მთავრობას აზრად მოუვიდეს წინანდლის უნიკალური ბიბლიოთეკა და ის უნიკალური ექსპონატები, რაც აქ არის, შეფასდეს ანალოგიურ ჭრილში. ცოტა საეჭვოა, რომ მხოლოდ 70 ათასისათვის იყოს გადაწყვეტილება მიღებული. აქ სულ სხვა მიზანია.

დღეს ოპოზიციური პარტიები ქვეყანაში დაწყებული „აგრესიული“ პრივატიზაციის პროცესს, სამართლიანად აპროტესტებენ. პირველ რიგში ქვეყნის ხელისუფლება

უდიდეს დანაშაულს სჩადის, რაც გამოიხატება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების უკანონოდ გასხვისებაში.

აუცილებელია სახელმწიფო ქონების მართვასა და პრივატიზების პროცესში ქვეყნის ინტერესები იყოს დაცული. საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიულ დარგებში „შავი ფულის“ გათეთრებისაგან, ან მათი ხანგრძლივი დროით პარალიზებისაგან დასაცავად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციო თანხების წარმომავლობაზე ოფიციალური დასკვნები უნდა მოითხოვოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან, საგარეო დაზვერვის სამსახურიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

დღეს ადამიანები ქვეყანაში დაწყებულ „აგრესიული“ პრივატიზაციის პროცესს სამართლიანად აპროტესტებენ. პირველ რიგში ქვეყნის ხელისუფლება უდიდეს დანაშაულს ჩადის, რაც გამოიხატება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების უკანონოდ გასხვისებაში. აღნიშნული ქონება ქართველი ხალხის საკუთრებაში უნდა იყოს და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს.

ჩვენი აზრით, მცდარია აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების მესვეურთა მიერ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ერთბაშად შეზღუდვის პოლიტიკა. საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროს მიმართ სახელმწიფოს „ხედმეტი“ მეურვეობის შესახებ ბევრი კრიტიკული მოსაზრება არსებობს, მაგრამ ფაქტები (რა თქმა უნდა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), დამაჯერებლად მეტყველებს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მაღალ ეფექტიანობაზე. მთელ რიგ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნებში მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის როლი. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი ჩარევის პოლიტიკა მსოფლიოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივების პროცესში წარმოიშვა საპრივატიზებო ქონების მოცულობასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, ტრადიციულად საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, ესპანეთის, პორტუგალიის სახელმწიფო სექტორს დიდი გავლენა აქვს მეტალურგიაში, საავტომობილო მრეწველობაში და გემთმშენებლობაში, ქიმიურ, კვების მრეწველობაში, ავიამშენებლობაში, ატომურ ენერგეტიკასა და კოსმოსურ მრეწველობაში. საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი სახელმწიფო სექტორი დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში,

ინდოეთში, სამხრეთ ამერიკის უმეტეს ქვეყანასა და არაბულ ქვეყნებში. იტალიაში სახელმწიფო საკუთრების მართვის სპეციალური სამინისტროც კი არსებობს.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ხვედრით წილს უპირატესად განსაზღვრავენ მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების წილით.

1970 წლიდან დღემდე 17 განვითარებული ქვეყნის მიხედვით საშუალო სახელმწიფო დანახარჯები მშპ-ში 9-დან 47%-მდე გაიზარდა. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ქვეყნებში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში ეს წილი 50%-ს შეადგენს, ხოლო შვედეთში 60%-ზე მეტს.¹

მძაფრი კონკურენციის პირობებში ქვეყნის მრეწველობის ტექნოლოგიურ ბაზარზე პროგრესირებადმა ჩამორჩენილობამ დღის წესრიგში დასვა სახელმწიფოს როლის გაძლიერების საკითხი. დღეს ფაქტობრივად ასეთია მაკროეკონომიკური რეგულირების სამთავრობო სტრატეგიის ახალი კურსი.

მაშასადამე, განვითარებულ ქვეყნებში თუ ასე საჭირო და აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა მშპ-ის მოცულობაში სახელმწიფოებრივი საკუთრების მაღალი ხვედრითი წილით განისაზღვრება, მაშინ როგორ გავიგოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის განცხადება - „გაფყილოთ ყველაფერი“.

ეკონომიკის განვითარების მინისტრს მიაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკის მართვის იდეალური საშუალებაა. მისი განცხადებით რამდენიმე წელიწადში ეკონომიკის სამინისტრო საერთოდ არ იქნება საჭირო და გაუქმდება. მინისტრის აზრით - საკმარისია ხელისუფლება არ ჩაერიოს ეკონომიკის მართვაში და ყველაფერი თავისით მოწესრიგდება.

ჩვენი აზრით მინისტრის ეს განცხადება, ნიშნავს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყოველგვარ კონტროლზე უარის თქმას. ბოლოს და ბოლოს სახელმწიფომ (საქართველოს მთავრობამ) საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა უნდა გახადოს მართვადი. ბაზარი და საბაზრო ეკონომიკა მიჩნეული უნდა იყოს არა თვითმიზნად, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევის, კერძოდ საზოგადოებაში კლასობრივ განსხვავებათა დაძლევისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალურ განვითარების, კერძო ინიციატივისა და კონკურენციის ეკონომიკის აქტიურ სახელმწიფოებრივ რეგულირებასთან შეხამების საშუალება.

1 მოვსესიანი. ა.გ., ოგნივცევი ს.შ. „მსოფლიო ეკონომიკა“ (სახელმძღვანელო), თბ., 2004 წ. გვ. 15

თავი V. საკუთრების განსახელმწიფოებრივების ეკონომიკური და სოციალური შედეგები

5.1. სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების ეკონომიკური შედეგები

საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების და პრივატიზაციის პროცესი რთულად წარიმართა. საქართველოში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება, რომელიც უწინარეს ყოველისა საკუთრებით ურთიერთობების გარდაქმნას გულისხმობდა, 1992 წლიდან დაწყებული ქვეყნისათვის უმძიმეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში (სამოქალაქო ომი, ეთნიკური კონფლიქტები აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში, მწვავე ეკონომიკური კრიზისი, არასტაბილური საზოგადოებრივი ვითარება) მიმდინარეობდა. აღნიშნული მიზეზების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა სახელმწიფო საკუთრების პრივატიზების პროცესის თანმიმდევრული სისტემური მართვა, მითუმეტეს რომ ქვეყანას არ გააჩნდა არც შესაბამისი გამოცდილება და არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლისათვის აუცილებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. ამდენად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი მოუმზადებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ დროის ფაქტორის მიხედვით, არამედ იმის გამოც, რომ იგი ფაქტობრივად დაიწყო ეკონომიკური რეფორმების განხორციელების სრულყოფილი პროგრამის შემუშავების გარეშე. სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული მდიდარი უცხოური გამოცდილება.

საქართველოში, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში პრივატიზების კონკრეტული მექანიზმი დაუქვემდებარდა ეროვნულ ხასიათს, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების რეალურ ღონეს, საერთო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს და პოლიტიკურ ორიენტაციას. განსაკუთრებით უარყოფითი როლი ითამაშა სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილებამ და კრიმინოგენურმა ფაქტორებმა.

პრივატიზაცია ხორციელდებოდა სახელმწიფო ქონების მასობრივი დატაცების (ქურდობის), მექრთამეობის, თანამდებობის ბორიკად გამოყენების, ფინანსური და სხვა სახის თაღლითობის, ცრუ საწარმოების დაარსების, ფიქტიური გაკოტრებისა და სხვა ეკონომიკური დანაშაულობების მიმდინარეობის ფონზე.

განსაკუთრებით, პრივატიზების საწყისი ეტაპი განხორციელდა უაღრესად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში. საწარმოთა განსახელმწიფოებრივება, მათი სამეურნეო-სტრატეგიული მნიშვნელობის და ღირებულებითი შეფასების მიუხედავად, მიმდინარეობდა ძირეული სოციალური და პოლიტიკური რეფორმების პარალელურად, სახელმწიფოებრივების აღდგენისა და ინსტიტუციონალური კრიზისის პირობებში. სახელმწიფოს მიერ ამ პროცესებზე სრული უკონტროლობის ვითარებაში. საკუთრების გარდაქმნის ძალზე სწრაფი ტემპი, მისი ფორსირებული ხასიათი ძირითადი პოლიტიკური ამოცანებით იყო ნაკარნახევი. „შოკური თერაპიის“ მეთოდით ეკონომიკური გარდაქმნების გამიყენებამ საქართველოს კოლოსალური ზარალი მიაყენა. ქვეყანაში უარყოფითი ეკონომიკური შედეგები იქნა დაფიქსირებული. ეს სირთულეები საქართველოში, როგორც ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყანაში აფერხებდა ეკონომიკურ რეფორმებს, კერძოდ პრივატიზაციის პროცესს. მიუხედავად ამისა მან ფართო მასშტაბები შეიძინა (იხ. ცხრილი №7)

პრივატიზებულ საწარმოთა (ობიექტთა) რაოდენობა და შემოსავლები პრივატიზებიდან ¹

წლები	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	სულ 1993- 2007 წ.წ.
მაჩვენებლები																
პრივატიზებული საწარმოები (ერთეული)	1395	1924	4975	2390	1568	1972	1492	1009	661	673	761	267	776	156	363	20322
შემოსავლები პრივატიზებიდან (მლნ ლარი)	25.0	60.0	164.2	30.3	25.9	73.3	52.7	12.8	5.6	24.5	23.6	72.7	419.4	561.6	573.8	2125.4

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი - „საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2001“ თბ., 2002 წ.
ბმ: 150-151; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი წლების მონაცემები

საწარმოთა პრივატიზება დარგების მიხედვით (1993 - 2007 წ.წ.) 1
(ერთეული)

წლები დარგები	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	ჯამი 1993- 2007წწ
პრივატიზებული საწარმოები – სულ	1335	1924	4975	2390	1568	1972	1492	1009	661	673	761	267	776	156	363	20322
მცირე საწარმოები	1312	1370	4699	2238	1496	1928	1450	883	614	655	761	94	252	88	131	17971
მათ შორის დარგების მიხედვით: მრეწველობა	26	35	103	50	30	27	18	12	15	27	17	6	16	9	41	432
მშენებლობა	111	70	67	58	48	41	29	22	23	30	20	7	19	6	12	563
სოფლის მეურნეობა	54	29	125	76	96	112	218	141	88	85	45	48	44	24	20	1205
ტრანსპორტი	11	4	40	31	20	22	51	38	25	26	31	14	30	14	26	383
ვაჭრობა და საზოგადოებრივი სამსახურეობა და კომუნალური მეურნ.	396	717	2182	463	456	575	389	159	72	126	70	44	69	16	34	5768
სხვა დარგები	170	34	497	408	163	138	84	90	101	28	51	23	80	14	25	1906
მსხვილი და საშუალო საწარმოები (სააქციო საზოგადოებრივად გარდაქმნა)	23	554	276	152	92	44	42	126	47	18	–	16	20	9	18	1437

1 საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი; „საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული“. თბ., 2002; 2003; 2004; 2005; 2006 წ.

2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყანაში სულ პრივატიზებულია 20322-ზე მეტი ობიექტი, მათ შორის 1500-მდე სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც ეს ცხრილი №8-ის მონაცემებიდან ჩანს ცალკეული დარგების მიხედვით პრივატიზების მიღწეული მიჯნები ასეთია: მრეწველობა - 432 ობიექტი; მათ შორის ენერგეტიკაში - 185 ობიექტი; სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელ მრეწველობასთან ერთად - 1205; მშენებლობა - 563; ვაჭრობა - 5768; საყოფაცხოვრებო მომსახურება - 8628; ჯანდაცვა - 678; სოციალური სფერო - 845; ტრანსპორტი - 383 და სხვა.

ამჟამად, სახელმწიფოს ხელშია 270 სააქციო საზოგადოების აქციების საკონტროლო პაკეტი და სახაზინო საწარმოთა ბაზაზე დაფუძნებული 1270 შპს და 60 სააქციო საზოგადოება, რომელშიც სახელმწიფოს წილი საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს შეადგენს. საქართველოში არასახელმწიფო საწარმოთა წილად მოდის მშპ - 75%, ექსპორტის - 60% და იმპორტის - 70%. ამასთან, კომერციული მომსახურების წილი შეადგენს განათლების სფეროში ნახევარზე, ხოლო ჯანმრთელობის სფეროში 4/5-ზე მეტს.

როგორც ვნახეთ, გარდაქმნათა მაღალი დინამიზმის გამო ქვეყანაში სწრაფად შეიცვალა თანაფარდობა საკუთრების ფორმებს შორის და სახელმწიფო საკუთრებამ დაკარგა თავისი გაბატონებული მდგომარეობა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გაანგარიშებით, კერძო სექტორი 2005 წლიდან უკვე (დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზისა და იმპორტის გადასახადის გარეშე) აწარმოებს ქვეყნის შიდა პროდუქტის 75%-ზე მეტს. ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლამ და ზოგიერთი პრიორიტეტული დარგის და სფეროს განვითარების შედარებით სწრაფმა ტემპმა და სხვა ფაქტორებმა დარგობრივ სტრუქტურაში გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები. (იხ. ცხრილი №9.

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 1995-2005წ.წ.
(მოქმედი ფასებით პროცენტობით) ¹

წლები დარგების დასახელება	1995	1996	1997	1998	2000	2005
მთლიანი შიდა პროდუქტი სულ	100	100	100	100	100	100
მრეწველობა	9.5	10.3	9.6	9.2	9.1	9.2
მათ შორის	-	-	-	-	-	-
სოფლის მეურნეობა	41.8	31.0	28.2	24.8	22.2	21.0
მშენებლობა	2.2	4.6	4.8	5.8	5.9	6.1
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	8.5	6.3	9.9	12.4	12.1	12.6
საყოფაცხოვრებო მომსახურება და ვაჭრობა	26.1	22.2	22.0	23.6	21.1	21.2
სხვა დარგები	0.4	1.6	1.7	4.8	4.8	5.2
მატერიალური წარმოება სულ	88.5	76.0	76.2	75.8	75.2	75.3
არამატერიალური წარმოება	5.9	20.5	19.1	19.4	20.5	20.6
წმინდა გადასახადები	5.9	3.5	4.7	4.8	4.3	4.1

1. ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი წლების მონაცემების საფუძველზე.

როგორც ცხრილი №9-ის მონაცემებიდან ჩანს საქართველოში ეროვნულ მეურნეობაში 1995–2005 წლებში პრივატიზებული ობიექტების საერთო რიცხვიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის ობიექტებზე. მთლიან შიდა პროდუქტში სწრაფი ტემპით გაიზარდა არაწარმოებრივი დარგების ხვედრითი წილი. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში მისი წამყვანი დარგების – მრეწველობისა და მშენებლობის მნიშვნელოვნად შემცირება, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების კანონზომიერი ზრდა და ვაჭრობის აღმავლობის ერთგვარი ბუმის დასრულება, რაც მათი უმნიშვნელო ზრდითა და სტაბილიზაციით დასტურდება. სამწუხაროდ აშკარაა მატერიალური წარმოების სფეროს დარგების ხვედრითი წონის შემცირების ტენდენცია. განსაკუთრებით თვალში საცემია ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში საბაზისო დარგების – მრეწველობისა და მშენებლობის ჯერ კიდევ დაბალი დონე, ხოლო სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მაღალი ხვედრითი წონა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ მოშალა ცალკეულ რესპუბლიკებს შორის არსებული ძველი ეკონომიკური კავშირები. საქართველოში სულ რამდენიმე თვეში კატასტროფულად დაეცა წარმოების დონე, დაირღვა მატერიალური დოვლათის კვლავწარმოების ნორმალური პროცესი. წარმოიქმნა მასობრივი უმუშევრობა, ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა პრივატიზების პროცესის მეორე და მესამე ეტაპის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეკონომიკური რეფორმების წლებში სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნამ მნიშვნელოვნად შეცვალა ეკონომიკის დარგების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, რაც გამოიწვია პრივატიზებულ და აქციონირებულ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის პროფილის (მიმართულების) შეცვლამ და უმეტეს შემთხვევაში უმოქმედობამ, რამაც შეცვალა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის თანაფარდობა. მდიდრების ხელში მოექცა მთელი პრივატიზებული ქონების დაახლოებით 70–80%, ხოლო დანარჩენის ხელში მხოლოდ 20–30%. ქვეყანაში არ წარმოიქმნა ე.წ. საშუალო ფენა. წარმოების ტემპების დაცემამ გამოიწვია ბიუჯეტის დეფიციტი, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო, კორუფციის მასშტაბების ზრდა, მზარდი საგარეო ვალი და სხვა.

დღემდე სახელმწიფო საკუთრებიდან საპრივატიზებოდ განკუთვნილი საწარმოთა რაოდენობის 80%-ია გაყიდული და მათი რეალიზაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტში

შეტანილია საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ღირებულების მხოლოდ 0,6%.¹ 2008 წლის 1 იანვრამდე საქართველოში პრივატიზებულია 20322 ობიექტი და მთლიანად მათი რეალიზაციიდან მიღებულია 2 125400 ათასი ლარი.

სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხები, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის შესაბამისად შემდეგნაირად უნდა განაწილებულიყო:

- ა). მცირე ბიზნესში წარმოების განვითარების ღონისძიებათა განვითარებაზე;
- ბ). წარმოების სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ღონისძიებათა დაფინანსებაზე;
- გ). პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციული ხარჯების დაფინანსებაზე.

როგორც ამას სათანადო მონაცემები ადასტურებს საქართველოში გაყიდული ქონებიდან მიღებული შემოსავლის 5% რჩებოდა ქონების მართვის სამინისტროში, 10% იუსტიციის სამინისტროში, ხოლო 85% ეროვნულ ბანკში მთავრობის სხვადასხვა საჭიროებისათვის. როგორც ვხედავთ, არცერთი თეთრი არ ხმარდებოდა საწარმოთა რესტრუქტურირებას.

დღეს ქვეყნის სახელმწიფო და არასახელმწიფო საკუთრების საწარმოთა დიდ ნაწილში წარმოებრივი ფონდები არ ფუნქციონირებს, ე.ი. საქართველოში პრივატიზებას არსებითი ეკონომიკური შედეგი არ მიჰყოლია, ფაქტიურად საწარმო-სამეურნეო საქმიანობის მექანიზმში დადებითი შედეგები არ განხორციელებულა, უბრალოდ შეიცვალა მხოლოდ მესაკუთრე და საწარმოთა დასახელება. მაგალითად, ჩვენში აქციონერულ საზოგადოებათა ჩამოყალიბება კი არ განხორციელებულა ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე, არამედ ისინი შეიქმნა ზემოდან დაშვებული განკარგულებებით, რათა სახელმწიფო საწარმოების დაჩქარებული პრივატიზებით მოგვეხდინა საკუთრების სტრუქტურის ტრანსფორმაცია. ამ გზით კერძო საკუთრება კი ჩამოყალიბდა, მაგრამ ეფექტიანად მომუშავე საწარმოები ფაქტობრივად ვერ მივიღეთ. ამჟამად ქვეყანაში არსებული 1500-მდე აქციონერული საწარმოდან მხოლოდ რამდენიმე ათეულია რენტაბელური. სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2005 წელს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 1500-მდე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 240-მდე სააქციო საზოგადოება. (რომლებიც ფლობს აქციათა საკონტროლო პაკეტს).

1. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე – პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია::

საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ. 264

თითქმის 1800-მდე საწარმოდან მომგებიანია მხოლოდ 160 საწარმო, მათ შორის 53 სააქციო საზოგადოება და 107 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ზარალიანი აღმოჩნდა 943 საწარმო. მათ შორის 131 სააქციო საზოგადოება და 812 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საერთოდ არ არსებობს არავითარი ინფორმაცია 93 საწარმოზე, ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზარალმა ათეულ მილიონ ლარს მიაღწია. როგორც ჩანს, სახელმწიფოს წილის მქონე სააქციო საზოგადოებებიდან მისაღები დივიდენდების დიდი ნაწილი იმალება და ჩრდილოვანი ეკონომიკის არხებში ექცევა. ამასთან დაკავშირებით, გაუგებარია საგადასახადო და მაკონტროლებელი სამსახურების უმოქმედობა, როცა ცნობილია, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა მიიღეს მოგება, კერძო სექტორზე დივიდენდებიც განაწილდა, მაგრამ სახელმწიფო წილი არ იქნა გადახდილი.

როგორც აღინიშნა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების უმეტესობა ზარალიანია. არაეფექტიანი, ხშირად დანაშაულებრივი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, სრულ განადგურებამდე არის მიყვანილი. ზარალის გამომწვევი ძირითადი მიზეზია საწარმოთათვის კრედიტორული დავალიანების დაგროვება და შემდგომ მისი ქონების სასამართლოს მეშვეობით გასხვისება. მათ რენტაბელურ მუშაობას ხელს უშლის ის რომ, ხდება ნედლეულის მაღალი ფასებით შეძენა, გამოშვებული პროდუქციის დაბალი ფასებით რეალიზება, საწარმოთა დანაკარგების ზრდა, რის შედეგადაც, კრედიტორთან წინასწარ შეთანხმებით და ხელოვნურად წარმოქმნილი ვალის აღიარებით სასამართლოს მეშვეობით, ორგანიზაციის ქონება არ ხვდება საპრივატიზებო ნუსხაში და ის გადადის კრედიტორის მფლობელობაში.

ქვეყანაში თავის დროზე არ ჩამოყალიბდა გასაყიდად გათვალისწინებულ საწარმოთა აქციების მართველი (ჰოლდინგური) კომპანია. სახელმწიფო ქონების აქციების განკარგვის უფლება, მათ გაყიდვამდე, გადაეცათ დარგობრივ სამინისტროებს და მმართველობის ადგილობრივ ორგანიზებს. იმის გამო, რომ საკანონმდებლო ნორმები (ქვეყანაში) მკაფიოდ განსაზღვრული არ იყო, ძნელი აღმოჩნდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების სათანადოდ მართვის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილების და აქციების ღირებულების მონაცემები მიუთითებენ, რომ პრივატიზების მესამე ეტაპზე, სახელმწიფო კვლავ უდიდეს მესაკუთრედ რჩება. იგი ჯერჯერობით ფლობს, როგორც მთლიანად

სახელმწიფო-საწარმოებს (1800 საწარმო), ისე მრავალი კერძო საწარმოს აქციების წილს. ამიტომ, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგიის დახვეწა კვლავ დღის წესრიგში დგას.

საბაზრო ეკონომიკის კლასიკურ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორის საწარმოებისა და კერძო საკუთრებაში გადაცემული საწარმოების ეფექტიანობის გაანალიზების შედეგად დადგენილია პრივატიზებული კერძო საწარმოების უპირატესობა. ამ დროს საქართველოში ამ საწარმოებს არავითარი ყურადღება არ ექცევა. ყურადღების მიღმა დარჩენილი პრივატიზებულ საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხები, რომელიც ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

საქართველოში პრივატიზებულ საწარმოებში უაღრესად მოძველებულია ძირითადი კაპიტალის შემადგენლობა. ვინაიდან იგი 17-18 წლის მანძილზე ფაქტობრივად არ განახლებულა, მათი 80-85% 50-70 წლამდე ასაკისაა, რაც მორალური მოძველების გარდა ფიზიკურადაც მაქსიმალურად გაცვეთილია. მძიმედ ან საერთოდ არ ხდება მორალურად მოძველებული ძირითადი კაპიტალისაგან განთავისუფლება და ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების დანერგვა. სამწუხაროდ დღეს ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური გარემოც ვერ უწყობს ხელს კერძო სექტორის უკეთ ფუნქციონირებას - მორალურად უვარგისი ტექნიკური და ტექნოლოგიური პარკი ამუხრუჭებს მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას და უცხოური, მდარე ხარისხის ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნე, იაფი ნაწარმით გაჯერებულ შიგა ბაზარზე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სამამულო ნაწარმის პროდუქციის რეალიზაციას.

ამრიგად, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით საქართველოში მორალურად მოძველებული ძირითადი კაპიტალის განახლების პრობლემა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პრივატიზებულ საწარმოებში მეტად აქტუალურია.

დღეს პრივატიზებულ საწარმოთა უმრავლესობაში ყურადღება არ ექცევა შრომის სოციალური პირობების გაუმჯობესებას. რასაც განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. ეს უშუალოდ გამომდინარეობს წარმოების ჰუმანიზაციის, საერთო სოციალური ეფექტიანობის ამაღლების მოთხოვნებიდან.

ჩვენი აზრით, საკუთრების ნებისმიერი ფორმის პირობებში და განსაკუთრებით კერძო პრივატიზებულ საწარმოებში, მორალურად მოძველებული, სოციალურად

უვარგისი ტექნიკის განახლება და შესაბამისად, საზოგადოებრივად ნორმალური შრომის პირობების დონის მიღწევა პრაქტიკულად განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა ესა თუ ის საწარმო ეკონომიკურად გაძლიერდება და სათანადო სახსრებს შეაგროვებს მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. ამდენად, მათთვის საჭიროა საგასახადო ტვირთის შემსუბუქება გაწეული კაპიტალურ დაბანდებათა ღირებულების სიდიდის პროპორციულად. ახლად პრივატიზებულ საწარმოთა ეკონომიკური დახმარების ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს მათი მიმდინარე ტექნიკური რეკონსტრუქციის შეღავათიანი დაკრედიტება.

აშკარად უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში საერთოდ წარმოებისადმი და განსაკუთრებით კერძო საკუთრების პრივატიზებული საწარმოების მიმართ შესუსტებულია სახელმწიფოს მმართველობით-მარეგულირებელი ფუნქციები. ამას ემატება საწარმოთა მუშაობის შემაფერხებელი მთელი რიგი მიზეზები, რომელთა აღმოფხვრა ჭიანჭურდება. ამ საწარმოთა მიმართ არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან არავითარი დახმარება და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. დღეს ეს საწარმოები სახელმწიფოსაგან მოკლებულია ფინანსურ-ორგანიზაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი პროცესების რეგულირებას. ამის დასტურია ის, რომ დღემდე ქვეყანას არ გააჩნია ნათელი, ეროვნული ინტერესების გამომხატველი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელშიც მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული ქვეყნის ინტერესები.*

ამრიგად, პრივატიზებულ საწარმოებისადმი გაწეულ ყველა დახმარებას და შეღავათებს უნდა ჰქონდეს მხოლოდ მიზნობრივი ხასიათი და იგი სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეუძლებელია ასევე საწარმოთა რენტაბელობის მიღწევის გარეშე. საჭიროა რენტაბელობის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას, როგორც შიგა, ასევე მსოფლიო ბაზარზე.

საქმე ისაა, რომ მესაკუთრის ჩამოყალიბების პროცესი არ მთავრდება საწარმოს შექმნით. მესაკუთრე ყალიბდება მის განკარგულებაში არსებული საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების პროცესში, როცა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი ფარავს საწარმოს კომერციულ ხარჯებს და

* პრივატიზებულ საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის (ეფექტიანობის) შესახებ მონაცემები საერთოდ საქართველოში არ არსებობს, ამდენად ჩვენ ვერ შევძელით მათი მოპოვება და სათანადო გაანალიზება.

უზრუნველყოფს გარკვეული მოგების მიღებას.

საწარმოთა მართვის გაჯანსაღების საწყისი ეტაპი რესტრუქტურით უნდა დაგვეწყოს, რითაც შესაძლებელი გახდებოდა მართვის ღირეპტიული მეთოდების, ეკონომიკური მეთოდებით შეცვლა, მომუშავეთა შრომის მოტივაციის ამაღლება, ტექნოლოგიური და ინოვაციური მართველობისადმი საწარმოთა ადაპტირების მაღალი დონე და სხვა.

ეკონომიკის რესტრუქტურითაცია - განიხილება, როგორც მუდმივმოქმედი პროცესი და მიმართულია წარმოების მასშტაბების საბაზრო კონიუქტურასთან შესაბამისობაში მოყვანისაკენ. ეს ფაქტორი გადამწყვეტია ეკონომიკის საბაზრო სისტემაზე გარდამავალ პერიოდში.

რესტრუქტურითაცისა და ტექნიკური გადაიარაღების მიზანია საწარმოთა ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის სისტემატური სრულყოფა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს პროდუქციის წარმოების გადიდებას, ჭარბი სამუშაო ძალის შემცირებას, ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას, ახალი ბაზრის მოძიებას და ცალკეული სხვადასხვა სოციალური დონისძიებების გატარებას.

რესტრუქტურითაცია უნდა წარმოადგენდეს უწყვეტ პროცესს. რესტრუქტურითაცის ეფექტიანობის ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

1. ძირითადი კაპიტალის განახლება, ტექნიკისა და ტექნოლოგიის სისტემატური სრულყოფა;
2. შრომის ნაყოფიერების ზრდა;
3. რენტაბელობის დონის ამაღლება;
4. საექსპორტო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა;
5. ფულადი შემოსავლების გადიდება და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოები იძულებული არიან გაზარდონ შრომის მწარმოებლურობა, სისტემურად განავითარონ ტექნიკა და ტექნოლოგიები, რათა მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში გაუძლონ კონკურენციას. ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ უწყვეტი რესტრუქტურითაცის შედეგად. რითაც იზრდება შრომის ნაყოფიერების დონე და იწყება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა. დღეს ტექნიკისა და ტექნოლოგიების მუდმივი განახლების გარეშე საქართველოს პრივატიზებული საწარმოები ვერ შეძლებენ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას და ამაღლებას. როგორც ეს პრივატიზებულ საწარმოთა საქმიანობის ამსახველი ციფრობრივი ანგარიშებითი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რესტრუქტურითაცის

ქართულმა მოდელმა ვერ მოგვცა სათანადო შედეგი. პრივატიზებულ და პრივატიზაციის გარეშე დარჩენილ საწარმოთა მდგომარეობის შესწავლით ირკვევა:

ა) ამ საწარმოთა უმრავლესობა ან სულ გაჩერებულია ან საწარმოო სიმძლავრეთა უმცირესი დატვირთვით უშვებს პროდუქციის მნიშვნელოვნად ცოტა მოცულობას. ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერჯერობით მხოლოდ ქონების გადანაწილებით კმაყოფილდებიან და უფრო მეტად ფართობის გაქირავებით და სხვა კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულნი. საწარმოს მესაკუთრედ დარჩენილ მუშაკთა ძველმა შემადგენლობამ გარედან ინექციის გარეშე ვერ დაძლია საბჭოური აზროვნება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება.¹

TACIS-ის ევროპული საექსპერტო სამსახურის ყოველწლიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით, კერძო სექტორის წილმა წარმოებულ მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაში 74% შეადგინა.

პრივატიზებული ობიექტების 55–60%-მა წარმატებით გაართვა თავი მათ წინაშე მდგარ ამოცანებს, ბევრი ობიექტის მესაკუთრემ გააუმჯობესა მუშაობა, გაზარდა ასორტიმენტი, მომსახურების კულტურა, კეთილმოწყობა შექმნილი საწარმოები და მიმდებარე ტერიტორიები, საწარმოთა ახალმა მესაკუთრეებმა განახორციელეს საქველმოქმედო საქმიანობა, ბევრ ობიექტებში ჩატარდა კაპიტალური რემონტი შიდა და გარე იერსახის და ინტერიერის კეთილმოწყობის მიზნით და ა.შ. კვლევებმა დაადასტურეს, რომ პრივატიზაცია ხელს უწყობს საწარმოთა მაღალმწარმოებლურობას და ქმედითუნარიანობას. პრივატიზაციის პროცესმა შეამცირა სამთავრობო სუბსიდიების მოხმარება სახელმწიფო საწარმოებზე, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ფისკალური მდგომარეობა. გაიზარდა მათ მირ სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები. ასევე, გაიზარდა მომუშავეთა რაოდენობა, წარმოებული პროდუქციის მოცულობა, მოგება, საშუალო ხელფასის მოცულობა, ინვესტიციები და ა.შ.

მიუხედავად ზემოთმოყვანილი დადებითი მაგალითებისა, პრივატიზებული ობიექტების 35–40% კვლავ უმოქმედოა. ზოგიერთის ამოქმედების პერსპექტივა არ ჩანს. უმრავლეს შემთხვევაში ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და განსაკუთრებით საწარმოთა მართვის სააგენტოს ეს საკითხი უწყურადღებოდ აქვთ მიტოვებული და ობიექტების ასამოქმედებლად არ იყენებენ იმ

1 სონდულაშვილი დ., რესტრუქტურისაცია და ტექნიკური გადაიარაღება პრივატიზებულ საწარმოთა განვითარების საფუძველი. ჟურნ. „ეკონომიკა“ 2004წ. №9–10. გვ. 41–42

ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ბერკეტებს, რომელთა გამოყენებასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. საწარმოთა დაბალი ეფექტიანობა და უმოქმედობა გარკვეულწილად დაკავშირებულია ფინანსური რესურსების უქონლობასთან. სათანადო ყურადღება არ ექცევა მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოების დაკრედიტებას. საქართველოში დღემდე სათანადო სტრუქტურები უპირატესად პრივატიზების განხორციელებით არიან დაკავებული, ხოლო საწარმოთა სტრუქტურულ გარდაქმნას და „გამოჯანმრთელებას“ შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა.*

პრივატიზაციამდე საწარმოთა სანაცია ის უპირატეობა აქვს, რომ ამ შემთხვევაში საწარმოთა მომგებიანი ფუნქციონირება მომავალშიც გარანტირებულია და ეს, შესაბამისად ზრდის მის გასაყიდ ფასს, ანუ პრივატიზებით მიღებულ შემოსავლებს. აარანაკლებ მნიშვნელოვანია, ის რომ ამ ღონისძიებით ქვეყანაში წყდება უმუშევრობის პრობლემა. საწარმოს პრივატიზების შედეგად ახალ მესაკუთრეს ეს რთული პრობლემები გადასაწყვეტი აღარ რჩება, თუმცა, რესტრუქტურისაცია ერთჯერადი ღონისძიება როდია. იგი მუდმივი პროცესია და ტექნიკის, ტექნოლოგიების, მოთხოვნის, ფასების, კონკურენციის სფეროებში მიმდინარე ცვლილებებითაა გამოწვეული. მუდმივი განახლების გარეშე საწარმო ვერ შეძლებს კონკურენტუნარიანობისა და რენტაბელობის შენარჩუნებას.¹

პრივატიზებულ საწარმოთა დაახლოებით 2/3 ნაწილი ზარალიანია, ხოლო 1/3 ითვლება სიცოცხლის უუნაროდ. სწორედ ამიტომაც რომ რესტრუქტურისაციის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს რენტაბელობა წარმოადგენს, რომელსაც ფინანსურ რესტრუქტურისაციასთან შედარებით მეტი უპირატესობა ეძლევა.

საქართველოში პრივატიზაცია ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება სისტემური ცვლილებების (მხოლოდ მესაკუთრის შეცვლის) უსწრაფესად განხორციელებას დაჩვეულებრივ ეკონომიკური ეფექტიანობის ამადლების მიზანი დარჩა განუხორციელებელი. პრივატიზაციიდან მიღებული თანხები არ იქნა გამოყენებული რესტრუქტურისაციის განსახორციელებლად. ე.ი. პრივატიზებამ ვერ დაშალა ძველი

* პრივატიზაცია 1993 წლიდან დაიწყო და ამ ხნის მანძილზე საქართველოში არ ყოფილა შემთხვევა რომ რომელიმე საწარმო აღედგინათ, მოეხდინათ მისი სანაცია და მერე გაეყიდათ იგი ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარეთ უცხოელ ინვესტორზე.

1 ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. – პოსტსოციალისტური ტრანსპორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001 წ., გვ. 252-253.

სტრუქტურები და ვერ შექმნა სათანადო წანამძღვრები წარმოებასა და ადმინისტრაციულ იერარქიებს შორის ახალი კავშირების დასამყარებლად. პრივატიზაცია უპირველეს ყოვლისა უნდა ემსახურობდეს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის მიზანს. ამიტომ თითოეული ფირმა (სააქციო საზოგადოება და ა.შ.) უნდა გადაიქცეს მაღალშემოსავლიან საწარმოდ. ამასთან, ეკონომიკურად გაუმართლებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წამგებიანი საწარმოების პრივატიზება. საპრივატიზებო ობიექტების რენტაბელობის უზრუნველყოფა წარმატებული პრივატიზების წანამძღვარია.

აქედან გამომდინარე, საქართველოში უპრიანი იყო კი არ დაგვეზღვროს სამინისტროები და გაერთიანებები, არამედ შეგვექმნა სტაბილური ინსტიტუციონალური გარემო და პირდაპირ დაგვეწყო ცალკეულ საწარმოთა პრივატიზება. სამინისტროების მიზანი უნდა ყოფილიყო სამრეწველო გაერთიანებებსა და ცალკეულ საწარმოებს შორის პოლიტიკური და ჰორიზონტალური ურთიერთშემოქმედების კოორდინირება. გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ბევრ ქვეყანაში პრივატიზებული საწარმოები მუშაობენ სახელმწიფო საწარმოებზე უკეთესად. ისინი ინვესტირების სახით იზიდავენ საწარმოთა მართვის თანამედროვე ცოდნას, ტექნოლოგიას და კაპიტალს. ისინი სახელმწიფო საწარმოებისაგან გამოირჩევიან სერიოზული უპირატესობით და წარმატებით ფუნქციონირებენ, მაგრამ ეს ნაკლებად შეეხება საქართველოში პრივატიზებულ საწარმოებს. საქართველოში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს სწორედ საწარმოთა რესტრუქტურის განხორციელების უგულვებლყოფა წარმოადგენს. ჯერ კიდევ, რეფორმის პირველ წლებში ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების პროგრამა ითვალისწინებდა საწარმოთა პრივატიზებისა და რესტრუქტურის დაჩქარებას. აქტიური სანაციური პოლიტიკის გატარებას და სხვა. ამ ღონისძიებებზე მსოფლიო ბანკიდან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან ასეული მილიონი დოლარი იქნა გამოყოფილი, მაგრამ იგი დანიშნულებით არ ყოფილა გამოყენებული.

საწარმოთა რესტრუქტურის პოლიტიკის განხორციელებისადმი ზერედე დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენს ის, რომ მთავრობამ 1994 წელს მიიღო დადგენილება პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყენების შესახებ. მაშინ როდესაც ადრინდელი გადაწყვეტილებით ეს სახსრები საწარმოთა სანაციის მიზნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. გასაგებია, რომ ასეთი დარღვევა მთავრობამ ქვეყანაში არსებული

ექსტრემალური მდგომარეობის გამო გააკეთა, მაგრამ რით უნდა აიხსნას მომდევნო ეტაპზე და ახლაც ქვეყანაში საწარმოთა რესტრუქტურის შეგნებულად შეფერხება? ამას არავითარი გამართლება არა აქვს.¹ აუცილებელია სახელმწიფომ, კერძო სექტორმა, თითოეულმა მეწარმემ კარგად გაათვითცნობიეროს საწარმოთა რესტრუქტურის სასიცოცხლო მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის და გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი მისი დროულად და მუდმივად განხორციელებისათვის. უნდა აიკრძალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული თანხების არადანიშნულებით გამოიყენება.

მაშასადამე, საწარმოების რესტრუქტურის უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი მიზნების მიღწევას:

- წარმოების ტექნოლოგიური ღონისა და ძირითადი ფონდების (კაპიტალის) აქტიური ნაწილის ტექნიკური ღონის ამაღლებას და მის საფუძველზე სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდას, მისი საექსპორტო პოტენციალის აღდგენა - ამაღლებას მეცნიერებატევადი ტექნიკის სახეობათა პროდუქციის წარმოების საფუძველზე.
- აქტიური ძირითადი ფონდების მოდერნიზაციას, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საინვესტიციო დარგებისა და სამომხმარებლო ბაზრების ახალ მოთხოვნებთან;

ამრიგად, სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურის პროცესს უნდა მიეცეს მიზანმიმართული ხასიათი. იგი განხილული უნდა იქნას, როგორც სამრეწველო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფომ უნდა შექმნას წარმოების რეფორმების ხელშემწყობი გარემო, რესტრუქტურის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის, კადრების სწავლების, რეფორმის პროცესში უცხოეთის პროფესიული დახმარების უზრუნველყოფის, რესტრუქტურის ღონისძიებათა დაფინანსების წყაროების გამოძიების მიმართულებით.

1 თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე - პოსტსოციალისტური ტრანსპორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001წ., გვ. 255

5.2. საქართველოში საკუთრების განსახელმწიფოებრივების სოციალური შედეგები

განსახელმწიფოებრივება პოსტსოციალისტურ საქართველოში ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთი მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულება, ეკონომიკური გარდაქმნების ცენტრალური ღერძია. ამიტომ მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

როგორც ეს პრაქტიკამ დაადასტურა, პრივატიზება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ინსტიტუციური გარდაქმნების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, რომელიც საზოგადოებაში იწვევს ღრმა ცვლილებებს და ხელს უწყობს თვისებრივად ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას. ამდენად, საჭიროა დაფიქსირდეს ზოგიერთი თავისებურება, ტენდენცია, შედეგი, რომელიც თან ახლდა პრივატიზების რთულ პროცესს საქართველოში. ჩვენთან სახელმწიფო საკუთრების პრივატიზება დაიწყო რუსეთის რეფორმისტული კურსისადმი ბრმა მიბაძვით რომელიც „შოკურ თერაპიას“ ეყრდნობოდა. იგი მიზნად ისახავდა: უმოკლეს ვადაში მრავალწობიანი ეკონომიკის შექმნას, მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას, ეკონომიკის ეფექტიანობის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფას და არსებული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების შეცვლას. მაგრამ, ეს მიზანი არ განხორციელდა, სააქროველოს ხელისუფლებამ (რეფორმატორებმა) ეკონომიკის ნგრევისა და გაჩანაგების გზა აირჩია.

პრივატიზებამ გვიჩვენა, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ გარდაქმნებში ე.წ. „შოკური თერაპიის“ მეთოდის გამოყენება, რომელიც ფაქტობრივად „თერაპიის“ გარეშე მხოლოდ „შოკის“ სახით ხორციელდებოდა, რომ არა ცივილიზებული მსოფლიოს ხანგრძლივი მატერიალური (ჰუმანიტარული) დახმარება, შეიძლება ქვეყნის სრული ეკონომიკური და სოციალური კატასტროფის მიზეზი გამხდარიყო.¹

ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა დაიწყო შესაბამისი სოციალური პოლიტიკის შემუშავების გარეშე. არ ჩატარდა სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები. ყოველგვარი თეორიული კონცეფციის წინასწარი განსაზღვრის გარეშე სტიქიურად დაიწყო არსებული სისტემის უსწრაფესი ნგრევა.

¹ რ. გოგოხია. საბაზრო ეკონომიკა. თბ., 1996., გვ. 26-34.

ქვეყანაში უგულებელყოფილ იქნა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთული პროცესის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. რატომღაც, სახელმწიფომ ნებაყოფლობით უარი თქვა იმ ფუნქციების შესრულებაზეც, რაც აუცილებელია თვით საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება-განვითარებისათვის. მაგალითად, მეწარმეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, სტრუქტურული გარდაქმნები, საკუთრებითი ურთიერთობების სრულყოფა, ქონების დაცვა, განაწილება და ა.შ. დამოუკიდებლობის შემდეგ სახელმწიფო ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს დიდხანს სათანადოდ ვერ აკონტროლებდა და ჩვეულებრივი მაყურებლის როლს ასრულებდა.

ამას შედეგად მოჰყვა ხალხის მასობრივი გაღატაკება, ეროვნული სიმდიდრის განიავება, ერის სულიერ ფასეულობათა დაქვეითება. შედეგად მივიღეთ მოსახლეობის მხოლოდ უმცირესი ნაწილის კეთილდღეობა და უდიდესი ნაწილის სიღატაკის მნიშვნელოვანი ზრდა.

მოსახლეობის ერთმა მცირე ნაწილმა უშრომლად ხელში ჩაიგდო დიდი ქონება, მეორე ნაწილმა - დაკარგა ადრე პატიოსანი შრომით შექმნილი ქონება და მასთან ერთად სამუშაო ადგილებიც.

საქართველო არ უნდა დადგომოდა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის ლიბერალურ გზას, რომელიც ეყრდნობა კერძო საკუთრების გაბატონებულ მდგომარეობას, უფრო უპრიანი იყო ორიენტაცია იმთავითვე აგველო სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისაკენ, რომელიც გულისხმობს საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანულ შეთანაწყობას (მრავალფორმიანობას), სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვან როლს, ეკონომიკური და სოციალური პრინციპების აქტიურ სახელმწიფოებრივ რეგულირებას და ა.შ.

ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია - ეს არის ისეთი საზოგადოებრივ-სამართლებრივი გარემოს შექმნა, როცა შესაძლებელი ხდება საკუთრების ყველა ფორმის (კერძო, კოლექტიური, სახელმწიფო) განვითარებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა, ადამიანების დასაქმება, შრომითი აქტივობის გაძლიერება, პროფესიული მომზადება, დასვენების ორგანიზაციისათვის ხელის შეწყობა, როცა განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის საქმე მხოლოდ საბაზრო მექანიზმზე არ არის მინდობილი, როცა სახელმწიფო აქტიური მონაწილეობით ხელს უწყობს ქონებრივი დიფერენციაციის რთული პროცესების შერბილებას, სოციალური

სამართლიანობის პრინციპების დაცვას, საზოგადოების უღარიბესი ფენების ინტერესების გათვალისწინებას და ა.შ.¹

მაშასადამე, საჭირო იყო სახელმწიფოებრივ დონეზე შეგვემუშავებია საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პერსპექტიული გეგმა-პროგრამა. განსაკუთრებული უპირატესობა უნდა მიგვენიჭებია საბაზრო ეკონომიკის განვითარების „მესამე გზის“ კონცეფციისათვის, რომელიც ცნობილია „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ გერმანული მოდელის სახით, რომელსაც საფუძვლად უდევს ე. ოიკენის „სამეურნეო წესრიგის თეორია“, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის უპირველეს ამოცანად მიჩნეულია სამეურნეო წესრიგი.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩინეთის მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია „სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის“ შექმნაზე.

ამ კონცეფციის მიხედვით საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, ეკონომიკური განვითარების თანმიმდევრული ღიბერალიზაცია, მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება და ხელსაყრელი სოციალურ-პოლიტიკური გარემოს შექმნა თანდათანობითი ეკონომიკური გარდაქმნებისათვის.

საქართველოში ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, რადგან მისი ფორმირება ხდება ექსტრემალურ სიტუაციაში, მოშლილია ძველი - სოციალისტური სისტემის სტრუქტურები, ხოლო ახლის ფორმირება სტიქიურად მიმდინარეობს.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნისათვის რეფორმატორთა მიერ არჩეული „ველური კაპიტალიზმის“ გზა არასწორი იყო, რადგან მას მოჰყვა ხალხის მასობრივი გაღატაკება, ეოვნული სიმდიდრის განიავება, ერის სულიერ ფასეულობათა მკვეთრი დაქვეითება და სხვ.

პოსტსოციალისტურ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება დაიწყო მსოფლიოს გამოცდილების უგულვებელყოფით. დასავლეთის ქვეყნებში შერეული

¹ ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1997, გვ. 63.

(სოციალურად ორიენტირებული) ეკონომიკა ჩამოყალიბდა არსებული ეკონომიკური წყობის (კაპიტალიზმის) ტრანსფორმაციის გზით და არა რევოლუციური გარდაქმნებით. არსებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემის და მასში გაბატონებული სახელმწიფო საკუთრების ევოლუციური გზით გარდაქმნის ნაცვლად, მოხდა პირიქით – 2-3 წელიწადში ის მთლიანად დაინგრა და კურსი მთლიანად აღებულ იქნა კერძო საკუთრებაზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებმა ახალ ურთიერთობებზე გადასვლა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევით განახორციელეს. საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა იმის ილუზიებში აღმოჩნდა, რომ კერძო საკუთრების საქვეყნო აღიარება და პრივატიზების პროცესის ელვისებურად დაწყება და დამთავრება ავტომატურად გამოიწვევდა ეფექტიანი ეკონომიკის შექმნას.

მაშასადამე, სახელმწიფო საკუთრება კი არ უნდა დაგვეშალა და გაგვენადგურებია, არამედ საჭირო იყო განგვეხორციელებია სახელმწიფო საწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის შესაბამისი ღონისძიებები. აუცილებელი იყო მხოლოდ მისი მონოპოლიური მდგომარეობის შეცვლა (კომერციალიზაცია) და საკუთრების მრავალფორმიანობის და კონკურენტული გარემოს შექმნა. პრივატიზაციის პროგრამა ამას, თითქოს, ითვალისწინებდა, მაგრამ პრაქტიკულად სულ სხვა შედეგი, სრულიად ახალი თვისებრიობა მოჰყვა: დაინგრა ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალი, სახელმწიფო მონოპოლიზმი კერძო საკუთრების მონოპოლიით შეიცვალა, ეკონომიკა მთლიანად მოიშალა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრივატიზებამ, როგორც სისტემური გარდაქმნის ფენომენმა, სათანადო გაუღენა ვერ მოახდინა ეკონომიკის სუბიექტების მოტივაციასა და კონკრეტულ მოქმედებაზე, საწარმოთა რესტრუქტურის ტემპებზე, მათი ბაზრის მიმართ ადაპტირების რთულ პროცესებზე. რაც მთავარია, ვერ ჩამოყალიბდა ეფექტიანი მესაკუთრე-მეწარმე, სახელმწიფო და კერძო სამეურნეო ინიციატივების გარემო, ე.ი. ვერ შეიქმნა მრავალწილობიანი ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძველი.¹

¹ ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1997, გვ. 64.

XX ს. 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისა და იფლაცის შედეგად მოსახლეობამ დაკარგა ფულადი დანახოვები, ამასთან, მათი კუთვნილი ეროვნული სიმდიდრე ამას ხელი შეუწყო დამახინჯებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ და საერთო-სახალხო (სახელმწიფო) ქონების არასწორმა პრივატიზებამ.

პრივატიზება, ფაქტობრივად, მაშინ დაიწყო, როცა მოსახლეობის ფინანსური გაძარცვა ძირითადად უკვე დამთავრებული იყო და თავაშვებული ინფლაცია 8500-პროცენტთან ნიშნულზე იყო მისული.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით გათვალისწინებული საკუთრებითი ურთიერთობის ტრანსფორმაცია და ამ მიზნით 1993 წლის მარტიდან მოუშინადებლად დაწყებული სახელმწიფო ქონების პრივატიზება, სამართლებრივი თვალსაზრისით, მთლიანად მოსახლეობის (შრომითი კოლექტივების) ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნა წარმართული. პრივატიზების ფორმით გათვალისწინებულმა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივებამ პრაქტიკულად „პრივატიზაციის“ ფორმა მიიღო.

ამ მხრივ, პრივატიზების რთული პროცესი დიდ სირთულეებს წააწყდა. თავი იჩინა ისეთმა სიძნელეებმა, რომელთა დაძლევა დღემდე, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფო საკუთრების გაყიდვის (გადაცემის) პრობლემა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ამისათვის სახსრები არ გააჩნდათ. სწორედ ამიტომ, ე.წ. ნომენკლატურული ელიტის და კრიმინალური სამყაროს კლანური სტრუქტურების წარმომადგენლების ხელში აღმოჩნდა სახელმწიფო საკუთრების უდიდესი ნაწილი.

ამის ხელშემწყობი მიზეზი გახდა პრივატიზების საწყისი ეტაპის სპონტანურად დაფარული ფორმით (არარეგალური გზით) წარმართვა, მასში ძირითადად მხოლოდ სახელმწიფო-ნომენკლატურული (ბიუროკრატული) აპარატის მონაწილეობა, რომელმაც მაქსიმალურად გამოიყენა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა. ამ გზით სახელმწიფო (სახალხო) ქონების მესაკუთრენი გახდნენ ცალკეული კორუმპირებული პირები და საექვო ჯგუფები.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კომპლექსურ პროგრამასთან პრივატიზების ორგანულად შეუხამებლობამ და ფასების ლიბერალიზაციასთან მისმა მიუსადაგებლობამ ეკონომიკურ რეფორმას გაუკუღმართებული ფორმა მისცა. ხოლო პრივატიზებამ, ფაქტობრივად, საერთო-სახალხო საკუთრების სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და მათ გვერდით მყოფ მაფიოზურ ჯგუფებზე თითქმის უფასოდ დარიგების სახე

მიიღო. საკუთრების განსახელმწიფოებრივების საქმეში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია ის, რომ საწარმოს მეპატრონე გახდა რამდენიმე კაცი (დირექტორი და მისი ძმებიც), ხოლო საზოგადოების უდიდესი ნაწილი ყოველგვარ ქონებას მოკლებული აღმოჩნდა.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში პრივატიზების ძირითად ამოცანას თავისუფალ მეწარმეთა ფენის შექმნა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, პრივატიზების პროცესში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების სწორი პოლიტიკის გატარება უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

ქონების პრივატიზების დროს დაშვებულმა სერიოზულმა ხარვეზებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მის სწორად განხორციელებაზე. წინასწარ არ იყო გათვალისწინებული პრივატიზების განხორციელების მასშტაბები და ტემპები. კერძოდ, რა ზომით უნდა შემცირებულიყო სახელმწიფოებრივი საკუთრების წილი და უპირველეს ყოვლისა, რომელ საწარმოებსა და დარგებში უნდა განხორციელებულიყო ასეთი გარდაქმნები.

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა ამ დარგების სახელმწიფოებრივი საკუთრების საწარმოების განვითარებასა და მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

საქართველოში კი პირიქით მოხდა, წამოყენებულ იქნა სახელმწიფო საკუთრების დაუსაბუთებელი პრივატიზების თეზისი, რომლის შესაბამისად ხელაღებით გაიყიდა (და ამჟამადაც იყიდება) სტრატეგიული, თავდაცვითი და ეკოლოგიური მნიშვნელობის ბევრი ობიექტი.

პრივატიზების პროცესში არ მოხდა სახელმწიფო საკუთრებაში დასატოვებელი და საპრივატიზებო ქონების სწორად გამიჯვნა. აქ იგულისხმება სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული დარგები, რომელთა ნუსხა წინასწარ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების უმთავრეს კრიტერიუმად ითვლება არა საკუთრების რომელიმე ფორმის გაბატონებული მდგომარეობა, არამედ საკუთრების ყველა ფორმის ეფექტიანად გამოყენება, რომლის შედეგად იქმნება მწარმოებლური ძალების განვითარების ხელშემწყობი პირობები.

საჭირო იყო იმთავითვე შემუშავებულიყო საპრივატიზო და არასაპრივატიზო ობიექტის შერჩევის კრიტერიუმები, დარგების მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობის კოეფიციენტები.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ქვეყანას არ ჰქონდა ეკონომიკის მართვის არსებული სისტემიდან ახალ სისტემაზე გადასვლის მეცნიერულად დამუშავებული კონცეფცია, არ იყო განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი ბაზა და მეურნეობრიობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, არ ფუნქციონირებდა სამეურნეო სტრუქტურები, რომლებიც პრაქტიკულად დაარეგულირებდა განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების რთულ პროცესს.¹

საექვოდ გამოიყურება, აგრეთვე, ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საცხოვრებელი ფართის მოსახლეობისათვის ე.წ. უსასყიდლოდ გადაცემის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიება, რამაც უფრო მეტი სარგებელი ისევ ჩინოვნიკებს მოუტანა, რამდენადაც უსასყიდლო პრივატიზებით მათ შეძლეს სახელმწიფოსგან უკანონოდ მიღებულ კუთვნილზე მეტი საცხოვრებელი ბინების (ფართის) საკუთრებაში უპრობლემოდ დაკანონება.

საქართველოს მაშინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საცხოვრებელი ბინების მოქალაქეთათვის უსასყიდლოდ გადაცემის ნაცვლად, უმჯობესი იყო ამ ფართომასშტაბიანი ღონისძიების განხორციელებაში ისეთი მექანიზმის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობაზე მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის ერთ სულზე მოქმედი ნორმატივების ფარგლებში შეღავათიანი ფასებით მიყიდვას, ხოლო ნორმატივის ზევით დაკავებული ფართის საბაზრო ფასებით გაყიდვას.²

ქვეყანაში სერიოზული მასშტაბები მიიღო დარგობრივი სამინისტროების დაქვემდებარებაში არსებული მთელი რიგი საწარმოებისა და ობიექტების ფარულმა პრივატიზებამ. მასობრივი ხასიათი მიიღო სახელმწიფოს ობიექტების დანაწევრების, სხვა უწყებებზე გადაცემის, გასხვისების, მათი პროფილის შეცვლის ყოველად

¹ ჯიბუტი ა. - საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების წინააღმდეგობრივი ასპექტები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები ტ.4. თბ., 2004, გვ. 148.

² შათირიშვილი ჯ. მოსახლეობის ფულადი დანახოვების გაუფასურების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. „ფსკი“ (გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები). ტ. VI, 2002, გვ. 122-123.

გაუმართლებელმა შემთხვევამ. განვლილი 15 წელი საქართველოში იყო საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ეროვნული დოვლათის უმოწყალოდ განიავებისა და უსამართლოდ გადანაწილების პერიოდი, რომლის შედეგად გაჩნდა, ერთი მხრივ, მცირერიცხოვანი მდიდართა ნაწილი, ხოლო მეორე მხრივ, ღარიბ-ღატაკთა უზარმაზარი არმია, საზოგადოება დაიყო დაპირისპირებულ მხარეებად, შესაბამისად გაიზარდა სოციალური დაძაბულობა და სამოქალაქო უთანხმოებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.⁵ ისტორიაში არ არსებობს არცერთი მაგალითი, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება „სუფთა ხელებით“ რომ განხორციელებულიყო, მაგრამ ის, რაც საქართველოში მოხდა, უპრეცედენტო შემთხვევაა, 70 წლის მანძილზე სახელმწიფოს ხელში თავმოყრილი ქონება რამდენიმე კაცის სურვილის მიხედვით განაწილდა.

ასევე ვერ გაამართლა სახელმწიფო ქონების ერთი ნაწილის (150 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საპრივატიზაციო ბარათების – „ვაუჩერების“) მოსახლეობაზე დარიგებამ, რომელიც სოციალური სამართლიანობისკენ მიმართული ღონისძიების ეგიდით განხორციელდა.

სახელმწიფო ვალდებული იყო, საზოგადოების ყველა წევრისათვის შეექმნა ერთნაირი სასტარტო მგომარეობა, რადგან საზოგადოების ყველა წევრს ერთნაირი წვდოვა უნდა ჰქონოდა შეტანილი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შექმნაში. მაგრამ, მოხდა პირიქით, არასწორად განისაზღვრა საპრივატიზებო ბარათების „ვაუჩერების“ ღირებულება. რითაც უგულვებელყოფილ იქნა საზოგადოებრივ ქონებაში თითოეული მოქალაქის წილი.

1990-იანი წლების დასაწყისისათვის ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე (ბუნებრივი რესურსების, ტყის მასივების და სავარგულების გარეშე) 180 მლრდ დოლარს შეადგენდა, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 33 ათ. დოლარს.

საპრივატიზებო ბარათები ანუ „ვაუჩერები“ საქართველოში 1995 წლის 1 თებერვლიდან შემოიღეს. ოფიციალურად თითოეული მოქალაქის წილი ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში 30 დოლარის ეკვივალენტით განისაზღვრა. მოქმედების ბოლო ვადად 1996 წლის ოქტომბერი დაწესდა. მოსახლეობას გადაეცა 4,264,541 ვაუჩერი ანუ

¹ მესხია ი. ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების მეთოდოლოგიური პრობლემები. „ფსკი“ გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები). ტ. VI, 2002, გვ. 14.

დაკმაყოფილდა ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის 83.6 %. მაშასადამე, სხვადასხვა მიზეზის გამო, „ვაუჩერები“ ვერ მიიღო ქვეყნის მოქალაქეთა 16.4%-მა, რის გამოც მათ ვერ მიიღეს პრივატიზებაში მონაწილეობა. საინტერესოა, რა ბედი ეწია ამ ვაუჩერებს. დღემდე ამ საკითხით არავენ არ დაინტერესებულა. მთავრობას კი ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია საზოგადოებისათვის არ მიუწოდებია.

მიმდინარე ინფლაციურ პროცესებთან დაკავშირებით ვაუჩერების ფაქტობრივი ღირებულება რვაჯერზე მეტად შემცირდა, ხოლო მისი საბაზრო ფასი 4-5 ლარამდე დაეცა. ფაქტობრივად, 30-დოლარიანი „ვაუჩერი“, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, იქცა უმნიშვნელო ღირებულების ფარატინა ქაღალდად, რომელიც აქციებში დაბანდების ნაცვლად, მოსახლეობამ ჩალის ფასად „ახალ მდიდრებს“ მიყიდა.

მოსახლეობის უმრავლესობისათვის „ვაუჩერი“ აღმოჩნდა უმნიშვნელო ღირებულების უბრალო ფარატინა ქაღალდი. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ არ მოხერხდა ვაუჩერიზაციის და აქციონირების პროცესების ურთიერთდაკავშირება. საჭირო იყო ვაუჩერიზაციისა და აუქციონირების პროცესების დამთხვევა, მაგრამ ამის რეალური განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა, რამდენადაც ვაუჩერების გაცემა ერთდროულ აქტს წარმოადგენდა, ხოლო აქციონირებას ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. ვაუჩერების გაცემისა და აქციონირების პროცესის ურთიერთდამთხვეველობამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გადატაკებული მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ვაუჩერების გაყიდვას და მის გადახდის საშუალებად გადაქცევას, თანაც მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით 5-7 ჯერ დაბალი ფასებით. ამის შედეგად განსახელმწიფოებრივებული ქონების მფლობელი (მესაკუთრე) გახდა არა ამ ქონების ნამდვილი მესაკუთრე, არამედ მოქალაქეთა ის მცირე ჯგუფი, რომლებმაც თითქმის მუქთად შეძლეს შეჭირვებული მოსახლეობისაგან ვაუჩერების ძირითადი რაოდენობის ხელში ჩაგდება.⁶ ვაუჩერების გაუფასურება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი ნომინალური ღირებულება სწორად არ იყო დადგენილი.

კომერციული ბანკები, კავკასიის ბირჟა და ხელისუფლების კორუმპირებული წარმომადგენლები შეთანხმებულად და მიზანმიმართულად აწარმოებდნენ მოსახლეობიდან ვაუჩერების ამოღებას. ფასის სპეციალურად დაცემის გზით, თითოეულ

⁶ მესხია ი. ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების მეთოდოლოგიური პრობლემები. „ფსკი“ (გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები). ტ. VI, 2002, გვ. 122-124.

ვაუჩერს 4-5 ლარადაც კი ყიდულობდნენ, ამ გზით მათ თავიანთ ხელში თავი მოუყარეს ვაუჩერების აბსოლუტურ უმრავლესობას.

ფაქტობრივად ჩატარდა ნომენკლატურული პრივატიზება - 1995-1996 წლებში ვაუჩერებზე სპეკულაციური ოპერაციებით მოხდა სახელმწიფო საკუთრების დიდი ნაწილის ნომენკლატურის ხელში კონცენტრაცია. ვაუჩერების დაახლოებით 70%-ის მეშვეობით პრივატიზებული ქონება ხელში ჩაიგდო მოსახლეობის მხოლოდ ერთმა პროცენტმა.⁷ მაშასადამე, ვაუჩერიზაციის საპრივატიზაციო ღონისძიება, ფაქტობრივად, მოხერხებულ პირთა „სამსახურში“ აღმოჩნდა და მათ მიერ დამატებითი უშრომელი შემოსავლის მიღების წყარო გახდა. ამიტომ, დღეს ძნელია ისეთი რიგითი ადამიანის მოძებნა, ვინც კმაყოფილი იქნება „ვაუჩერიზაციის“ შედეგებით. „წითელმა ღირეპტორებმა“ გამოიყენეს შემთხვევა და ვითომ კოლექტივის ინტერესებს ამოფარებულებმა, ვაუჩერული პრივატიზების წყალობით დიდი ქონება ჩაიგდეს ხელში. აქციების უდიდესი ნაწილი მიიღო ე.წ. ნომენკლატურული იერარქიის წარმომადგენლებმა, ცალკეული საწარმოები თვითნებურად მიითვისეს კლანური წარმოშობის სტრუქტურებმა. განსაკუთრებით ეს ეხება ღვინის, ჩაისა და მინერალური წყლების საწარმოებს.

ქონების მოიჯარეებისა და აქციონერულ საზოგადოებათა ხელმძღვანელების მცდელობა მიმართული იყო საწარმოთა მთელი ქონების ხელში ჩასაგდებად. ამისთვის ხელოვნურად აჩერებდნენ საწარმოებს, წლების მანძილზე უმოქმედო საწარმოებიდან აღვილად „ინთესებოდა“ მუშები, ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა მიზეზებით ათავისუფლებდნენ სამუშაოდან. მთავრობა და კერძოდ - ქონების სამინისტრო, არ ითხოვდა გამოსასყიდ საწარმოებში ადრე დასაქმებულთა სიებს, არავინ არ სწავლობდა მათი განთესვის ან ხელოვნურად ჩამოშორების ფაქტებს, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები და პროფკავშირები არ ამოწმებდნენ საწარმოთა უმიზეზოდ გაჩერებისა და სამუშაოდან მომუშავეთა არაკანონიერად დათხოვნის კონკრეტულ მიზეზებს.

მაგალითად, პენსიონერს, რომელმაც 40-50 წელი საწარმოში იმუშავა, არაფერი ერგო, ხოლო მან, ვინც ორი წელი მუშაობდა საწარმოში, რომლის დროს საწარმოს პრივატიზება განხორციელდა, ათიათასობით დოლარის ქონება ჩაიგდო

¹ არჩვაძე ი. რა ფერისაა მილიარდი (სამეცნიერო და პოპულარული სტატიების კრებული) თბ., 2002 წ. გვ. 32.

ხელში. საზოგადოებრივი ქონებიდან არაფერი ერგო ინტელიგენციას - პროფესორებს, მეცნიერ-მუშაკებს, მასწავლებლებს, ექიმებს, კულტურის, ხელოვნების, სპორტისა და სხვა სფეროს წარმომადგენლებს. ისმება კითხვა, თუ საზოგადოების თითოეული წევრის ქონების ხვედრითი წონა განისაზღვრება საპრივატიზებო ქონების ღირებულების შეფარდებით მოსახლეობის რიცხვთან, მაშინ საიდან მოვიდა ქონების ის ნაწილი, რომელიც უფასოდ ან შეღავათიანი ფასებით მიეცა ზოგიერთებს?

ქვეყანაში არაფერი ითხოვდა და აკონტროლებდა გამოსყიდული ქონების (წილის) კოლექტივის წევრებზე განაწილების მონაცემებს და მათ ხელმოწერებს. პასუხს არ თხოვდნენ საწარმოთა ხელმძღვანელებს პრივატიზების შეჩერებისათვის, შესაბამისი ზემდგომი ინსტანციები არ არკვევდნენ საწარმოთა გაჩერებისა და დასაქმებულთა დათხოვნის კონკრეტულ მიზეზებს. ამ პერიოდში სრულიად გულხელდაკრეფილი აღმოჩნდა პროფკავშირული ორგანიზაციები, ისინი თითქმის არ ფუნქციონირებდნენ, მაგრამ ყველა თავის „საქმეს“ აკეთებდა, ქვეყანაში განუკითხავად ირღვეოდა სოციალური სამართლიანობა. მოსახლეობა მოკლებული აღმოჩნდა იმის შესაძლებლობას, რომ საკუთარი თანხებით შეეძინა სახელმწიფო საწარმოთა ფონდები (კაპიტალი). ყოველივე ამან შექმნა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისათვის არათანაბარი და, რაც მთავარია, არასამართლიანი პირობები, რამაც გამოიწვია მახინჯი ფორმით საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფა.

არ იქნა გამოყენებული სახელმწიფო საკუთრების მცირე ზომის საწარმოების განვადებითი გაყიდვის ფორმა, რითაც სავსებით შესაძლებელი იყო პრივატიზების ფართო მასშტაბით განხორციელება. ასევე, არ დაუწესებიათ შეღავათები აქციების ან სხვა ქონების მყიდველების მიმართ (ქონების ცალკეული სახეობის განსაზღვრული ნაწილის ცვეთის მაღალი დონის შემთხვევაში ზარალიან საწარმოებზე კრედიტების გაცემა შეღავათიანი პირობებით და სხვა). შრომითი კოლექტივებისათვის განკუთვნილი შეღავათებით ისარგებლეს მხოლოდ საწარმოთა ხელმძღვანელებმა ან მთავრობაში მათმა მფარველმა თანამდებობის პირებმა.

საწარმოთა დიდი ნაწილი, რომლებიც არენდით იყო გადაცემული და მუშაობას განაგრძობდა, გამოისყიდეს მცირერიცხოვანმა კოლექტივებმა საწარმოთა მოგების ხარჯზე, ხოლო იმ საწარმოთა ქონება, რომელიც არენდით არ იყო გაცემული,

აქციონერული საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნის გზით გამოსყიდულ იქნა მცირერიცხოვანი ჯგუფების მიერ მიზერული თანხებით. ეს მაშინ, როცა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 85–90% აქციონერულ საზოგადოებებში, სახელმწიფო ფორმებსა და კომპანიებში არიან გაერთიანებული და იქ მუშაობენ.

ამრიგად, პრივატიზების შედეგად ქონება არასამართლიანად განაწილდა. ზოგს უფასოდ, ზოგს შეღავათიანი ფასით ხოლო უმეტეს ნაწილს-სრულიად არაფერი ერგო. ამასთან, ქონების დიდი ნაწილი გადავიდა საზოგადოების იმ წევრების ხელში, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებად მუშაობდნენ.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების ძირითად მიზანს და დანიშნულებას საზოგადოების ახალი ნაწილის - კერძო მეწარმეთა საშუალო ფენის ჩამოყალიბება შეადგენს, მაგრამ, ეს ამოცანა პრივატიზების პროცესმა საქართველოში ვერ შეასრულა. ამას, შედეგად ის მოჰყვა, რომ საწარმოებში 500–1000 კაცი თუ მუშაობდა, მთელი ეს ქონება რამდენიმე კაცის საკუთრებაში გადავიდა.

დღეისათვის მოსახლეობის უმდიდრესი, დაახლოებით 2,5%-ის პროცენტის, ძირითადად სამეურნეო-პოლიტიკური ნომენკლატურის წილად მოდის ქვეყნის ნივთიერი სიმდიდრის (ქონების) თითქმის 45%, მათ შორის პირადი, საშინაო ქონების დაახლოებით 30% პროცენტი და ეროვნული ქონების დანარჩენი ნაწილის ნახევარი.⁸

არაოფიციალური მონაცემებით, XXს. 90-იანი წლების დასასრულისათვის მოსახლეობის 10%-ის წილად მოდიოდა ფარულად პრივატიზებული სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ძირითადი ფონდების 70%-ზე მეტი. მაგრამ, ყოველმა მესამემ (34%) სახელმწიფო ქონებიდან ვერ მიიღო ვერავითარი წილი, გარდა „ვაუჩერისა“, ე.ი. სოციალიზმის დროინდელი საერთო-სახალხო საკუთრების დიდი ნაწილი განსახელმწიფოებრივებით ხელში ჩაიგდო მოსახლეობის მცირე ნაწილმა.

როგორც დავინახეთ, მცდელობა იმისა, რომ საქართველოში საკუთრების ტრანსფორმაცია განხორციელებულიყო თანმიმდევრულად, თანაბარზომიერად, მაღალამპლიტუდიანი ეკონომიკური რყევების გარეშე ვერ მოხერხდა. ქვეყნის

1 არჩვაძე ი. რა ფერისაა მილიარდი (სამეცნიერო და პოპულარული სტატიების კრებული) თბ., 2002 წ. გვ. 32.

ეკონომიკა აღმოჩნდა უმძიმეს კრიზისულ მდგომარეობაში, რომელმაც მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე და რომლისგანაც თავის დაღწევა მეტისმეტად გართულდა.

ჩვენი აზრით, ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს საერთოდ სახელმწიფოს და მათ შორის განსაკუთრებით მისი ეკონომიკური როლის უგულებელყოფა, ტრანსფორმაციის სირთულის სათანადოდ შეუფასებლობა. როგორც ეს პრაქტიკამ დაადასტურა, ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებულ-დირექტიული ფორმიდან პირდაპირ, ერთი ნახტომით თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ყოველისმომცველი ეკონომიკური ფუნქციებიდან სახელმწიფოს „გამონთავისუფლება“ უნდა მომხდარიყო თანდათანობით, ჯერ მას ფიზიკური პირებისა და იურიდიული სუბიექტებისათვის უნდა შეეთავაზებინა სამეურნეო წესების შესწავლა, სახელმწიფო აქ „მწვრთნელის“ როლში უნდა გამოსულიყო, ხოლო შემდგომ დაეკავებინა მკაცრი „დარაჯისა“ და ლიბერალური „მსაჯის“ პოზიციები.⁹

საკუთრების განსახელმწიფოებრივების საქმეში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია ის, რომ საწარმოს მეპატრონე გახდა რამდენიმე კაცი (დირექტორი და მისი ძმაკაცები), ხოლო საზოგადოების უდიდესი ნაწილი ყოველგვარ ქონებას მოკლებული აღმოჩნდა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არცერთ სხვა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყანაში არ აღმოჩნდა მოსახლეობის ძირითადი მასა ისე დაუცველი და გაძარცვული, როგორც საქართველოში.

ბოლო წლებში, საბაზრო ეკონომიკაზე თითქმის ფორსირებულმა, მაგრამ უსისტემო გადასვლამ გამოიწვია მოსახლეობის უმრავლესობის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკება, საზოგადოების წევრთა საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენცირების საშიში გარდამავება. თუ 1990-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობის შემოსავლების დეცილური კოეფიციენტი იყო დაახლოებით 4:1-ან, საუკუნის დასასრულისათვის მან უკვე 45:1-ან შეადგინა. ასეთი, საყოველთაო ხასიათის ეგზალტირანტის ადგილი „განვითარებული სოციალიზმის“ პირობებშიც კი არ ჰქონია, სადაც საშუალო ფენა მოსახლეობის 2/3-ს შეადგენდა, ხოლო ღარიბთა კატეგორიას საზოგადოების მხოლოდ ყოველი მეოთხმეტე წევრი მეკუთვნებოდა.²

1 ქუტიძე რ. სახელმწიფო და ბაზარი: მითი თუ სინამდვილე, ჟურნ. - „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2001 წ. გვ. 57-65.

2 არჩვაძე ი. - რა ფერისაა მილიარდი? (სამეცნიერო და პოპულარული სტატიების კრებული) თბ., 2002 წ. გვ. 32.

საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ფაქტობრივად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ ქვეყნის ქონების დიდი ნაწილის ხელში ჩასაგდებად, მუქთად მიტაცების გზით. სამართლიანი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების, მოსახლეობის რეალურ მესაკუთრედ გადაქცევის ნაცვლად მივიღეთ დეფორმირებული საკუთრებითი ურთიერთობა, როცა ხალხის უმეტესობა ქონების გარეშე აღმოჩნდა.

ყოველივე ეს გამოიწვია პრივატიზების არასწორმა თეორიულ მეთოდოლოგიურმა საფუძველმა, არასრულყოფილმა საკანონმდებლო ბაზამ, ვოლუნტარისტულმა საპრივატიზებო პოლიტიკამ და პრაქტიკამ, უცხოური გამოცდილების გათვალისწინების უგულვებელყოფამ და ა.შ. ამის ლოგიკური შედეგია საზოგადოებაში ქონებისა და შემოსავლების უკიდურესად უთანაბრო და არასამართლიანი განაწილება. დღეს მოსახლეობის უმცირესი ნაწილი იღებს შემოსავლების ნახევარზე მეტს. საქართველოში შემოსავლების უთანაბრობის მაჩვენებელი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოს მასშტაბით. ამგვარი დიფერენციაცია კი საშიშია საზოგადოების ერთიანობისა და სტაბილურობისათვის. მაშასადამე, პრივატიზების სტრატეგიის განხორციელების გზაზე დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა საბოლოოდ ხელი შეუშალა ქვეყანაში მეწარმეთა საშუალო ფენის დროულ ფორმირებას. სოციალიზმის პირობებში 70 წლის მანძილზე სახელმწიფოს ხელში თავმოყრილი ქონება საქართველოში ყაჩაღურად გადანაწილდა და უმძიმესი ფორმებით განმეორდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სისხლიანი ისტორია. სათანადო განსჯის გარეშე უგულვებელყოფილ იქნა განსახელმწიფოებრივების მიმართულებებს შორის ყველაზე პოპულარული ფორმის - აქციონერული საზოგადოებების შექმნა, რომელიც ქვეყნის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციის ფართო შესაძლებლობებთან ერთად, უზრუნველყოფდა მათში დასაქმებულთა ინტერესების ერთიანობას, თანასწორობასა და კეთილდღეობას.

როგორც ამას მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, განვითარებულ ქვეყნებში წარმატებით განხორციელდა საიჯარო საწარმოების კოლექტიურ საწარმოებად გარდაქმნის პროცესი, რაც განსაკუთრებით პოპულარულია აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში და სხვა.

დღეისათვის გადაუდებელი ამოცანაა ყურადღება გამახვილდეს იჯარული ურთიერთობების, აქციების გამოშვება - გავრცელების, კოოპერატიული საწარმოო

გაერთიანებების, კონცერნების, ასოციაციების, აქციონერული საზოგადოებების შექმნის მიმართულებით, რაც რეალურ წანამძღვრებს მოამზადებს შერეული, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის.

როგორც ამას მსოფლიოს პრაქტიკა ადასტურებს, კოლექტიურ საკუთრებაში საწარმოთა გადასვლა მნიშვნელოვანი ელემენტია სხვადასხვა ქვეყანაში პრივატიზების პრაქტიკაში, მათ შორის – დიდ ბრიტანეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუსეთში და სხვ. შესაბამისად, ჩვენში მხარდაჭერას მოითხოვს მშრომელთა კოლექტივების ინიციატივა, რომელთაც სურთ შექმნან სახალხო საწარმოები კოლექტიური საკუთრების ბაზაზე. ამიტომ, საწარმოები სახელმწიფოს მიერ, კი არ უნდა გაიყიდოს კონკურსით ან აუქციონით, არამედ მოხდეს ამ ქონების გამოსყიდვა შრომით კოლექტივებად გარდაქმნილ საწარმოთა წევრების მიერ..

ამჟამად, თვისებრივად ახალ ეტაპზე გადადის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების პროცესი. დღის წესრიგში დადგა უცხოური ინვესტიციებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობის, სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების მართვის ეფექტიანობის ამაღლების, ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოზიდვის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების პრივატიზების პერიოდში ინსტიტუციური ცვლილებებისათვის კონსტრუქციული მხარდაჭერისა და პრივატიზების პროცესში ჩამოყალიბებული მესაკუთრეთა და მეწარმეთა ფენის ხელშეწყობის უაღრესად აქტუალური საკითხები.

დასკვნები და წინადადებები

1. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი სახელმწიფო ქონების პრივატიზებასა და მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, მომსახურებისა და ვაჭრობის გამოცოცხლება. სახელმწიფო ხაზინის შევსება და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.
2. საერთოდ საქართველოში პრივატიზაციის პროცესი მეტისმეტად ჭიანჭურდება და ძველი შეცდომები მეორდება. პრივატიზაციის ტემპი სრულიადაც არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელისუფლების მიერ არჩეულ „შოკური თერაპიის“ მეთოდს. ჯერ კიდევ არ არის პრივატიზებული სახელმწიფო საკუთრების დიდი ნაწილი. ვერ მოხერხდა სახელმწიფო მონოპოლიის მოშლა მეურნეობის რიგ სფეროებში და სახელმწიფო სტრუქტურები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდნენ სამეურნეო ფუნქციებისაგან.

სათანადოდ არ არის გამოიყენებული და დასაბუთებული საპრივატიზებო და არასაპრივატიზებო ობიექტები, როგორი უნდა იყოს კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობა, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე დარგების მიხედვით. ასეთი მონახაზი არ არსებობს არც მთელი ეკონომიკისათვის და არც ცალკეული სექტორებისათვის.
3. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვის მოწესრიგების მხრივ ჩატარდა გარკვეული სამუშაოები, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არაა. ჯერ კიდევ არსებობს აღურიცხავი ობიექტების დიდი რაოდენობა. საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა სახელმწიფოს ქონების სრული ინვენტარიზაცია, რის გამოც სახელმწიფო (ქონების მართვის სააგენტო) ვერ ფლობს სრულყოფილ და ობიექტურ ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ. სახელმწიფო ქონების აღრიცხვიანობის მოწესრიგება მოგვცემს ამ ობიექტების მიზნობრივად გამოყენების საშუალებას და გამოიძენება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების დამატებითი წყარო..
4. საქართველოში სამწუხაროდ წამოყენებულ იქნა სახელმწიფო საკუთრების სრული პრივატიზების თეზისი. ამ თეზისის მცდარობა თუნდაც იმით დასტურდება, რომ ნებისმიერი ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის ქვეყანაში სახელმწიფოს არ

- აქვს უფლება გავიღეს ეკონომიკური სფეროდან. ეკონომიკის მართვის, კონტროლისა და რეგულირებისათვის კი სახელმწიფოს სჭირდება საკუთრება, განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც კერძო, ჯგუფური და საზოგადოებრივი ინტერესების თანხედრის აღბათობა მაღალია და თავის თავში შეიცავს პოტენციურ საფრთხეს საზოგადოებისათვის.
5. მომავალში დაგეგმილ უნდა იქნეს თითქმის ყველა სახეობის საწარმოს ხელაღებით პრივატიზების მანკიური კურსი. საჭიროა წინასწარ გააზრებულად შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმების მიხედვით შედგეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით, აუქჩარებლად განხორციელდეს მათი დენაციონალიზაცია. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის არ არის მიზანშეწონილი და აუცილებელი სახელმწიფო საკუთრების სრული ტრანსფორმაცია, საკმარისია, წარმოქმნას საბაზრო ურთიერთობების სრულფასოვანი სუბიექტების საკმაო რაოდენობა, რომელთაც ექნებათ საბაზრო გარემოს ფორმირებისა და კვლავწარმოების შესაძლებლობა.
 6. ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს სტრატეგიული დანიშნულების საწარმოები. თანამდროვე ცივილიზებული ქვეყნების ანალოგიურად, სახელმწიფოს სიაში უნდა დარჩეს არა მარტო ქვეყნის თავდაცვის, გარემოს დაცვისა და კოსმიური სივრცის ათვისების, აგრეთვე მოპოვებითი და სათბობენერგეტიკული მრეწველობა, საჰაერო ტრანსპორტის, გაზის მილსადენები, რკინიგზები, და საავტომობილო გზები, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ეპიდემიებისა და სხვა თითქმის უკუზრნებელი სენის გაერცვლების საწინააღმდეგო და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები და ა. შ. მთავარია სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა.
 7. უნდა აიკრძალოს კომუნალური მეურნეობის საწარმოთა პრივატიზების (სახელმწიფო საკუთრებიდან გამოტანისა და განკერძოების) არასწორი პრაქტიკა. გადასახედია საქალაქო მეურნეობის იმ ობიექტების პრივატიზების მიზანშეწონილება, რომელთა განკერძოებამ უკვე დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას და

- საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (მაგ. „თელასი“, „თბილგაზი“ და ა. შ.), ჩვენი აზრით, აჯობებდა ასეთი ობიექტები კი არ გაგვეკერძოებინა და უცხოელებისთვის მიგვეყიდა, არამედ შეგვესყიდა და გადაგვეცა მერიის მუნიციპალურ საკუთრებაში.
8. შემუშავებული უნდა იქნეს ქონების ღირებულების სწორად განსაზღვრის მეთოდოლოგია. ახლა როცა დაწყებულია ყოვლისმომცველ პრივატიზება არ ვიცით როგორ გავინგარიშოთ ობიექტების ღირებულება. უფრო საგანგაშოა ის, რომ ეს შეცდომები პრივატიზების მიმდინარე ეტაპზე კიდევ უფრო მძიმე ფორმებში მეორდება. ხელაღებით სხვისდება უცხოელებზე ქვეყნის სტრატეგიული საწარმოები, არაპროფესიონალურად, ნაჩქარევად ეწყობა ტენდერები და ჩალის ფასად იყიდება მთელი რიგი საპრივატიზებო ობიექტები.
 9. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონში შეტანილი უნდა იქნეს ცვლილებები – საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის მრავალტირაჟიან გაზეთებში გამოქვეყნებისა და საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერში ამ პროცესის გაშუქების აუცილებლობის შესახებ. პრივატიზების შესახებ ინფორმაცია სასურველია გავრცელდეს ინტერნეტის მეშვეობით.
 10. ასეული მილიონობით ღირებულების საერთო-სახალხო ქონება დღეს არის ეგრეთწოდებული პროფკავშირების ხელში. პროფკავშირების რაღაც ბირთვი მართავს ამ ქონებას, ყიდის და ასხვისებს მას. სახელმწიფო ბიუჯეტში კი არც ერთი თეთრი არ შედის. ეს საჭირობოროტო საკითხია, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოაწესრიგონ სათანადო ორგანოებმა.
 11. საჭიროდ მიგვაჩნია სხვადასხვა უწყებების მიერ სახელმწიფო ქონების ობიექტებთან დადებული საიჯარო ხელშეკრულებების გადამოწმება და ახლახან ჩამოყალიბებული „საწარმოთა მართვის სააგენტოზე“ გადაფორმება, რაც მნიშვნელოვანი ოდენობის სახსრებს მოიზიდავს საქართველოს ბიუჯეტში. დაუყონებლივ უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ობიექტურად შეისწავლის სახელმწიფოსაგან უფლებამოსილი (სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი) საწარმოების ფუნქციონირების მიზანშეწონილობას. მცირე და საშუალო მეწარმეობისადმი მხარდაჭერა უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად. მცირე და საშუალო მეწარმეობა განხილული უნდა იქნეს: როგორც შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების უმნიშვნელოვანესი სფერო;

- როგორც პროდუქციისა და მომსახურების უმნიშვნელოვანესი მწარმოებელი,
- როგორც მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის ძირითადი კატალიზატორი.

მცირე და საშუალო მეწარმეობის და ბიზნესის განვითარების საფუძველზე ყალიბდება საზოგადოების ე. წ. „საშუალო ფენა“, რომელიც არა მარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიაა, არამედ მისი სრულყოფისა და განვითარების ყველაზე შემოქმედებითი და მობილური ნაწილია. საჭიროა ქვეყანაში შემუშავდეს მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფცია, სადაც გამოკვეთილი იქნება მცირე მეწარმეობის როლი და მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკის აღორძინებასა და განვითარებაში.

12. ქვეყანაში დღეს შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გადახედვას და ქმედითი ღონისძიებების გატარების შედეგად ამ სფეროში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრას და გაუმჯობესებას.
13. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, რომელიც იქნება კერძო სამართლის იურიდიული პირი და განახორციელებს იმ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოებების მართვას, რომელიც სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობითაა დაფუძნებული. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო უნდა დაფუძნდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომელსაც მოითხოვს კანონი „მეწარმეობის შესახებ.“ მის ფუნქციებს უნდა შეადგენდეს მასში გაერთიანებულ საწარმოთა რესტრუქტურირება, რეორგანიზაცია, რეაბილიტაცია, ლიკვიდაცია და ა.შ. მისი ძირითადი მიზანი უნდა იყოს სწორი მენეჯმენტისა და სუფთა მწარმოებლური ფუნქციების განხორციელება.
14. გაუმართლებლად მიგვაჩნია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან შემოსული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ჩარიცხვის საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა. უფრო გამართლებულია მის ბაზაზე სპეციალური ფონდის შექმნა, რომელიც მოხმარდება ფუნქციონირებადი თავისუფალი მეწარმეობის დაკრედიტებასა და წარმოების სახელმწიფო სექტორის უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვას.

15. არასწორად მიგვაჩნია საწყისი საპრივატიზებო ფასის დადგენა ძირითადი ფონდების ცვეთას გამოკლებული – ნარჩენი ღირებულებით. საპრივატიზებო ფასის დასადგენად მომგებიანი საწარმოებისათვის უპრიანი იყო გამოყენებულიყო მომავალი შემოსავლიანობის მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მეთოდი.
16. დღეს საქართველოში საწარმოთა პრივატიზების პროცესში დიდ სიძნელეებს ქმნის ის გარემოება, რომ საბანკო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწარმოთა სფეროს დაფინანსებას, რადგან ბანკების უმრავლესობა საკრედიტო რესურსების განაწილებას ამჯობინებს ვაჭრობაში, სწრაფი და მაღალი მოგების მიზნით. ასევე ვერ ხერხდება საწარმოებში ინვესტირების მოზიდვა, რადგან არ არის შექმნილი სათანადო სამართლებრივი ბაზა. ამდენად, მთავარ მიზანს წარმოადგენს მაღალმწარმოებლური შრომის მოტივაციის შექმნა, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის და სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და სტიმულირება. რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა დარგში მსხვილი ინვესტიციების ჩადება, რაც თავისთავად განაპირობებს საქართველოში ეროვნული მეურნეობის განვითარებას
17. პრინციპულად უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირების სააქციო საზოგადოებების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და სახაზინო საწარმოების მართვისადმი მიდგომები.
- აუცილებელია დეტალურად იქნეს შესწავლილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი ყველა საწარმოს საქმიანობა და დადგინდეს ამ საწარმოთა უდიდესი ნაწილის არარენტაბელური მუშაობის ნამდვილი მიზეზები და აქედან გამომდინარე დაისახოს ღონისძიებები საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 12 თებერვლის №40 ბრძანებულების „სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და მართვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად. ზედიზედ ორი-სამი წლის მანძილზე ზარალიანობის შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ საწარმოთა საპრივატიზებოდ გადაცემა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პრივატიზებულ საწარმოებში რადიკალურ-სტრუქტურულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და მმართველობითი გარდაქმნების განხორციელებას.

18. როგორც მონაცემების ანალიზიდან ჩანს, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად დაბალია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული (ამჟამად საწარმოო ქონების მართვის სააგენტოს სისტემაში შემავალი) იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შენატანები. ამ სფეროში არსებული რეზერვების გამოსაყვანივლად საჭიროა საგადასახადო სამსახურის მიერ დივიდენდების ამოღების მექანიზმის გაუმჯობესება, ამასთან საწარმოებში სახელმწიფო წარმომადგენლების მუშაობის სრულყოფა და მაკონტროლებელი ორგანოების მიერ მათდამი მომთხოვნელობის ამაღლება. ქონების მართვის სააგენტომ უნდა შემოიღოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ხელმძღვანელების ანგარიშგების მოსმენის პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ობიექტების გამოყენების და მათთან დაკავშირებული საიჯარო ხელშეკრულების შემოწმებას.
19. ამჟამად ბევრია ქვეყანაში უმოქმედო პრივატიზებული საწარმოები. რომ დაჩქარდეს მათი ამუშავება, ან გაყიდვა, საჭიროა ისინი საბოლოოდ მოხდენენ ნამდვილ მეწარმეთა ხელში. ამის საუკეთესო საშუალებად გვესახება უქმად და უმოქმედოდ გაჩერებულ ობიექტებზე ქონების გადასახადის გადიდება.
20. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში არსებულ საწარმოთა უმეტესი ნაწილი არარენტაბელურია. პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობისა და გასაღების ბაზრების არ არსებობს გამო ზოგიერთ შემთხვევაში მათი ფიქსირებული დანახარჯები აღემატება შემოსავლებს. აუცილებლობას წარმოადგენს ასეთი საწარმოების გაკოტრება ან გარკვეული სტრატეგიული დანიშნულებიდან გამომდინარე მათი სანაციის გეგმის შემუშავება.. ჯერ კიდევ ძალზე მცირეა საწარმოთა გაკოტრების პრეცედენტები შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის არარსებობისა და მოქმედი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების გამო, გაკოტრების პროცედურა უმეტეს შემთხვევაში ემსახურება ფინანსური დაჯგუფების ინტერესებს. აღნიშნული პროცესის დასარეგულირებლად აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში და ინსტიტუციონალური რეფორმის გატარება, რაც გულისხმობს საწარმოთა გაკოტრებისა და რესტრუქტურისაციის სამსახურის შექმნას, რომელიც სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა და ბიუჯეტის დავალიანებების მქონე კერძო იურიდიული პირების გაკოტრების პროცესში სამართლებრივად უზრუნველყოფს სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის და

კრედიტორის უფლებების და ინტერესების დაცვას. აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით მიღწევა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი, უმოქმედო და გაჩერებული საწარმოების ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში, რითაც მნიშვნელოვნად გაიზრდება საგადასახადო ბაზა. რაც გახდება საფუძველი სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი თანხის მოზიდვისათვის.

21. ცვლილებები უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონში. ახალი კანონი უნდა დაეფუძნოს იმ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა როგორც ჩვენში, ასევე რიგ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში პრივატიზების განხორციელების პროცესში „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ასევე ახლებურად უნდა განისაზღვროს პრივატიზების განხორციელების პერსპექტიული მიზნები და ამოცანები:
- პრივატიზების შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარების გზით მესაკუთრეთა და მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბების დაჩქარება;
 - ეკონომიკის მართვის საქმეში სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციების დასახვეწად ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება და ახალი მმართველობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისადმი კონსტრუქციული ხელშეწყობა.
 - პრივატიზებულ საწარმოებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
 - სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის პროცესის სისტემატიზაცია, სრულყოფა და ა.შ. აღნიშნულ კანონში ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით უნდა აისახოს პრივატიზების პროცესის შემდგომი განხორციელების ძირითადი მიმართულებები.
22. მიწების პრივატიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომების მიუხედავად, იგი არ შეიძლება ცალსახად უარყოფითად შეფასდეს. მან თავისი მისია ერთგვარად შეასრულა. ჩამოაყალიბდა მესაკუთრეთა ფენა, დამკვიდრდა მეურნეობრივობის სხვადასხვა ფორმა, მოსახლეობამ გააცნობიერა საკუთრების, ბაზრისა და მოთხოვნა-მიწოდების ცნებები, ადგილი და როლი. მიუხედავად ამისა, პრივატიზების პროცესის მიმდინარეობა, მისი შედეგები და კერძო საკუთრებაში გადაცემული საწარმოთა საქმიანობა არ პასუხობს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს. პრივატიზების პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით აუცილებელია უმოკლეს დროში დასრულდეს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა:

- უნდა ჩატარდეს მიწების სრული ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია საგარეულების სახეობებისა და ხარისხობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- ზონების მიხედვით უნდა განისაზღვროს იჯარით გასაცემი ფართობის მაქსიმალური ნორმატივი;
- მიწის კადასტრის მონაცემების გამოყენებით განისაზღვროს მიწის დიფერენცირებული გადასახადი;
- საკადასტრო სამუშაოები, ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზი, საზღვრების დადგენა, ნახაზებისა და რუკების შედგენა.

23. უახლოეს დროში აუცილებელია მიწების სრული (შენობა-ნაგებობების) ინვენტარიზაცია. დღეისათვის არ არის დაზუსტებული თუ რა რაოდენობის საგარეულებია საქართველოში, რამდენია ინტენსიური და ნაკლებინტენსიური, უვარგისი, რა რაოდენობის მიწაა კერძო საკუთრებაში, სახელმწიფო საკუთრებაში, ვინ არის მესაკუთრე, რა რაოდენობის მიწაა გაცემული იჯარით, ქვეიჯარით, ვინ არის მოიჯარეები და მეიჯარეები, რა რაოდენობის მიწაა მიტაცებული და ვის მიერ, რა რაოდენობის მიწაა სათემო სარგებლობაში და რა პირობებში.

24. დროულად და მაღალხარისხოვნად უნდა ჩატარდეს ნიადაგის ლაბორატორიული გამოკვლევა და სხვა საკადასტრო სამუშაოები, რომელთა დაბალ დონეზე დღეს ხშირად მიუთითებენ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ხელისუფლების წარმომადგენლები. განხორციელებული მიწის საკადასტრო სამუშაოების დიდი ნაწილი უხარისხოა და ზერელება. პასპორტებში შეტანილია დაზუსტებული და არასწორი მონაცემები. უპირველეს ყოვლისა უნდა ჩატარდეს ქვეყანაში არსებული მთელი მიწების ინვენტარიზაცია. თითოეულ მიწის ნაკვეთზე მიწის საკადასტრო ბარათი უნდა შედგეს, რომელშიც ამომწურავი მონაცემები იქნება მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. ამის გარეშე რეფორმის ჩატარება შეუძლებელიცაა და გაუმართლებელიც. იგი ინფორმაციის მთავარ წყაროს უნდა წარმოადგენდეს და გამოხატავდეს მეურნეობის ყველა დარგის ინტერესებს: ბუნების დაცვის, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის და ა.შ.

25. სასწრაფოდ უნდა დადგინდეს საზღვრები რეგიონებს, რაიონებს, სოფლებსა და ცალკეულ ნაკვეთებს შორის. დღეს საზღვრები დაუდგენელია, იგი მრავალჯერ

შეიცვალა, ჯერ საბჭოთა პირობებში, შემდეგ კი მოსახლეობის საკარმიდამოების შევსების დროს. ამასთან დაკავშირებით დღემდე გაუთავებელი დავაა, რაიონებს, საკრებულოებსა და გლეხებს შორის.

26. დაუყონებლივ მიღებული უნდა იქნეს მიწის კოდექსი. მიწა უნდა გადაეცეს მშრომელ გლეხობას, ფერმერებს, მოქალაქეებს, ყველა მსურველს, ვისაც მასზე მუშაობა სურს, მაგრამ პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მოქალაქის და სოფლის სტატუსი, შეიქმნას მიწის კანონი.
27. ამჟამად მოქმედი კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობას, საკუთრებას და მართვას. მაგრამ არ არეგულირებს ტყის, წყლის და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობა-საკუთრებასა და მართვის საკითხებს. ჯერჯერობით აღნიშნული კატეგორიის მიწებთან დაკავშირებით საკითხი საკანონმდებლო აქტებით არ რეგულირდება, რაც სწორი არ არის. ამდენად, საჭიროა სასწრაფოდ იქნეს შემუშავებული და მიღებული „მიწის კოდექსი“, რომელიც ყველა სახის და კატეგორიის მიწის კანონმდებლობას გააერთიანებს.
28. მიწის პრივატიზაციის კანონში გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ პრივატიზებას არ უნდა დაექვემდებაროს ქვეყანაში არსებული მთელი მიწები. შენარჩუნებული უნდა იქნეს მიწის რეზერვი, რომელიც აუცილებელია მთიდან და მთისწინეთიდან ბარში ნამეტი მოსახლეობის დასახლებლად, სტიქიური უბედურებებით (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა) აყრილი მოსახლეობის და მრავალრიცხოვან დევნილ ადამიანებისათვის საკარმიდამოების და სასურსათო საგარეულების გამოსაყოფად. გათვალისწინებული უნდა იქნეს მსოფლიო გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც არ ჰქონდეს თავის განკარგულებაში მიწების 30–40% რეზერვის სახით.
29. მიწაზე, როგორც მეურნეობის ობიექტზე უნდა არსებობდეს საკუთრების მრავალფორმიანობა. აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს მიწაზე საკუთრების რეალიზაციის ასპექტების-მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის, როგორც რეალური ეკონომიკური ურთიერთობათა ფორმების განვითარება და სრულყოფა. ფართო შესაძლებლობები უნდა მიეცეს

საკუთრების ყველა ფორმას მხოლოდ ასე შეიძლება სოფლად საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

30. დღეს ასობით ჰექტარი მიწა იჯარით აღებული აქვთ ფულიან ჩინოვნიკებს, დანაწევრებული აქვთ ნაკვეთებად და გაცემულია ქვეიჯარით გაათმაგებულ ფასებში, რაც დანაშაულს წარმოადგენს. გამოვლინებულ უნდა იქნეს უკანონო გზით მოპოვებული ფართობები. დადგინდეს რომელი მოიჯარეები არღვევენ ხელშეკრულების პირობებს და შესაბამისად გაუქმდეს გაფორმებული ხელშეკრულებები. კანონით უნდა გაუქმდეს მიწის იჯარისა და ქვეიჯარის უფლება. ქვეიჯარა იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებასა და მოიჯარის ექსპლუატაციას, ეწინააღმდეგება კანონს ნიადაგის დაცვის შესახებ და აკრძალულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში.
31. „მიწის კოდექსით“ უნდა აკრძალოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების იჯარით და ქვეიჯარით გაცემა. ქვეიჯარით მომუშავე გლეხი ჩვეულებრივ შრომამიგებით დამოკიდებულების პირობებშია. შრომამიგებითი სისტემა კი გულისხმობს მოქალაქეობრივ არასრულუფლებიანობას. ამ შემთხვევაში მუშის (გლეხის) არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ აგრეთვე გარეშე ეკონომიკურ იძულებაზე დამყარებული ექსპლუატაცია ხდება. იჯარის და ქვეიჯარის პრაქტიკა უარყოფით გავლენას ახდენს მიწათმოქმედების კულტურაზე და მიწის მესაკუთრეს ზედმეტ შანსებს უქმნის რენტის გადიდებისათვის. საქართველოს უნდა ჰქონდეს ეროვნულ ნიადაგზე შემუშავებული აგრარული პოლიტიკა. „მიწის კოდექსი“ უნდა შემუშავდეს აგრარიკოსებისა და ეკონომისტების აქტიური მონაწილეობით. ამ კანონმა უნდა უზრუნველყოს მიწების რაციონალური გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის და მიწის რესურსების სათანადო დაცვის პირობები. ეს კანონი გადაწყვეტს დამოუკიდებელ საქართველოში აგრარული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და მტკიცედ იდგება ხალხის, კერძოდ, ქართველი გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე.
32. ამჟამად საქართველოში არსებულ წვრილ, ნახევრადნატურალურ გლეხურ მეურნეობებს არ შეუძლია მიწის რაციონალური და მაღალნაყოფიერი გამოყენება და სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა. ამდენად, საბაზრო ეკონომიკური სისტემის ინტერესები მსხვილ

(კლასიკურ) ფერმერულ მეურნეობათა ჩამოყალიბებას მოითხოვს. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი სწორედ ფერმერულ საწყისებზე გადასვლა ეს აგრარული სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მთავარი და მაგისტრალური გზაა და ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

33. საქართველოში ეროზიის შედეგად 1965-1969 წლებში 256 ჰექტარი მიწა გამოვიდა მწყობრიდან, 2000 ჰა სავარგული მთლიანად მოუსაველიანი გახდა. 20-25 წლის განმავლობაში, ე.ი. 1990 წლამდე, საქართველოში ეროზიის გამო 94 ათასი ჰექტარი სახნავი გადავიდა დაბალინტენსიურ კატეგორიაში. ამჟამად საქართველოში წყლის-მიერ და ქარის-მიერ ეროზიას განიცდის დაახლოებით 3299 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ქარსაცავი ტყის ზოლების ფართო მასშტაბით გაშენება.. მინდორსაცავი ტყის ზოლები მიწათმოქმედების სწორი სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს ნყარი და დიდი მსავლის მიღებას. ამჟამად, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მინდორსაცავი ტყის ზოლები მთლიანად განადგურებულია. საჭიროა ამ პრობლემის სასწრაფოდ მოგვარება.
34. აუცილებელია საწარმოთა ახალ პირობებში მუშაობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რაც ჯერჯერობით არ გაკეთებულა. ამ საწარმოებს საქმიანობის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც კი არ გააჩნია; პრივატიზებული საწარმოების ამოქმედების ერთერთი მთავარი საკითხია მათი დაფინანსება და შეღავათიანი დაკრედიტება. უნდა შეიქმნას რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც მოემსახურებიან საწარმოებს. არასწორად მიგვაჩნია, სააქციო საზოგადოებების მართვიდან სახელმწიფოს მთლიანი (სრული) “თამაშიდან გასვლა.“ სახელმწიფო არ უნდა გავიდეს ეკონომიკის სფეროდან, პირიქით იგი უნდა გახდეს წარმოების მყარი განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების აუცილებელი პირობა. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, ერთის მხრივ, საწარმოო ინფრასტრუქტურის პრიორიტეტული მიმართულების რეაბილიტაციისათვის ფინანსური რესურსების მოზიდვა, ხოლო მეორე მხრივ, აქტივების დეცენტრალიზებული გაყიდვით მცირე და საშუალო საწარმოთა რესტრუქტურირება. რეორგანიზებულ საწარმოთა ძირითადი საქმიანობის

აუცილებელი შენარჩუნების პირობებში. მოცემულ ეტაპზე აუცილებელია რესტრუქტურირებისა და პრივატიზების შედეგად წარმოქმნილი მცირე და საშუალო საწარმოების ინფასტრუქტურული მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. აღსანიშნავია, რომ მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა მარტო ეკონომიკური შედეგების მომტანი როდია, ამ სექტორის განვითარება წყვეტს არა მარტო წმინდა ეკონომიკურ, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ ამოცანებსაც. კერძოდ, მისი მეშვეობით ყალიბდება საშუალო ფენა – სამოქალაქო საზოგადოების მთავარი ბირთვი.

35. მასიური პრივატიზების პროცესის განხორციელების შემდეგ, ამ ეტაპისათვის (2007 წლის ბოლოსათვის დარჩენილია 1575 წერილი სახელმწიფო საწარმო, რომელიც ინვესტორისათვის ნაკლებ მიმზიდველია. როგორც ამას ექსპერტები საჭიროდ თვლიან, უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა 100%-იანი წილის მფლობელი პოლდინგი. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული ყველა შპს უნდა გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად და დაფუძნდეს ზემოაღნიშნული სახელმწიფო პოლდინგი, რომლის სამეთვალყურეო საბჭო ეკონომიკური უწყებების ხელმძღვანელი პირებითა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. აღნიშნული შპს-ების რესტრუქტურისაცა და ინვესტირება პოლდინგის ანგარიშზე პრივატიზებიდან შესული თანხებით უნდა განხორციელდეს. ჩვენი აზრით, ეს საწარმოები უფრო მიმზიდველი გახდება ინვესტორისათვის. პრივატიზების პროცესი კი საფონდო ბირჟაზე სახელმწიფო პოლდინგის აქციების გაყიდვის ფორმით უნდა განხორციელდეს, რაც პრივატიზების ყველაზე გამჭვირვალე ფორმაა. ამ რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქართველოში გამჭვირვალე და წარმატებული პრივატიზაციის პროცესის განხორციელება შეუძლებელია, მათი გათვალისწინების შემთხვევაში კი, უძრავი ქონების ბაზრიდან ფულადი ნაკადების, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმართვა მოხდება. რაც, ერთმხრივ, შეამცირებს უძრავი ქონების ფასებს და ამასთან მნიშვნელოვნად შეაჩერებს ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის პროცესს.

36. მიზანშეწონილია, რომ პრივატიზების პროცესში გამოყენებული იყოს საფონდო ბირჟა. მომქმედი სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

აქციების პრივატიზება უნდა მოხდეს საფონდო ბირჟის გამოყენებით რეალურ საბაზრო ფასებში და არა დღეს არსებული ხელოვნური ფასწარმოქმნის პრინციპით. ეს ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საფონდო ბაზრის განვითარებას, რაც ეკონომიკური რეფორმის სტრატეგიის ერთერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს და მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების უფრო კონკურენტულ გარემოში რეალიზებას და პოტენციური ინვესტირების ეფექტიან მოზიდვას.

37. მთავარია სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო წილების სწორად მართვა (ეხლა კურსი აღებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპით პრივატიზებაზე). მიზანშეწონილია პრივატიზების განხორციელების ბერკეტების კანონმდებლობით ერთი უწყებისათვის გადაცემა. სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან ღვიდენდების მიღების საკითხში არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის უნდა შემუშავდეს ასეთ საწარმოებში სახელმწიფო კუთვნილ აქციათა მართვის ეფექტიანი მექანიზმი, ურომლისოდაც ხშირ შემთხვევაში საწარმოთა მოგებები სახელმწიფოს დაუკითხავად ნაწილდება და ღვიდენდებიდან თანხები ბიუჯეტში ფაქტობრივად არ შედის.

38. სახელმწიფო ქონების მართვა და პრივატიზების პროცესების სრულყოფილად წარმართვისათვის ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით უნდა განხორციელდეს, რაც უწინარეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესში თანამედროვე მენეჯმენტის დანერგვას. ეს გულისხმობს: არსებული ნორმატიული ბაზის მოწესრიგებას, საწარმოებში აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფას, საწარმოთა დაგეგმვისა და პროგნოზირების გაუმჯობესებას, საწარმოთა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მიმდინარეობის მონიტორინგს, მართვის თანამედროვე ფორმების შემოღებას. უნდა დაჩქარდეს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების პრივატიზება ან მომზადდეს და განხორციელდეს მათი ლიკვიდაცია.

39. საჭიროა გათვალისწინებული იქნეს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მდიდარი გამოცდილება. ისინი თავიანთ

ქვეყნებში, ახლა საბაზრო ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებიდან სამი საუკუნის შემდეგ ყიდთან მთელ რიგ საწარმოებს. მათ თავდაპირველად ერთბაშად არ გაუყიდიათ ყველაფერი. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს თუ რომელი საწარმო (ობიექტი) როდის უნდა გაიყიდოს. ეკონომიკური თვალსაზრისით როდის სჯობს მათი განსახელმწიფოებრივება, ახლა, ერთბაშად ყველაფრის ხელაღებით გაყიდვა გაუმართლებელია. რაც შეეხება სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს იგი თანდათანობით მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს, მაგრამ არა გარდამავალ პერიოდში. პირიქით, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ უნდა შეავსოს ქვეყანაში საბაზრო სისტემის არასრულყოფილობის გამო შექმნილი სიცარიელე. მან უნდა მოახდინოს წარმოებისა და გასაღების დივერსიფიკაცია, წახალისოს მცირე ბიზნესი და ყოველმხრივ განავითაროს საბაზრო ინფრასტრუქტურა. ხოლო მომავალში უნდა შემოიფარგლოს ზოგიერთი საზოგადოებრივი საქონლის (Public Goods) წარმოების ფუნქციით, ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის კონტროლით და მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისადმი მატერიალური დახმარებით.

ရဲ ဝ န ဝ ရ တ ဝ

საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა¹

№	ობიექტის დასახელება	ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	სახელმწიფოს წილი %	მისამართი
1	„თბილავიამშენი“	სს	100	თბილისი, ბ. ხმელნიცკის 181
2	„რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“	სს	100	რუსთავი
3	„ჭიათურმანგანუმი“	სს	100	ჭიათურა
4	„აზოტი“	სს	7	რუსთავი
5	„საქართველოს ელექტროკავშირი“	სს	100	თბილისი, წინამძღვრიშვილის 95
6	„საქართველოს ტელეკომი“	შპს	40	თბილისი, 9 აპრილის 4
7	„საქაღაქთაშორისო კავშირი“	შპს	100	თბილისი, რუსთაველის 31
8	„თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“	სს	100	თბილისი, აეროპორტი
9	„ძვერულჰესი“	სს	100	თერჯოლის რ-ნი, სოფ. ძვერი
10	„შაორჰესი“	სს	100	ტყიბული, რობაქიძის 1
11	„რიონჰესი“	სს	100	ქუთაისი, ახალგაზრდობის 5
12	„გუმათესი“	სს	100	ქუთაისი, გუმათის მარცხენა დასახლება
13	„ლაჯანურჰესი“	სს	100	კვაკერის რ-ნი, სოფ. აღპანა
14	„ფოთის აეროპორტი“	სს	98,3	ფოთი, 26 მაისის 4
15	„ჯვარის ნავთობპროდუქტი“ (წ/ჯვკსს)	სს	56,2	წალენჯიხა, ჯვარი, გაფრინდაშვილის 16
16	„თელავის ნავთობპროდუქტი“ (ტელ. კშს)	სს	58,8	თელავი, აჩინებული
17	„თბილნავთობპროდუქტი“ (სს თბილისის ნავთობპროდუქტი)	სს	100	თბილისი, ჭირნახულის 2
18	„ნავთობი“ (ლანჩხუთის ნავთობბაზა)	სს	64,5	ლანჩხუთი, კალინინის 8
19	„ხობის ნავთობ-პროდუქტი“ (კშს)	სს	50,9	ხობი-ნოჯიხევი, რუსთაველის 59
20	„ნავთობპროდუქტი“ (ტყიბულის კშს)	სს	57,5	ტყიბული, ბარათაშვილის 2
21	„ნავთობბაზა“ (გორ. „ომერ. შუამავალ. საწ.)	სს	63,4	გორი, კეცხოველის 168
22	„ნავთობპროდუქტი“ (საგარეჯ. შს)	სს	50,1	საგარეჯო, რკინიგზის სადგური
23	„ოზურგეთის საქნავთობპროდუქტი“ (ოზ.კშს)	სს	51,6	ოზურგეთი, ბათუმის 4 ჩიხი 6
24	„მეტეხის ნავთობპროდუქტი“ (კასპ. მმეტეხის კშს)	სს	51,2	„კასპი, სადგური მეტეხი
25	„აგარის ნავთობპროდუქტი“	სს	51,3	ქარელი, დაბა აგარა, მეტეხის 17

26	„წნორის ნავთობპროდუქტი“	სს	55	სიღნაღი, წნორი, ქიზიყის 24
27	„ჭიათურის ნავთობპროდუქტი“ (ჭიათ. „შს)	სს	51,7	ჭიათურა, 26 მაისის 17
28	„ჩოხატაურის ნავთობპროდუქტი“ (ჩოხატ. კომერც. შუამავალ. ფირმა)	სს	97,5	ჩოხატაური
29	„ლაგოდეხის ნავთობპროდუქტი“ (კონც. „საქნავთობ-პროდუქტი“ ლაგოდ. კომერც. საშუამ. საწ.)	სს	95,9	ლაგოდეხი, სოფ. ცოდნისკარი
30	„საჩხერის ნავთობ-ბაზა“ (საჩხერის კომერც. შუამავალი საწ.)	სს	84,3	საჩხერე, ფეიქართა 8
31	„საქგაზმშენი“ საამშენებლო- (სამონტაჟო ტრესტი „საქგაზმშენი“)	სს	97,1	თბილისი, ჟორესის 15
32	„გაზტექნიკა“	სს	100	ქიზიყის 13
33	„ცისფერი აღი“ („საქგაზის“ ხონის გაზის რნ-სამმართ)	სს	91	ხონი, დ. აღმაშენებლის 152
34	„ზესტაფონგაზი“ (ტრესტი ზესტაფონგაზი)	სს	95,3	ზესტაფონი, თამარ მეფის 71
35	„მცხეთაგაზი“ (დეპ. „საქგაზის“ მცხეთ. გაზის მეურნ. საექსპლ.საწ.ტრესტი „მცხეთაგაზი“)	სს	98,3	მცხეთა, ვაჟა-ფშაველას 1
36	„თერჯოლგაზი“ (თერჯოლის გაზის სამმართველო)	სს	97,6	თერჯოლის რ-ნი, ტ. სოფრომაძის 8
37	„ბორჯომგაზი“ (ბორჯომგაზის სამმართველო)	სს	93,9	ბორჯომი, თორის 32
38	„ხაშურიგაზი“ (დეპ. „საქგაზის“ ხაშურის გაზის მეურნ. საექ. საწ. ტრესტ.)	სს	97,2	ხაშური, კეცხოველის 5
39	„ბაღდათგაზი“ (მუნიცი. საწ. „ბაღდათგაზი“)	სს	90	ბაღდათის რ-ნი, სოფ. ქვ. დიმი
40	„გარდაბანგაზი“ (დეპ. „საქგაზის“ გარდაბ. გაზ. მეურნ. საექ.საწ. სამმ.)	სს	99,9	გარდაბანი, ნინოშვილის 18
41	„ახმეტაგაზი“ (სამონტაჟო- საექსპლ. საწ. „ახმეტაგაზი“)	სს	100	ახმეტა, სტალინის 18
42	„ვანირაიგაზი“ (ვანის გაზის მეურნ. საექ. საწ.)	სს	98,5	ვანი, გ. ტაბიძის 55

43	„მარნეულგაზი“ (საექ. საწ. ტრესტი, „მარნეულგაზი“)	სს	98	მარნეული, იაღლუჯის 23
44	„ხარაგაულგაზი“ (დეპ. „საქგაზი“-ს)	სს	97,7	ხარაგაული, დევედარიანის 8
45	„გურია გაზი“ (გაზის მეურნ. საექ. საწ. ტრ.)	სს	96,3	ოზურგეთი, ყაზბეგის III შეს. 9
46	„დუშეთგაზი“ (გაზ. სამმ)	სს	97,7	დუშეთი, ფარნაგაზის 46
47	„საჩხერე გაზი“ (გაზ. სამმართველო)	სს	96,8	საჩხერე
48	„ჭიათურგაზი“ (ჭიათურა გაზტრესტი)	სს	95,4	ჭიათურა, საჩხერის გზატკ. 2
49	„ამბროლაურგაზი“ (ამბრო. გაზ. საწ. ტრეს)	სს	90,4	ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას 3)
50	„დედოფლისწყაროს რაიგაზი“	სს	96,9	დედოფლისწყარო
51	„წყალტუბოგაზი“	სს	93,3	წყალტუბო, 9 აპრილის 62
52	„ლაგოდეხგაზი“	სს	95,1	ლაგოდეხი, ნინოშვილის 49
53	„გურჯაანგაზი“	სს	97	გურჯაანი, სანაპიროს 4
54	„ყვარელგაზი“	სს	90,8	ყვარელი, დ. აღმაშენებლის 66
55	„ზუგდიდგაზი“ (ზუგდიდის გაზის მეურნ. საექ. საწ.)	სს	98,5	ზუგდიდი, კრილოვის II შეს. 4
56	„წალენჯიხგაზი“ (წალენჯიხის გაზის მეურნ. საექ. საწ.)	სს	90	წალენჯიხა, წმინდა ნინოს 5
